იოსებ ჯუმბურიძე

ლაბირინთი

იოსებ ჟუმბურიძე

დაბმული უკვდავება

„მთელი ჩემი სიცოცხლე
ტანჯვაა და ვაება,
ამირანის ჯაჭვებით
დაბმული უკვდავება“...

აკაკი

თბილისი
2020

UDC (უდკ) 821.353.1-4.
ჯ-838

ამ წიგნშია თითქმის ყველაფერი, რაც ჩემს ნაწერებში შედარებით უკეთესი მგონია;

ამ წიგნშია თითქმის ყველაფერი, რაც მახარებს, მტკივა, მაშფოთებს...

რაც მთავარია, ამ წიგნშია თითქმის ყველა, ვინც განსაკუთრებით მიყვარს – საქართველოს თანამდევი სულები და თანამედროვე ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები;

ასე რომ, ეს წიგნი, არსებითად, ჩემი „რჩეულია“.

ერთი შენიშვნა: ამ კრებულში არ შევიდა ჩემი ორი წიგნი – ანასა და მუხრანზე. ეს სამწიგნეულია და მოთმინებით ელოდება მესამე წევრს – მურმან ლებანიძეს.

იმედია, მალე გამოჩნდება...

ავტორი

რედაქტორები:
თამარ თათარაშვილი
მიხეილ ჭონქაძე

ISBN 978-9941-9653-5-7

© იოსებ ჭუმბურიძე

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია, ანუ დიდი ანალოგოსი

„ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთლემად დაუნიშნავს განგებას“...

აკაკი წერეთელი

„აქ ვხედავ მე დიდ ანალოგოსს: ილია – მოსე. აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა“.

კონსტანტინე გამსახურდია

პროლოგი

„ჯვარცმული ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო“ – ასე საქართველოს მიმართა.

თავადაც ჯვარცმულმა...

და, მაინც: მოსე თუ ქრისტე?

უფრო დიდ ანალოგოსს სად უნდა ვხედავდეთ?

უშვილოსნობა?!

1922 წლის 30 აგვისტოს (!) ახალგაზრდა ცისფერყანწელი პოეტი ნიკოლო მიწიშვილი სტამბოლიდან თავის კოლეგებს გამოუგზავნის წერილს („ფიქრები საქართველოზე“), რომელიც ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოქვეყნდება და მძაფრ პოლემიკას გამოიწვევს.

კი, 1922 წელია. საქართველოში უკვე ერთი წლის შემოსულია „სიკვდილი ცელით“ (კოლაუ ნადირაძე); კი, „თებერვალმა დაგვიზამთრა სამუდამოდ მაისი“ (კოტე მაყაშვილი); მთავრობა გაქცეულია, ერი – დაკნინებული, მაგრამ მაინც ძნელად ასახსნელია 26

წლის ქართველი პოეტის „უმწეო ნიჰილიზმი“ (თამაზ ჩხენკელი), ყველაზე გულისმომკვლელად, ამ სტრიქონებით რომ გამოხატულა:

„საქართველო პასიური მოვლენაა.

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ).

საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს.

ამითაა, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“, თუ ბერწობა“...

გრიგოლ რობაქიძე იმავე ჟურნალის მომდევნო ნომერში გამოაქვეყნებს საპასუხო სტატიას, ერთობ მეტყველი სათაურით – „საქართველოს ხერხემალი“, სადაც ნიკოლო მიწიშვილის ზემოხსენებულ სტრიქონებს „თავისმკვლელობად“ შეაფასებს და გამაოგნებელი დიდსულოვნებით აღნიშნავს:

„არ არის საჭირო არც გაჯავრება და არც აღშფოთება, როცა ასეთ სიტყვებს კითხულობ... აქ უფრო „ტკივილია“, ვიდრე „აზრი“... არ არის საჭირო არც კამათი. აქ მხოლოდ ჩვენებაა საჭირო“.

და გრიგოლ რობაქიძე აჩვენებს.

აჩვენებს „ქართლის ცხოვრებას“, რომელიც „არის არა მარტო „ისტორია“, არამედ ნამდვილი „ეპოსი“ – (დიდი ეპოსი დიდი ხალხის)“...

აჩვენებს იაკობ ხუცესს, „რომელმაც გასაოცარი აღწერა დაგვიტოვა „წმინდა შუშანიკის“ ცხოვრებისა“...

აჩვენებს გიორგი მერჩულეს, ვისი ქმნილებაც („ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის“) „ქართული გენიის ხალასი ნაყოფია. ქართული სიტყვა აქ მოცემულია ისე, თითქო პირველმიწას რძე სდიოდეს კვლავ ძუძუებიდან“...

აჩვენებს ქართულ საგალობლებს, „საცა ქართველი ავტორები ფსალმუნობაში დავით წინასწარმეტყველს ედავებიან“...

აჩვენებს ექვთიმე, იოანნე და გიორგი მთაწმინდელებს, ეფრემ მცირეს, რომელთა ღვაწლს ასე გამოკვეთს:

„თუ გერმანელები ლუტერს „ბიბლიის“ გერმანულად თარგმნისათვის გენიალობას ანიჭებენ, რა დააშავეს ჩამოთვლილ მამებმა, რომლებმაც იგივე „ბიბლია“ ქართულად სთარგმნეს და მერე როგორ? ლუტერის თარგმანი თუ არის ენის – ქმნა, მთაწმინდელების თარგმანიც ენის – ქმნაა ნამდვილი. თუ რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა“...

აჩვენებს, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველს.

აქ უნდა შევყოვნდეთ.

ეს კიდევ ერთი უმძიმესი პასაჟია ახალგაზრდა ცისფერყანწელის „ფიქრებში“:

„მეეჭვება თვითონ რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისგანაა – უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არადა – ან რუსთაველი არაა ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე“.

სანიმუშოდ დასაბუთებულია გრიგოლ რობაქიძის საპასუხო დასკვნა: „ნუ თუ ავტორს ჰგონია, რომ რუსთაველით ამოიწურება ქართული გენია?... რუსთაველი ქართველია და მის პოემას უდიდესი სიტყვის კულტურა უძღვის წინ. რასაკვირველია, „ადვილად შოვნაზე“ ლაპარაკი ამ კულტურის არცოდნაა“.

მაინც წამცდა პოლემიკური სიტყვაო, – ამას რომ დასძენს, ფრჩხილებში მოათავსებს, თუმცა წინასწარაც აღნიშნავს: „აქ კი ავტორი „დისკუსიას“ მიმართავს და ჩემი სიტყვა ცოტა სხვანაირი იქნება“.

მთელი მისი პასუხი „სხვანაირია“ და პოლემიკის ღირსეულად წარმართვის იშვიათ მაგალითს გვაძლევს.

არგუმენტებით დახუნძლულია მწერლის მსჯელობა.

ზემოთ დამოწმებულთა გარდა, სხვა უამრავი საბუთიც აქვს, რაც მის უკიდეგანო განსწავლულობასაც წარმოაჩენს.

მრავლისმთქმელია მისეული პარალელები:

„ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელით, რომელიც ომშიაც „ჭვრეტდა“ სამყაროს. ჩვენში დავით აღმაშენებელი ომის დროს „სამოციქულოს“ კითხულობდა – (ეს ზნე კინაღამ საბედისწერო გახდა მისთვის). გეკითხებით: რით ჩამოუვარდება დავით აღმაშენებელი მარკ ავრელის?“

ასევე შთამბეჭდავია ფრანსიზ ასიზელისა და მინდიას მითოსის პარალელური დახასიათება, „კალეს მოქალაქეთა“ რაინდობასთან ცოტნე დადიანის გმირობის შედარება...

გრიგოლ რობაქიძისგან არც განსწავლულობა გვიკვირს და არც პოლემიკის ხელოვნება, მაგრამ ერთი რამ კი უნდა გავიოცოთ: „საქართველოს ხერხემალში“ არსად ახსენებს ილია ჭავჭავაძეს, ვინც „მე-19 საუკუნე საქართველოში კიდეც მოიგონა, კიდეც შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდეც დაჰკირა“ (ტიციან ტაბიძე).

უფრო საკვირველი კი ის არის, რომ თვითონ „ფიქრების“ ავტორი არ ახსენებს.

არადა, სტატია (ესე) 30 აგვისტოსაა დაწერილი, წიწამურის ტრაგედიიდან ზუსტად 15 წლის შემდეგ.

აი, როცა გრიგოლ რობაქიძისგან თავის დაცვა დასჭირდება და პასუხს დაუწერს, მაშინ კი გაახსენდება ილია, თუმცა, არცთუ დიდი პატივის მიგებით (სიზუსტის დაუცველადაც) დაიმოწმებს: „თუ გავყვებით თუნდაც ჭავჭავაძის ფორმულას, რომ არ უნდა ვიტიროთ, „რაც დაკარგულა“, არამედ „ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი და ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“-ო“...

მეტიც, პასუხს ილიასეული მოწოდებით კი დაამთავრებს, მაგრამ წინ უცნაურ და მკრეხელურ ინტერპრეტაციას წარუმძღვარებს: „ბეთლემის ლურჯი ვარსკვლავი ქრება და კარგავს სიმხურვალეს, ამოდის სხვა, ცეცხლოვანი ვარსკვლავი მსოფლიოზე, რომელიც ანათებს ჩვენთვის დიდ შესაძლებლობათა გზებს.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“.

და გავყვეთ მას“.

ნეტა რა ვარსკვლავს გულისხმობს?!

იმას, ილიას აზრადაც რომ არ მოსვლია?“

* * *

თუნდაც ჭავჭავაძესო (?!)...

უშვილოსნობაო (?!)...

არადა, ილია დაბადებული კი არა, უკვე თხუთმეტი წლის მოკლულია.

თუმცა, ჯერ უნდა დაიბადოს...

დაბადება
ყრმობა
სიყმაწვილე

1837 წელი.

სამეფო კარგა ხნის გაუქმებულია.

ქვეყანა რუსეთის კოლონიად ქცეულა.

ჩახშობილია ყველა ეროვნული ამბოხი: კახეთის (1802, 1812), ქართლის მთიანეთის (1804), იმერეთის (1810), იმერეთისა და გურიის (1819-1820) აჯანყებები.

ხუთიოდე წელი გასულა 1832 წლის შეთქმულების გაცემიდან.

სოლომონ დოდაშვილს, შეთქმულების იდეურ ხელმძღვანელს, 31 წლის ასაკში, ვიატკის ცივ საპყრობილეში ჭლექით დაავადებულს აღმოხდა სული. ამის გამო, იონა ხელაშვილი პეტერბურგიდან გოდებს: „ვჰსტირ კაცსა მას სოლომან დოდაშვილს... განვილიენით, განვილიენით“...

კიდევ უფრო ცხადი გამხდარა დიდი მამულიშვილის სიტყვები:

„ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!

რაისთვის არს ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა – პაპათა ჩვენთანი?!

ნუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვა მსგავსთა კაცთა?!

მაშ რაისთვის ვცოცხალვართ?!“

გრიგოლ ორბელიანს შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობა არ დაუმტკიცდა და სამთვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს; დიდებული პატრიოტული ლექსების ავტორი აწ უკვე რუსეთთან შეგუების გზაზე დამდგარა და წინ გენერლის ჩინი, უმაღლესი ორდენები და კავკასიის მთავარმმართებლის მოადგილის თანამდებობა ელოდება. დღეგრძელი კი აღმოჩნდება, მაგრამ 83 წლისა საწუთროს ასე გამოეთხოვება:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით“...

ოცი წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი უზენაესი სასამართლოს მოხელეა და კანცელარიის ატმოსფეროში სული ეხუთება. თავის მეგობარ კონსტანტინე მამაცაშვილთან ერთად სეირნობისას, უახლოესი წარსულის გახსენებაზე, ცრემლებს ღვრის და ოხვრით წარმოთქვამს: „ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“ ლექსში კი ასე იტყვის: „ძიავ, ყაბახი სამშობლო შენი წაგართო ავის ენისა გესლმან“...

„დიდი გონებამახვილობა არაა საჭირო იმის მისახვედრად, თუ რას გულისხმობს... პოეტს მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის გამცემლობა, რამაც 32 წლის შეთქმულების ჩავარდნა გამოიწვია“ (აკაკი გაწერელია).

ძია, ვისაც ამ ლექსით მიმართავს, გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანია. უთუოდ, ბედის ირონიაა, რომ ჭაბუკის ტალანტს ღვიძლი ბიძაც ვერ დაინახავს. მისი ლექსები მხოლოდ მეგობართა ვიწრო წრემ იცის და დაბეჭდილს ვერც იხილავს. რამდენიმე წელიწადში გამაოგნებლად აუხდება საკუთარი წინასწარმეტყველება:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის“...

მის გენიალურობას კი მთელი ქვეყანა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყობს, რაც ხელნაწერ ლექსებს ეკატერინე ჭავჭავაძე – დადიანისა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ილია ჭავჭავაძეს გააცნობს. „ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ, – თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ბოდავდა ბარათაშვილით“ (კოხტა აფხაზი)...

* * *

მაგრამ ჯერ კიდევ არ დაბადებულა.

სხვათა შორის, ილიას მშობლებს სწორედ 1832 წელს დაუწერიათ ჯვარი.

და აი, კოლონიური უღლის ქვეშ მგმინავ ქვეყანაში, რომლის „ძილშიაც კვნესა ისმის“, უნდა იშვას ყრმა, ვის გამოც მის მშობელ კუთხეს ახალ ბეთლემად მონათლავენ.

* * *

„ილია ჭავჭავაძე 1837 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში. იგი მესამე შვილი იყო მცირე შეძლების თავადიშვილის გრიგოლ ჭავჭავაძისა, რომელიც ერთხანს ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის პოლკში, მაგრამ შემდეგ სამსახურს თავი დაანება და თავის მამულში ცხოვრობდა“ (გერონტი ქიქოძე).

თუმცა, გრიგოლი ერთხანს ისევ დაბრუნებია სამხედრო სამსახურს და დაღესტანში ლაშქრობისას შტაბს-კაპიტნის სამხედრო ხარისხი დაუმსახურებია, ხოლო ლეკთა თავდასხმის მოგერიებისას ისეთი გმირობა გამოუჩენია, რომ მეფისნაცვალ ვორონცოვის წარდგინებით, იმპერატორს წმინდა ანას ორდენით დაუჯილდოებია.

ვიდრე ამის დამადასტურებელ საბუთებს გაგვაცნობს, პავლე ინგოროყვა მამულის წინაშე, საერთოდ, ჭავჭავაძეთა გვარის დიდ დამსახურებაზე მოგვითხრობს:

„1726 წელს გაცემულს ერთ სიგელში კახეთის მეფე კონსტანტინე I წერს ჭავჭავაძეთა სახლის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ სამშობლოს წინაშე, – რომ მათმა მამა – პაპამ არაერთგზის დასდო თავი ქვეყნისათვის, და რომ უკანასკნელ დროსაც, როდესაც ქვეყანას თურქები შემოესივნენ, მათ განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს“.

* * *

აქ ოდნავ გადავუხვიოთ.

ლეკიანობას ასე გულგრილად ვერ ჩავუვლით.

დაღესტანში ლაშქრობაზე მსჯელობამ, შეუძლებელია, კონსტანტინე გამსახურდიას სამოგზაურო ნარკვევი „უკრაინის თემიდი“ არ გაგვახსენოს.

აქ მწერალი ჩვეული პირდაპირობით აღნიშნავს, რომ „ქართველმა თავადაზნაურობამ ყოვლად სამარცხვინო როლი ითამაშა კავკასიის კამპანიაში: ჩვენი მოწინავე საზოგადოების ნაწილი დაიბნა, ნაწილიც სავსებით გულგრილად შესცქეროდა, თუ როგორ სცელავდა კავკასიის ფოლადის ჯაგარს რომანოვების პრუსაკულად აღზრდილი სოლდატესკას სწორყუიანი ხმალი“.

გრიგოლ ჭავჭავაძეს არ ახსენებს, მაგრამ დაუნდობლად კიცხავს მის მოსახელე თავადს, პოეტსა და გენერალს:

„სირცხვილი გრიგოლ ორბელიანს, რომელიც თავის კერძო წერილებში ტრაბახობს კიდევაც, რომ ყაზახებს ხიშტზე ააყვანინა საცოდავი ჩეჩნები.

მერმე ვინ სწერს ამას? გრიგოლ ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების მეამბოხე, იმდროინდელი საქართველოს უდიდესი პოეტი“.

კონსტანტინე გამსახურდია აქ თვით ნიკოლოზ ბარათაშვილსაც არ ინდობს:

„ნიკო ბარათაშვილი? იგი გაუგონარ პასიურობას იჩენს. მის პოეზიაში ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა მისი პირადი მეგობრის ილია ორბელიანის დატყვევებამ, ის კი არ ესმოდა, თუ რას მოასწავებდა იმ დროის მთიულეთის მუხანათურად გაჩანაგება“.

ეს ის შემთხვევაა, როცა ძალიან გიჭირს რომელსამე მხარეს დადგომა.

გასაგებია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას გულს უკლავს „ჩეჩნების, ჩერქეზებისა და ინგუშების ნაპარტახალი“, ასევე ბუნებრივია დაღესტნის ლეგენდარული იმამის პიროვნებითა და სიმამაცით მისი აღფრთოვანება („შამილი რომ დასავლეთში გაჩენილიყო, ევროპელი ისტორიკოსები ქვეყანას შესძრავდნენ“), მაგრამ ორბელიანსაც და, მით უფრო, ბარათაშვილსაც უნდა გავუგოთ.

კონსტანტინე გამსახურდია გამორჩეულ პატივს მიაგებს ალექსანდრე ყაზბეგს, ვინც „დიდი სიყვარულით აგვიწერა ეს უშველებელი ტრაგედია პატარა ხალხისა“ და წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ „მცირე გამოხმაურება ჰპოვა შამილმა ქართულს პოეზიაში“.

მისი ნარკვევი 1931 წლითაა დათარიღებული.

ოთხიოდე წლის შემდეგ ნიკოლო მიწიშვილი ახსენებს ლექსში, რომელსაც „ჰაჯი მურატის მოჭრილ თავს“ დაარქმევს. ახსენებს სულ ორი, მაგრამ პრინციპულად მნიშვნელოვანი სტრიქონით:

„ამ სისხლისათვის ცრემლს შამილი არ იმეტებდა: გამყიდველმაო ღირსეული ჰპოვა ნათესი“...

უფრო გვიან (1975 წ.) კი კონსტანტინე გამსახურდიას გულნაკლულობას მნიშვნელოვნად შეამცირებს მისი უსაყვარლესი პოეტი ანა კალანდაძე, ვინც მცირე ზომის ლირიკულ ქმნილებაში უზარმაზარ სათქმელს ჩაატევს, სანიმუშო ტაქტითა და დიდსულოვნებით:

საქართველოის ცის მადლმა

მინაწერი შამილის სურათზე
დიკლოდან ვჭვრეტდი ლეკის მთას,
ლეკის ბილიკებს ვზვერავდი,
საით დაქროდნენ ნაიბნი?
სით უყიოდი ბელადი?
რამდენი ცრემლი მადინე,
სახლ-კარს მინგრევდი, მიწვავდი...
დაუძინებელ მოსისხლეს...
თავს დაგიხრიდი მიწამდი:
მეც ვაჟკაცობას გიქებდი,
მტერობას გამოვრიცხავდი, –
თავისუფლებით შობილო,
თავისუფლებას იცავდი!
ხელთუქმნელ ჩაჩქანს ირქმევდი,
ხელთუქმნელ ბექთარს იცვამდი,
ათასგზის ნაწიოკები...
შენდობას შემოგფიცავდი.
გაგვყიდა! – ჩემზე იტყვიან, –
შეჩვენებაო მარადი!
საქართველოის ცის მადლმა,
არ მიფიქრია ღალატი!

* * *

ილია?

მკვლევარებს აღნიშნული აქვთ, რომ ილია ჭავჭავაძემ შამილის მეთაურობით კავკასიაში მიმდინარე ბრძოლების მიმართ აშკარა სიმპათია გამოხატა პოემაში „ქართვლის დედა“:

„ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება,
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა,
ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა
ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, –
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!“..

მამა

ილიას მამაზე საუბრისას, პავლე ინგოროყვა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გრიგოლმა „დიდი მზრუნველობა გამოიჩინა, რათა შვილებს სათანადო განათლება მიეღოთ“. საგულისხმოა ისიც, რომ თვითონ სამხედრო კაცს, შვილები სამოქალაქო სასწავლებლებში შეჰყავდა. თანაც, შეჰყავდა არა მხოლოდ ვაჟები, რაც იმ დროისთვის დიდი იშვიათობა ყოფილა, მით უფრო პროვინციაში.

დასკვნაც შესაბამისია: „გრიგოლი, როგორც ირკვევა, თავისი დროისათვის მოწინავე შეხედულებების ადამიანი ყოფილა“.

გრიგოლ ჭავჭავაძეს ყველაზე უკეთ ახასიათებს მისივე სიტყვები, ილია რომ იმოწმებს:

„ყველას უყვარს, შვილებო, თავის ქვეყანა და, როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს“.

ილიას მამაა!

დედა

„დედა ილიასი – მარიამი (ქალიშვილობაში მაგდანე) თბილისელი მკვიდრი იყო, ბებურიშვილის ქალი, ასული კახეთის აზნაურის[1] (თბილისში მცხოვრების) ქრისტეფორე ბებურიშვილისა“ (პავლე ინგოროყვა).

თვითონ ილია დედას ასე ახასიათებს:

„დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა, სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი, ან ხელნაწერი. დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს. წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გავიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით“.

[1] ზოგიერთი წყარო ბებურიშვილებს თავადებად, ვაჩნაძეების განაყოფებად მოიხსენიებს. – ავტ.

და-ძმანი

ამაზე ყურადღებას, რატომღაც, იშვიათად ამახვილებენ. პავლე ინგოროყვა კი საგანგებოდ აღნიშნავს და დაწვრილებით გვიამბობს:

„ილიას მშობლებს ექვსი შვილი ჰყოლიათ: კონსტანტინე, ნინო, ილია, ელისაბედი, თემური და სვიმონი.

ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე, რომელიც 1852 წელს მამას გაუგზავნია მოსკოვის უნივერსიტეტში შესასვლელად, მამის გარდაცვალების შემდეგ (იმავე 1852 წელს) ჩამობრუნებულა საქართველოში. იგი სრულიად ახალგაზრდა, 22 წლისა მოუკლავთ ლეკებს 1854 წელს, როდესაც შამილის რაზმი თავს დაესხა წინანდალს და გაიტაცეს პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის დავითის სახლობა. კონსტანტინე კახეთიდან ტყვეების გამოსახსნელად წასულ მდევართა შორის ყოფილა და ლეკებთან შეტაკებისას დაღუპულა. უმცროსი ძმა ილიასი სვიმონი მცირეწლოვანი გარდაცვლილა. მესამე ძმა ილიასი – თემური – გარდაცვლილა 1860 წელს, 15 წლისა, როდესაც პეტერბურგში კადეტთა კორპუსში სწავლობდა. ილიამ ლექსში „ძმის სიკვდილზედ“ დაიტირა უდროოდ დაკარგული უკანასკნელი უმცროსი ძმა, რომელიც ილიას განსაკუთრებით ჰყვარებია.

ილიას და-ძმებიდან შერჩნენ დები ნინო და ელისაბედი“.

მამიდა

ათი წლისა დედით დაობლდა, 15 წლისამ მამაც დაკარგა.

დედის გარდაცვალების შემდეგ, გრიგოლმა ბავშვების აღზრდა საკუთარ დას, არაგვის ერისთავის ქვრივს, მაკრინეს, მიანდო.

„მამის ჩემის სიკვდილის შემდეგ ყოველივე ოჯახის მზრუნველობა, გამგებლობა, გადავიდა მამიდა მაკრინეზე... მამიდამ ამ დღიდან მოკიდებული 87 წლამდის ჩვენს ზრუნვაში გაატარა თავისი სიცოცხლის დღენი“ (ელისაბედის მოგონებიდან).

სახლ-კარი

არტურ ლაისტის თქმით, „სახლ-კარს, სადაც ილია დაიბადა და ბავშვობა გაატარა, სილამაზე აკლია. ეზო ფართოა და შიგ არც ერთი ხე არა დგას, სადგომი სახლიც დაბალია და სივრცეს მოკლებული“.

ილიასა და საქართველოს ამ მართლაცდა გულითად მეგობარს მაინცდამაინც არც საგურამოში მდგარი ძველი პატარა სახლი მოსწონდა, სამაგიეროდ, ილიასავით შეჰხაროდა ახლად აგებულ ქვითკირის შენობას და დაუფარავი კმაყოფილებით წერდა:

„აკაკის სახლი საჩხერეში, რომელიც ვინახულე 1887 წელს და რომლის სილამაზე ბევრჯერ მიქია ილიასთან, ახლა ვერ შეედრებოდა ილიას საგურამოსეულ სახლს“.

საინტერესოა, როგორ წარმოიდგენდა და აღწერდა ჩვენი „შორეული თვისიანი“ (ილია ასე მოიხსენიებდა) იუდეას, ბეთლემს და იმ ბაგას, სადაც მაცხოვარი იშვა:

„და შობა ძე თავისი პირმშო, ჩვრებში შეახვია და ბაგაში ჩააწვინა, ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მათთვის“ (ლუკ. 2, 7).

ძნელი სათქმელია, რით ჰგავდა იუდეა კახეთს ან ყვარელი ბეთლემს, ის კი ცხადია, რომ აკაკი წერეთლისეულ შედარებას გაცილებით ღრმა საფუძველი აქვს – ის, რასაც ანა კალანდაძე ასეთი პოეტური დრამატიზმით გამოხატავს:

„იმ ღამით
ვარსკვლავთ გამოჰყვნენ მოგვნი,
კრთებოდა ღამე მიღმურ სხივებით...
ო, განარიდეთ იგი ხარბ თვალებს,
თორემ...
სწორედ ის გაიწირება!
უბედნიერესს – ყველა სიკეთე,
მუშკს და ამბარში დაიძირება!
ო, განარიდეთ იგი ხარბ გულებს,
თორემ...
სწორედ ის გაიწირება“.
ორივე გაიწირება!..

* * *

საინტერესოა, როგორი იყო ახალშობილი ილია? რას გრძნობდა დედა, როდესაც ის ხელში ეჭირა?

მანანა გიგინეიშვილმა ქართულად აამეტყველა მეცხრე საუკუნის ბერძენი პოეტი ქალი კასია, ვინც „თვით ღვთისმშობლის განცდებში შეაღწია, მისი ფიქრი გაგვანდო და თან უღრმეს საღვთისმეტყველო აზრს გვაზიარა:

„ხელთ როგორ მეპყრას ჩვილი, რომელსაც
თვით ხელთ უპყრია მთელი სამყარო?!“

ნეტა რას ფიქრობდა ილიას დედა, როცა ხელთ ეპყრა ჩვილი, რომელსაც თავის სამშობლოში მეცხრამეტე საუკუნე კიდეც უნდა გამოეგონებინა, კიდეც შეექმნა და თავისი სისხლით კიდეც დაეკირა?

ილიას დედის განცდებში ვინ შეაღწიოს?!

ჩვილი კი გაიზრდება და თვითონვე გვეტყვის:
„არა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა.
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“...

* * *

მაგრამ ჯერ პატარაა.

ამ ასაკს, დიდობაში, ასე გაიხსენებს: „როგორც პატარას და ტანად მრგვალს, დამაგორებდნენ ტახტზედ მუთაქასავით, დასდებდნენ ზედ ჩემზედ წიგნს და კითხულობდნენ“ (გრიგოლ ყიფშიძის მოგონება).

რა სიმბოლური სურათია: წიგნი – ტახტზე დაგორებულ პატარა ილიაზე.

გაიზრდება და თვითონ იქცევა წიგნად.

„წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ“ („ოთარაანთ ქვრივი“)...

ვერც დღეს ვკითხულობთ.

* * *

ჯერ პატარაა.

გამდელი (სალომე ლოლაძე) ასე დაახასიათებს:

„ილია მეტისმეტი ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს. ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოდ დასაძახებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა მარტო და კი არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე, ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდაო, ისე ტკბილადა სძინავთ ჩრდილოში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო“.

საინტერესოა, იქვე ურემზე წნელით მიბმული დასიცხული კამეჩები რომ ენახა, მაშინ თუ შეეცოდებოდა მუშები, მაშინ თუ მოიქცეოდა ოთარაანთ ქვრივის გიორგის მსგავსად?

მაგრამ ჯერ პატარაა.

და კიდევ რა თვისებები გამოარჩევს?

განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მოგონება, რომელთაც პავლე ინგოროყვა იმოწმებს.

პირველი ილიას დას ელისაბედს ეკუთვნის:

„ჩემი დის – ნინოსაგან გამიგონია, ილია ბავშვობიდანვე თავის ტოლებში თურმე ირჩეოდა როგორც მშვიდი, წყნარი, და – ძმობაში მოსიყვარულე. როდესაც ჩვენ ბავშვები ვთამაშობდით, იშვიათად მიიღებდა ჩვენთან მონაწილეობას თამაშობაში“.

მეორე მოგონება:

„კოხტა აფხაზი, ილიასთან თანშეზრდილი, წერს, რომ ილიას ბავშვობაში ახასიათებდა მარტოობისადმი ლტოლვა, „როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო“ – ო“.

ეს ყოველივე ლოგიკურად უკავშირდება ნიკოლოზ ნათიძის მოგონებას: „ილიამ მიამბო: ერთ დროს (ყმაწვილობაშიო)დავაპირე ბერად შედგომაო, ძრიელ მომწონდა მყუდრო, განდეგილი ცხოვრებაო. მაგრამ როცა გარიბალდმა დაიწყო თვისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შემდეგ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ველარ შევასრულე ეს განზრახვაო“.

დავიმახსოვროთ: ბერად შედგომა დავაპირეო...

მაგრამ ჯერ დედამ უნდა ასწავლოს წერა – კითხვა, „ვეფხისტყაოსანი“ და საღმრთო წერილი უნდა წაუკითხოს. მერე, გლეხის ბავშვებთან ერთად, სოფლის მთავარდიაკონთან ივლის და მისგან საქართველოს ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს შეიმეცნებს.

მეთერთმეტე წელში გადამდგარს, სასწავლებლად, თბილისს წაიყვანენ. ჯერ კერძო პანსიონში ისწავლის, შემდეგ – კლასიკურ გიმნაზიაში.

რაევსკის პანსიონში სწავლის პერიოდიდან (1848-1851) ილია პატივისცემით მოიხსენიებს ერთადერთ მასწავლებელს – ჰაკეს, რომელიც სასწავლო ნაწილის გამგე და ფაქტიური ხელმძღვანელი ყოფილა.

რაც გიმნაზიაში სწავლას შეეხება, მრავალმხრივ საგულისხმო ცნობას კოხტა აფხაზი გვაწვდის:

„გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდათ ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო, როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორს სამს საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისათვის ორი დღეც მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა არ იყო ზერელე, პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნით“.

აქაურ პედაგოგებზე ილია არას ამბობს, რაც იმას ადასტურებს, რომ აშკარად არ მოსწონდა გიმნაზიის ბიუროკრატიული ატმოსფერო, რომელიც მიზნად ჩინოვნიკების აღზრდას ისახავდა.

საგულისხმო დეტალი:

„თუ რამდენად გულგრილად ეკიდებოდა ილია გიმნაზიურ აღზრდას, ჩანს შემდეგის მიხედვით. ილიამ 1856 წელს თუმცა დაამთავრა გიმნაზიის კურსი, მაგრამ საბოლოო გამოცდები აღარ ჩაუბარებია. და როდესაც 1857 წელს ილია გაემგზავრა პეტერბურგს უნივერსიტეტში შესასვლელად, სავალდებულო გამოცდები მან პეტერბურგში ჩააბარა, უნივერსიტეტში შესვლისას“ (პავლე ინგოროყვა).

* * *

როგორი იყო ილია სიჭაბუკეში?

მოსეს ჰგავდა თუ ქრისტეს?

„როცა გაიზარდა მოსე, მივიდა თვისტომებთან და ნახა მათი მძიმე შრომა. ხედავს, სცემს ეგვიპტელი კაცი ერთ ებრაელს, მის თვისტომთაგანს. მიიხედ-მოიხედა და როცა დაინახა, რომ არავინ იყო, მოკლა ეგვიპტელი და ქვიშაში ჩაფლა. გამოვიდა მეორე დღეს და ხედავს, ორი ებრაელი ეჩხუბება ერთმანეთს. უთხრა დამნაშავეს: რად სცემ შენიანს? მიუგო: ვინ დაგაყენა ჩვენს თავკაცად და მსაჯულად? ჩემს მოკვლასაც ხომ არ აპირებ, როგორც ის ეგვიპტელი მოკალი? შეეშინდა მოსეს და თქვა: ნამდვილად გამჟღავნებულა ამბავი“ (გამ. 1, 11 – 14).

„– ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები, ცოდონი არიან... შენ ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო და კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა... “

მერე შენ რა? ვისი ტიკი – ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ?

... გიორგიმ ბევრი აღარ აცალა: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თონესა. წაქცეულს ხელიც არ დააკარა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა, – ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო – წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად. როგორ თუ სილაო, მივარდა გიორგი, ამოიდო ქვეშ და იმდენი სცემა, რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო“ („ოთარაანთ ქვრივი“)...

სცემა.

არ მოუკლავს.

აკაკი ბაქრაძე ოთარაანთ ქვრივის შვილში წმინდა გიორგის ანალოგოსს ხედავდა.

ამისკენ სახელიც უბიძგებდა.

აქ, რა თქმა უნდა, არის ლოგიკა, მაგრამ რატომ არ შეიძლება, ამ სახეში იესოც დავინახოთ?

„– ბიჭო – და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისგან მოგზავნილი, – ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ – წამოვიდა“.

– მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მადლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, – დაჰკრა კვერი მეორემ“* („ოთარაანთ ქვრივი“)...

„და უთხრა პილატემ მღვდელმთავრებს და ხალხს: მე ვერაფერ ბრალს ვპოულობ ამ კაცში.

მაგრამ ისინი დაჟინებით გაიძახოდნენ, რომ ის აშფოთებს ხალხს, და ასწავლის მთელს იუდეაში, გალილეადან მოყოლებული ვიდრე აქამდე“ (ლუკ. 23, 4-5).

* * *

ფოტოპორტრეტების მიხედვით, ჭაბუკი ილია ქრისტეს ჰგავს, ხანდაზმულობაში კი უფრო მოსეს ემსგავსება.

ალბათ, ამიტომაც მოსწონდა აკაკი გაწერელიას ილიას გარეგნობის იაკობ მანსვეტაშვილისეული დახასიათება, უფრო მეტად კი – ეს პასაჟი: „ტანზე, რომელსაც ვერ დავწამებთ სილამაზის ნიმუშობას, იჯდა თავი, ილიას თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიასის ქანდაკებისა. წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორე, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი, მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით... შემომრგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები, ხან ლმობიერნი, სათნოიანი, როდესაც შემოქმედების სივრცეში დაცურავდნენ, ხან მრისხანენი, ცეცხლის მფრქვეველნი, როდესაც მტერს შეებრძოდა, – წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია“...

არანაკლებ საინტერესოა იოსებ იმედაშვილისეული დახასიათება:

„ილია – შუა ტანის, ჩასხმულ – ჩამკვრივებული, წელში მოუხრელი, თითქო კუშტი, შუბლშეკრული, ფიქრებდაყურსული, უმეტეს მოზიდულ წარბწამწამში მწყვდეულ თვალებით, პირდაპირ გამჭრი-

ახი – გამცქერი, იშვიათად მიწისაკენ დახრილი, მუდამ სერთუკით, „კატილოკით“ და ხელჯოხით... იგი მეხსიერებაში ჩამრჩა, როგორც ყოვლისმცოდნე – ენციკლოპედისტი: წარსულისა და აწმყოს ყოველმხრივ მცნობი და მომავლის განმჭვრეტი, – წინასწარმეტყველი“.

ფიდიასის ქანდაკებისა რა მოგახსენოთ და მიქელანჯელოს მოსეს არ მოგვაგონებს?

ილიას გარეგნობას არტურ ლაისტი ასე აღწერს:

„ილიას თვალთაგან გამოკრთოდა ნათელი არაჩვეულებრივი ჭკუისა... ჩვეულებრივ მშვიდი იყო, გარეგნულად მაინც, რადგან იშვიათი უნარი ჰქონდა თავშეკავებისა. ძლიერ გულამღვრეულიც რომ ყოფილიყო, მაინც დამშვიდებული გეჩვენებოდათ; ხოლო ვინც დაახლოებით იცნობდა, ილიას თვალებში შეეძლო ამოეკითხა, რა ხდებოდა მისი სულის სიღრმეში“...

აქ ვის გაგონებთ?

ფილიპე გოგიჩაიშვილისეულ დახასიათებაშიც ხომ არაფერი გვენიშნება?

„მასში იყო რაღაც იდუმალი, რაც ყველას ყურადღებას იპყრობდა, ყველას გულისყურს ხელში იჭერდა და ნათქვამს გაფაციცებით ასმენინებდა. რაგინდ დიდი კრება ყოფილიყო, რაგინდ ნაირნაირი, რაგინდ ჭრელი ხალხი ყოფილიყო შიგ, ილია რომ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველა სმენად გადაიქცეოდა, ისეთი სიჩუმე შეიქმნებოდა, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ამიტომ ილიას დაბალი ხმით ლაპარაკი ყველას ესმოდა, ერთი სიტყვა არავის გამორჩებოდა და ეს სიჩუმე დაურღვეველი რჩებოდა, ვიდრე იგი თავის სიტყვას არ გაათავებდა“.

უმბერტო ეკოს რომანში („ვარდის სახელი“) ერთ-ერთი პერსონაჟი იკითხავს: „რატომ არასოდეს იცინოდა ქრისტე?“

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის რომანში („იესო, ძე კაცისა“) კი რაქელი, იესოს მოწაფე, ამბობს: „ერთი რამ არ მესმოდა იესოს ბუნებაში: იგი სიხარულს ჰგვრიდა მსმენელთ. იესო ხუმრობდა, იტყოდა მოსწრებულ სიტყვას, გულიანად იცინოდა. ამ დროს მის თვალებში შორეთი იყო ჩასახლებული და ხმაში – სევდა... მაგრამ ახლა მესმის“.

ილიაც ხშირად ხუმრობდა, ამბობდა მოსწრებულ სიტყვას, იცინოდა, მაგრამ რამდენი სევდა მოჩანს მის თვალებში?!

ეკოს რომანში დასმულ კითხვას ასეთი პასუხი აქვს: ალბათ, იმიტომ, რომ იესო წინასწარ გრძნობდა, როგორ მოექცეოდნენ ადამიანები.

ამას ილიაც უეჭველად გრძნობდა.

არტურ ლაისტთან საუბარში, შემთხვევით არ ახსენებდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში სიტყვა „უმადურობას“.

იესოს ფიქრებს ვინ მისწვდება, ილიას სევდა კი მისივე ლექსით უნდა აიხსნას:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“...

კიტა აბაშიძის მომნუსხველი შედარებაც დავიმოწმოთ:

„მონტესკიე ამბობდა სიტყვებს, რომელიც შეეძლო, ეთქვა მარტო ისეთი დიადი ეპოქის დიდებულ შვილს, როგორიც იგი იყო; თუ ქვეყნიერების ბედნიერებისათვის საჭიროა, ჩემს ქვეყანას გავსწირავო. ი. ჭავჭავაძეს და სხვა მის თანამედროვეთ ეს შეიძლება არ ეთქვათ, შეიძლება, ის კი ეთქვათ, რომ თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ქვეყანას რას დავსდევო... მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაღაც განყენებული მსოფლიოს, ცის – ქვეშეთის ბედნიერება“...

ასეთია ილია!

ამიტომაც ამბობს:

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული“...

ასეთია ილია!

ასეთია მისი გული!

განეგებთ თავსა?!

... ამასობაში, ილია ოცი წლისა გამხდარა და მეტროპოლიაში გამგზავრების დროც მოსულა. უმაღლესი განათლება რუსეთში უნდა მიიღოს, რადგან კოლონიად ქცეულ საქართველოში, გელათისა და იყალთოს აკადემიების ქვეყანაში, უნივერსიტეტი კიდევ დიდხანს არ იარსებებს. ამაზე ოცნების ახდენას ქართველობა კიდევ სამოცი წელი უნდა ელოდოს.

არტურ ლაისტს ყვარელში ილიას სახლ – კარი არ მოსწონდა, თორემ მისი წარმტაცი ბუნებით მოხიბლული იყო და არაჩვეულებრივი ხატოვანებით აღწერდა:

„... ძალოვნად მოქმედებდა ილიაზე საუცხოო ბუნება, რომელიც გარს ერტყა ყვარელს... თუ რომელიმე მახლობელ მთის მწვერვალზე ახვალთ, რომელიც უზარმაზარ კედლად არის აქ აღმართული, და იქიდან გადაიხედავთ ქვევით, თვალწინ გადაგეშლებათ ალაზნის ველი, თელავიდან სიღნაღამდე, – ქიზიყამდე გადაჭიმული. ეს ფერწერული, ხეთა ტევრებით მდიდარი მწვანე ველი. ისე მშვენიერია იქაურობა, რომ მისი აღწერა არავითარ კალამს არ შეუძლია. ამ ველისა და მახლობელი მთების მშვენების გარდა თვალს რაღაც ჯადოსნური სინათლე იტაცებს, რომელიც ყოველდღე სხვადასხვანაირად იცვლება“.

ამ მთებს ლექსით გამოეთხოვება პეტერბურგში სასწავლებლად მიმავალი ოცი წლის ილია.

ჯერ კი ამას ეტყვის, „სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა“-ო, თუმცკი იქვე, დაუყოვნებლივ, დაუმატებს:

„მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა,
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“

მიდის ილია პეტერბურგს, მიდის საქართველოს სამხედრო გზით და აქ ღრმად სიმბოლური სურათი დაიხატება: კავკასიონის მთავარ უღელტეხილზე, მლეთასთან შემოხვდება რუსეთიდან მომავალი გრიგოლ ორბელიანი.

„თითქოს ნიშნეული იყო ეს შეხვედრა ორი სხვადასხვა ეპოქის მწერლისა კავკასიონის უღელტეხილთან. იმ დროს, როდესაც გრიგოლ ორბელიანი ეშვებოდა მწვერვალებიდან, ილია ადიოდა კავკასიონზე“ (პავლე ინგოროყვა)...

რას წარმოიდგენდა მაშინ გრიგოლ ორბელიანი, თუ რა ომს აუტეხავდა ოთხი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ეს ახალგაზრდა მამათა თაობას! რა მწარე სიმართლეს ეტყოდა:

„ჩვენ ვვლეთ რუსეთი, მაგრამ არცერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია“...

მაგრამ ჯერ სტუდენტობის ოთხი წელი უნდა გავიდეს.

„იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა

ბედისაგან გადებული... ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმ-ას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა – ქვეშ არ ჩასტყ-დომია, ნეტავი მას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.

კოხტა აფხაზის თქმით, ილიას უნივერსიტეტშიც იგივე ჩვეუ-ლება ჰქონდა, რაც გიმნაზიაში: „სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული“ და გამოცდები რომ მოახლოვდებოდა, „სამოსწავლო საგნებს“ მხოლოდ მაშინ ჩაუჯდებოდა. „დღე – ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდა“...

ამიტომაც ურჩევენ იმავე უნივერსიტეტში ცოტა მოგვიანებით შესულ ნიკო ნიკოლაძეს: „შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონისა და ვალტერ – სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა... უდიპლომოდ წავიდა... აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?“

ნიკო ნიკოლაძე კი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. ის ხედავდა, რომ ილია „თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას“, რასაც სიხა-რულით ეთანხმება პავლე ინგოროყვა, ვისი აზრითაც, „ილიამ მარ-თლაც გოლიათური შრომა გასწია და უნივერსალურად განათლე-ბული დაბრუნდა სამშობლოში“.

თუ პეტერბურგში მიმავალ ილიას კავკასიონზე რუსეთიდან მო-მავალი გრიგოლ ორბელიანი შეხვდა, ახლა ილია თვითონაა მომა-ვალი და მას გზად ლელთ ღუნია უნდა შემოხვდეს. შემოხვდეს და ისეთი რამ უთხრას, 158 წელია, ქართველობას გულს რომ უკორტ-ნის:

„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“.

მოდის ილია სამშობლოში და საკუთარ თავს ეკითხება:

„შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ?“

* * *

პეტერბურგიდან სამშობლოში მომავალ ილიას არ მოაქვს დიპ-ლომი, სამაგიეროდ, უნივერსალურ განათლებასთან ერთად, მო-აქვს:

ლექსები, მათ შორის, ნამდვილი შედევრები:

„ყვარლის მთებს“, „ჩიტი“, „გუთნის – დედა“, „ლოცვა“ (მამაო ჩვე-ნო...), „ქართვლის დედას“, „ხმა გულისა“, „ელეგია“, „პოეტი“, „გა-ზაფხული“...

„გაზაფხულში“ წერს:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

„ბევრი გვაქვს ასეთი?“ – დაწერს მურმან ლებანიძე ზუსტად 113 წლის შემდეგ.

მოაქვს პოემები:

„აჩრდილი“, „ქართვლის დედა“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (საბოლოო რედაქციებს სამშობლოში შეასრულებს)...

მოაქვს მოთხრობები:

„მგზავრის წერილები“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“ (საბოლოო რედაქციებს სამშობლოში შეასრულებს).

მოაქვს თარგმნილი ლექსები და პოემები...

სამშობლოში, თანამდევ სულად...

1861 წელია.

თბილისში ერთადერთი პერიოდული გამოცემა არსებობს – ჟურნალი „ცისკარი“, ივანე კერესელიძის რედაქტორობით.

სწორედ იქ გამოაქვეყნებს სტატიას, რომელსაც მამათა და შვილთა ბრძოლა მოჰყვება.

„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის – მიერ „შეშლილი“-ს თარგმნაზედა“.

23 წლის (?!) ილია აქ იტყვის იმას, რაც ქართველობას დღესაც აფხიზლებს:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა – პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“

ამით ილიამ ორი დიდი წინაპრის დანაბარები გააცოცხლა.

გიორგი მერჩულე:

„ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულისა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“.

სოლომონ დოდაშვილი:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისნი რჯულნი, თავისი სარწმუნოება. ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თავისი ხელმწიფე და არასოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აქ არს მამული ესე ჩვენი... მაშ რაისათვის ვცოცხალვართ?“

მერჩულე, დოდაშვილი, ილია – ესეც სამებაა.

აქ უნდა ითქვას: ილიასეულ „სამებაში“ ადგილების გადანაცვლება ისევე დაუშვებელია, როგორც ხელშეუხებელი და უცვლელია ეს თანამიმდევრობა: „მამა, ძე და სულიწმიდა“.

დღეს კი წიწამურთან, საგურამოსკენ ასახვევევში, უზარმაზარ ბანერზე ასე აწერია: „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მაინცდამაინც წიწამურთან.

ეს ფაქტი სიმბოლურად მიგვანიშნებს, თუ რა „სწორად“ მივსდევთ ილიას გზას.

* * *

სამი წლის შემდეგ ილია თვითონ დააარსებს ჟურნალს – „საქართველოს მოამბეს“.

მართალია, ერთ წელიწადს იარსებებს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან კვალს გაავლებს: სხვა რომ არა ვთქვათ, აქ დაბეჭდავს „კაცია – ადამიანს“...

მომდევნო ათ წელს კი დუშეთის მაზრაში გაატარებს – ჯერ მომრიგებელ შუამავლად, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ.

იქ ნიკო ნიკოლაძე ააკითხავს და ვიდრე თბილისში დაბრუნებაზე არ დაითანხმებს, ვიდრე ამის აუცილებლობაში არ დაარწმუნებს, არ მოეშვება.

ამ დროს ილია უკვე დაქორწინებულია საგურამოელი თავადის თადეოზ გურამიშვილის ასულზე. ამიერიდან, ილია და ოლღა განუყრელად ერთად იქნებიან, რა თქმა უნდა, წიწამურის ტრაგედიამდე.

მაგრამ გოლგოთამდე ჯერ კიდევ შორია.

ეს შემდეგ დაიწერება: „წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა“ (კოლაუ ნადირაძე)...

მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ გრძელი გზაა დუშეთიდან წიწამურამდე.

30 წლის განმავლობაში თავისსავე დაარსებულ საადგილმამულო ბანკს უხელმძღვანელებს, 25 წელიწადს კი – ასევე თავისსავე დაარსებულ ჟურნალ „ივერიას“, 1886 წლიდან გაზეთად გადაკეთებულს.

ორივეს ღვაწლს გერონტი ქიქოძე ასე შეაფასებს:

„ბანკის წმინდა მოგებიდან, რომელიც წელიწადში თითქმის მეოთხედ მილიონ ოქროს მანეთს აღწევდა, ერთი დიდი ნაწილი ხმარდებოდა ქართულ გიმნაზიას, ქართულ თეატრს, წერა – კითხვის

გამავრცელებელ საზოგადოებას და სხვა კულტურულ და საქველ-მოქმედო დაწესებულებათ...

„ივერიამ“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის გათვით-ცნობიერების საქმეში... ენის კულტურის დარგში „ივერიას“ იმ როლის შესრულება მოუხდა, რასაც სხვაგან, უფრო დიდი მასშტაბით, ჩვეულებრივ აკადემიები და ინსტიტუტები ასრულებდნენ“.

აკაკი ბაქრაძე კი ასე იტყვის:

„დღეს ხშირად გაიგონებთ წუწუნს, რომ ნიჭიერმა მწერალმა საბანკო საქმიანობას შესწირა მისი დაუშრეტელი ენერგიის დიდი ნაწილი... ავიწყდებათ კი უმთავრესი: თუ არ იქ„ნებოდა თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები, შესაძლებელია, აღარ ყოფილიყვნენ ისინი, ვისაც ქართულად დაწერილი ლექსები თუ მოთხრობები სჭირდება“.

და მარტო ბანკი?!

კიდევ ერთხელ გავიაზროთ:

პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, ბანკი, ჟურნალი/გაზეთი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება...

გავიაზრებთ და ოდნავ გადაჭარბებასაც ვერ დავინახავთ ტიციან ტაბიძის ამ სიტყვებში:

„ილია რომ გამოვაკლოთ მეცხრამეტე საუკუნეს, საქართველო იქნებოდა სრულიად დაბნელებული“.

ამით, თითქოს, ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ ილიას უდიდესი ღვაწლის ერთ ფორმულაში ჩატევა მაინც შეუძლებელია.

შალვა ამირეჯიბი მის ღვაწლს ბისმარკისას შეადარებს და უპირატესობას ილიას მიანიჭებს, რადგან:

„ბისმარკმა გააერთიანა დანაწილებული ცალკეულ სამფლობელოებად, მაგრამ თავისუფალი გერმანელი ერი. ილია ჭავჭავაძემ დამონებული ქართველი ერი გააერთიანა“.

შეუდარებელი შედარებაა!

უაღრესად მნიშვნელოვანია შალვა ამირეჯიბისეული ეს შეფასებაც:

„ილიამ დიდის ხნით განსაზღვრა როგორც ქართული ეროვნული იდეოლოგია, ისე კალაპოტი, რომლითაც ქართული ცხოვრება უნდა წავიდეს... დღეს იქ, საქართველოში, ბოლშევიკური უღლის ქვეშაც, ეროვნული კატასტროფისაგან თვალახილული, გაჯანსაღებული და სულმობრუნებული ქართველი ერი მართლა ილია ჭავჭავაძის აზრებით იოხებს გულს და თავის ეროვნულ იდეოლოგად ილია ჭავჭავაძეს აღიარებს. ამის დამალვა ბოლშევიკებმაც ვერ შესძლეს“.

დღეს აქ მხოლოდ ერთს თუ შევნიშნავთ: დიდი ხნით კი არა, სამუდამოდ განსაზღვრა, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, ვიდრე ქართველი ერი ნამდვილ თავისუფლებას არ მოიპოვებს, ვიდრე ლელთ ღუნია წუხილითა და ბრაზით იტყვის: „ადრიდა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

* * *

ანალოგოსზე ვმსჯელობდით.

აკაკიმ – კახეთი და ბეთლემიო.

კონსტანტინე გამსახურდიამ – მოსე და ილიაო, თუმცა, ქრისტესთან ანალოგიას არც ის გაურბის:

„არის რაღაც საშინელი მოირა იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი, ათასების ვარამი ერთმა უნდა იგრძნოს.

ასე იყო მოსე, ასეთი იყო ბუდდა, ასეთი იყო ქრისტე...

ხასიათის კრისტალიზაციად მოსე ითვლება ყოველ დროში, მიქელანჯელოს მოსე გრანიტის ბლოკზე მჯდარი. ერთი მისი შემოხედვა ხორცშესხმული მრისხანებაა. თითქოს უნდა წამოდგეს და უდიდესი მუქარა მის მძლე სახის ნაკვთებზე აღბეჭდილი. ეს არის შიში მისი წარმოდგომისა და ამოძრავების მიმართ აღძრული.

ილია ჭავჭავაძეშიაც იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა... ილია ჭავჭავაძის პიროვნება მადლია საქართველოს გასული საუკუნის გაუხარელ ისტორიაში... და მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურძგვნილ, ტყაპუჭიან მოხევესთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე... აქ ვხედავ მე დიდ ანალოგოსს: ილია – მოსე. აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა. აქედან უნდა გადაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა. აქვე გაკვანძულია ჩვენი ახალი ისტორიისა და ახალი ყოფის ჯერაც ჰამლეტისებური მერყეობით წარმოთქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“.

* * *

საუბედუროდ, ანალოგიას ვეღარ გავაგრძელებთ:

მოსემ, ორმოცწლიანი მგზავრობის შემდეგ, უფლის რჩეული ერი ქანაანის საზღვართან მიიყვანა, თვითონ შორიდან შეხედა აღთქმულ ქვეყანას და 120 წლისა მიიცვალა.

სამოცდაათი წლის ილია კი, ორმოცდაშვიდწლიანი დაუღალავი მოღვაწეობის შემდეგ, წიწამურთან იმიტომ მოკლეს, ღვთისმშობლის წილხვედრი ერი მისივე წინამძღოლობით გათავისუფლებული რომ არ ენახა.

* * *

ილიას მკვლელობა კარგა ხანს მზადდებოდა.

ვინ ამზადებდა?

რა თქმა უნდა, ქართველი (?!) სოციალ-დემოკრატები: ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია, პეტრე გელეიშვილი, კარლო ჩხეიძე...

კიდევ უფრო ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ ილიას მკვლელობის იდეურად მომზადებაში გიორგი წერეთელსაც დიდი წვლილი აქვს, ხოლო ვინ და რამდენმა შეასრულა პილატეს როლი, ეს კიდევ გამოსარკვევია.

ანდა რა მნიშვნელობა აქვს, სასხლეტს ვინ გამოჰკრა ხელი – ბერბიჭაშვილმა თუ „გაჩერებული ეტლის უკან ჩასაფრებულმა მარტო მოქმედმა ქილერმა“ (ვახტანგ გურული)?!

განა ცნობილია იმ ჯარისკაცის ვინაობა, ვინც იესოს „შუბი აძგერა ფერდში, საიდანაც მყისვე გადმოჩქეფა სისხლმა და წყალმა“ (იოან. 19, 34)?

... მთავარი ძალა მაინც სოციალ-დემოკრატია იყო.

ილიასთვის სახელის გატეხვას ისეთი ჟინითა და უტიფრობით ცდილობდნენ, რომ საწადელს მიაღწიეს:

1897 წელს (მომდევნო წელსაც) ილიას იუბილეს აღნიშვნა ჩაშალეს;

ეს – კიდევ არაფერი:

1903 წელს, ქართველი (?!) სოციალისტებისგან წაქეზებულმა ბრბომ ნაძალადევში ბიბლიოთეკის გახსნაზე მისული ილია... კინაღამ ჩაქოლა.

* * *

„მაგრამ ისინი ყვიროდნენ: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი იგი!

პილატემ მესამედაც იკითხა: კი, მაგრამ რა დააშავა? ვერაფერი ვუპოვე სიკვდილით დასჯის ღირსი...

მაგრამ ისინი ხმამაღლა ყვიროდნენ და დაჟინებით ითხოვდნენ, რომ ჯვარს ეცვათ იგი“ (ლუკ. 23, 21-23)[1]

---

[1] სახარებისეული ციტატები მოხმობილია ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანით („ახალი აღთქმა“, 2004).

* * *

„ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა? – იკითხავს აკაკი.

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“. – იტყვის ვაჟა.

გალაკტიონი კი დაწერს:

„არ ამაოდ მიუშვირა ტყვიას
ჭავჭავაძემ განიერი მკერდი“.

დიახ, მიუშვირა.

იცოდა, რომ მოკლავდნენ.

წინათგრძნობაც კარნახობდა.

სხვებიც არ ურჩევდნენ იმ დღით საგურამოში წასვლას.

არ დაიშალა.

* * *

„მეცხრე საათს ხმამაღლა შეღაღადა იესომ: ელოი, ელოი, ლამა საბაქთანი? რაც თარგმანით ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?“ (მარკ. 15, 34).

ნეტავ, ილიამ რა გაიფიქრა იმ საბედისწერო გასროლისას?

აქ ადვილად გაგახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის ერთი ჩანაწერი: „სახე – ჯვარზე გაკრული ქრისტესი“. ალბათ, ცრემლიც ჩამოუგორდა თვალზე, იტირა კიდეც, როგორც იესომ გეთსემანიის ბაღში. ასეთი რამ ილიასთვის უცხო არ ყოფილა. არტურ ლაისტი წერს, როგორ აქვითინდა, გერმანიიდან მომავალი დარიალის ხეობას რომ მოუახლოვდა, ანდა რამდენჯერ უნახავს აცრემლებული, ნატო გაბუნიას უნაზესი ხმით მისსავე ლექსზე („ჩემო კარგო ქვეყანავ“) შექმნილი სიმღერის მოსმენისას...

თუმცა, საკუთარი ბედი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, 21 წლისამ იწინასწარმეტყველა და დიადი შენდობისთვისაც უკვე მზად იყო:

1858 წელსაა დაწერილი მისი „ლოცვა“:

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა,
არცა სიმდიდრის, არც დიდების
თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ – ვჰყო
მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს
ცით ჩემი სული,

შენგან ნამცნების სიყვარულით
აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა
გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო,
რას იქმან!“

* * *

„ხოლო იესო ამბობდა: მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან“ (ლუკ. 23, 34).

ეპილოგი

გალაკტიონი ამასაც დაწერს:

„წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.

ამით, საკუთარი ეპოქის დასაწყისზეც მიგვანიშნებს.

პოეზიაში ნამდვილად ასეა, მაგრამ...

გალაკტიონი უდიდესი ლირიკოსია, პოეტთა მეფე, მაგრამ ილიას გზის გაგრძელებას ვერ შეძლებს.

ამ მისიას უფალი ზვიად გამსახურდიას დააკისრებს.

სამოგზაურო ნარკვევში – „უკრაინის თემიდი“ – კონსტანტინე გამსახურდია დაწერს:

„მატარებელი პატარა სადგურთან შესდგა. ყოჩაღად, მარდად გამოცუნცულდა 12 წლის ფაფახიანი ბიჭუნა, ასწვდა სადგურის ზარის ბაწარს და ჩამოჰკრა სამჯერ. რა იცი, ეგ პატარა ბუდრუგანა ლეკის ბიჭი ოდესმე უფრო დიდ სიმამაცეს არ გამოიჩენს, ვიდრე შამილმა აჩვენა თავის დროს ქვეყანას“.

სხვისი არ ვიცი, მე კი ამ ბუდრუგანა ბიჭში... ორ ბიჭს ვხედავ: ჯოხარ დუდაევსა და ზვიად გამსახურდიას.

ზვიადიც ილიას ბედს გაიზიარებს.

მეოცე საუკუნე მეშვიდე წელს რომ ითვლიდა, ილია მოკლეს.

მეოცე საუკუნეს შვიდი წელი რომ დარჩენოდა – ზვიადი.

წიწამური – საქართველოს გოლგოთა;

ხიბულა – მეორე წიწამური...

ასე გასრულდება „ეს საუკუნე – მეფისტოფელი“ (გალაკტიონი).

ნეტავ, რას გვიქადის ოცდამეერთე, რომელიც უკვე მეოცე წელიწადს ითვლის?

კვლავაც გამტყუნდება აზრი ბერწობაზე და გამართლდება გენიალური პოეტის ნუგეში და იმედი – არ ამაოდო?..

ᲓᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ლელთ ღუნიას ნესტარი და აკაკის ქამანდი

„მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემ-დის?.. ჩემო საყვარელო მიწა – წყალო, მომეც ამის პასუხი“.

საუკუნენახევარზე მეტია, ეს კითხვა ქართველის გულს კორტნის.

საუკუნენახევარი ბევრია, მაგრამ მაინც არაფერია იმ დროსთან შედარებით, კავკასიის მთაზე მიჯაჭვული პრომეთე რომ იტანჯება.

აქ ამირანი უნდა დამეწერა, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ დამი-შალა: „სახელი ამირანი აშკარად სპარსული წარმოშობისაა და არ ასახავს ამ არსების რაობას... ამ არსებას, რომელსაც პრომეთეს უწოდებენ, დარწმუნებული ვარ, პრეისტორიულ ხანაში არ ერქვა ამირანი. ამირანი უფრო შუა საუკუნეებშია შერქმეული“.

ცხადია, ეს მოსაზრება კი არ უარყოფს, პირიქით, კიდევ უფრო ამტკიცებს მათს იდენტურობას.

რაც მთავარია, ერთიც და მეორეც საქართველოს სიმბოლოა:

„კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი... ყვავ-ყორანი“...

დავით წერედიანს უჭირს იმ თვალსაზრისის გაზიარება, რომ აკაკის „სულიკო“ სამშობლოს ალეგორიაა, სამაგიეროდ, ნიკო ლორთქიფანიძე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აკაკისთვის ყვე-ლაფერი საქართველოა და ყოველ საგანში ერთსა და იმავე საგანს – სამსობლოს ხედავს, ისევე, როგორც დანტეს ბეატრიჩე პირადი

სახელია უპირადო სატრფოსი – მამულის! დაქსაქსული, მტრებისგან აოხრებული იტალია – ესაა ნამდვილი ბეატრიჩე“.

არც მურმან ლებანიძეს აეჭვებს ის, რომ აკაკისთვის ყველაფერი საქართველოა, მათ შორის, მიჯაჭვული პრომეთეც, თუმცა, მისი აღქმა რამდენადმე განსხვავებულია, შეიძლება ითქვას, პოეტური და „ორგანზომილებიანი“:

„მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვაა და ვაება, ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება!“ – ეს აკაკის გენიალური სტროფია, შორს ნასროლი ქამანდი არა მარტო საკუთარ ტანჯვა – ვაებასა და უკვდავებაზე; ჩემს შემეცნებაში იდენტიფიკაცია ხდება დიდი, წარმოსადეგი, ახოვანი აკაკი წერეთლისა „ამირანის ჯაჭვებით დაბმულ“ მის სამშობლო ქვეყანასთან და პოეტური სახე ორმაგ განზომილებას იძენს“.

გენიალური სტროფი და სახე: „დაბმული უკვდავება!“

ამ განსაცვიფრებელ მეტაფორაში მთელი ჩვენი ისტორიაა ჩატეული.

მასში დიდი საიდუმლოც დევს, ისევე, როგორც აკაკისავე „საიდუმლო ბარათში“:

„საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო“...

ვინ უთხრა ეს ბარათს და როგორ უნდა შეასრულოს ასეთი დავალება?!

მართლაც, რამდენ საიდუმლოს ინახავს ქართული პოეზიის ეს ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური შედევრი?!

თუ ნიკო ლორთქიფანიძეს დავუჯერებთ (რატომ არ უნდა დავუჯეროთ?!), აკაკისთვის ხომ ყველაფერი საქართველოა.

ზრუნვის საგანი საქართველოა, მაგრამ ბარათი? მაგრამ დავალების მიმცემი?

ამ კითხებზე პასუხის ძიება შორს გაგვიტყუებს და სადღაც დაგვკარგავს.

ამიტომ ისევ „დაბმულ უკვდავებას“ მივუბრუნდეთ.

ამ სახეს ლოგიკურად ეხმიანება აკაკის სხვა ლექსში გამოთქმული ჩივილი:

„ტიალმა წუთისოფელმა
ნაღველი დამალევია,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევია“...

ჩივილი დასაწყისშია, თორემ ბოლოში ბედთან შერიგების მოტივი გაისმის:

სჯობს ისევ მწარე სოფელმა
ნაღველი დამალევიოს
არც მომკლას, არც დამარჩინოს,
არც სული დამალევიოს“...

შეიძლება, ითქვას, რომ ამ სტრიქონებში „დაბმული უკვდავების“ არსია გამოხატული.

მაგრამ როდემდე შეიძლება, ჩვენი სამშობლოს უკვდავება დაბმული იყოს?!

აქ, რა თქმა უნდა, გაგვახსენდება აკაკის იმედიანი სტროფი:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა – გმირი!..
სიხარულად შეიცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი“...

ოციოდე წლის წინათ ეს დრო უკვე დამდგარი გვეგონა, ყვავ-ყორნები – მოგერიებული, ამირანის ჯაჭვები – თითქმის გაწყვეტილი. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო, მაგრამ ყვავ-ყორნები თვითონვე მოვაბრუნეთ და მთავარ მომგერიებელს მივუსიეთ. თუ პრომეთე იმისთვის დასაჯეს, რომ ადამიანებს ცეცხლი მიჰგვარა, ზვიად გამსახურდია იმას შეეწირა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში ერს რომ წინ გაუძღვა.

სწორედ მაშინ წერდა ოთარ ჩხეიძე:

„ერი ერია, თუ ერთიანია. გახლეჩილი ერთი ერთი აღარ არის. გახლეჩილი ერიცა აღარ არის ერი. ამოვარდება. აღმოჰხდება: ერი იდეაა და ხორციელებაცაა ერი. განხორციელდა იდეაი ახლა ამ ერთში და უნდა ვიწამოთ სწორედ ეს ერთი, როგორც რო კაცი, როგორც რო იდეა და როგორც რო ერი, ანუ ერთი და განუყოფელი“.

გავა ამის შემდეგ ათიოდე წელი და ოთარ ჩხეიძე რუსუდან ნიშნიანიძესთან დიალოგში ახსნის „იმ ერთი კაცის“ მსხვერპლად შეწირვის არსს. იმ კაცისა, ვინც „უწინამძღვრა დამოუკიდებლობის აღდგენასა საქაართველოსი, უწინამძღვრა და დააფუძნა. დიად განზრახვას უწინამძღვრა. დააგვირგვინა ბრძოლები ორსაუკუნოვანი.“

მწერალმა ჩვეული სიღრმითა და პირდაპირობით მიუთითა ზვიად გამსახურდიას თავგანწირვა და თვითშეწირვა: „ეტყობა, ეს იყო მოწოდებაი იმისი. აქა თავდებოდა როლი იმისი. ეტყობა, ასპარეზი აღარ დარჩენოდა. არ ჩაწერილიყო ტოტალურ პროექტებში გლობალიზა-

ციისა. არც ჩაწერილიყო. არც აღიარებდა. რუსული პროექტები არა სცნობდა იმასა. არც ამერიკული პროექტები არა სცნობდა... იმიტომაც იყო, დიდად რომ ეუცხოვა მამა – ბუშსა: ეს ვინღა არის, დინების აღმა რომ მისცურავსო“.

ხსენებულ დიალოგში ოთარ ჩხეიძემ ასეთი მწარე დასკვნაც გამოიტანა:

„ჩვენ ისევ იქა ვართ, იმავე ადგილსა ვტკეპნით. ვერ იქმნა და ჩვენი თავი ჩვენად ვერ ვიყუდნეთ. არ იქმნა და არა, ჩვენი სახელმწიფო ჩვენად ვერ დავიმკვიდრეთ“.

ამ სიტყვების დაწერიდან კიდევ ოცი წელი გავიდა.

დღესაც „იქა ვართ“, მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ და კვლავაც ტვინსა და გულს გვიკორტნის ილიასეული შეკითხვა: როდემდის?..

ბედის ნატეხი

აკაკი გრიგოლ რობაქიძის თვალით

გრიგოლ რობაქიძემ აკაკის არსებობა ბავშვობიდანვე იცოდა.

„იცოდა“, ამ შემთხვევაში, ცოდნაზე გაცილებით მეტს ნიშნავს – შესაძლოა, გაუცნობიერებელს, მაგრამ აშკარად უფრო მნიშვნელოვანს.

დიდობაში, ამ ქვეცნობიერს ასე აღწერს: „ბავშვებმა ისიც არ ვიცოდით, თუ იგი წერეთელი იყო: ვიცოდით მხოლოდ, რომ იგი „აკაკია“. მეტი არაფერი“.

არადა, უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა სცოდნოდათ?!

ამასაც თვითონ დაგვიდასტურებს: „გამოსვლა მხოლოდ სახელით. არის რაღაც ანტიური ამ გამოსვლაში“.

აკაკის გრიგოლ რობაქიძემ არაერთი სტატია და გამოსვლა უძღვნა – ზოგი ახალგაზრდობაში, უფრო მეტი – გვიანდელ ასაკში.

ადრინდელ სტატიებში ემოციური დამოკიდებულება და ზოგადი ფრაზები სჭარბობს, ისეთები, ნებისმიერ პოეტს რომ მიუსადაგებ: „მეტად რთულია აკაკის ბუნება. მასში იდუმალ არიან ხლართულნი მისი პიროვნება და მისი შემოქმედება... აკაკის ბუნება ქართველების ბედის ნატეხია“...

ამ დროს, ახალგაზრდა გრიგოლ რობაქიძეს უკვე აწვალებს კითხვა და რეალური ვითარება: „ვინ არის იგი, რა არის მისი პოეტური ინდივიდუალობა? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ჩვენი კრიტიკული ლიტერატურა ვერას გვეუბნება“.

გრიგოლ რობაქიძე ცდილობს, ამ კითხვას თვითონვე უპასუხოს და აკაკის ინდივიდუალობის წარმოსაჩენად შედარება-შეპირისპირების გზას ირჩევს.

უწინარესად, ვის ადარებს? – რუსთაველს. შედარება-შეპირისპირების მეთოდი, თავისთავად, ეფექტურია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, აკაკისთვის მომგებიანად, ცხადია, ვერ ჩაითვლება. გენიოსთან ხომ ნებისმიერი ტალანტი გაფერმკრთალდება. გრიგოლ რობაქიძეს კი აქცენტი სწორედ გენიოსობაზე გადააქვს. მართალია, რუსთაველის შემდეგ, ყველაზე წინ აკაკის აყენებს, მაგრამ მისი მსჯელობა კონკრეტული არგუმენტებით არ არის გამყარებული: „იმ დროს, როცა შოთამ არა თუ გამოსახა გენია ქართველობისა, არამედ თვითონ გენიოსად იქცა, აკაკი მხოლოდ სახავს ამ გენიას და თვითონ კი გენიოსად ვერ იქცა“...

ცნობილია, რომ გერონტი ქიქოძე პარალელებს შოთასა და ილიას შორის ეძებდა. უნდა ითქვას, რომ ეს მცდელობა გაცილებით უფრო წარმატებულია, რადგან კრიტიკოსი ყურადღებას ორი დიდი ქართველის რეფორმატორულ ღვაწლზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ „ქართული ლიტერატურის ევოლუციაში მათ რამდენიმედ ანალოგიური როლები შეასრულეს“.

გაცილებით უფრო საინტერესოა ილიასთან აკაკის შედარება. მართალია, დასაბუთების პრობლემა აქაც აშკარაა და ზოგი რამ ერთობ სადავოა, მაგრამ აკაკის ინდივიდუალური ბუნება მაინც იკვეთება: „აკაკი მსუბუქია, ილია – მძიმე; აკაკი სჩქეფს, ილია დუღს. აკაკი ჰქმნის და არ ცდილობს, ილია ცდილობს და ქმნის. აკაკი უფრო ბუნებრივია; ილია უფრო „ხელოვნურია“. იქ, სადაც აკაკი სულს შეუბერავს და წააქცევს, ილიას ძლიერი მოქნევა სჭირდება“.

ილიასა და აკაკის შედარებას გრიგოლ რობაქიძე სხვა დროსაც არაერთხელ მიმართავს, საბოლოო დასკვნად კი მისი ეს სიტყვები გამოდგება: „აკაკი და ილია ტყუპებია, რომლებიც დასცილდნენ ერთიმეორეს, მაგრამ „ტოლები“ დარჩნენ მაინც“...

სხვაგან ასევე საგულისხმო პარალელებია ჰიუგოსთან და პუშკინთან. რაც შეეხება აკაკის პიროვნებას, ის გაცილებით უკეთ იხატება სტატიაში („აკაკი. ფაქტები და ფიქრები“), სადაც გრიგოლ რობაქიძე შედარების ხერხს აღარ იყენებს და მხოლოდ საკუთარ დაკვირვებებს გვიზიარებს.

აქ ჩვენს წინაშე შთამბეჭდავად წარმოსდგება აკაკის პიროვნება – თავისი დიდბუნოვნებითა და გარკვეული ადამიანური სისუსტეებით.

ნაკლის არდამალვა, თუნდაც სათაყვანო პიროვნებას ეხებოდეს, გრიგოლ რობაქიძის პრინციპული პოზიციაა: „აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა. თანვე ტყუილი იცოდა დიდი. რა საჭიროა ამის დაფარვა?“

ეს პოზიცია აშკარად გამართლებულია მაშინ, როცა საბუთად საკუთარი თვალით ნანახია მოტანილი. მაგალითად, გრიგოლ რობაქიძე, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, ორჯერ მოისმენს აკაკის ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძინა და გაანადგურა („ცეცხლს მისცა“) ილიამ იმ გამოცემის მთელი ტირაჟი, სადაც „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით მისი პასუხის პასუხი იყო დაბეჭდილი. აქ გრიგოლ რობაქიძე შესაშურ მიუკერძოებლობას იჩენს და ამასაც დასძენს: „ეს ამბავი ორივეჯერ ისე მოჰყვა, რომ არც ერთხელ არც ერთი ხაზი ღვარძლისა მის სახეზე არ შემინიშნავს“. ამას გრიგოლ რობაქიძე სხვა დროსაც გახაზავს: „აკაკი იყო მკილავი, ხანდახან მქირდავიც (თუმც, ვიმეორებ, ღვარძლი არა ჰქონია)“. შეეძლო ყველას გაკილვა და ყველაფრის გაქირდვა. მხოლოდ ერთი რამ არსებობდა მისთვის მთელ ქვეყანაზე, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა. ეს იყო საქართველო. მასთან ერთად რუსთაველი“.

აქ აუცილებლად გაგვახსენდება ნიკო ლორთქიფანიძე, ვინც ასევე აღნიშნავს, რომ აკაკისთვის ყველაფერი საქართველოა და პოეტის ამ თვისებას „ყოველ საგანში ერთი და იმავე სახის დანახვას“ უწოდებს.

გრიგოლ რობაქიძე არც იმის ხაზგასმას ერიდება, რომ აკაკის ჭამა უყვარდა, რომ ძილში რიტმდარღვეულად ხვნეშოდა, რომ ყოველთვის უფულობაზე ლაპარაკობდა... და, მაინც, ყველაზე ღირებული ის შტრიხებია, აკაკის შემოქმედებით ინდივიდუალობას რომ გამოკვეთენ:

„აკაკის ლექსში „ყურია“ უფრო, ვიდრე „თვალი“... ალიტერაციით აქ ყანის შრიალი გაისმის. „ნარის“ ახმაურება აქ ნიავის გადარბენას იწვევს ყანაში“...

დიდი მწერალი აუცილებლად შენიშნავს და აღწერს სხვათაგან შეუმჩნეველ დეტალს, უნიკალურ შტრიხს. ასეთია ის ეპიზოდიც, სადაც გრიგოლ რობაქიძე აკაკის მამობრივ განცდებს გვიხატავს. ესკიზი იმდენად მეტყველია, რომ კომენტარს არც კი საჭიროებს: „ერთხელ მისი ვაჟი, ალექსი, ტფილისს ეწვია. ვნახე. გამიკვირდა: გადაგვარებული მეჩვენა. მოხრილი იყო იქ, საცა მხრები კისერთან ერთმანეთს სცილდებიან. ამავე დროს თავი მაღლა ჰქონდა აწვდილი. თვალებით კარგად ვერ იხედებოდა. ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა ჩემს შთაბეჭდილებას.

უფრთხილო სიტყვა წამომცდა აკაკისთან – (რომ ვაჟში არ წასულიყო ჯიში).

აკაკი შეირხა. არა უთქვამს რა. მხოლოდ შეირხა.

ვხედავდი: იგრძნო „ტკენა“.

კიდევ მეტი: იგრძნო „წყენაც“.

სახტად დავრჩი: ამას რაღა გამოაკეთებდა?“

გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ ერთ სტატიაში ამახვილებს ყურადღებას თვითონ აკაკის გარეგნობაზე და ეს პორტრეტიც უაღრესად შთამბეჭდავია:

„სიბერეს არ დაუმახინჯებია მისი სახე. პირიქით: კიდევაც გაალამაზა.

წვეთის დაცემის შემდეგ, ცალი წარბი მაღლა აეწია. სახეს ამან მეტი სიმკვეთრე მისცა. თავიც მაღლა ეკავა, განსაკუთრებით, როცა ქუჩაში მიდიოდა.

ჰქონდა რაღაც სხვანაირი სიმაღლე: თითქო საგანთა მაღლა იცქირებოდა“.

აქ უკვე გამოკვეთილია პოეტის ხატი, რომელზეც მოგვიანებით გურამ ასათიანი ასე დაწერს: „ქართველი ერის შეგნებაში აკაკი წერეთელი სამუდამოდ დარჩენილია მოხუცი ბულბულის სახით, ისე, როგორც იაკობ ნიკოლაძის ხელით ქვაში უკვდავყოფილი, იგი ყოველდღე გვხვდება ოპერის ბაღთან, მლოცველივით სახე ზეაპყრობილი, ცრემლმორეული, დაღლილი თვალებით“...

შედევრი მანეთად

აკაკის ქუთაისური რჩეული

1882 წელი. აკაკი წერეთელს ლექსი მიაქვს „დროების“ რედაქციაში. გზის ფული არა აქვს, ამიტომ მეეტლეს მოურიგდება: რედაქციაში ავა, ლექსს მიიტანს, ჰონორარს წინასწარ მისცემენ, ჩამოვა და მგზავრობის საფასურს გადაუხდის. ჰონორარს ზუსტად იმდენს მისცემენ, რამდენიც მეეტლეს ეკუთვნის – ერთ მანეთს. დიახ, ერთი მანეთი გადაუხადეს აკაკის (!) თავის ერთ-ერთ შედევრში, რომელსაც „არაბი ფაშა“ ჰქვია.

ეს ეპიზოდი სწორედ ამ შინაარსით გვიამბო ბატონმა იოსებ ბოცვაძემ, ვინც უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ისტორიას გვიკითხავდა.

მართალია, პროფესორის მონათხრობი მთლად დეტალებში არ ემთხვევა „დროების“ თანამშრომლის დავით მესხის მოგონებას, რომელსაც მოგვიანებით გავეცანი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: ჰონორარის რაოდენობაც ზუსტია და ლექსის შედევრად მოხსენიებაც.

* * *

... ლექციის დამთავრებისთანავე შევუდექი ლექსის ძებნას. და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოვნა გამიჭირდა. აღმოჩნდა, რომ აკაკის კრებულებში ის იშვიათად შეჰქონდათ. მაგალითად, არ შეუტანიათ 1980 წელს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემულ („საბჭოთა საქართველო“) „თხზულებანში“. არადა, სწორედ ამ სერიას ყველაზე მეტად შეეფერებოდა.

1988 წელს გამოცემულ ხუთტომეულის პირველ ტომშიც კი დიდი სიფრთხილით შეიტანეს და ასეთი შენიშვნა დაურთეს: „აკაკი წერეთელს ლექსში შესანიშნავად აქვს გადმოცემული მტაცებლური ბუნება კაპიტალისტური ქვეყნებისა, მათი დიპლომატიის მთელი სიყალბე და უსამართლობა“.

რა თქმა უნდა, კაპიტალისტური ქვეყნებისა, თორემ სოციალისტური რუსეთის (საბჭოთა კავშირის!) მტაცებლურ ბუნებას აკაკი როგორ შეეხებოდა, მით უმეტეს, რომ არც მოსწრებია!

მაგრამ მისი ლექსი ხომ მოესწრო?!

კიდევ ბევრს მოესწრება და მუდამ თანამედროვე იქნება.

ღმერთმა ქნას, ოდესმე მაინც აღარ შეეფერებოდეს არსებულ სინამდვილეს ის, რასაც აკაკი ამ ლექსში ამბობს:

კაცობრიობის სინიდისს
აბა რა მოუმატია?
ადრინდელ ბარბაროსობას
დღეს ჰქვია დიპლომატია!..

... უსამართლობა წინ მიდის
კანონიერის გზებითა:
სრული უფლება ეძლევა
სხვადასხვა კონგრესებითა.

ეს – ყველა ერის ანუ ზოგადსაკაცობრიო საწუხარი. მაგრამ აკაკი ამ ლექსში იმასაც ამბობს, უპირველესად, ქართველმა რომ უნდა გაიგონოს და შეისმინოს:

სხვისი იმედი რას არგებს
თავისუფლების მძებნელსა?

ასე რომ, ლექსი კონსპირაციულია: „არაბი ფაშა“ ჰქვია, სინამდვილეში, საქართველოზეა.

ცხადია, რუსეთზეც არის.

ამიტომაც არ (ვერ) შეჰქონდათ ყველა გამოცემაში.

იგივე ითქმის „შამილის სიზმარზე“, სადაც აკაკის (19-20 წლის ასაკში!) ასეთი სტრიქონებია:

ლეკებმა სისხლით შეღებეს ხელი,
ველს ეფინება რუსების თავი!

* * *

2010 წელი. ქუთაისი. საგამომცემლო ცენტრი. აკაკი წერეთელი, რჩეული ლექსები და პოემები. შემდგენელი და გამომცემელი

ელგუჯა თავბერიძე, რედაქტორი როსტომ ჩხეიძე, იდეის ავტორი გიზო თავაძე, გამოყენებულია ლადო გრიგოლიას მხატვრული ნამუშევრები.

ისეთი გამოცემაა, ხშირად რომ გვინატრია.

ბევრჯერ დაგვმართნია ასეთი რამ: გვინახავს ლამაზად, მდიდრულად, გემოვნებით, მართლაც, „უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე“ გამოცემული წიგნი, რომლის შინაარსიც ახლოს ვერ მივიდოდა გამოცემის ხარისხთან და გვითქვამს, აფსუს, ასე რომ ვაჟა ან აკაკი გამოგვაცემინა!

და, აი, სწორედ ასე გამოცემული აკაკი!

უკეთესს რომ ვერც ინატრებ!

რა ბედნიერებაა, რომ ასეთი წიგნის დასტამბვა ქუთაისშიც არის შესაძლებელი!

რამდენადაც ვიცი, სულ ახლო წარსულში, თურქეთში ბეჭდავდნენ.

ქათქათა კაბადონი, მაგარი ყდა, „მოოქროვილი“ წარწერებით, შავი ატლასის „სუპერი“ და 575 გვერდიანი ეს ულამაზესი წიგნი, ულამაზესსავე მაგარ „ბუდეში“ მოთავსებული.

სუპერზეც და ყდაზეც აკაკის ღვთაებრივი პროფილი და მისივე ხელრთვით შესრულებული საკუთარი სახელია ამოტვიფრული.

გადავშალე და ანოტაციაში ვკითხულობ: „აკაკის „რჩეული ლექსები და პოემები“ პოეტის 170 წლისთავთან დაკავშირებით გამოდის. მასში ბევრი ისეთი თხზულება შევიტანეთ, რომლებიც წინა გამოცემებში არ ყოფილა“.

მაშინვე „არაბ ფაშას“ დავუწყე ძებნა. 151-ე გვერდზე წავაწყდი:

სხვისი იმედი რას არგებს
თავისუფლების მძებნელსა?

* * *

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გამოცემას ამშვენებს – ერთგვარ შესავლად და წინათქმად დართული გამოკვლევა: „ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე“.

აკაკიზე ბევრი კარგი გამოკვლევა არსებობს. მათ შორის დავით წერედიანის ეს ეტიუდი ერთ-ერთი საუკეთესოა. ის ძალიან უხდება და მიესადაგება სწორედ ამ გამოცემას, იმდენად უხდება და მიესადაგება, რომ საგანგებოდ მისთვის დაწერილი გეგონება.

ორიგინალურია მისი დასაწყისი: „აკაკი რომ არა, ქართული პოეზია დღემდე ენაბლუ იქნებოდა, – უთქვამს გალაკტიონს, რითაც

აკაკის უშურველად მიაწერს მთელს იმ საქმეს, რაშიც არანაკლები წვლილი თვითონ მას, გალაკტიონს, მიუძღვის“.

ორიგინალურია დასკვნაც: „აკაკისეულმა ტრადიციამ ქართული ლექსი თავის ეროვნულ, სხვათაგან გამორჩეულ თავისთავადობას მტკიცედ მიაჯაჭვა, მტკიცედ და, ალბათ, საბოლოოდ“.

ეს ღრმა და საინტერესო გამოკვლევა თავმდაბლური სათაურითაც უხდება და შეეფერება აკაკის თხზულებათა გამოცემას.

მოკლედ, ისეთია, აკაკის რომ შეეფერება.

გამოცემაც ისეთია, აკაკის რომ ეკადრება.

* * *

„ვაი იმათ, ვისაც „კარგი“ არასაკმარისი ეპითეტი ჰგონიათ“. – წერდა ამას წინათ ელგუჯა თავბერიძე.

ვეთანხმები, მაგრამ ამ შემთხვევაში, ხსენებული ეპითეტი ნამდვილად არასაკმარისია:

აკაკის ეს გამოცემა დიდებულია!..

P.S. ქუთაისში გამოცემულ აკაკის კრებულში სულ სხვა განცდით იკითხება ლექსი „ქუთაისი“:

„მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო... “

ეს ეპითეტი ისევე სამარადისოდ შეენივთა ქუთაისს, როგორც „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“ – საქართველოს, ორივე კი – აკაკის.

უკვდავი ღაღი და სადაფები

წინათქმა გალაკტიონის ლექსთა
მინიატურული გამოცემისთვის

„ის ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, ჩვენს შორის დადიოდა“. – ასე იწყებს გურამ ასათიანი თავის განთქმულ ესეს გალაკტიონზე.

უფრო ბუნებრივი დასაწყისი ძნელად წარმოსადგენია.

უმთავრესი კი აქ გაკვირვებაა: როგორ დადიოდა მიწაზე კაცი, რომელიც არაჩვენებურ სიზმრებს ხედავდა?!

ამიტომაც შეადარა მოხეტიალე ალბატროსს – ზორბა ფრინველს, რომელსაც, ფრთების სიმძიმის გამო, ფრენა უჭირს და იძულებულია, მიწაზე იაროს.

რა გულისმომკვლელად ეხმიანება ეს შედარება გალაკტიონის უსაყვარლესი ძმის პროკლე(აბესალომ) ტაბიძის სიტყვებს:

„გარეშე პოეზიისა და მაღლა-მაღლა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როცა ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს“.

ამ განსაცვიფრებლად ზუსტ დახასიათებაში მხოლოდ ერთ სიტყვას თუ დავიწუნებთ და „სასაცილოს“ „ტრაგიკულით“ შევცვლით.

მართლაც, ღრმად ტრაგიკული იყო ყოველივე ის, რაც გენიალურ პოეტს ცხოვრებისეულ პროზასთან, აუტანელ ყოფასთან აკავშირებდა.

ზამთრის მოახლოებით შეშფოთებული პოეტი განათლების სახალხო კომისარს დახმარებას ანუ პალტოს შესაძენად საჭირო თანხის გამოყოფას სთხოვს. რეზოლუცია კი ასეთია: „უარი ეთქვას“...

განა შეიძლება, აქ რაიმე სასაცილო იყოს?!

რა თქმა უნდა, ისიც ადვილად გასაგებია, რასაც ძმა გულისხმობს, ხოლო ძმისწული – ნოდარ ტაბიძე, მოგვიანებით, ასე ხატოვნად ახსნის:

„გალაკტიონს შეეძლო, მთელი დღე და ღამე ჩაკეტილიყო კაბინეტში და ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ ოჯახს პური უნდა; შეეძლო, საათობით მჯდარიყო გაყინულ ოთახში, რითმებთან შეჭიდებული, და არც კი გახსენებოდა, რომ ნავთი დიდი ხანია, გამოილია“...

მაგრამ ის გალაკტიონი იყო.

* * *

„მხოლოდ ისეთი პოეტია საჭირო, ვის გარეშეც სიცოცხლე გაძნელდებოდა“ – წერს აკაკი გაწერელია.

გავძლებდით უგალაკტიონოდ?!

ვერ გავძლებდით.

რამდენჯერ მოუგვრია შვება მისი სტრიქონების გახსენებას?!

რამდენჯერ გაუთბია მის ლექსებს მავანთა გულცივობით დასეტყვილი ჩვენი გულები?!

გასაოცარია: თვითონ უსამართლობით ათასგზის გულდაკოდილს, შეეძლო, ასე დიდსულოვნად დაველოცეთ:

„ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა,
თავმიდებული აჭარის კალთებს,
რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა
თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს“...

რისხვა კი უამრავი დატეხილა მის თავს.

ამიტომაც უწოდა თავის ეპოქას „ეს საუკუნე – მეფისტოფელი“.

მაგრამ ეს მაინც მისი ეპოქა იყო, რადგან შეეძლო, ეთქვა:

„თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები, როგორც მგოსანს შეჰფერის“...

თქვა და აასრულა კიდეც.

* * *

„მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“. – წერდა ტერენტი გრანელი;

კოლაუ ნადირაძეს კი ეგონა: „გაფრენა არის ისე ადვილი, თუკი გაბედავ და გაშლი მკლავებს“...

მკლავების გაშლა კი მხოლოდ გალაკტიონმა გაბედა და ამით

თავისივე ნათქვამი დაამტკიცა: „არავინ არის ჩემი ტოლი და ჩემი მსგავსი, ერთადერთი ვარ, მაღალი ვარ, ვარ უკვდავესი“...

სწორედ ამაზე ითქმის, ძალი შემწევს ქადილისაო.

* * *

ერთ ადრინდელ ლექსში გალაკტიონმა საკუთარ თავს „სული უსახლო და არ-ბედნიერი“ უწოდა. მაგრამ იმავე ლექსში ასეთი სტრიქონებიც გვხვდება:

„ამნაირ დროში შექმნა გოტიემ
უკვდავი ლალი და სადაფები“...

თვითონაც „უკვდავი ლალი და სადაფები“ შექმნა დაუნდობელ და სასტიკ დროში.

ამიტომაც მისი სული არც უსახლოა და არც უბედური. მისი სახლი სრულიად საქართველოა – სამშობლო, სადაც მან მოვლო მხოლოდ „უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

* * *

გალაკტიონის ლექსების ყოველი ახალი კრებულის გამოცემა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტია.

გურამ ასათიანის ზემოხსენებულ ესეში ასეთ ფრაზასაც ვხვდებით: „სტუდენტი გოგონა, რომელიც ღამეებს ათენებდა გალაკტიონის ლექსების კითხვაში“...

მეშინია, დავსვა ეჭვიანი კითხვა: „დღესაც ასეა?“

ამას კი ვინატრებდი: ეს ლამაზი მინიატურული გამოცემა უთვალავ ეგზემპლარად დაებეჭდათ და ყველა ქართველი ახალგაზრდისთვის ჩამოერიგებინათ.

წაიკითხავდნენ და ადვილად მიხვდებოდნენ, რომ უამლექსებოდ ცხოვრება ძალიან გაჭირდებოდა...

ცხადის ნაპირთან

ცხოვრება და სიკვდილი მეფე-პოეტისა

კომპოზიცია ერთმოქმედებიანი დრამა – მისტერიისათვის, ოცდახუთი სურათითა და ლირიკული ინტერმედიით

წინათქმა

როსტომ ჩხეიძის კეთილმა წაქეზებამ ბოლოს და ბოლოს შედეგი გამოიღო: მკითხველის წინაშეა ჩემი პიესა.

როსტომი ამას მაშინ შეიტყობს, როცა წიგნი გამოვა. რატომღაც ასე გადავწყვიტე – სიურპრიზი სწორედ იმისთვის მომეწყო, ვინც მაქეზებდა.

კომპოზიცია არაერთხელ შემიდგენია, მათ შორის გალაკტიონის ლექსებისა და დღიურების მიხედვითაც – პოეტის თბილისურ მემორიალურ ბინა-მუზეუმში გამართული საღამოებისათვის, მაგრამ პიესის ფორმა მათთვის არასოდეს მიმიცია.

გალაკტიონზე ბევრი წამიკითხავს, მიფიქრია, მომისმენია. ბედმა მისი ძმისწულის შეგირდობა მარგუნა და გენიოსის ლანდი ჩემს ცხოვრებას სამუდამოდ დაემგზავრა.

პოეტის დღიურებსა თუ მის შესახებ მოგონებებში არაერთხელ შემინიშნავს დრამატურგიული პასაჟები, მათი აკინძვა კი სრულიად მოულოდნელად გადავწყვიტე. ამ ზაფხულს, კიკეთში, თითქოს უხილავმა ძალამ დამსვა მაგიდასთან და პიესა მიკარნახა.

პიესა ერთი ამოსუნთქვით დავწერე, უფრო ზუსტად, რომ დავწერე, მერე ამოვისუნთქე.

წერის პროცესში, რა თქმა უნდა, ჩემი დამხმარე იყო გალაკტიონისადმი მიძღვნილი არაერთი დიდებული წიგნი – ამ მხრივ, ხომ მას ნამდვილად გაუმართლა. საკმარისია, დავასახელოთ რევაზ თვა-

რაძის „ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონი“, ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“, როსტომ ჩხეიძის „კომიკოსი ტრაგედიაში“, თეიმურაზ დოიაშვილის გამოკვლევები და მისივე გამოცემული „გალაკტიონოლოგიის“ ტომები...

სხვადასხვა დღიურსა თუ მოგონებაში გაბნეული ეპიზოდები თითქოს თავისთავად ლაგდებოდნენ, რამდენიმე სურათის აღწერა კი ხილვას უფრო ჰგავდა – არა უბრალოდ ვწერდი, ვხედავდი კიდეც, თანაც, უკვე სცენაზე ხორცშესხმულს.

და აქ აუცილებლად უნდა ითქვას: პიესის იდეაც და ფორმაც შთაგონებულია შოთა ნიშნიანიძის ცნობილი ლექსით, რობერტ სტურუასა და სოსო ნემსაძის ბოლოდროინდელი სპექტაკლებით...

მოქმედი პირნი:

გალაკტიონი – მეფე-პოეტი (ყრმა, ჭაბუკი, ხანდაზმული)
მაკრინე – პოეტის დედა
ვასილი – პოეტის მამა
ოლია – პოეტის მეუღლე
ტიციანი – პოეტის ბიძაშვილი
ნოდარ ტაბიძე – პოეტის ძმისწული
მურმან ლებანიძე – უმცროსი კოლეგა
მიხეილ ბოჭორიშვილი – სემინარიელი მეგობარი
კოტე – შინსახკომის უფროსი (ხმა)
ვახტიორი
აკაკი დვალიშვილი – კულტურის მინისტრის მოადგილე
დიომიდე – მეზობელი
მთხრობელი
ანგელოზები (თეთრი, წითელი, შავი)

მოქმედება მიმდინარეობს სიზმარ-ცხადში, ანუ ცხადის ნაპირზე;[1] შესაბამისია სცენოგრაფია, პერსონაჟთა სამოსი, მუსიკალური გაფორმება, მხატვრული განათება, ნისლი, ბურუსი...

სიზმარ-ცხადი აპირობებს ეპიზოდების კინემატოგრაფიულ მონაცვლეობასაც.

---

[1] სრევაზ თვარაძის თანახმად, „სიზმარ-ცხადი“ გალაკტიონისეული ტერმინია, ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან აღებული, „ცხადის ნაპირი“ კი თამაზ ჩხენკელის გამოთქმაა.

სურათი პირველი

სცენის ზემოთ – ცის ლაჟვარდები. ანგელოზთა საუფლო. ღრუბელზე ჩამომჯდარი სამი ანგელოზი – თეთრი, წითელი და შავი. ქვემოთ, სცენაზე დგას მთხრობელი.

მთხრობელი:

– თქვეს ერთხელ სამთა ანგელოზთა, – როგორ დავბადოთ კაცი ყველაზე ბედნიერი და უბედური? რა დავაწყევლოთ, ან ისეთი რა დავანათლოთ, ათასჯერ ბედის თქვას მადლობაც და საყვედურიც...

ღრუბლიდან რიგრიგობით გადმოდიან ანგელოზები.

თეთრი ანგელოზი:

– დავბადოთ კაცი ზემდიდარი, მაგრამ მახინჯი!

წითელი ანგელოზი:

– იქნებ ისა სჯობს, ყრმა ოცნებებს ვეღარ მიეცეს, ულამაზესი იყოს, მაგრამ უღარიბესიც!

შავი ანგელოზი:

– სასჯელი გინდათ? მაშინ დიდი კაცი დავბადოთ, სახელ-დიდებით შესწვდებოდეს ცათა კაბადონს. ოღონდ დავბადოთ სულთა მედროშედ, უთუოდ მგოსნად და უთუოდ საქართველოში!

სურათი მეორე

ჭყვიში. იმერული ერთსართულიანი ოდა რიკულებიანი აივნით[1]. ვასილ ტაბიძე, მძიმე ავადმყოფი, ლოგინსაა მიჯაჭვული. იქვეა მისი მეუღლე მაკრინე ადეიშვილი.

ვასილი:

– მე ვეღარ მოვრჩები...

მაკრინე:

– ნუ ამბობ. შენ თუ არ იქნები, ერთი ბავშვიც მეყოფოდა, სხვა რაღად მინდოდა?

ვასილი:

– რა?

მაკრინე *(მეტად დამორცხვებული):*

– ორსულად ვარ.

---

[1] ოდა, მართალია, ერთსართულიანია, მაგრამ, თითქოს მიწაზე არ დგას, „ღრუბლებში ამაღლებულა... არც მიწისაა, არც ცისა“.

ვასილი *(ფიქრიანი პაუზის შემდეგ):*

– ნუ გეშინია. ჩემი ძმა კარგი კაცია, აბესალომიც მალე წამოგეწევა. შენ ნუ დაიმჩნევ. ღვინო, ღვინო!

მიუტანენ ღვინოს. აიღებს ჭიქას და იტყვის სადღეგრძელოს.

ვასილი:

– ეს გაუმარჯოს პატარა ადამიანს, რომელიც შვიდი თვის შემდეგ დაიბადება!

ამ სიტყვებს წარმოთქვამს და სულსაც დალევს...

სურათი მესამე

სცენაზე ერთად გამოდიან მთხრობელი და შავი ანგელოზი. ეს უკანასკნელი აქ უკვე მთხრობელს მიმართავს.

შავი ანგელოზი:

– უთუოდ მგოსნად და უთუოდ საქართველოში!

ამ დროს გაისმის მდინარის ხმაური. შავი ანგელოზი სადღაც გაუჩინარდება.

მთხრობელი:

– იმ ღამით ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი, სწორედ იმ ღამით დაიბადა გალაკტიონი!

მდინარის ხმაური შეწყდება და სცენაზე სიჩუმე გამეფდება. მთხრობელი გულის ჯიბიდან ამოიღებს გაყვითლებულ, გაცრეცილ დოკუმენტს და მაყურებელს მიმართავს.

მთხრობელი:

– ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის მთელი სიმძიმე მაკრინეს დააწვა.

თუ რა შეძლებისა იყო ეს ოჯახი, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1894 წლის 16 დეკემბრის გაყოფის წიგნი(კითხულობს): ობლებს, პროკლესა და გალაკტიონს – საკუთრივ, ერგოთ სახლი, სასიმინდე და ორ ქცევაზე ცოტა მეტი საყანე – ე. წ. შარაძენიძისეული ადგილი, რომლებიც 615 მანეთად იყო შეფასებული. საზიაროდ დარჩა 1600 მანეთის ქონება: 15 ქცევა მიწა, ცაცხვის საწ-

ნახელი,თხმელის სასიმინდე, თოთხმეტი ჭური, ურემი, სამი მაგიდა, ორი პატარა სუფრა, სკამლოგინი, 4 ხალამი, 3 დოქი, 3 კიბე, 3 ზანდუკი, ძროხა, უშობელი, ჯორი და ა.შ. *(აქ კითხვას შეწყვეტს და ზეპირად განაგრძობს).* მხედველობიდან არ გამორჩენიათ საერთო ვალი: სტეფანე ტაბიძის გასასვენებლად დახარჯული 82 მანეთი და მოჯამაგირის ხელფასი – 20 მანეთი. ამ დროს ბეღელში ჰქონიათ 450 ფუთი სიმინდი, რომელიც 180 მანეთად შეუფასებიათ. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დანაწილდა საზიარო ქონება. საერთო მფლობელობაში მიწის მცირე ნაწილი და ხეები დარჩა.

მოკლედ, მაკრინე ტაბიძის ოჯახს შიმშილით სიკვდილი არ ელოდა, მაგრამ არც დალხინებით ყოფნა ეწერა...

სურათი მეოთხე

ჩაბნელებულ სცენაზე მთვარე ანათებს მხოლოდ რიკულებიან აივანს და ქალს მუხლებზე ჩონგურით. ეს მაკრინეა, ვინც გულში-ჩამწვდომად უკრავს და მღერის. იქვეა პატარა გალაკტიონიც, რომელსაც დედა ესაუბრება.

მაკრინე:

– ა, გატუნია, კარგად დამიგდე ყური. შენ გაგიგონია, რომ ჩონგური კი არ მღეროდეს, ლაპარაკობდეს, იმეორებდეს პირდაპირ, სწორედ იმას, რასაც შენ ამბობ, რასაც შენ მღერი? აი, მაგალითად, „ჩე-მი ქმა-რი სად წა-ვი-და? ჩე-მი ძმა-ნი სად წავიდნენ?“ (ჩამოჰკრავს სიმს, ერთს, მეორეს. ჩონგური ბგერა-ბგერით იმეორებს იმასვე, რასაც მღერის დედა)...

დედა გადადებს ჩონგურს... ბიჭი ისევ ბურუსშია. ქალი მარდად ადგება და უკვე შეშფოთებული ლაპარაკობს.

მაკრინე:

– ხვალ ადრე უნდა ავდგეთ, საქონელი გაღმა გავიყვანოთ, წისქვილში ვინმე უნდა გავგზავნოთ... რა გვეშველება, რა გვეშველება, სიმინდი მოსატეხია, ჩალა ასაჩეხია. დავიძინოთ, დავიძინოთ, ჩემო გატუნია! რა გვემღერება! რა გვეჩონგურება!

სურათი მეხუთე

განათებულია სცენის მხოლოდ მარცხენა კუთხე. მაკრინე მეზობლის ღობეს მისდგომია და მორიდებით ელაპარაკება.

მაკრინე:

– ბატონო დიომიდე, ბიჭი მყავს ქუთაისში წასაყვანი, სასწავლებელში მისაბარებლად. იქნება, ერთი დღით, ურემი მომახმაროთ, რასაც მიბრძანებთ ქირად, მოგართმევთ.

დიომიდე:

– როგორ გეკადრება, ბატონო, ქირა რა ბრძანებაა, ოღონდ ბავშვი სასწავლებელში მივაბაროთ და ამისთანა მცირე სამსახურზე როგორ დაგზარდები, აგერ მე და აგერ ჩემი ურემი, ღმერთო კი მომკალი, მეზობლისთვის ხელის გაწყობა თუ ვეღარ შევიძელი.

სცენის მარცხენა კუთხე ჩაბნელდება და მარჯვენა განათდება. გამოჩნდება ურემი, რომლის კოფოზეც ბიჭი ზის – ქუთაისში სასწავლებლად მიმავალი ყრმა გალაკტიონი. ურემი თითქოს ფრთებს გამოისხამს და ცისკენ დაიძვრება. მას უმალვე აედევნება დედა, მაგრამ ვეღარ მისწვდება.

საიდანღაც გამოჩნდება შავი ანგელოზი, რომელიც მაყურებელს მიმართავს.

შავი ანგელოზი:

– სახელ-დიდებით შესწვდებოდეს ცათა კაბადონს!

ანგელოზი გაუჩინარდება და გამოჩნდება მაკრინე, რომელსაც ხელში უჭირავს ბარათი. უცებ მის გვერდით გაჩნდება თეთრი ანგელოზი, გამოართმევს ბარათს და კითხულობს:

თეთრი ანგელოზი :

– „ფიქრიდან განუშორებელო შვილო ჩემო, გალაკტიონ! პირველად შენ მშვიდობას და კარგად ყოფნას ჩვენ მოწყალე ღმერთს ვთხოვ...შენ რაკი ჩემთან იყავი მიჩოული და მე შენთან, და ეხლა განშორებული მყავხარ, თუ ივარგებ, არ მგონია... აპა შენ იცი, თუ ივარგებ. თავი საქმეა ყოფაქცევა და მერმეთ კარგი სწავლა. კარგი, თორემ გაჭირვებული სწავლა რა არის!“

ჩაბნელდება. განათდება სცენის შუაგული და გამოჩნდება მთხრობელი.

მთხრობელი:

– დედას გუმანი არ ატყუებდა. თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ფიქრიდან განუშორებელი მისი ბიჭი იმათგანი არ გამოვი-

დოდა, ვინც კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით ახარებს მშობლებს. მასწავლებელი, ვექილი, მღვდელი, ინჟინერი, ექიმი, აგრონომი – ალბათ, ამ პროფესიათაგან ერთ – ერთი ეოცნებებოდა ახალგაზრდა ქვრივს თავისი ვაჟიშვილის ხვედრად. ის კი... სასულიერო სასწავლებელსა თუ სემინარიაში ცხადი შეიქნა, რომ ეს ბიჭი ბეჯით მოწაფედ ვერ იქცეოდა. ამ ბიჭს ერთადერთი სტიქიონი იპყრობდა რაღაც ჯადოსნური ძალით – პოეზია! უამისოდ მისთვის თითქმის არაფერი არსებობდა. სამაგიეროდ, ამ სტიქიონს ყოველივეს სწირავდა – კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. კითხულობდა და წერდა.

ჩაბნელდება. განათდება მხოლოდ მარჯვენა კუთხე. გამოჩნდება შავი ანგელოზი, რომელიც მაყურებელს მიმართავს.

შავი ანგელოზი:

– უთუოდ მგოსნად და უთუოდ საქართველოში!

სცენა ჩაბნელდება.

სურათი მეექვსე

განათებულია სცენის შუაგული, სადაც დგას სემინარიელი გალაკტიონი, რომელიც მონოლოგს აღსარებასავით წარმოთქვამს.

გალაკტიონი:

– მთელი თვის განმავლობაში კლასში მხოლოდ ორჯერ ვიყავი... მე უსინდისოდ ვსარგებლობდი იმ გარემოებით, რომ მასწავლებლებს სულიერ ავადმყოფად მივაჩნდი და ამ მხრით ჩემს პროცესს სწავლაში ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

არც წირვა-ლოცვაზე, რომელიც სავალდებულოდ არის გამოცხადებული სემინარიელებისათვის, მე არ დავდიოდი.

მასწავლებლებისა და ინსპექციის წინააღმდეგ მთელი რევოლუცია მოვახდინე...

და, საბოლოოდ, ორი ორიანი. მაშასადამე, სწავლას ვეღარ გავაგრძელებ... მაშ, მშვიდობით, სემინარიავ! დაღი, რომელიც შენ დამასვი, საუკუნოა! გულს არ მოშორდება ეს შხამი, რომელიც შენგან მივიღე...

რა დამიხსნის-მეთქი, ხშირად წამომიძახნია. ვიცი, რაც დამიხსნის. ესე იგი ვერაფერი დამიხსნის; გამოვეთხოვე ყველაფერს, გამოვეთხოვე სულის სიმშვიდეს და მოსვენებას.

თვით „სიყვარული“, სხვებისთვის რაღაც ჰაეროვანი, პოეტების სიმთა ჟღერის საგანი, ჩემთვის არარაობაა.

იქნებ მე ვცდები? იქნებ ეს ასე არ არის?

ღმერთმაც ჰქნას!!! ღმერთმაც ჰქმნას, რომ ვცდებოდე!

ეს რა სისაძაგლე მემართება... ღვინო, წყეული ღვინო! არ მეგონა, თუ ასე მივეჩვეოდი, მაგრამ გამტყუნება ჩემგვარი ხასიათის კაცის?

ჩაბნელდება. განათდება სცენის მარცხენა კუთხე და გამოჩნდება გალაკტიონის სემინარიელი მეგობარი.

მიხეილ ბოჭორიშვილი:

– გალაკტიონ, დიდათ ვწუხვარ, რომ ღვინის სმას ესრეთ ჩაუთრევიხარ თავის უფსკრულში. რა გემართება?! დაანებე თავი. იცოდე, რომ ეგ არაფერი მარგებელი არ არის... თუ გიყვარდე, გადააგდე ლოთობა!

ჩაბნელდება. განათდება სცენის მარჯვენა კუთხე და გამოჩნდება გალაკტიონის ბიძაშვილი, გულზე მიბნეული მიხაკით.

ტიციანი:

– გალაკტიონ, მაგას მოველოდი შენგან?! სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი. ნუთუ არ იცი, რომ ყველა ადამიანის ხვედრია ის, რაც შენ მოგივიდა? სხვას ვის ჰქონია ია-ვარდით მოფენილი გზა, რომ მარტო შენ გქონოდა? ჯავრით აღარ ვარ. გაფაციცებით ვსინჯავ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ შენი იქ არაფერია.

ჩაბნელდება. განათდება სცენის შუაგული, სადაც დგას გალაკტიონი, ახლა უკვე გამხნევებული და ერთგვარად ატაცებული.

გალაკტიონი:

– ახლა კი გულდადებით მინდა წერა გაზეთში ან ჟურნალში. დავიწყებ მალე!..

სურათი მეშვიდე

სცენაზე შემოფარფატდება თეთრი ანგელოზი.

თეთრი ანგელოზი:

– სიყვარული ჩემთვის არარაობაა?! თუ მართლაც ასეა, მაშინ ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?!

თეთრი ანგელოზი წაფარფატდება და გამოჩნდება მთხრობელი.

მთხრობელი:

– ჭაბუკ გალაკტიონს ჰქონდა გატაცებები. ერთხანს მოხიბლულიც იყო რაისა ჩიხლაძით, მაგრამ ეს მაინც არ იყო ყოვლისწამლეკავი გრძნობა. ეს უფრო სიყვარულთან მისვლა იყო, ვიდრე სიყვარულის მოსვლა. გალაკტიონი არა მხოლოდ სხეულით, არამედ სულით, გონებით, მთელი არსებით ეძებს ტოლს. მგოსნის რჩეული მარტოოდენ გარეგნობით კი არა, ფსიქიკითაც უნდა იყოს მომხიბვლელი. მან ნახევარტონებში უნდა გაუგოს პოეტს.

სწორედ ასეთი აღმოჩნდა ოლია ოკუჯავა.

ჩაბნელდება. განათდება სცენის მარჯვენა კუთხე და გამოჩნდება ცისფერკაბიანი ახალგაზრდა ქალი, გამხდარი, საშუალო სიმაღლის, შუაზე გაყოფილი თმით.

ოლია:

– მხოლოდ შენს სიყვარულში, შენს თაყვანისცემაში შევიცნობ გაზაფხულის მშვენებას და ვჭვრეტ მარადისობას. თურმე რა უგონოდ მყვარებიხარ, ჩემო გალკ! გეხვევით და გკოცნით შენ და შენს ლექსებს...

მივდივარ სტამბაში, სადაც შენი ლექსები იბეჭდება. ვაითუ ყველაფერი ისე არ არის, როგორც საჭიროა. რა იციან მათ, რომ ბეჭდავენ უდიდეს, ყველაზე ძვირფას სულის გენიას, ნუთუ გაიგებენ, ჩასწვდებიან მას მკითხველები?

ჩაბნელდება. განათდება სცენის მარცხენა კუთხე. გამოჩნდება წითელი ანგელოზი, რომელიც კითხულობს ლექსს:

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ...

სურათი მერვე

სცენა გაყოფილია ორ ნაწილად. ჯერ განათდება მარცხენა კუთხე. ჭყვიში. სახლი რიკულებიანი აივნით. აივანზე ზის დედა, რომელიც შვილს საყვედურებით სავსე ბარათს სწერს.

საიდანღაც მოფარფატდება თეთრი ანგელოზი, გამოართმევს ბარათს და წაიკითხავს.

თეთრი ანგელოზი:

„ფიქრიდან განუშორებელო და სხვა და სხვა ნაირათ სადარდებელო შვილო ჩემო, გალაკტიონ, შენი სახელის ხსენებას ენაცვალოს შენი დედა... არ გახსოვს არავინ, არც ნათესავი, არც ოჯახი. რა გიჭირდა, მოსულიყავი და გაგემხიარულებინა შენი საწყალი დედის გული და შენი ძმის. ეს შენც უნდა იცოდე, როცა თქვენ ორივეს ერთად დაგინახავთ, მაშინ გამითენდება დღესასწაული“...

ჩაბნელდება.

სურათი მეცხრე

განათდება სცენის მარჯვენა კუთხე. გამოჩნდება გალაკტიონის თბილისური ბინა. პოეტი სამუშაო მაგიდას უზის და დედას საპასუხო ბარათს სწერს. როცა დაამთავრებს, მის გვერდით გაჩნდება წითელი ანგელოზი, გამოართმევს ბარათს და კითხულობს:

– შენმა წერილმა მე მომკლა, დედიკო! რატომ იწერები, რომ მე შენთვის სანატრელი ვარ, არა, დედა, შენ გენაცვალე, ჩემზე ნუ ფიქრობ. თუ არ მოვკვდი, სწორედ ურცხვენელად გავატარებ ჩემს ახალგაზრდობას.

შენ იწერები: „შენგან მოძულებული.“

ძვირფასო დედა, შენ არ შეგფერის, სთქვა: „შენგან მოძულებული.“

მე ჩემი საქმე მაქვს. ეს საქმე მწერლობაა, კალამია. რაკი თავიდანვე ამ გზას დავადექი, არასდროს ამ გზიდან არ გადავუხვევ და ჩემსას მაინც გავიტან.

ჩაბნელდება.

სურათი მეათე

ჭყვიში. ოდა რიკულებიანი აივნით. აწ უკვე სახლ-მუზეუმის აივანზე სხედან მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე.

მურმანი:

– ბოლო დღეებში ზედიზედ დამესიზმრა გალაკტიონი. თითქოს რაღაცას მთხოვს. ვერ მოვისვენე. ვიცოდი, აქ იყავი და შენთან წამოვედი. მინდა, ცხვარი შევწირო გალაკტიონის სახელზე.

ნოდარი:

– კარგი აზრია, თუმცა, მის წინაშე ისედაც პირნათელი ხარ – უბრწყინვალესი ციკლი მიუძღვენი...

მურმანი:

– ძალიან კარგი წიგნი დაწერა რეზი თვარაძემ. რა თქმა უნდა, ნახავდი და წაიკითხავდი.

ნოდარი:

– წავიკითხე და ძალიან მომეწონა. ბევრი რამ ახლებურად არის დანახული და გააზრებული.

მურმანი:

– და მაინც, კიდევ რამდენია დაფარული. ბევრი საიდუმლო, ალბათ, მხოლოდ შენ იცი, ბიძაშენის გვერდით მისი ცხოვრების ბოლო ათი წელი გაატარე. დარწმუნებული ვარ, დაწერ. მაშინ კიდევ უფრო მეტი რამ აიხსნება. აი, მაგალითად, დღემდე ამდენი საუბარია ღვინოსთან მის დამოკიდებულებაზე. ბევრს ახლაც სჯერა, რომ თუ არ დალევდა, ვერ წერდა...

ნოდარი:

– სასაცილოა, ჩემო მურმან. არ მახსოვს, მთვრალ გალაკტიონს სტრიქონი დაეწეროს. თუ სმის პერიოდი დაეწყებოდა, მუშაობა გამორიცხული იყო. სამაგიეროდ, ფხიზელი გალაკტიონი ოცდაოთხი საათი მუშაობდა. მისი შემოქმედება ჯოჯოხეთური შრომის ნაყოფია...

მურმანი:

– აპირებ დაწერას?

ნოდარი:

– მალე გამოვა ჩემი წიგნი – „გალაკტიონი."

მურმანი:

– გალაკტიონზე ბევრი დაიწერა და კვლავაც დაიწერება, მაგრამ მის საუკეთესო დახასიათებად, ალბათ, მამაშენის სიტყვები დარჩება.

ნოდარი:

– ოლიასადმი მიწერილ ბარათს გულისხმობ?

მურმანი:

– სწორედ იმ ბარათს...

ჩაბნელდება.

სურათი მეთერთმეტე

განათდება სცენის ერთი კუთხე. გამოჩნდება მთხრობელი, რომელიც აბესალომის სიტყვებს წარმოთქვამს.

მთხრობელი:

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და გარეშე პოეზიისა, ოცნებისა და მაღლა – მაღლა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს. ამიტომ, დაო, ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს! 7 წელიწადია, სახლში არ ყოფილა, 7 წელიწადია, დედა არ უნახავს, მაგრამ რა ვქნათ, მაინც ლმობიერი უნდა ვიქნეთ, მაინც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი“...

სურათი მეთორმეტე

ჭყვიში. მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე აივანზე საუბარს განაგრძობენ.

მურმანი:

– გასაოცარი სიტყვებია. არ მიკვირს, გალაკტიონს ასე ძლიერ რომ უყვარდა. როგორ განიცადა მისი გარდაცვალება! სამუდამოდ დაიტოვა გლოვის ნიშნად მოშვებული წვერი... ოლია კიდევ ცალკე თემაა. რა ბარათები გამოქვეყნდა! როგორ უყვარს და ესმის გალაკტიონი, როგორ ღელავს მის გამო... თითქოს უცნაურია, რომ აბესალომს მაინც დასჭირდა ძმის გამოსარჩლება...

ნოდარი:

– მოდით, ნუ შევაფერადებთ სინამდვილეს. ოლიას მართლა ძლიერ უყვარდა გალაკტიონი, გრძნობდა და აფასებდა მის ტალანტს, მაგრამ ასეთ გენიოსთან ცხოვრება ნებისმიერ მოკვდავს გაუჭირდებოდა. გალაკტიონს შეეძლო, მთელი დღე და ღამე ჩაკეტილიყო კაბინეტში და ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ ოჯახს პური უნდა. შეეძლო, საათობით მჯდარიყო გაყინულ ოთახში რითმებთან შეჭიდებული და არც კი გახსენებოდა, რომ ნავთი დიდი ხანია, გამოილია...

მურმანი:

– ჩანს, ეჭვიანობაც არ აკლდა მათს სიყვარულს.

ნოდარი:

– კი, ასე იყო. ეჭვიანობდა ოლია, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ეჭვიანობდა გალაკტიონი.

მურმანი:

– და არცთუ უსაფუძვლოდ. შემძრა იმ ეპიზოდის გალაკტიონისეულმა აღწერამ, ოლია რომ მოსკოვიდან ბრუნდება...

ჩაბნელდება.

სურათი მეცამეტე

მკრთალად განათებულ სცენაზე დგანან ოლია და გალკტიონი.

ოლია:

– გეზიზღები, არა?

გალაკტიონი:

– რას ამბობ, ოლია, ჩემთვის შენ ახლა უფრო ძვირფასი ხარ?!

ოლია:

– მე გადამდები სენით ვარ ავად, მაგრამ მე მალე მოვრჩები...სანატორიაში მე გამომიწერეს „გრიაზნიე ბანი“ – გამგზავნეს ყირიმში, მაგრამ ყირიმი შორსაა. მე მინდა პიატიგორსკში ან სხვაგან, უფრო ახლო...გალ! მაშ არ გეზიზღები? არ გეშინია გადამდები სენის?

გალაკტიონი:

– ოლია, რამდენი ხანი იყავი სანატორიაში?

ოლია:

– სამი თვე.

გალაკტიონი:

– რით იყავი ავად?

ოლია თავს დახრის.

გალაკტიონი:

– სთქვი, ოლია, რითი ხარ ავად, უნდა ვიცოდე მე ეგ თუ არა?

ოლია დიდხანს უყურებს და მარჯვენა ხელს გაუწვდის.

გალაკტიონი:

– რა დაემართა, ოლია ხელს?

ოლია:

– ხელი არ მოქმედობს. პროგრესულად ხმება მხარიც...სწრაფად უნდა წავიდე საექიმოდ, თორემ დავიღუპები, გალ.

ოლია გაუჩინარდება. გალაკტიონი მაყურებლისკენ მობრუნდება და წარმოთქვამს მონოლოგს.

გალაკტიონი:

– მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი! მღალატობენ მეგობრები, მღალატობენ ნათესავები, მღალატობს, საზოგადოდ, ბედი, მიღალატა ოლიამაც და მთელ ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ღალატი. ნუთუ ადამიანებს აღარ აქვთ გული? რა საზიზღარი რამ არიან ადამიანები. რად, რად ჩაიდინა ასეთი რამ ოლიამ?! მაგრამ ოლია ავადაა. ავადაა მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცამ მისი ცხოვრების ახლოს გაიარა, ტლანქად და მოურიდებლად. შეიძლება, ეს „ვიღაცა“ ვიყავი თვითონ მე... გრცხვენოდეს, ოლია. შენ მეტად ავად ხარ იმისთვის, რომ როდისმე გაგაგებინო. მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი – არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იყოს შენთვის. მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასეთი შებრალებით მიყვარხარ... შენ კი თუ გსურს, კიდევ მიღალატე, მიღალატე, როგორც მღალატობს ყველა: გალაკტიონ ტაბიძე თავის თავს არ უღალატებს! შენ არ გიღალატია! ვერავინ, ვერავინ გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქო არც მე ვიცი...ხა, ხა, ხა...

(ეჭვსა და ღალატს პოეტი თითქმის სიგიჟემდე მიჰყავს).

სურათი მეთოთხმეტე

ჭყვიში. აივანი, სადაც მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე განაგრძობენ საუბარს.

მურმანი:

– ისე, თუ „ცისფერ ქალში“ ოლია იგულისხმება, მერიზე რაღას უნდა ვთქვათ?

ნოდარი:

– ვერაფერს ვიზამთ, თვითონ გალაკტიონი ასე გვეუბნება: „მერი, კი... ალბად, არსებობდა. იყო ასეთი ქალი.“ ამის მეტს ვერც ჩვენ ვიტყვით.

მურმანი:

– ამიტომ ისევ ოლიას დავუბრუნდეთ. ყველაფრის მიუხედავად, მაინც რა ძლიერ უყვარდა. როგორ განიცადა მისი გადასახლება: „მიემგზავრება იმედი ჩემი ბედის ვარსკვლავის სადარებელი“... ძალიან მგძნობიარე იყო, არა?

ნოდარი:

– საოცრად. ძმაზე თვითონვე თქვი. კიდევ უფრო ტრაგიკულად განიცადა დედის გარდაცვალება.

მურმანი:

– იმ დღიურმაც შემძრა, სწორედ დედის სიკვდილს რომ უკავშირდება. როგორი სიტყვებია: „დავკარგე დედა და მასთან ერთად დავკარგე იმედი, ნუგეში, თანამგრძნობი“...

თუ არ მეშლება, დედის ზმანებაც იმავე დღიურშია.

ნოდარი:

– არ გეშლება...

ჩაბნელდება.

სურათი მეთხუთმეტე

გალაკტიონი ლოგინში ბორგავს. ამ დროს გამოჩნდება დედა (ზმანება), რომელიც შვილს ანუგეშებს.

დედა *(ზმანება):*

– გატუნია, შვილო, რამ დაგაღონა, ბიჭო! შენ, შვილო, ყველასთვის ხარ საჭირო და თუ დაგჭირდება, დამცველი და თანამგრძნობიცა გყავს. გაიხსენე შენი ლექსი, შენი ჭირიმე: „ო, ნანა, ნანა...“

დედა (ზმანება) გაქრება. გალაკტიონი გამოიღვიძებს. სწრაფად ადგება, აიღებს წიგნს და მოძებნის ხსენებულ ლექსს.

გალაკტიონი:

– დედაჩემი, ალბათ, ამ სიტყვებს გულისხმობდა...

უცებ საიდანღაც გაჩნდება თეთრი ანგელოზი, გამოართმევს წიგნს და წაიკითხავს:

კედლით გიმღერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი:
რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას,
წერეთელს, ჭავჭავაძეს სურთ, დაგიჭირონ მხარი
და კიდევ დედაშენის ნანა არ გიცავს განა?..

სურათი მეთექვსმეტე

ჭყვიში. აივანი, სადაც მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე საუბრობენ.

მურმანი:

– ძალიან საინტერესო ქალბატონია მაკრინე. როგორ წერილებს უგზავნის: „სხვა და სხვა ნაირათ სადარდებელო შვილო ჩემო, გალაკტიონ“...

ნოდარი:

– მართლაც სხვადასხვანაირად ჰყავდა სადარდებელი. მაკრინე ჭკვიანი ქალი იყო და ამას თავიდანვე გრძნობდა...

მურმანი:

– რამდენადაც ვიცი, ღვინისადმი მიდრეკილებაც ადრიდანვე შენიშნა...

ნოდარი:

– არა მხოლოდ ღვინისადმი. სხვა რამეც აშფოთებდა. ჯერ კიდევ თვრამეტი წლისა სწერდა დედას, თავს მოვიკლავ და ის იქნება, მობეზრებული მაქვს მაინც ცხოვრებაო. ორჯერ სცადა კიდეც – თავის მოწამვლა სიჭაბუკეში და თავის დახრჩობა სიჭარმაგეში. ორივეჯერ შემთხვევით გადარჩა თუ გადაარჩინეს. პირველი ცდა – 1909 წელს, უკანასკნელი – 1959 წელს. მოხდენილად აღნიშნავს ვახტანგ ჯავახაძე, რომ „ზუსტად ნახევარი საუკუნე სიკვდილს ეთამაშებოდა.“

მურმანი:

– ლექსებშიც აშკარად ჩანს, რომ ბევრს ფიქრობს ამაზე. დიდხანს ებრძვის თვითმკვლელობის დემონს. ებრძვის საკუთარ თავსაც. თვითმკვლელობა ხან სიამაყის გამოვლინებად ესახება, ხან კი – პირიქით. ერთგან კი გასაოცარ რამეს ამბობს: „ მოვიკლავდი თავს, მაგრამ ამით, ჩემო სამშობლოვ, არ მინდა, მძიმე მოგაყენო შეურაცხყოფა.“

ნოდარი:

– ძალიან საინტერესო საკითხს მივადექით – „სამშობლო და გალაკტიონი“. ეს თითქმის შეუსწავლელი თემაა. თითქოს მიწას საერთოდ არ ეკუთვნოდა, მხოლოდ ღრუბლებში ცხოვრობდა, გალაკტიკაში დანავარდობდა და ამ დროს სამშობლოს უმძაფრესად განიცდიდა. ხომ გახსოვს: „უსამშობლოოდ დე, ეს ღვინო გადმექცეს შხამად“... გალაკტიონის პატრიოტული ლირიკა რომ სცენაზე ლოგიკური თანამიმდევრობით წარმოადგინო, ჩვენი სამშობლოს ტრაგიკულ თავგადასავალსაც შეიტყობ და გადარჩენის საიდუმლოსაც...

ჩაბნელდება. მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდება განსაკუთრებული, მხოლოდ ჩანართისთვის განკუთვნილი ფარდა, რომელზეც

დიდი ასოებით აწერია: „სამშობლო უმთავრესია!“ დაიწყება ლირიკული ინტერმედია – გალაკტიონის ლექსებს კითხულობენ მთხრობელი და სამივე ანგელოზი.

მთხრობელი:
სამშობლო არ დაივიწყოთ!
სამშობლო უმთავრესია!
წითელი ანგელოზი:
არ იქნება, რომ სამშობლო
გალაკტიონს არ ახსოვდეს,
არასოდეს, მეგობრებო,
არასოდეს, არასოდეს!
თეთრი ანგელოზი:
გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს
რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს, – ნურავინ ჰგონებს,-
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
მთხრობელი:
გემი ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელს და განიერს,
იგიც ხომ მეზღვაურს
სამშობლოდ ეკუთვნის?
მოხევევ, გახედე
ჩვენს იმერ – ამიერს,
ეყუდვნის თავის თავს?
შავი ანგელოზი:
ქართლის ცხოვრება მძიმეა,
ეკლიანია სავალი,
ცოტაა ია და ვარდი,
დაბრკოლება კი –
მრავალი...
წითელი ანგელოზი:
მტევანი, ვაზის ჯვარი,
ოხვრა ჩემი მამულის,
ტირის ვაზი ობოლი,
მცნობი გზის მეწამულის.
თეთრი ანგელოზი:
მასში დღისა და ღამის

ისახება მარადი
სევდის და სიხარულის
საიდუმლო ბარათი.
მთხრობელი:
მშობლიური ცა უღრუბლო თუა,-
მაინც გარს ტყეა, ნისლია, რუა,
იმ მთაგრეხილზე, იმ ორ ზღვას შუა
დგას მუხა მეხით გადატეხილი....
შავი ანგელოზი:
რაოდენ ფიქრს და ოცნებას იტევ,
სამუდამოდ ჩატეხილო ხიდევ...
წითელი ანგელოზი:
არის ევროპის
ზღუდეთა თანა
ერთი მცირეზე
მცირე ქვეყანა.
ქვეყანაც მცირე,
ცხოვრებაც მცირე!
დაჯექ, იტირე...
იტირე, ნანა.
მთხრობელი:
სამშობლო არ დაივიწყოთ,
სამშობლო უმთავრესია!
თეთრი ანგელოზი:
ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს –
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დიდი ხანია!“
წითელი ანგელოზი:
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია
„ამირანია?“ – მივმართავ კლდეებს
და ტყე გუგუნებს: „ამირანია!“..
მთხრობელი:
ეს მძაფრი გრძნობა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია!’

თეთრი ანგელოზი:
ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ
არ გაიარე, რაა მამული?
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული...
წითელი ანგელოზი:
ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
თქვა: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“
შავი ანგელოზი:
არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს – გული უპირველეს ყოვლისა!
მთხრობელი:
ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა
თავმიდებული აჭარის კალთებს,
რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა,
თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს...
თეთრი ანგელოზი:
სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,
შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვი, -
რომ ქვა არა ვარ, ან ქანდაკება,
არამედ კაცი რწმენით და იჭვით...
წითელი ანგელოზი:
რომ მომავალშიც ავიტან მრავალს
უამინდობას, შიმშილს, სიცივეს,
ოღონდ ვხედავდე ჩვენ წინ მიმავალს
ერთი იმედის შუქს მოციმციმეს.
შავი ანგელოზი:
დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს,
შეურაცხყოფის სუსხსაც ავიტან,
ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს
ჩემი სამშობლოს სანახავიდან.
თეთრი ანგელოზი:
მარტოობასაც ავიტან მწარეს,
უმეგობრობას ავიტან მძიმეს,

ჩემი სამშობლოს სანახავიდან
ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს.
მთხრობელი:
გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! –
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,
მომენატრა მზე სინათლის მფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია...
წითელი ანგელოზი:
სამშობლო არ დაივიწყოთ,
სამშობლო უმთავრესია!
თეთრი ანგელოზი:
ორ ზღვას შუა ძველისძველად
საომარი იყო ლელო,
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო...
შავი ანგელოზი:
უძველეს ხნიდან დაწყებული რუსთაველამდე,
რუსთაველიდან ჩვენამდე რეკს ივერთა ჩანგი.
მასთან უძლური იყო ცეცხლი ასული ცამდე,
ათასი ჩინგის, მაჰმადხანი და თემურ -ლენგი...
თეთრი ანგელოზი:
ახლა კი ჩემთვის ნათელია, თუ ივერიის
მცირეზე მცირე, რიცხობრივად პატარა ერი,
მარად ყოველმხრივ შემორტყმული
უამრავ მტერით,
როგორ გადარჩა და გადარჩა
ის როგორც ერი.
მთხრობელი:
აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება,
ანკარა წყარო, მომჩქეფარე იმ ხალხის გულით,
მის სასიცოცხლო ძალთა ძალა და საზრდოება.
აი, ლირიკა მთელი მისი დიდი წარსულით...
აი, რად უყვართ საქართველო
მსოფლიო ქნარებს,
რად უწოდებენ საქართველოს
მგოსანთა მხარეს....
შავი ანგელოზი:
გემი ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელს და განიერს,

იგიც ხომ მეზღვაურს
სამშობლოდ ეკუთვნის?
მოხევევ, გახედე
ჩვენს იმერ – ამიერს,
ეყუდვნის თავის თავს?
მთხრობელი:
სამშობლო არ დაივიწყოთ,
სამშობლო უმთავრესია!

მთავრდება ინტერმედია. ეშვება ფარდა.

სურათი მეჩვიდმეტე:

ჭყვიში. აივანი, სადაც მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე საუბრობენ.

მურმანი:

– რა გულისმომკვლელია ეს სტრიქონები: „თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები, როგორც მგოსანს შეჰფერის“...

საკითხი ასე რომ დავსვათ: მოეფერა თუ არა სამშობლო გალაკტიონს? ერთი შეხედვით, თითქოს, არაფერი დაჰკლებია – პოეტების მეფედ აღიარება, სახალხო პოეტის წოდება, პოეტ-აკადემიკოსად არჩევა, ორდენები, წიგნების, მათ შორის, რვატომეულის გამოცემა, ბინა, აგარაკი, შეხვედრები, იუბილეები ...

ნოდარი:

– კი, ეს ყველაფერი იყო, მაგრამ გალაკტიონის ცხოვრება მაინც გაბმული ტანჯვაა. შენზე უკეთ ვინ იცის, ჩემო მურმან, ჭეშმარიტი პოეტი ჯვარზე გაკრული ქრისტეა. გალაკტიონი არა მარტო წერდა, უმძაფრესად განიცდიდა, რაც, ცხადია, უკვალოდ არ ჩაივლიდა. ოცდაჩვიდმეტმა წელმა უმძიმესი ანაბეჭდი დატოვა პოეტის სულში. გაჩნდა შიშის გრძნობაც. შიშის დაძლევასა და ჭრილობების დაამებას ხშირად ღვინოში ეძებდა...

მურმანი:

– ოცდაჩვიდმეტი ახსენე. არანაკლებ კი არა, უფრო ტრაგიკული იყო მისთვის, საერთოდ საქართველოსთვის, ოცდაოთხი წელი.

ნოდარი:

– რა თქმა უნდა. მაშინ დააპატიმრეს კიდეც და ციხიდან მეუღლემ იხსნა. მოგეხსენება, ოლიას ძმა დიდი თანამდებობის პირი იყო...

ჩაბნელდება.

სურათი მეთვრამეტე

განათებულია სცენის მარცხენა კუთხე. აღელვებული ოლია შინსახკომის მისაღებშია. უფროსთან არ უშვებენ.

ოლია *(ვახტიორს):*

– მიდი, ჩემი სახელი უთხარი და მეტი არაფერია საჭირო.

ვახტიორი:

– არ შეიძლება, ამხანაგო!

ოლია:

– მაშინ დამარეკინეთ! *(მივა ტელეფონთან და დარეკავს).*

ოლია:

– კოტე, მიშველე, გალაკტიონი გყოლიათ დაპატიმრებული!

კოტე *(ისმის ხმა):*

– ნუ ნერვიულობ. წადი და ნახევარ საათში შინ მოვა...

ოლია:

– არა, დაველოდები!

კოტე:

– შენი ნებაა. მე გითხარი, რომ ნახევარ საათში გამოვუშვებთ...

ოლია წამოვა. მიდის დაფიქრებული. ცოტა ხნის შემდეგ აედევნება გალაკტიონის – წელში შესამჩნევად მოხრილი პოეტის ლანდი...

სურათი მეცხრამეტე

ჭყვიში. აივანი, სადაც მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე საუბრობენ:

მურმანი:

– დააპატიმრებდნენ, აბა რას იზამდნენ, ისეთი სტრიქონებია პოემაში, რომლის გამოც „მნათობის“ მთელი ნომერი გაანადგურეს. რბის ორი ძაღლი და ერთმანეთს პირიდან გლეჯენ ხორცის ნაფლეთებსო, – პირდაპირი მინიშნება იყო ბოლშევიკებსა და მენშევიკებზე.

ნოდარი:

– მკვდრებით სავსე მატარებელი?! – ესეც ხომ 24 წლის პირდაპირი გამოძახილია. ამის გამო, რეზი თვარაძემ მთელი თავი ჩაამატა თავის წიგნში. მეტად საყურადღებო ჩანართია, საინტერესო დაკვირვებებითა და ანალიზით. დამაჯერებელია ის თვალსაზრისი, რომ პოემის წერა გალაკტიონმა 1921 წელს დაიწყო, მაგრამ ხსენე-

ბული სტრიქონები 1924 წლის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ჩაამატა.

მურმანი:

– გალაკტიონი ციხეში! ჩანს, ამან შესამჩნევი დაღი დაასვა მის ცხოვრებას.

ნოდარი:

– ბუნებრივია.

მურმანი:

– მართალია, რომ ამის შემდეგ ხმაც შეიცვალა?

– ნოდარი:

– მართალია. გალაკტიონს არაერთი ნიღაბი ჰქონდა თავდასაცავად. ერთ-ერთი ესეც იყო.

მურმანი:

– ლოთობაც ნიღაბი იყო?

ნოდარი:

– რა თქმა უნდა. ამას აკაკი დვალიშვილის მოგონებაც ადასტურებს. მასთან, როგორც კულტურის მინისტრის მოადგილესთან მიდის გალაკტიონი და იუბილესთან დაკავშირებით ეთათბირება.

სურათი მეოცე

კულტურის მინისტრის მოადგილის კაბინეტი. აკაკი დვალიშვილი სიხარულს ვერ მალავს, ხუმრობა ხომ არ არის, თვით მეფე – პოეტი ეწვია. გალაკტიონი საუბარს ადრინდელი (ნამდვილი, ბოხი) ხმით დაიწყებს.

გალაკტიონი:

– ქართულმა მწერლობამ გადაწყვიტა, იუბილე გადაუხადონ გალაკტიონს (უეცრად ხმას შეიცვლის და ჩაიქირქილებს)... რას მოესწრო ამას გალაკტიონი! ხედავ, რას მოვესწარი, ძამიკო? ქართულმა მწერლობამ გადაწყვიტა!

აკაკი დვალიშვილი:

– ყველაფერი ისე იქნება, როგორც პოეზიის მეფეს შეშვენის...

გალაკტიონი:

– თუ ასეა, მაშინ ეს პატარა თხოვნაც შემისრულეთ: აფიშა ასეთი უნდა იყოს (ჩანთიდან ამოიღებს ესკიზს და აჩვენებს): ოპერის თეატრის ქუდი; ქვემოთ, შუაში – „50“, ზედ, დიაგონალურად, უფრო მკვეთრი ასოებით – „გალაკტიონი“; მთელ სივრცეზე ჩამოღვენთილი მსუყე – წითელი საღებავის ლაქები...

აკაკი დვალიშვილი (*საკმაოდ შეშფოთებული, მაგრამ ვითომ მიამიტური გამომეტყველებით):*

– ეს წითელი ლაქები რას ნიშნავს?

გალაკტიონი:

– ეს სისხლის წვეთებია, ძამიკო, გალაკტიონის სისხლის წვეთები.

მინისტრის მოადგილე, უხერხულობის დასაფარავად, სეიფიდან კონიაკს გამოიღებს. გახსნის და ჭიქებს შეავსებს ...

აკაკი დვალიშვილი:

– დავლოცოთ იუბილარი. ბედნიერი ვარ, რომ განგებამ მეორედ შემახვედრა საქართველოს პოეტების მეფეს.

გალაკტიონი:

– მადლობელი ვარ, ძამიკო...

სასმისს ოდნავ შეეხება, შემდეგ კონიაკს ხელისგულზე დაისხამს, წვერ-ულვაშზე ოდეკოლონივით მიისვ-მოისვამს, ოთახის კედლებს მოათვალიერებს და მზერას გიგო გაბაშვილის იმ ნახატზე შეაჩერებს, „ხევსურთა ბრძოლა“ რომ ჰქვია...

გალაკტიონი:

– დიდებულია, დიდებული!..

სურათი ოცდამეერთე

ჭყვიში. აივანი, სადაც მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე საუბრობენ.

მურმანი:

– მთავარი ნიღაბი კი შესანიშნავად დაახასიათა ოთარ ჩხეიძემ: „დიდი ტრაგიკომიკოსი დიდ ეროვნულ ტრაგედიაში.“

ნოდარი:

– გეთანხმები. არაჩვეულებრივი ფორმულაა...

მურმანი:

– გალაკტიონმა ნამდვილად იცხოვრა თავისი ქვეყნის ცხოვრებით. სამშობლოსავით ევნო და ეწამა... თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არც სახელ-დიდება დაჰკლებია...

ნოდარი:

– და მაინც, ყველაფერი ეცოტავებოდა. მას გაცნობიერებული ჰქონდა საკუთარი სიდიადე და შესაფერის დაფასებასა და აღიარე-

ბას მოითხოვდა. მაგალითად, უნდოდა, რომ სამტრედიისთვის საგალაკტიონო დაერქმიათ...

მურმანი:

– ერთხელ ვკითხე, სრულიად ფხიზელს, მეორე პოეტი ვინ არისმეთქი. არ მიპასუხა. მხოლოდ ეშმაკურად გაიღიმა.

სურათი ოცდამეორე

ჩაბნელდება. განათდება სცენის ერთი კუთხე. გამოჩნდება წითელი ანგელოზი, რომელიც წარმოთქვამს მურმან ლებანიძის ლექსს:

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის):
ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დამისახელეთ მეორე პოეტი.
უცებ ჭინკებით აევსო თვალი
(თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი),
საქართველოში? – ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე გადისვა ბრჭყალი...

სურათი ოცდამესამე

ჭყვიში. აივანი, სადაც მურმან ლებანიძე და ნოდარ ტაბიძე საუბრობენ.

ნოდარი:

– ერთხელ მეც ჩავეძიე, თქვენს შემდეგ მეორე პოეტად ვინ უნდა ვიგულვოთ- მეთქი. არ არის ურიგო პოეტიო, – მითხრა და ისეთი ვინმე დამისახელა, სიცილი ვერ შევიკავე. ირონია გამანადგურებელი ჰქონდა. ამიტომაც ბევრი ემტერებოდა.

მურმანი:

– „და მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“. მართლა არ იცოდა?

ნოდარი:

– მტრობა არ იცოდა, მაგრამ კოლეგებისთვის ნერვების მოშლა ეხერხებოდა. აბა ვინ გაპატიებს ამის თქმას: „ვწუხვარ, ერთადერთი ვარ“, ანდა ამას: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“...

მურმანი:

– გალაკტიონისგან ეს სრულიად ბუნებრივად ისმის. ძალი შესწევდა ქადილისა...

ნოდარი:

– მაგრამ მტრებს ეს ქადილიც უმრავლებდა...

მურმანი:

– თვითმკვლელობამდეც იმათ მიიყვანეს. სულს მიყინავს მისი ერთი ჩანაწერი: „მე მინდა ვუთხრა ჩემს უსინდისო მტრებს: წყნარად! არავითარი უფლება არ გაქვთ, ხმამაღლა მელაპარაკოთ! მე ყოველთვის მზად ვარ სიკვდილისათვის.“ არადა, ბევრი ელაპარაკებოდა ხმამაღლა...

ნოდარი:

– სამწუხაროდ, ასეა, ოღონდ, ჩემთვის ეს არ არის თვითმკვლელობა. ვერავინ დამარწმუნებს, რომ მესამე სართულიდან გადმოხტომა შეგნებული აქტი იყო. გალაკტიონმა წარმოიდგინა ზღვა და მის „ტალღებში“ გადაეშვა...

მურმანი:

– სხვათა შორის, წავიკითხე ერთი შენი შეგირდის საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, რომ გაფრენაზე ბევრი პოეტი ოცნებობდა, ერთ-ერთი იმასაც კი ამტკიცებდა, გაფრენა ძალიან ადვილია, თუკი მკლავების გაშლას გაბედავ. მკლავების გაშლა კი მხოლოდ გალაკტიონმა გაბედა. მეც დავწერე: „გალაკტიონმა, ვიცით, თვითონ გაშალა ფრთები“. და მაინც, ეს პოეტური ახსნაა, რასაც უმეტესობა არ იზიარებს. რაც მთავარია, არ გეთანხმება შენი განუყრელი მეგობარი ვახტანგ ჯავახაძე, ვინც შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა გალაკტიონს. იქ ცამეტი არგუმენტი მოჰყავს შენი თვალსაზრისის გასაბათილებლად...

ნოდარი:

– წიგნი მართლაც შესანიშნავია, მაგრამ მე და ვახტანგი ამ საკითხში ვერ შევთანხმდებით. სხვათა შორის, თემურ დოიაშვილს კიდევ უფრო განსხვავებული და მკაცრი პოზიცია აქვს – გალაკტიონის გადმოხტომას მკვლელობასა და წიწამურის განმეორებას უწოდებს.

მურმანი:

– ვახტანგ გურგენიძემაც ჯერ კიდევ როდის დაწერა, გალაკტიონი ჩვენ მოვკალით. გულცივობით, უყურადღებობითა და შეურაცხყოფითო. ანუ მთავარში ყველანი ვთანხმდებით: გალაკტიონი სიკვდილამდე მიიყვანეს. ბევრმა კოლეგამ გაუმწარა სიცოცხლე. ეს ხომ მისი გარდაცვალების დღეებშიც გამოჩნდა.

ნოდარი:

– რას გულისხმობ?

მურმანი:

– იმას, რაც გალაკტიონის იუბილეზე მუხრან მაჭავარიანმა ხმამაღლა თქვა: როცა გალაკტიონი გარდაიცვალა, მწერალთა სასახლიდან მისი გასვენების საკითხი საორჭოფოდ იქცა: პოეტმა, ვისაც მაშინ ჭკუას ეკითხებოდნენ, უტიფრად იკითხა: „აქედან რომ გავასვენოთ, ხალხი მოვა?“ არადა, ხალხი იმდენი მოვიდა, თბილისს ილიასა და აკაკის დაკრძალვის შემდეგ რომ არ უნახავს...

სურათი ოცდამეოთხე

ჩაბნელებულ სცენაზე აენთება უზარმაზარი ეკრანი, სადაც მოჩანს ზღვა ხალხი, გალაკტიონის კუბოს რომ მიჰყვება.

ამ დროს განათებულია მხოლოდ ერთი ადგილი სცენის შუაგულში, სადაც დგას მთხრობელი და წარმოთქვამს გალაკტიონის ლექსს.

მთხრობელი:

მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება,
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე...

ჩაბნელდება.

სურათი ოცდამეხუთე

განათებული სცენის შუაგული. ჭყვიში. ოთახში, სადაც ახალგაზრდა გალაკტიონს სძინავს, მზის სხივი შეჭრილა... ახლად გაღვიძებული ჭაბუკი, რომელიც გვიანობამდე დიკენსის „დიდ იმედებს“ კითხულობდა, ფანჯარას მიეჭრება და მზის სხივს კოცნას დაუწყებს. ამ დროს ოთახში შემთხვევით შემოვა დედა, რომელსაც ნანახი შეაშფოთებს.

დედა:

– შვილო, შვილო, გადაირიე, შვილო?!

გამარჯვება ღანგარზე და სამოცდათხუთმეტწლიანი უსუღგულობა

პავლე ინგოროყვას სენსაციური აღმოჩენა

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“ – ლამის გვეჩხუბებოდა ილია ჭავჭავაძე.

„ძმავ ინგოროყუ, პოეტო ადრე და მერე დარდო წარსულ დიდების“ – მიმართავდა პაოლო იაშვილი ერთ-ერთ ყველაზე დიდ ილიელს.

ეს იყო, ალბათ, ერთადერთი საკითხი, სადაც პავლე ინგოროყვა თავის სათაყვანებელ ილია ჭავჭავაძეს არ უჯერებდა. შეაჭმევინა კიდეც საკუთარი სხეული წარსულ დიდებაზე დარდს და, რაც მთავარია, მის კვლევასა და სამზეოზე გამოფენას. შემთხვევით არ აღნიშნავდა კონსტანტინე გამსახურდია: „არც ისე მაგარი ფიზიკური კონსტიტუციის მიუხედავად, მაშინაც არ ეშვება საწერ მაგიდას და სტამბას, როცა მისი ჯანმრთელობა კატასტროფის ზღურბლზეა მისული“...

* * *

უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტური წლებიდან ერთ-ერთ ყველაზე მძაფრ შთაბეჭდილებად გამომყვა შეხვედრა, რომელიც პავლე ინგოროყვას დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა. მაშინ როსტომ ჩხეიძეს პირადად არ ვიცნობდი და არც ის ვიცოდი, რომ ეს, ფაქტობრივად, არალეგალური საღამო, ძირითადად, მისი მოწყობილი იყო.

ყველაზე მკაფიოდ კი იმ საღამოდან აკაკი ბაქრაძის ეს ფრაზა დამამახსოვრდა: „იმ დროს, როცა მეცნიერებათა აკადემია ჩიტირეკიებით გაივსო, პავლე ინგოროყვასთვის იქ ადგილი ვერ მოიძებნა“.

* * *

წლების შემდეგ ბატონ თამაზ ჩხენკელს ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემაზე ვესაუბრები.

კითხვა: ბატონო თამაზ, გასაგებია, რას ამტკიცებს ივანე ჯავახიშვილი, რას – რამაზ პატარიძე, ის (ცნობილზე ცნობილ აკადემიკოსს ვუსახელებ) რას ამტკიცებს?

პასუხი: ეგ არაფერს არ ამტკიცებს.

სხვათა შორის, იმავე აკადემიკოსზე ერთხელ ბაჩანა ბრეგვაძეს ვკითხე: „ვეფხისტყაოსანი“ კარგად იცის?

პასუხი: საერთოდ არ იცის.

* * *

ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა იმდენად რთულია, რომ „არაერთი ზედ მიემსხვრა გემი“.

მხოლოდ დიდმა და ძლიერმა ხომალდებმა გაუძლეს.

შესაძლოა, ერთ ადგილას ხანგრძლივად დგომა მოუხდათ, მაგრამ, რაც მთავარია, დამსხვრევას გადაურჩნენ და უკვე ისევ ადგილიდან დაძვრა დაიწყეს.

ერთ-ერთ ხომალდს პავლე ინგოროყვა ჰქვია.

ამ ხომალდის საჭესთან დღეს სამი მეცნიერი დგას: როსტომ ჩხეიძე, მარიამ ნინიძე და ლადო ჭელიძე.

კაპიტანი, რა თქმა უნდა, როსტომია.

ვინც პავლე ინგოროყვას დაკრძალვის დღეს ქაშვეთის ზარების დარისხებას არ შეუშინდა, კაპიტნობაშიც ვერავინ შეეცილება.

„როდესაც სამგლოვიარო პროცესია ძვირფასი ნეშთით მიუახლოვდა ქაშვეთის ეკლესიას, უცბად აწკრიალდა ქაშვეთის ზარები. სამრეკლოზე ხელაპყრობილი ჭაბუკი ღმერთს ავედრებდა განსვენებულის სულს და თავგამეტებით რეკდა ზარებს... ერთგულნი დარაჯები სისტემისა, მაშინ სისტემა ჯერ კიდევ ძალმოსილი იყო, გაექანნენ ქაშვეთის ეკლესიისაკენ, რათა გაებაწრათ ეს „მკრეხელი“., მაგრამ ჭაბუკი მისგან მოულოდნელი სპორტული ილეთით თავს გადაევლო ღობეს და გაუჩინარდა, ხოლო შემდეგ ვითარცა ჭეშმარიტი ჭირისუფალი, თავს ედგა სასაფლაოზე დასვენებულ ბატონ პავლეს ცხედარს“ (რ. ბარამიძე)...

* * *

რას ამბობს ქართული ანბანის წარმოშობაზე პავლე ინგოროყვა? – ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავეცნოთ პატარა წიგნს, რომელიც დიდ სათქმელს იტევს.

პავლე ინგოროყვა. „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა (პირველი საუკუნე ახალი წელთაღრიცხვისა)“ – ეს წიგნის ღერძია, მაგრამ მცირე ფორმატის ასგვერდიანი კრებული კიდევ ბევრს მოიცავს: აქვეა როსტომ ჩხეიძის შესავალი („სენსაციური აღმოჩენის კვალზე“), მარიამ ნინიძისა და ლადო ჭელიძის გამოკვლევა („ქართული დამწერლობის მოდელი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ქართული წარწერები“), ნინო დეკანოიძის რეპორტაჟი („ერთი შეხვედრა დიდი გაკვეთილიდან“), ლადო ჭელიძის სტატია („საიდან დავიწყოთ?“).

ამ წიგნს, ამ აღმოჩენას „საქართველოს რესპუბლიკამ“ უკვე ორი პუბლიკაცია მიუძღვნა.

ღმერთი სამობითაა, თუმცა, რაკი ეს უმნიშვნელოვანესი ეროვნული საკითხი, ესოდენ პოპულარულ პორნოვიდეოთა ფონზე, სხვას არავის აინტერესებს, ხსენებულ გაზეთს, ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოუწევს მისთვის ადგილის დათმობა.

და ვინ იცის, გაზაფხული ერთი მერცხლის ჭიკჭიკმაც მოიყვანოს...

თავის დროზე, პავლე ინგოროყვაც ხომ, არსებითად, მარტოკაცი ეჭიდებოდა ურთულეს პრობლემას.

მარტოკაცი და თანაც, არაერთგზის შერისხული...

* * *

და მაინც, ყველასათვის გასაგებად, რას გვეუბნება პავლე ინგოროყვა?

მოვუსმინოთ ლადო ჭელიძეს:

„1940 წლის ნოემბერში არმაზის საპიტიახშო ნეკროპოლში აღმოჩნდა ვერცხლის ლანგარი და გამარჯვების სტელა...

ლანგრის ფსკერის შუაგულ ადგილას, წრით შემოვლებულ არეში, მოჩანს ორი ნიშანი...

ცნობილი მეცნიერი პავლე ინგოროყვა თავის მეტად საყურადღებო გამოკვლევაში „ქართული დამწერლობა ანტიკური ხანისა“ (ენიმკის მოამბე X 1941წ. ეს შრომა გადმობეჭდილია მეცნიერის თხზულებათა IV ტომში) განიხილავს ამ ნიშნებს პალეოგრაფიული თვალსაზრისით და მათ ასოებად მიიჩნევს, „რომლებიც აღნიშნავს ლანგრის პატრონის ინიციალებს“. მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლანგრის ეს მეორე წარწერა შესრულებულია ტიპური მოხაზულობის ქართული ასომთავრული დამწერლობით... საჭიროა, ჯეროვანი ყურადღებით მოვეპყრათ ამ მოსაზრებას და მაშინ შე-

საძლებელი გახდება, ქართული დამწერლობის რეალური ისტორია დავიწყოთ არა პალესტინის წარწერით (Vს. – ის I ნახევარი), არამედ ჩვ. წ. – ის I საუკუნიდან, რომლის დამადასტურებელი ეპიგრაფიკული ძეგლები სახეზე ჩანს“.

ამას ლადო ჭელიძე აღმოჩენიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ დაწერს.

მანამდე რა ხდებოდა?

აქ უკვე როსტომ ჩხეიძეს უნდა მოვუსმინოთ:

„სხვა დროსა და სხვა ქვეყანაში ასეთ აღმოჩენას სენსაციური დაერქმეოდა და შესაბამისი გამოძახილიც მოჰყვებოდა – სახალხოც და სამთავრობოც, ფარზე რომ აზიდავდნენ და მთელი მსოფლიოს წინაშე მოიწონებდნენ თავს.

არ იქნებოდა თავმოსაწონებელი თუ რა!

და მეცნიერსაც საკადრის პატივს მიაგებდნენ.

მაგრამ 1941 წელს...

მაგრამ რუსეთის წითელი იმპერიის სამხრეთ პროვინციად გადაქცეულ საქართველოში...

მიიკარგებოდა „ენიმკის მოამბის“ ის მე – 10 ნომერი... მიიჩქმალებოდა...

და ლამის სამუდამოდაც... “

მადლობა ღმერთს, არა სამუდამოდ.

ამას ეს მოცულობით მცირე, მაგრამ მნიშვნელობით დიდი წიგნი გვიდასტურებს.

* * *

და რა უნდა, რა ამოძრავებს ამ წიგნის გამომცემელს – როსტომ ჩხეიძეს?

75 წელი გასულა პავლე ინგოროყვას სენსაციური აღმოჩენიდან.

ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი: დიდი მეცნიერის პოზიციის გასამაგრებლად, მისი მიგნების თვალნათლივ და ხელშესახებ დასტურად, 75 წლის შემდეგ, ჩვენს წინაშე გადახსნილა გრაკლიანის სამაროვანი, რომლისთვისაც ჯერჯერობით ისევე მიუყრიათ მიწა, როგორც თავის დროზე, ინგოროყვას აღმოჩენისთვის.

როსტომ ჩხეიძის მთავარი სათქმელიც ეს არის:

„ერთმანეთისაკენ მიილტვის ეს ორი ძეგლი.:

გრაკლიანის იეროგლიფური წარწერა და არმაზული ასომთავრული.

და ნუღა გადავდებთ მათ შეკავშირებასა და ერთობლივად გატანას საერთაშორისო ასპარეზზეც...

დამარხვა არ აკლია არც ერთსა და არც მეორეს.

და დაე, დადგეს, ბოლოს და ბოლოს, ჟამი მათი ჯეროვანი გაბრწყინებისაც“.

* * *

და ვინ უნდა იზრუნოს ჯეროვან გაბრწყინებაზე? – რა თქმა უნდა, იმ აკადემიამ, რომელმაც თავის დროზე პავლე ინგოროყვა ახლოსაც არ გაიკარა და ახლა ცოდვის გამოსყიდვის შანსი ეძლევა.

რა თქმა უნდა, ჯეროვან გაბრწყინებაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ – შესაბამისმა სამინისტრომ.

* * *

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი“ – ლამის გვეჩხუბებოდა ილია ჭავჭავაძე.

„ძმავ ინგოროყუ, პოეტო ადრე და მერე დარდო წარსულ დიდების“ – მიმართავდა პაოლო იაშვილი ერთ-ერთ ყველაზე დიდ ილიელს.

ეს იყო, ალბათ, ერთადერთი საკითხი, სადაც პავლე ინგოროყვა ილია ჭავჭავაძეს არ უჯერებდა.

ზოგჯერ შეიძლება, თვით ილიასაც არ დაუჯერო.

ოღონდ, თუ პავლე ინგოროყვა ხარ...

ორი აზრი ერთ ქანდაკებაზე

რევაზ ინანიშვილის „ბატონი ბატონი კონსტანტინე“ და ზვიად გამსახურდიას მიმტევებლობა

ესეს, იაკობ ნიკოლაძეს რომ მიუძღვნა, კონსტანტინე გამსახურდიამ ეპიგრაფად მიქელანჯელოს ეს სიტყვები წარუმძღვარა: „ო, ღმერთო, ღმერთო, რა ძლიერი ხარ შენ ჩემში!“

ეპიგრაფმა უკვე გაამჟღავნა მოქანდაკის მიმართ მწერლის დამოკიდებულება, რაც კიდევ უფრო ნათელი გახადა ესეს ამგვარმა დასაწყისმა: „ხელოვანი უცილოდ უნდა გრძნობდეს ღვთის ძალას, მის გულში გახმაურებულს. განსაკუთრებით მოქანდაკეს სჭირია ეს – გრანიტის გულცივობასთან და მოუხეშაობასთან მებრძოლს“.

დარწმუნებული ვარ, თენგიზ კიკალეიშვილის გულშიც ხმაურობდა ღვთის ძალა, როცა გრანიტის გულცივობასა და მოუხეშაობას კონსტანტინე გამსახურდიას სახის შესაქმნელად ებრძოდა.

თუმცა ბრძოლისა და შემოქმედების ნაყოფი ყველამ ერთნაირად ვერ მიიღო.

ბევრმა შარჟადაც კი აღიქვა, რაც დაუჯერებელი ვერ იქნებოდა მწერლის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების ფონზე.

მაგრამ ისიც ყველამ უწყოდა, თენგიზ კიკალეიშვილი საბჭოური დაკვეთების უსიტყვოდ შემსრულებელი რომ არ იყო.

მაშ, რა მოხდა? რით უნდა ახსნილიყო ის, რაც ამ უდავოდ საინტერესო ქმნილებაში არ მოგვწონდა?

ყველაფერს ნათელს ჰფენს ზვიად გამსახურდიას სტატია, რომელიც 1984 წელს კი დაიწერა, მაგრამ გამოქვეყნება მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში მოხერხდა.

* * *

რამდენი მითი მოგვისმენია ზვიად გამსახურდიას დაუნდობლობასა და სუბიექტურობაზე?!

აღნიშნული სტატია კი სრულიად საწინააღმდეგოს გვიდასტურებს.

როგორი დიდსულოვნებით ცდილობს ქანდაკებისა და მისი ავტორის დაცვას?!

როგორი დამაჯერებლობით გვიხსნის და გვითვალსაჩინოებს იმის მიზეზებს, რაც თვითონაც არ მოსწონს?!

* * *

1989 წელს ეს სტატია რეზო ინანიშვილს, ცხადია, წაკითხული ვერ ექნებოდა.

ძნელი სათქმელია, შეიცვლიდა თუ არა აზრს ქანდაკებაზე, მაგრამ ბევრი რამ მისთვისაც ნათელი გახდებოდა და მოქანდაკესაც ადვილად მიუტევებდა. 1989 წელს კი მისთვის უჩვეულო კატეგორიულობით წერდა: „მოქანდაკეს ნამეტანი გამბედაობა გამოუჩენია მწერლის წინაშე... ასეთი შეთამამების უფლებას არავის მისცემდა ბატონი კონსტანტინე.“

ინანიშვილის ასეთი გაბრაზება არ გაგვიკვირდება, თუ სტატიას თავიდან ბოლომდე წავიკითხავთ და იმ დიდ თაყვანისცემას დავინახავთ, რითაც კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ ყოფილა გამსჭვალული. ჯერ მარტო სათაური რად ღირს?! „ბატონი ბატონი კონსტანტინე“ – ეს ხომ არაჩვეულებრივი მიგნებაა, დიდი სიყვარულისა და მოწიწების გამომხატველი.

მაინც რა არ მოეწონა რეზო ინანიშვილს?

ამ კითხვაზე პასუხს სტატიის ერთი პასაჟითაც მივიღებთ:

„სულ პირველად რომ კოწია უწოდა ერთმა ჩვენმა ტექნიკუმის მასწავლებელმა ბატონ კონსტანტინეს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პატარა წრეში, თავზარი დამეცა. ახლა ვფიქრობ: ქართველებს გვიყვარს სიდიდეთა ჩვენთვის სასიამოვნო ზომამდე დაპატარავება. ის მასწავლებელიც ლიტერატორი იყო, ლექსების პატარა წიგნიც მინახავს მისი. და აი, – კოწიაო! ვერ იქნა და ვეღარ მივიბრუნე გული იმ მასწავლებლისაკენ. ასევე დამემართა ბატონი კონსტანტინეს ძეგლის ნახვისას თბილისში“.

„ქართველებს გვიყვარს სიდიდეთა ჩვენთვის სასიამოვნო ზომამდე დაპატარავება“ – ილიასებურ მწარე სიმართლეს ამბობს რეზო ინანიშვილი, მაგრამ შეუძლებელია, თენგიზ კიკალეიშვილს ასეთი სურვილი და მიზანი ჰქონოდა.

მაშინ რა მოხდა?

მივუბრუნდეთ ზვიად გამსახურდიას (მისი სიდიდის „სასიამოვნო ზომამდე“ დაპატარავებაც რამდენმა უბადრუკმა სცადა?!).

ზვიადს ახლო ურთიერთობა ჰქონია მოქანდაკესთან და ძეგლზე მუშაობისას, როგორც მწერლის ვაჟი, მისი არაოფიციალური კონსულტანტიც ყოფილა.

მას უნახავს პირველი ესკიზი, რის გამოც გულწრფელ აღტაცებას გვიზიარებს: „განმაცვიფრა მოქანდაკის ნიჭმა, გაბედულებამ, თავისუფალმა მანერამ შემოქმედებითი ძიებისა, ვნახე მამაჩემი. ჩოხოსანი, ქორულად მზირალი, თავის მუხის სავარძელში ჩამჯდარი, მარჯვენათი მას ჩაებღუჯა მუხლებზე გადებული თავისი ვეება სვანური სატევარის ვადა, ხოლო მარცხენათი წინ წამოეწია ფეხზე დამდგარი წიგნი (ეს წიგნი დღეს დაწოლილია და უკან მიჩქმალული. ეს ყოველივე განსაკუთრებულ ექსპრესიას აძლევდა ქანდაკებას. აქ ორი საწყისი იყო გაერთიანებული: მწერალი და მებრძოლი, მწიგნობარი და მებრძოლი“.

მაგრამ ზვიადს მოსწონდა და მთავრობა იცინოდა.

ოფიციალურ პირებს სწორედ ის არ მოეწონათ, რითაც ზვიადი იყო აღფრთოვანებული. ის კი არა, მოქანდაკეს ჩოხაზეც კი უარი ათქმევინეს.

ზვიად გამსახურდია ამას, ცხადია, ვერ შეეგუებოდა, რადგან „ჩოხა სიმბოლო იყო კონსტანტინე გამსახურდიასთვის, სიმბოლო ეროვნული მრწამსისა, სიმბოლო ზოგადკავკასიური ერთიანობისა. მეოცე საუკუნეში მცხოვრები კონსტანტინე გამსახურდია ოდესმე ისევე სიმბოლურად იქნება აღქმული, როგორც ჩოხოსანი შამილი – მეცხრამეტეში, სიმბოლო კავკასიის თვითმყოფადობისა, კავკასიის წინააღმდეგობისა“.

მოქანდაკე ცდილობდა ზვიად გამსახურდიას დარწმუნებას, რომ ამით ქანდაკება არაფერს დაკარგავდა, მაგრამ აბა, როგორ დაარწმუნებდა?!. აქ კი გამოჩნდა ზვიადის შეუვალობა, მართალია, ხვდებოდა, რომ მოქანდაკეს ჩოხაზე უარი საკუთარი ნებით არ უთქვამს, მაგრამ მაინც: „თუ ასე წარიმართება საქმე, შენი ქანდაკების პირველი მტერი მე ვიქნები – მეთქი, – ვუთხარი და წამოვედი გაგულისებული“.

ზვიადის პრინციპულობამ თავისი ჰქნა – ჩოხა გადარჩა, თუმცა, ცენზორებმა მაინც ბევრი რამის გაფუჭება შეძლეს. ზვიადი დანანებით წერს, რომ ვერ მიაღწია სატევრისა და წიგნის პირველადი მდგომარეობის აღდგენას, რითაც ქანდაკებამ დიდად წააგო.

ამის მიუხედავად, ზვიად გამსახურდია ძეგლს მთლიანობაში მაინც დადებითად აფასებს და შესაშურ მიმტევებლობას იჩენს მოქანდაკის მიმართ და საყვედური, არსებითად, სურვილის გამოთ-

ქმამდე დაჰყავს: „მე მსურდა, მოქანდაკეს მეტად გამოევლინა ის სულიერი დინამიზმი, რომელიც სჭვიოდა ქანდაკების პირველად მაკეტში და რომელსაც მან, გასაგები მიზეზების გამო, ვერ უერთგულა“.

„გასაგები მიზეზები“ კი, მართლაც, ადვილად გასაგებია...

* * *

მაგრამ რა ვუყოთ რეზო ინანიშვილს?

მისი ესე (მოგონება) ხომ იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა აფასებდეს მწერალი მწერალს?

რა აშფოთებდა ინანიშვილს?

რამ გაახსენა მასწავლებელი, რომელმაც ბატონი ბატონი კონსტანტინე... კოწიად მოიხსენია?

ზვიადმა ეს საკითხიც დიდსულოვნად, ტაქტითა და ჩვეული სიღრმით განმარტა: „რაც შეეხება დონ – კიხოტურ იერს ქანდაკებისას, მე მსურს, აღვნიშნო, რომ დონ – კიხოტი იყო უსაყვარლესი ლიტერატურული გმირი კონსტანტინე გამსახურდიასი... დონ – კიხოტური საწყისი, მართლაც მძლავრობდა მის ხასიათში... ასე რომ, დონ – კიხოტური იერი ქანდაკებისა გამარჯვებაა მოქანდაკისა“.

* * *

სტატიის ბოლოს ზვიად გამსახურდია ერთ მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის და საბჭოთა ცენზურისაგან დაზარალებული ქანდაკების პირვანდელი ჩანაფიქრით გაცოცხლების რეალურ გზას მიუთითებს: „ყველას, ვისაც კეთილი სურს ამ ძეგლისათვის, უნდა იბრძოლოს (წერილებით, განცხადებებით, აზრის გამოთქმით), რათა ბრინჯაოში ჩამოსხმისას აღდგეს მისი პირველადი მაკეტი, რითაც ძეგლიც მოიგებს და ხელოვანის პრესტიჟიც“.

ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ 35 წელია გასული.

დიდი ქართველი მწერლის ძეგლი კი დღესაც ელის ბრინჯაოში ჩამოსხმას.

ვიდრე ეს არ მოხდება, მანადე ძალაში იქნება ზვიად გამსახურდიას ეს სიტყვებიც: „კონსტანტინე გამსახურდია ჯერაც არ არის სათანადოდ აღიარებული და დაფასებული თავის სამშობლოში, მე, ცხადია, ვგულისხმობ ოფიციალურ აღიარებას, ისეთ აღიარებას, როგორც ეკადრება მსგავს მწერალს“.

ვაი რომ, თვითონ ზვიად გამსახურდიაზეც, საქართველოს პირველ პრეზიდენტზეც, იგივე ითქმის...

ქვის გათლიდან ტაძრის აშენებამდე

მიხეილ თუმანიშვილის პუბლიცისტური ნააზრევი

„ქალაქ შარტრში შევიდა მწირი, მოედანზე ქვისმთლელები დაინახა და ჰკითხა: აქ რას აკეთებთო? ორმა უპასუხა: ქვებს ვთლითო. მესამემ კი ამაყად მიუგო – შარტრის ტაძარს ვაშენებთო“.

ამ ამბავს მიხეილ თუმანიშვილი უყვება მსახიობს, რომელმაც განუცხადა, ჩვენი პროფესია – ეს ჩვეულებრივი სამუშაოაო.

„ვფიქრობ, ამაშია საქმის არსი“, – დასძენს რეჟისორი.

ჩვენი აზრით, მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი ბუნების გასაღებიც აქ დევს: ის, უბრალოდ, სპექტაკლებს კი არ დგამდა, თეატრს აშენებდა – თავის თეატრს, თავის ტაძარს.

თეატრს აშენებდა მაშინაც, როცა ფიქრობდა და მაშინაც, როცა ნაფიქრი ქაღალდზე გადაჰქონდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ მისი ნაფიქრ-ნააზრევი სამ წიგნშია თავმოყრილი.

ის, რაც დაწერილა, ანუ წერითი შემოქმედების ნაყოფია, ან მხატვრულ (სიტყვაკაზმულ) ლიტერატურას ეკუთვნის, ან – მეცნიერებას, ან – პუბლიცისტიკას.

მიხეილ თუმანიშვილმა წერითი მემკვიდრეობა ორ დარგში დაგვიტოვა – მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში.

მეცნიერული ნააზრევით რომ თეატრის თეორია და სათეატრო პედაგოგიკა გაამდიდრა, ეს ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, ხოლო მისი პუბლიცისტური შემოქმედება ჯერ კიდევ შესასწავლი, შესაცნობი და შესაფასებელია. მითუმეტეს, რომ ხშირად ის ცალკე გამოკვეთილი კი არ არის, არამედ თეორიულ საკითხებშია შერეული და მეცნიერულ-პედაგოგიური შეხედულებების გამყარებას ემსახურება.

როცა მსახიობს „მეფე ლირში“ გლოსტერის სახის ფუნქციაზე ესაუბრება, რეჟისორის მსჯელობა წმინდა მეცნიერულია. მეტიც, აქ მეცნიერული მიგნების მოწმენიც ვხდებით:

„მსახიობმა მკითხა, მთავარი რა უნდა ვითამაშო გლოსტერში? ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს კი დავასკვენით – გლოსტერში მთავარია ის, რომ თვალხილული გლოსტერი სინამდვილეში ბრმა იყო, ხოლო როდესაც დააბრმავეს – თვალი აეხილა და ყველაფერს მიხვდა. ეს მხატვრული სახის მთელი ფილოსოფიური სისტემაა“.

როცა რეჟისორი თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების შესახებ წერს და სწორი არჩევანის მნიშვნელობაზე მსჯელობს, ეს წმინდა წყლის პუბლიცისტიკაა.

ჟურნალისტიკის ცნობილი თეორეტიკოსი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე პუბლიცისტიკის რამდენიმე ძირითად თვისებას გამოყოფს: ტენდენციის გამჟღავნება პირდაპირ, შეუნიღბავად; აქტუალურობა; განზოგადება; ყოველივე მოაზრებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტით, აუდიტორიაზე უშუალო ზემოქმედების მიზნით.

მიხეილ თუმანიშვილის პუბლიცისტური ნააზრევი ყველა ამ თვისებას მოიცავს.

ეს ნააზრევი ზოგჯერ უაღრესად ეფექტური პუბლიცისტური სვლებითაც გაგაოცებთ.

მაგალითად, ჯერ შემოგვთავაზებს დიალოგს აბიტურიენტის მშობელთან, რომელიც უმტკიცებს, რომ მისი შვილი ბავშვობიდან მხოლოდ თეატრზე ოცნებობდა და ისეთი ნიჭიერია, რომ როდესაც მათთან სტუმრები მიდიან, ქალიშვილი, მათი თხოვნით, სხვადასხვა მსახიობს ჰბაძავს.

„– კი, მაგრამ საიდან ასეთი ხრინწიანი ხმა? – უკმაყოფილოდ შევეკითხე.

– გაციებულია.

ტყუის, ეს ბავშვის უნებლიე მკვლელი. მის შვილს, უბრალოდ, არ გააჩნია ის მდიდარი ხმა, რომელიც ასე აუცილებელია სცენისთვის“.

არსად და არასოდეს არის მიხეილ თუმანიშვილი ისეთი მკაცრი და დაუნდობელი, როგორც ასეთ საკითხებზე მსჯელობისას:

„როგორ უშვებს თავის შვილს ამ გზაზე მკვლელი დედა. იმ გზაზე, სადაც (თუ შემთხვევით, ან უნებურად გაძვრება) მთელი თავისი ცხოვრება როლის მოლოდინით უბედური და მთელ ქვეყნიერებაზე ნაწყენი ივლის... არასწორი არჩევანი – საშინელი და უბედური შეცდომაა“.

ამის შემდეგ რეჟისორი გვაცნობს დიალოგს სამუშაოს მომლოდინე მსახიობსა და თეატრის დირექტორს შორის.

დიალოგი უკიდურესად მძიმეა:

„დირექტორი – ნუთუ არ გესმით, რომ თეატრს არ შეუძლია თქვენი მიღება. არა გვაქვს ამის საშუალება. შტატი...

მსახიობი ქალი – შენ უკვე სამი წელია, მატყუებ.

დირექტორი – არცერთ რეჟისორს არ უნდა შენთან მუშაობა, ვერ გხედავენ...

მსახიობი ქალი – შენც უბრძანე. შენი უნიჭო რეჟისორები ვერავის ხედავენ, გარდა...

დირექტორი – როგორ ვუბრძანო, როდესაც შტატში მყოფი თოთხმეტი მსახიობი ქალი წლობით უმუშევარია“.

საკმაოდ ვრცელ დიალოგს რეჟისორის უაღრესად საინტერესო კომენტარი მოსდევს:

„ჩემი პირველკურსელები ამ სცენის მოწმენი რომ გამხდარიყვნენ, ყველა ერთად დაანებებდა თავს თეატრალურ ინსტიტუტს და გაიქცეოდა სხვადასხვა მხარეს – შორს, შორს ამ საშინელებისაგან!

მაგრამ, რატომღაც, არავინ არსად გარბის და მე შევდივარ მათთან პირველ გაკვეთილზე“.

პუბლიცისტური ოსტატობის ერთ-ერთი გამოვლინება პორტრეტის ხატვის ხელოვნებაა. მიხეილ თუმანიშვილი ამის იშვიათი ოსტატია. მას შეუძლია, ერთი-ორი მონასმით გამოკვეთოს ამა თუ იმ პიროვნების შემოქმედებითი ბუნება.

ცნობილია, რარიგ ძუნწი და ლაკონიური შტრიხებით დაახასიათა მან „შვიდკაცას“ თითოეული წევრის ინდივიდუალურობა.

ძალზე საინტერესოა მის მიერ დახატული რობერტ სტურუას პორტრეტი. ამ შემთხვევაში, ის უჩვეულოდ სიტყვაუხვი და ქებაში ხელგაშლილია. ამასთანავე, გასაოცრად გულწრფელი.

თავის დროზე, შემძრა მისმა ასეთმა გულახდილობამ:

„ზოგჯერ მწყინდა კიდეც, რომ ჩემგან განსხვავებით, იგი სრულიად თავისუფალი იყო სტერეოტიპებისაგან. თუ ჩემთვის ყოველთვის არსებობდა გარკვეულ კანონთა ნუსხა, აკრძალვა, ლოგიკის მოდელები, ფორმათა განვითარების კანონზომიერებანი, ლიტერატურისადმი თანდაყოლილი პატივისცემა, სარეპეტიციო მეთოდი, რომლისაც მჯერა და ვირწმუნე – რობერტი არავის და არაფერს ეთაყვანებოდა ჩემ გარდა (ესეც დროებით). ის ყველაფერს თავისებურად აკეთებდა. კანონებს და მეთოდიკას არღვევდა, მაგრამ მე, ჩვეულებრივ, მკაცრი, – როცა საქმე სკოლის ურყევ ჭეშმარიტებებს შეეხებოდა, – მის ცდებს მიტევებით ვუცქერდი, იმდენად მოულოდნელი, საინტერესო და ორიგინალური იყო ხოლმე რეჟისორული გადაწყვეტა“.

მიხეილ თუმანიშვილის ფიქრის უმთავრესი საგანი, რა თქმა უნდა, თეატრია, მაგრამ ის თავისი სამშობლოს ჭეშმარიტი მოქალაქეა და გულგრილი ვერც სხვა მტკივნეული საქვეყნო საკითხების მიმართ დარჩება.

ასეთ საკითხებზე მის ნააზრევს დღემდე არ დაუკარგავს პუბლიცისტური სიმძაფრე და აქტუალურობა.

დაუკარგავთ კი არა, სწორედ დღეს დაწერილი გეგონება:

„ბუნებას რაღაც ემართება. გამუდმებით რაღაც უცნაური თავსხმა წვიმებია, ხანძრები, მიწისძვრები, კატასტროფები – გზებზე, ატომურ სადგურებზე; ქარბორბალები, ქარიშხლები. დახმარების ნაირ-ნაირი ფონდი ჩამოყალიბდა. ნომრებსაც კი ვერ დაიმახსოვრებ. ადამიანები ცდილობენ, თავიანთივე დანგრეული კულტურის ძეგლები გადაარჩინონ. თეატრი პრესტიჟული გახდა. მსახიობები... სახელმწიფო მოღვაწეებად იქცნენ, გაბღენძილი დეპუტატები გახდნენ. პრესამ და ტელევიზიამ იმდენი ადრე აკრძალული სიმართლის ლაპარაკი დაიწყო, რომ უცებ გაირკვა – თურმე, ჩვენ ერთ უზარმაზარ, სიბინძურით სავსე სანაგვეში გვიცხოვრია. გაქრა სულის სარგო თეატრები. განმანათლებლობა უკანა პლანზე გადავიდა. წინანდელი ინტელიგენციის ნარჩენნი საიქიოს წავიდნენ და საზოგადოებაც სულიერების, იდეალების, ოცნებების გარეშე დარჩა. სოფელმა თავისი პირველქმნადობა, გულუბრყვილო სიბრძნე და სისუფთავე დაკარგა, ქალაქსა თუ დედაქალაქში გადმოსახლებული, ხეპრეობად და სირეგვნედ გადაიქცა... “

რა შეიძლება უწოდო ამას, თუ არა მაღალი რანგის პუბლიცისტიკა?

ღირებულ და საინტერესო პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, უმთავრესად და ჩვეულებრივ, მწერლები ქმნიან.

სხვა დარგის მოღვაწენი – საკმაოდ იშვიათად.

მიხეილ თუმანიშვილი ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია.

პუბლიცისტური ნაწარმოების შექმნა, ალბათ, მიზნად არასოდეს დაუსახავს. უბრალოდ, წერდა იმას, რაზეც ფიქრობდა, რაც აწუხებდა, რაც სტკიოდა ან უხაროდა.

ეს წერილი რომ წაეკითხა, თავისებურად (თავმდაბლურად) გააპროტესტებდა – არავითარი პუბლიცისტიკა მე არ შემიქმნიაო.

არადა, იქიდან, რაც დაუწერია და რაც მეცნიერებას არ ეკუთვნის, პუბლიცისტიკაა.

მაღალი რანგის პუბლიცისტიკა.

ტალანტი შემთხვევით და ჰაიჰარად არაფერს ქმნის.

ის, უბრალოდ, ქვას კი არ თლის, ტაძარს აშენებს.

მუხა კვლავაც შეიმოსება

სამშობლოს ბედი და ტენდენციის გამჟღავნება
პოეზიასა და პუბლიცისტიკაში,
მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების მაგალითზე

ლიტმცოდნეობასა და მედიალოგიაში მსგავსი კონსესუსი იშვიათია: ადვილად თანხმდებიან, რომ მხატვრული ლიტერატურა სახეებით აზროვნებს, პუბლიცისტიკა კი – ცნებებით; პირველში ტენდენცია შენიღბულია, ხოლო მეორეში – დაუფარავად გამჟღავნებული.

ამ საკითხზე მსჯელობისას, პროფესორი ნოდარ ტაბიძე ასეთ თვალსაჩინოებას მიმართავს: „მეცხრამეტე საუკუნის პუბლიცისტები ხმამაღლა აცხადებენ: ბატონყმობა დრომოჭმული ურთიერთობაა. იგი ადამიანთა სულიერ – ფიზიკურ გადაგვარებას იწვევს. ამიტომაც უნდა მოისპოს... ილ. ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია – ადამიანი?!“, ძირითადად, იგივე პრობლემაა დასმული და გადაჭრილი, მაგრამ მიზანი, არსებითად, მიიღწევა ტიპების შექმნით, ვთქვათ, ლუარსაბისა და დარეჯანის სახეების გამოკვეთით“. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ ხატავს ილია მოახლის, ლამაზისეულის სახეს.

უფრო გასაგებად, ალბათ, ვერც ახსნი:

მწერალი მხატვრულ სახეში „მალავს“ იმას, რასაც პუბლიცისტი პირდაპირ ამბობს.

თითქოს, ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ რა ვუყოთ პოეზიას, სადაც მთლად ასე „მარტივად“ არ არის საქმე?

ეს განსაკუთრებით ითქმის ე. წ. მედიტაციურ თუ სამოქალაქო ლირიკაზე, სადაც სათქმელი (ტენდენცია) ასევე შეუნიღბავად და პირდაპირ არის გაცხადებული.

როცა გალაკტიონი წერს: „ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს, / ზამთარს ბილიკი დაუტანია“ – ო, აქ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, „ზამთარში“ დამპყრობელი რუსეთი ვიგულისხმოთ, მაგრამ რა ვუყოთ იმავე გენიოსს, რომელიც ამბობს: „მარტოობასაც ავიტან მწარეს, / უმეგობრობას ავიტან მძიმეს, / ჩემი სამშობლოს სანახავიდან / ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს“...

კი, „მოციმციმე შუქიც“ სახე – სიმბოლოა, ისევე, როგორც აჭარის კალთებს თავმიდებული ზღვა, მაგრამ ლექსში ხომ სათქმელი მაინც პირდაპირ არის გაცხადებული?!

* * *

მუხრან მაჭავარიანს სახე – სიმბოლოებით დახუნძლული ლექსიც უხვად აქვს და იმგვარი ლირიკული ქმნილებაც, სადაც სათქმელი პირდაპირ არის გამოხატული.

ზოგიერთ ლექსში კი ერთიც არის და მეორეც.

ეს, უპირველესად, „საბაზე“ ითქმის.

ნინო დარბაისელმა, პოეტმა და ლიტერატურის მკვლევარმა, წლების წინათ, თავის უცხოელ მეგობარს ხსენებული ლექსი რომ გაუგზავნა, მისი შინაარსი, მოკლედ, ასე უამბო:

„ერთი პატარა ქვეყნის ელჩი საფრანგეთის ხელმწიფეს ეახლება დახმარების სათხოვნელად. საფრანგეთის მეფეს კი თავის ქვეყანაშიც პრობლემები აქვს. მოჩვენებითი სიმშვიდე, კატის ფერება ფასადია, რომლის მიღმაც ფრანგთა ქვეყნის მძიმე შიდასოციალური მდგომარეობის სიმბოლო – „ხმადაკარგული ხალხი“ იფარება. უიმედო ელჩობით გულგატეხილი საბა სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე ქართველ ბიჭუნას ყიდულობს და შინ ბრუნდება ბავშვთან ერთად – ეს არის და ეს“.

ეს არის და ესო?!

გაოცებაც კი შეიძლებოდა, ამ „მოკლე შინაარსს“ ლექსის ღრმა ანალიზი რომ არ მოსდევდეს.

* * *

საბედნიეროდ, არსებობს სულხან – საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ – პუბლიცისტური ნაწარმოები, სამოგზაურო ნარკვევის უძვირფასესი ნიმუში.

საუბედუროდ, მისი მეორე, ანუ „ფრანგული“ ნაწილი დაკარგულია.

„ჯერ კიდევ გ. ერისთავი, სულხან – საბას თხზულების პირველი პუბლიკაციისას, სთხოვდა მკითხველებს დახმარებას დაკარ-

გული ნაწილის აღმოჩენაში, მაგრამ დღესაც მას არასრული სახით ვიცნობთ...საფრანგეთის დღიურები დაკარგულია“(ნათელა საღირაშვილი).

მუხრან მაჭავარიანის ლექსი კი ასე იწყება:

„ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან

ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა“...

ისტორიის პროფესორმა ილია ტაბაღუამ თავის დროზე აღნიშნა, რომ ამ სტრიქონებს რეალური საფუძველი არ გააჩნდა. არსებითად, იგივე განაცხადა ასევე ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა: „ქართველი დიპლომატი ევროპაში დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ უარით გამოისტუმრეს“.

მუხრან მაჭავარიანი კი წერდა: „ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ ფრანგულ დღიურს ჩვენამდე არ მოუღწევია“.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ სულხან – საბა ნამდვილად დიდხანს ალოდინეს, ოღონდ კონსტანტინოპოლში და არა ლუი მეთოთხმეტის მისაღებში. სწორედ კონსტანტინოპოლში ელოდებოდა ქართველი დიპლომატი შეტყობინებას, თუ როდის ინებებდა მის მიღებას ფრანგთა ხელმწიფე.

და განა მნიშვნელობა აქვს, სად ალოდინეს?!

მით უფრო პოეტისთვის, ვინც ახალი მხატვრული სინამდვილე უნდა შექმნას?!

მთავარი ხომ ესაა: „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“.

ანუ: „ასე უნაყოფოდ დასრულდა დიდის ტანჯვით დაწყებული საბას მოგზაურობა ევროპაში“(სოლომონ იორდანიშვილი).

პოეტი კი აქ პირდაპირ ამბობს:

„საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, – სასაცილოა!

შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია!“

უფრო მძაფრად და შეუფარავად, პუბლიცისტიც ვერ იტყოდა.

მაგრამ ამავე ლექსში არაერთი მეტაფორა თუ სიმბოლოა, ღრმა ქვეტექსტს რომ იფარავს.

უპირველესად, ესაა მუხა, რომელიც ფინალურ სტრიქონშია ნახსენები და რაც ლექსს სანუკვარი იმედით ასრულებს:

„გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება“.

ნინო დარბაისელმა უცხოელ მეგობარს (დენიელს) ეს სიმბოლოც საინტერესოდ გაუშიფრა:

„რაც შეეხება მუხას, რა შეიძლება, გაიგოს უცხოელმა იმის შესახებ, თუ რა ჟღერს ლექსის ფინალში? ინგლისურ მხატვრულ

აზროვნებაში, რამდენადაც ვიცი, მუხას თუმცა აქვს ძლიერების სიმბოლური დატვირთვა, ძირითადად, სარაინდო ამბებს უკავშირდება. ჩვენთვის კი, ქართველებისთვის, მუხა საქართველოს სიმბოლოა. გვჯერა, ფესვმაგარი ბებერი მუხა მრავალ განსაცდელს უძლებს, მუმლივით ეხვევა მტერი, მაგრამ მის ფესვებს აქვს უნარი, ახალი სიცოცხლე, ახალი ყლორტები ამოიტანოს... მოუსმინე ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის ფინალს. მუსიკა უკეთ გაგრძნობინებს, რას განვიცდი, როცა „საბას“ ბოლო ორ ტაეპს გულში ვიმეორებ“.

* * *

„საბა“ იმ დროს დაიწერა(1949 წელი), როცა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის სრულიად უცხო იყო ცნებები: „პოსტმოდერნიზმი“, „ნარატივი“, „დისკურსი“ „კოდირება“, „დეკოდირება“...

კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ ლევან ბრეგაძემ მხოლოდ 2000 წელს გამოაქვეყნა (სამეცნიერო კრებული „სჯანი“) უაღრესად საინტერესო და პრინციპულად მნიშვნელოვანი სტატია „პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში“, სადაც მიუთითა, რომ „პოსტმოდერნიზმის სათავესთან ქართულ ლიტერატურაში მუხრან მაჭავარიანი დგას“. მაგალითად კი მკვლევარმა, სრულიად საფუძვლიანად, მისი პოემა „ვახტანგი“ დაასახელა.

ჩვენი აზრით, კი ასევე თამამად შეგვიძლია, ვთქვათ: 20 წლის მუხრან მაჭავარიანმა საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქაში შექმნა ჭეშმარიტი პოეტური ნარატივი, პოსტმოდერნისტული ნაწარმოები, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანი სათქმელია კოდირებული.

მუხის სიმბოლიკის ნინო დარბაისელისეულ გაშიფვრას უკვე გავეცანით. ისტორიკოსმა და მწერალმა გიორგი სოსიაშვილმა კი ლექსში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კოდი დაინახა, რაც, ვფიქრობთ, ლიტერატურულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს. მისი აზრით, ლექსში დაშიფრულია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდი – საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება და სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი იძულებით შეყვანა. ამაზე მიგვანიშნებს ლუი მეთოთხმეტესთან მეთხუთმეტე კაცად შესვლაც, რადგან საბჭოთა კავშირიც სწორედ თხუთმეტი რესპუბლიკისგან შედგებოდა.

ამ თემასვე ეხმიანება მუხრან მაჭავარიანის სხვა ცნობილი ლექსი – ობოლ საქართველოს რუსეთი რომ იშვილებს:

„მაგრამ მამობილი მკაცრი გამოადგა;
გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა
და დედის საფლავზე ტიროდა საქართველო“.

რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის პატარა ბიჭიც, სამშობლოში მომავალ სულხან – საბას რომ მოსდევს, ობოლი საქართველოს სიმბოლოა?!

გიორგი სოსიაშვილის აზრით, „მუხის შემოსვაც“ კოდირებული სახეა და 1918 წლის 26 მაისს „წინასწარმეტყველებს“, რადგან მუხა სწორედ ამ დროს არის ყველაზე მეტად „შემოსილი“.

ეს არ უნდა იყოს გასაკვირი და დაუჯერებელი, რადგან „დიდი პოეტები, გარდა სხვა მრავალი იშვიათი თვისებისა, ალბათ, წინათგრძნობის ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი“(გურამ ასათიანი).

აქ შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს კონსტანტინე გამსახურდიას სამოგზაურო ნარკვევი „უკრაინის თემიდი“, სადაც მოგზაური მწერლის თვალს არ გამოეპარა ღრმად სიმბოლური ეპიზოდი: „მატარებელი პატარა სადგურთან შესდგა. ყოჩაღად, მარდად წამოცუნცულდა 12 წლის ფაფახიანი ბიჭუნა, ასწვდა სადგურის ზარის ბაწარს და ჩამოჰკრა სამჯერ“.

მხატვრულ ნაწარმოებში, მწერალი აქ გაჩერდებოდა, მაგრამ ამჯერად პუბლიცისტურ ნაწარმოებს წერს და დეტალი / სიმბოლო / მეტაფორა უნდა გაშიფროს.

და, აი გაშიფვრაც: „რა იცი, ეგ ბუდრუგანა ლეკის ბიჭი ოდესმე უფრო დიდ სიმამაცეს არ გამოიჩენს, ვიდრე შამილმა აჩვენა თავის დროს ქვეყანას“.

რატომ არ მაქვს უფლება, ვიფიქრო, რომ იმ პატარა ბიჭში კონსტანტინე გამსახურდიამ ჯოხარ დუდაევი „დაინახა“, ხოლო სულხან – საბას გამოდევნებული ყმაწვილის სახით, მუხრან მაჭავარიანმა ზვიად გამსახურდიას მოვლინება იწინასწარმეტყველა, 26 მაისითა და „მუხის შემოსვით“...

* * *

მაგრამ ჩვენ ტენდენციის გამჟღავნების ხერხები გვაინტერესებს, თანაც, პუბლიცისტიკასა და პოეზიაში.

პირველში ეს საკითხი მკაფიოდ გარკვეულია: ტენდენცია ყოველთვის აშკარად არის გამოხატული.

პოეზიაზე კი გადაჭრით ვერ ვიტყვით, ყოველთვის შეფარულიაო.

ძალიან ხშირად, ტენდენცია აქაც მკაფიოდ არის გამჟღავნებული, თანაც ისე, რომ ლექსის მხატვრულ ღირსებას ოდნავადაც არ აკნინებს. რა თქმა უნდა, ეს მიიღწევა იმით, რომ ლირიკულ ნაწარმოებში სათქმელის პირდაპირი გამოხატვა შთამბეჭდავი მხატვრული სახეებითაა გაწონასწორებული. ამის საუკეთესო ნიმუშია მუხრან მაჭავარიანის ლექსი „ხან ლურჯათი! – ხან მერნითა!“

რუსეთიც და ამერიკაც
დროა, –
        ჩახვდეს რამერიგად:
საქართველო
        კუნძულიკა
კი არაა რომელიღაც!
საქართველო
        ქვეყანაა, –
იმერითა, – ამერითა! –
მზისკენ
ისრებრ
        მიწყივ
        მფრენი, –
ხან ლურჯათი! –
        ხან მერნითა!“

რამდენი რამ არის მომხიბვლელი ამ ლექსში – სიტყვათა თუ რითმათა თამაში, სტრიქონთა უცნაური მიმოხვრანი, კიდევ უფრო უცნაური გრაფიკა, „ფრენის“ მიმანიშნებელი... რომ არა ეს ყოველივე, დარჩებოდა მხოლოდ სათქმელი, თავისთავად მძაფრი და აქტუალური, მაგრამ ეს პუბლიცისტურ ნაწარმოებად აქცევდა და არა ლირიკულ ქმნილებად.

პუბლიცისტურობა კი კარგია პუბლიცისტიკაში და არა მხატვრულ ლიტერატურაში.

მუხრან მაჭავარიანს მძაფრი და მწარე პუბლიცისტური სიტყვაც მრავალჯერ უთქვამს. უთქვამს პირდაპირ და შეუფარავად. აი, ამის ერთი ნიმუში: „როგორ ვადღეგრძელო დღევანდელი საქართველო; თბილისელი თუ ქართლელი, რომელიც სამეგრელოს დაუპირისპირეს, სამაჩაბლო და აფხაზეთი ქართველებისგან დაცალეს! ვინც ასეთ სიტუაციაში ზეიმობს, ის რა ქართველია?! ქვეყანა ინგრევა, წერე ახლა, მუხრან, ლექსები. რა დროს წერაა, ქვე-

ყანას უშველეო, – გეტყვის ქართველი კაცი და მართალიც იქნება. მე ასეთი საქართველოს სადღეგრძელო არ მინდა, მე ვსვამ ისეთი საქართველოს სადღეგრძელოს, რომლისთვისაც ზვიად გამსახურდია მოკვდა“.

თავადაც ასეთი საქართველოსთვის იცოცხლა და მოკვდა –

„საქართველოში დამარხვის ღირსი.“

მთაწმინდაზე დამარხვის ღირსი.“

დამდურებიდან შერიგებამდე

მურმან ლებანიძის ლექსი და ეჭვი

ბატონო მურმან, თქვენი ლექსები... ჩვენია!

1978 წლის 14 აპრილი.

მთავრობის სასახლეში უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობს. მან უნდა მიიღოს კონსტიტუცია, რომლის 75 – ე მუხლით, ქართული ენა სახელმწიფო სტატუსს კარგავს.

რუსთაველის პროსპექტზე ბობოქრობს თავგანწირული ახალგაზრდობა, რომელიც მზად არის, სოცოცხლის ფასად დაიცვას მშობლიური ენა.

ახალგაზრდა პოეტი ლალი თოთაძე ქვითინით წარმოთქვამს ირაკლი აბაშიძის სტრიქონებს:„შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კართან“...

ამ ლექსის ავტორი კი სესიას მშვიდად თავმჯდომარეობს (?!).

კაცმა რომ თქვას, ეს არც ყოფილა გასაკვირი და მოულოდნელი.

ის კი, რაც ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ წავიკითხე, მართლა გასაკვირი და გულსატკენია:ბატონი მურმან ლებანიძე პროტესტს გამოთქვამს... მისი ლექსის პოლიტიკური მიზნით გამოყენების გამო.

კერძოდ, პროტესტს უცხადებს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, რომელმაც საქართველოს სამხარეო დაყოფის მომხრეთ მურმან ლებანიძის ერთ – ერთი საუკეთესო ლექსი შეახსენა:

„ქართლ – კახეთად,
იმერეთად,
სამეგრელოდ,
გურიად
ვისაც ჩვენი დაყოფა

და გათიშვა სწყურია,
ის ჭკვიანი მტერი არის,
ან უგნური მოყვარე“...

სხვათა შორის, თვით ირაკლი აბაშიძესაც არ უთქვამს ლალი თოთაძისათვის, ჩემი ლექსი „პოლიტიკური მიზნით“ რატომ გამოიყენეო, არადა, ბატონი მურმანის ლექსი გაცილებით უფრო პოლიტიკურია, ვიდრე „ხმა კატამონთან“.

ვის, ვის და ბატონ მურმანს ნამდვილად არ ესწავლება, რომ დიდ პოეტთა შემოქმედება მთელი ქვეყნის და, ამასთანავე, მისი თითოეული მოქალაქის კუთვნილებაა.

თქვენი ლექსები, ბატონო მურმან, გამოქვეყნებამდეა თქვენი, თორემ შემდეგ უკვე ჩვენია – ყველა ქართველის.

თქვენს ლექსებს, ბატონო მურმან, წაიკითხავენ, ისწავლიან, იმღერებენ და „პოლიტიკური მიზნითაც გამოიყენებენ“ ასი, ორასი, ათასი წლის შემდეგ და სწორედ ეს იქნება თქვენი უკვდავება.

მე მხოლოდ ერთი რამ მაშინებს: იმ ასი თუ ორასი წლის შემდეგ, ვინმემ რომ იკითხოს, რას აკეთებდით მაშინ, როცა საქართველოს მხარეებად („იმერეთად, გურიად“...) ჰყოფდნენ, ისევე, როგორც აუცილებლად იკითხავენ, სად იყო „ო, ენავ ჩემოს“ ავტორი, როცა ენის წართმევას უპირებდნენ.

* * *

უკადრისი საქციელია სავალდებულო რევერანსებით საუბარი, ამისგან ღმერთმა დამიფაროს. ეს კი ფაქტია: არაერთხელ გამომიხატავს მურმან ლებანიძის პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული.

ამიტომაც ბატონ მურმანს, ალბათ, გააკვირვებს კიდეც ჩემი ეს წერილი, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას და უმჯობესია, სწორედ იმან თქვას, ვისაც მხოლოდ სიყვარული ალაპარაკებს.

ვინ იცის, იქნებ ავტორიტეტების მიმართ ბრმა თაყვანისცემამაც დაგვღუპა და, და რაგინდ პარადოქსულადაც ჟღერდეს, სწორედ ამიტომ აღარ შეგვრჩა ავტორიტეტები.

ბატონო მურმან, თქვენი პროტესტის შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს, სიამოვნებით იტყოდით უარს ერთ – ერთ საუკეთესო ლექსზე, ოღონდ, ოპოზიციონერად არავის ჩაეთვალეთ. არადა, ამ საკითხში, სახელმწიფოს მეთაურს თვით ვახტანგ გოგუაძეც კი გადაუდგა.

სამწუხაროა, რომ დიდი პოეტები, ხშირად, მხოლოდ სხვების გასაგონად წერენ:

„არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვდე,
არ იყო ბავშვი,
არამც და არამც არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში“...

უცნაური კი ის არის, რომ იმ „სხვებს“ ლექსების „პოლიტიკური მიზნით გამოყენების“ უფლებას ართმევენ.

ამგვარი აკრძალვა კი სამწუხაროც არის და ყოვლად უაზროც, რადგან გამოქვეყნებული ლექსი დამოუკიდებლად იბრძვის მაშინაც კი, როცა ავტორი... მხარს აღარ უჭერს.

14. 09. 1995

რას ბრძანებთ, ბატონო მურმან?!

ამას წინათ, ჩვენმა კორესპონდენტმა მურმან ლებანიძეს დაურეკა და ერთ თარიღთან დაკავშირებით, აზრის გამოთქმა სთხოვა. ბატონმა მურმანმა თხოვნა ვერ შეგვისრულა (სხვამ დაგვასწრო), ეს კი აღნიშნა: „კარგია, გაზეთ „თბილისს“ რომ გავახსენდი“.

მურმან ლებანიძე ის პიროვნება არ არის, ვისაც შეიძლება, ასე ელაპარაკო: „რას ბრძანებთ, ბატონო მურმან, თქვენ ხომ ყოველთვის გვახსოვხართ?!“

გაზეთ „თბილისს“ არაერთხელ გამოუხატავს დიდი სიყვარული და თაყვანისცემა ჩვენი დროის თვალსაჩინო პოეტის მიმართ. მაგრამ შემოქმედი „ისე“ მაინც არაფერს ამბობს. ამიტომაც მისმა ფრაზამ არ მომასმენა. ამ პატარა წერილით, მინდა, ბატონ მურმანს უბრალოდ შევახსენო, თუ რარიგ გვიყვარს და მუდამ გვეყვარება.

* * *

დიდ პოეტებს ბავშვებს შემთხვევით არ უწოდებენ. ისინი, ბავშვებივით, არა მხოლოდ გულჩვილნი არიან, არამედ ეჭვიანებიც.

პოეტები სიყვარულზე ეჭვიანობენ, ხალხის სიყვარულზე.

დიახ, უცნაური ხალხია პოეტები, მართლაც რომ დიდი ბავშვებ, თორემ შეიძლება, მურმან ლებანიძეს რაიმე აეჭვებდეს?! დადის კი საქართველოში წიგნიერი კაცი, მისი პოეზიის ფასი რომ არ იცოდეს?!

* * *

მურმან ლებანიძეს ახლახან შეუსრულდა 75 წელი.

პოეტი, რომელიც საკუთარ თავს ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ

ბერიკაცს უწოდებდა („ეგ პატარა გგონია ჩახჩუებულ ბებერს“), დღევანდელ ასაკშიც ფიზიკური და შემოქმედებითი ახალგაზრდობით გვაოცებს.

პოეტები ამითაც უნდა გვაოცებდნენ.

* * *

მურმან ლებანიძის არაერთ ლექსში შეხვდებით სიკვდილზე ფიქრს. ეს არცაა გასაკვირი: თუკი ვინმეს თავგანწირვით (და წარმატებითაც) უბრძოლია ამ „უსასტიკეს ბომონთან“, ერთ – ერთი სწორედ ის არის.

მისი ფიქრი „უფრო შორსაც წასულა“.

ლადო ასათიანისადმი მიძღვნილ ესეში ის იმოწმებს საკუთარ ლექსს, სადაც ასეთი სტრიქონებია:

„აწ ჩავლილია მაღალი კაცი,
სიკვდილის შემდეგ,
წინ წარვსდგით ბიჯით,
ორჯერ გავზომეთ საზომით მკაცრით, –
დავკმაყოფილდით დიდუბის მიწით!“

ამ სტრიქონებს იგი დაუმატებს: „და რა ვიცით კიდევ ჩვენ, თუ რა იქნება ხვალ და რა ხასიათზე დადგებიან შემდგომი თაობები მომავალში?!“

ზოგიერთმა მურმან ლებანიძეს „სხვანაირად ჩამოართვა“ ეს შესანიშნავი სტრიქონები:

„ლალე, ლალე,
დღეს თუ არა, ხვალე,
შენთან, შენთან, გალაკტიონ,
შენთან მოვალ მალე“...

მე კი მგონია, რომ ეს მურმანს არ უთქვამს, „მან“ თქვა, ვისი კარნახითაც მურმანის შედევრები იქმნება.

ჩვენ ის ვინატროთ, ღვთაებრივი კარნახი რაც შეიძლება, დიდხანს გაგრძელდეს, თორემ იმის წარმოდგენა ძნელი არ არის, თუ „რა ხასიათზე დადგებიან შემგომი თაობები“...

09. 04. 1998

პოეზია ბუდოგდეს „თბილისის“ ფურცლებზე

მინდა, პატივისცემით შევეხმაურო და იუბილე მივულოცო დიდი ტრადიციების მქონე, თბილისელ მოქალაქეთა და პირადად ჩემს საყვარელ გაზეთს „თბილისს“, რომლის ფურცლებზე ბევრი

საინტერესო წამიკითხავს და ჩემი ნაწერებიც საკმაოდ გამოქვეყნებულა.

დასამალი არ არის, რომ შემძრა იოსებ ჭუმბურიძის ამასწინანდელმა გამოხმაურებამ ჩემს სატელეფონო რეპლიკაზე გაზეთის თანამშრომელთან: – „კიდევ ვახსოვარ გაზეთ „თბილისს“ – მეთქი“! – დამცდენია... ფრაზა გამოწვეული იყო კაიხნისწინანდელი, ჩემ მიერ უკვე დავიწყებული, კორექტული, თუმცა, უსამართლოდ მიჩნეული კრიტიკით, რომლის ავტორიც იგივე იოსებ ჭუმბურიძე ბრძანდებოდა. ჩემთვის მოულოდნელ სიხარულად იქცა ბატონი იოსებ ჭუმბურიძის, ამ, მართლაც, ერუდირებული ლიტერატორის, გულისხმიერებით აღბეჭდილი წერილი... ღირდა დამდურება ასეთი „შერიგებისთვის“.

გაგიმარჯოს, იოსებ ჭუმბურიძევ და გაგიმარჯოს, ძვირფასო რედაქციავ, . არ ღირს „იმ ერთ ცრემლად“ მთელი ჩვენი პოლიტიკური ღრიანცელი... მრავალ ათწლეულს თქვენი სამსახური ჩვენი დედაქალაქისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. და კიდევ: პოეზია ბუდობდეს „თბილისის“ ფურცლებზე.

მურმან ლებანიძე
28. 05. 1998

ახლანდელი მინაწერი: დღეს აღარც „თბილისი“ გამოდის (?!) და არც მურმან ლებანიძის ნატვრაა ახდენილი: ლადო ასათიანი კვლავ დიდუბეშია და არა მთაწმინდაზე. ყველამ იცის, რომ თვითონ მურმანის ადგილიც იქ არის, სადაც ანა და მუხრანი განისვენებენ. დარწმუნებული ვარ, შფოთავენ მურმანის გამო. თავი იმის იმედით ვინუგეშოთ, რომ შემდგომი თაობები მაინც დადგებიან „კარგ ხასიათზე“...

მარილი მაღამოდ

ოთარ ჭილაძე, როგორც პუბლიცისტი

არსებობს მადლიერება ზოგადად.

ალბათ, მწერლური მადლიერებაც არსებობს.

ეს, უთუოდ, ის გრძნობაა, ოთარ ჭილაძის მიმართ ზვიად კვარაცხელია რომ განიცდის.

გვახსოვს, როგორ მიესალმა გამოჩენილი მწერალი „ულმობელ დროში მოსულ ბალღს“, რა უშურველად დაულოცა გზა ცხრამეტი წლის პროზაიკოსს.

მწერლის სიდიდე უშურველობის ხარისხითაც იზომება.

ზვიად კვარაცხელია შეუძლებელია, მადლიერი არ იყოს.

მადლიერება კი ბევრის შემძლეა.

მას ძალუძს, ახალგაზრდა მწერალს ფრთები შეასხას და ენთუზიაზმით აღავსოს.

ასე რომ არ იყოს, ორმოც დღეში ორი წიგნის გამოსაცემად მომზადებას ვერ შეძლებდა.

ერთში ოთარ ჭილაძის ასი ლექსია, მეორეში – მისი პუბლიცისტიკა (სტატიები, ესეები, ინტერვიუები).

ორივე „ინტელექტმა“ გამოსცა.

გამომცემლობის ოპერატიულობა ისევე შესაშურია, როგორც ახალგაზრდა მწერლის თავგამოდება.

სრულიად კანონზომიერია, რომ „ინტელექტის“ ხელმძღვანელმა კახმეგ კუდავამ პრემია „გალა“ დაიმსახურა.

დიახ, დაიმსახურა და ისე მიიღო.

„გალა“ მის პროექტს „ნობელის პრემიის ლაურეატებს“ ერგო. ის რომ არ ყოფილიყო, მაშინ არანაკლები მნიშვნელობის სხვა პროექტს – „ას ლექსს“ უნდა მიეღო.

* * *

ილიას შემდეგ საქართველოში დაბადებული ყველა დიდი მწერალი მისი ბუნებრივი გაგრძელებაა. ისევე, როგორც ღმერთმა შექმნა ადამიანი ხატად და მსგავსად თვისისა, ყველა ჭეშმარიტ ქართველ მწერალს ილია ქმნის.

ეს ეტყობა ყოველი მათგანის ლექსს, მოთხრობას, რომანს, პიესას...

ეს ეტყობა ყოველი მათგანის პუბლიცისტიკას, რომელიც ზოგს, რატომღაც, ლიტერატურის გერი ჰგონია (ალბათ, ამიტომაც გააუქმეს ლიტერატურის ინსტიტუტში ჟურნალისტიკის განყოფილება, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზული შეცდომაა).

არადა, მისი სრულუფლებიანი შვილია და, იქნებ, დღეს ყველა სხვა „შვილზე" უფრო გამოსადეგიც (ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში).

რა თქმა უნდა, იგულისხმება ნამდვილი პუბლიცისტიკა, ისეთი, მარკესი რომ ლიტერატურას მიაკუთვნებს, მაგალითად, ისეთი, ოთარ ჭილაძე რომ ქმნიდა.

დასტურად, ზემოხსენებული ახალი წიგნიდან („წინ მარადისობაა") ერთ სტატიას მოვიყვან – 2004 წელს აშშ-ში გამომავალ გაზეთ „ივერიაში" (84) გამოქვეყნებულს („ერთხელ კიდევ").

ამ სტატიას რომ წაიკითხავ, თითქოს, თავიდან აღმოაჩენ ქართველი მწერლის ვალს და გაისიგრძეგანებ ნამდვილი პუბლიცისტიკის საჭიროებას. ისეთი პუბლიცისტიკისას, სწორედ ილიასეულ პრინციპს რომ მისდევს: „მოყვარეს პირში უზრახე"...

ოღონდ ზრახვის უფლება შემოქმედებასა და ყოფაში ზნეობრივი პრინციპების ერთგულებით უნდა გქონდეს მოპოვებული.

სწორედ ზნეობრივი უფლება უნდა გქონდეს, ეს რომ თქვა და დაწერო:

„მართალია, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ლეკვები ვართ, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, მაინც გავტყდით. ჩვენც დავკნინდით, დავწრილმანდით და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს დავერიეთ, მტრების გულის გასახარად. ახლა აზრიც არა აქვს იმის გარკვევას, ვინ არის ჩვენს შორის ნამდვილი მწერალი და ვინ ცრუ; ვინ განაწესა ღმერთმა ქართული სიტყვის მსახურად და ვინ შექმნა „კაგებემ" ციხის შიგნიდან გასატეხად. ციხე რა ხანია გატყდა, ქვეყნის გასაბჭოებისთანავე, მაგრამ ნამდვილი, ასე ვთქვათ, ღვთით მოვლენილი მწერლები მაინც ჯიუტად ისხდნენ ყო-

ველთვის ქართული მწერლობის სანგარში, რათა ენაშერყვნილ, ეკლესიაშებილწულ, არისტოკრატიადახვრეტილ და მეურნეობამოშლილ ქვეყანას იმედიც არ დაეკარგა. ჩვენ კი დღეს იმ სანგრის მიწით ამოვსებას ვცდილობთ“.

რატომ იყო საქართველოში წერა ძნელი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე და რატომ არის დღეს ადვილი? – ამ კითხვაზე ხსენებულ სტატიაში ტკივილამდე გულწრფელ პასუხს იპოვით: „ადვილია იმიტომ, ორსაუკუნოვან ომში დაღუპული (შეშლილი, დახვრეტილი, ნაწამები, თვითმკვლელი) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე რომ თქვა უარი მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე. ანუ ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა“.

ამ სტატიას რომ კითხულობ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს, მწერალი ღია ჭრილობაზე მარილს გაყრის, მაგრამ უმალვე ხვდები ამ „მარილს“ მალამოს დანიშნულება აქვს.

„ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისათვის. დღეს კი მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში, ძირითადად მონებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ყაზბეგისა და ჯავახიშვილის წიგნებზე უკეთ საღდება“.

ოთარ ჭილაძემ, ცხადია, კარგად იცოდა, რომ ბოლო წლებში ღირსეული ლიტერატურაც იქმნებოდა, მაგრამ საშიშ ტენდენციებზე საუბრობდა და სატკივარს ასე მძაფრად ამიტომ აშიშვლებდა.

რა აქტუალურად ჟღერს ოთარ ჭილაძის ზემოთ მოყვანილი სიტყვები დღეს, როცა ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი პოეტი (ვისგანაც ამას არა და არ ელოდები!) საჯაროდ აცხადებს, არ ვიცი, რას ნიშნავს ხალხის გვერდით დგომა. მე ჩემი ხალხის გვერდით მხოლოდ ნავთის და პურის რიგში ვდგავარო.

* * *

უკვე ვთქვით, რომ ოთარ ჭილაძის ზემოხსენებული სტატია აშშშია გამოქვეყნებული და, ბუნებრივია, ქართული ემიგრაციის პრობლემასაც ეხება.

მწერალი ამ „უაღრესად რთულ, უაღრესად სათუთ“ (მისივე სიტყვებია) თემაზეც უშეღავათოდ საუბრობს.

თავდაპირველად, იმას აღნიშნავს, რომ „ჩვენი ემიგრაცია, როგორც ყველაფერი ქართული, აშკარად განსაკუთრებულია და, ალბათ, მხოლოდ მიახლოებით თუ ჰგავს ემიგრაციის კლასიკურ მოდელს“.

ამის შემდეგ, მწერალს მოჰყავს სხვა ერის მაგალითი, რითაც სათქმელს კიდევ უფრო ამძაფრებს:

„ქართველმა ებრაელებმა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცათ, გენი დაუბრუნეს სამშობლოს, ჩვენ კი სამშობლოდან, უპირველეს ყოვლისა, გენი გაგვაქვს... ეროვნებაც სიქალწულესავითაა – თუ დაკარგავ, ვეღარასოდეს დაიბრუნებ. თანაც, სიქალწულისაგან განსხვავებით, მისი დაკარგვა სრულებითაც არ არის სასურველი“.

და მთავარი, ანუ შედეგი, რაც მწერალს აწუხებს და მთელს ერს უნდა აშფოთებდეს:

„მშობლების, ბებია-ბაბუების პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მშობლიურ გარემოს ძალით მოწყვეტილი ბავშვი ქვეყნის ქომაგად ვერ გამოდგება“.

და იქვე, მწერლის მართლაც თავზარდამცემი, ძნელზე ძნელად მოსასმენი დიაგნოზი:

„განგებ შეგვყარეს, თუ ჩვენ თვითონ დავიმართეთ შეგნებულად, აშკარად ავი სენი გვჭირს. ამ სენს სამშობლოზე გულის აცრუება ჰქვია და ძნელი სათქმელია, რატომ უნდა შეგვყროდა მაინცდამაინც ჩვენ, როცა ყველა ჯურის გადამთიელს მაინცდამაინც ჩვენს სამშობლოზე რჩება თვალი“.

მაგრამ დიდმა მწერალმა მხოლოდ დიაგნოზი კი არ უნდა დასვას, ერს წამალიც უნდა გამოუწეროს. და აი, წამალიც:

„ერის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, სულიერი სიჯანსაღე რომ დავიბრუნოთ, ხელახლა უნდა მოვინათლოთ ყველანი ქართველებად. და ხელახლა უნდა შევისწავლოთ ანი და ბანი“.

იმედიც წამალია და დიდი მწერლისგან ერი, უპირველეს ყოვლისა, ამ წამალს ელის.

აი, ეს წამალიც:

„დღეს გაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით, რადგან დღეს უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად“.

აქ შეუძლებელია, არ გაგახსენდეს მუხრან მაჭავარიანი:

„საქმე იმიტომ უფროა ცუდად,
ცუდად რომ არის, არ იცის ბევრმა“...

* * *

ოთარ ჭილაძემ, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ ემიგრაციაში ყველა ერთი მიზეზით არ მიდის. „ვინ იძულებით მიდის, ვინ საკუთარი ნებით, ვინ ფეხის ხმასაა აყოლილი, ვინ ახლობლების რჩევასა თუ მოთხოვნას. მოკლედ, რაც ერთისთვის ტანჯვაა, მეორისთვის ნეტარებაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთს დაბრუნება უნდა, მაგრამ არ შეუძლია, მეორეს შეუძლია, მაგრამ არ სურს. ასე რომ, ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ლუკმა-პურის მაძიებელი სჭარბობს მათ შორის, თუ ტკბილი ცხოვრებისა. ერთი ცხადია, ემიგრანტობა ცხოვრების წესად თუ არა, მოდად ნამდვილად იქცა ჩვენში, რასაც, თავის დროზე, თავად ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი“.

ოთარ ჭილაძის რანგის მწერალმა ისიც კარგად იცის, რომ „ასეთი ლაპარაკი, არა მარტო მტერს, მოყვარესაც აღიზიანებს“, მაგრამ სათქმელს მაინც ბოლომდე ამბობს.

რუსეთში ემიგრირებულთ ცალკე გამოჰყოფს, რადგან, მისი აზრით, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში: „თავს აფარებ იმას, ვინც თავშესაფარი მოგიშალა“.

* * *

აქ – მცირე გადახვევა:

ოთარ ჭილაძის გარდაცვალებას „ლიტერატურნაია გაზეტაც“ გამოეხმაურა. გამოსათხოვარ წერილში აღნიშნული იყო, რომ ის მთაწმინდაზე, გრიბოედოვის სიახლოვეს დაკრძალეს.

არადა, ბატონ თამაზ ჭილაძეს დიდ მწუხარებას ის უქარვებს, რომ მის სათაყვანებელ ძმას სამუდამო განსასვენებელი ვაჟა-ფშაველას სიახლოვეს ერგო (აკაკიც ხომ იქვეა და შორს არც ილიაა).

გრიბოედოვთან სიახლოვის ხაზგასმა ისეთივე ბედის ირონიაა, როგორც თვითონ ეს ფაქტი – მთაწმინდაზე რუსი მწერლის საფლავის არსებობა, ანდა, ქორწინების სასახლესთან მდგარი მისივე ძეგლი – ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო ქორწინების სიმბოლო მაინცდამაინც ქორწინების სასახლის ახლოს და პირდაპირ.

ეს კიდევ ერთი სიმბოლური გამოხატულებაა იმისა, რომ რუსეთი ავ ბედისწერად გვექცა.

* * *

დავუბრუნდეთ წიგნს.

ამ პატარა წიგნში დიდი სათქმელით დახუნძლულ არაერთ სტატიას, ესეს თუ ინტერვიუს შეხვდებით.

კიდევ ორს გამოვყოფ.

ერთი გამოსათხოვარია, მეორე – მისალმება.

ანა კალანდაძის გარდაცვალებას ოთარ ჭილაძე ასე გამოეხმაურა:

„ამ სამწუხარო ცნობამ... სიცარიელის გრძნობა კი არ გააჩინა, არამედ სისავსისა, განწირულობისა კი არა – რწმენისა და იმედისა... ეს ანომალიური სიკვდილია. ძველს კი არ ამთავრებს, ახალს იწყებს. დიახ, დღეს დაიწყო ანა კალანდაძის უკვდავება – ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთი დიდებული, დიადი, საამაყო შვილი შეემატა; საქართველოს ციხე-გალავანს – კიდევ ერთი ურყევი, შეუვალი ბურჯი“.

ზვიად კვარაცხელიას გამოჩენას ოთარ ჭილაძე ასე მიესალმა:

„როცა ცხრამეტი წლის ბიჭი ასე საღად ფიქრობს, ასე მძაფრად გრძნობს და ასე მტკივნეულად განიცდის საკუთარი ქვეყნის, მშობელი ხალხის ბედსა და უბედობას... ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, მწერლობის და, ამ შემთხვევაში, კერძოდ, ჩვენი ეროვნული მწერლობის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს, ადასტურებს, ამ მწერლობის ბებერ ფესვებს კვლავაც რომ შეუძლიათ ახალი სიცოცხლის აღმოცენება, გამოტანა ახალი ყლორტისა“.

იქ, სადაც მიმავალს (უკვდავებაში!) ასე ეთხოვებიან და მომავალს ასე ეგებებიან, არც მწერლობას უწერია სიკვდილი და არც ქვეყანას...

ვერდამაღული

ბაჩანა ბრეგვაძის სამთაწმინდე ღვაწლი

ერთხელ ვძლიე მორიდებას და ვუთხარი, ჩვენი ზნეობრივი ორიენტირი ხართ-მეთქი.

პასუხი: „გადაჭარბებულია, ძალიან გადაჭარბებული“.

* * *

არიან პიროვნებები, რომელთა შესახებ წერა ერთდროულად არის ძნელიც და ადვილიც.

ბაჩანა ბრეგვაძეზე წერა მხოლოდ და მხოლოდ ძნელია.

შეუძლებელია, მისი ნაღვაწის გაცნობიერებამ არ გაგაოგნოს და ის არ დაგმართოს, რასაც თვითონ პლატონზე ამბობს:

„მკითხველს აბნევს თემატიკის ეს თვალისმომჭრელი სიჭრელე, ცნობიერება გაოგნებული დაბორიალობს იმ ინტელექტუალური ლაბირინთის იდუმალებით მოცულ სიღრმეში. ძნელია, მიაკვლიო გზის მაჩვენებელ იდეას, კვალდაკვალ მიჰყვე ავტორის მაძიებელი აზრის დინებას“...

ბაჩანა ბრეგვაძეს ეს არ გასჭირვებია.

ამას ადასტურებს „ლაბირითებში მისი ბორიალის“ განსაცვიფრებელი ნაყოფი, რასაც აკაკი გაწერელია ასე დარწმუნებით წინასწარმეტყველებდა:

„ბაჩანა ბრეგვაძემ თავისი პოლიგლოტური განათლება ქართული ენის სამსახურში ჩააყენა და როცა იგი ბოლომდე განახორციელებს პლატონის – ყველა დროისა და ყველა ხალხის ყველაზე გრძნეული სტილის მქონე გიგანტის – დიალოგების სრულ ქართულ თარგმანს, ჩვენი ხალხი მაშინ უკეთ დაინახავს, თუ როგორი შვილი აჩუქა განგებამ“.

ალბათ, არც რისმაგ გორდეზიანს ეეჭვებოდა, ბაჩანა ბრეგვაძე რომ ამას შეძლებდა, თუმცა, ჩემთან ინტერვიუში, ამასაც აღნიშნავდა:

„მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია იმ მთარგმნელთა რიცხვი, მარტონი რომ შეეჭიდნენ პლატონის სრულად თარგმნის ურთულეს საქმეს და ბოლომდე მიიტანეს იგი“.

* * *

„დიდი ადამიანები მათივე სიამაყის შუქზე უნდა განვიხილოთ“. – ვკითხულობთ პოლ ვალერის „რჩეულ პროზაში“, რომლის თარგმანიც ბაჩანა ბრეგვაძემ გვაჩუქა.

მაგრამ როგორ უნდა მოახერხო ეს მაშინ, როცა საქმე ბაჩანა ბრეგვაძეს ეხება?

ბაჩანა და სიამაყე?!

ეს ხომ წარმოუდგენელია.

ჰოდა, ძლიერი შუქიც აქედან მოდის.

იქნებ პოლ ვალერიც სწორედ ამას გულიხმობდა.

გამახსენდა ჩემი ერთი „სახიფათო ჩანაწერი“: „თუ ბაჩანა ამას ამბობს?!“

„ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ ბოლო წლების ჩანაწერებს აქვეყნებს. ერთ – ერთს ასე ჰქვია: „არ იყო ჩემი საქმე“. და იცით, რას გულიხმობს? – მთარგმნელობითს მოღვაწეობას(?!). „საბუთად კი რაინერ მარია რილკეს გამონათქვამი მოჰყავს: „მე გამბედაობა და გამოცდილება არ მყოფნის, პირწმინდად ფილოსოფიური თხზულებების სათარგმნელად, ხოლო უცხო ტერმინოლოგიის წვდომა და სხვა ენაზე მისი ეკვივალენტის მოძიება ჩემს ძალ – ღონეს აღემატება“.

„თუ რილკე ამას ამბობს, მე რაღა მეთქმისო, – ამბობს მთაწმინდელების დარი მთარგმნელი, ვისაც იოტისოდენა საფუძველიც არა აქვს მსგავსი სკეფსისის გამოსათქმელად“.

მოდი და განიხილე საკუთარი სიამაყის შუქზე!

ბაჩანას პიროვნება ზედმიწევნით ამართლებს მარკუს ავრელიუსის სიტყვებს:

„კეთილი საქმის მოქმედი კაციც საქვეყნოდ კი არ გაჰყვირის – აი, რა ვქმენო, არამედ უხმაუროდ გადადის მეორე საქმეზე, მსგავსად ვაზისა, რომელიც ყოველი ახალი რთვლისათვის ხელახლა ამწიფებს მტევნებს“.

ეს თარგმანი და ეს აზრი ერთნაირად ჰგავს ბაჩანას!

* * *

გავიხსენოთ მისივე თარგმნილი „დონ კიხოტის“ დაუვიწყარი პროლოგი:

„მოცლილო მკითხველო, დაუფიცებლადაც დამიჯერებ, თუ როგორ მსურდა, რომ ეს წიგნი, ჩემი გონების ნაყოფი, წარმოუდგენლად მშვენიერი, დახვეწილი და ღრმააზროვანი ყოფილიყო, მაგრამ განა შემეძლო, წინ აღვდგომოდიბუნების კანონს, რომლის მიხედვითაც, მსგავსი ყოველთვის მსგავსს ბადებს?“

ჭეშმარიტად, მსგავსი მსგავსს ბადებს.

სერვანტესმა დაბადა „დონ კიხოტი“ და ბაჩანა ბრეგვაძის გონების ნაყოფიც წარმოუდგენლად მშვენიერი, დახვეწილი და ღრმააზროვანია.

მოდით, კიდევ ერთი ნიმუშით დავტკბეთ – ამჯერად, არა თარგმნილით, არამედ ორიგინალური ნააზრევით:

„მეცნიერება, როგორც ვნახეთ, რელიგიის ნაშიერია, მაგრამ დიდხანს, ათასწლეულების მანძილზეც კი რჩებოდა „ძედ შეცთომილად“, თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, თითქოს მშობელი სახარებისეული მამასავით იკრავდა გულში თავის „უძღებ შვილს“. რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობა ნამდვილად არ მოგვაგონებს სახარების მომხიბლავ იგავს... ვერც მეცნიერებამ და ვერც სარწმუნოებამ ვერ შეძლეს დაესუსტებინათ ერთმანეთი. პირიქით, ცხადი შეიქნა, რომ მათ უერთმანეთოდ ნორმალური განვითარება არ შეუძლიათ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ორივენი ერთი და იმავე სიცოცხლის მიერ არიან გასულიერებულნი“.

რა გასაგებად ახსნა ურთულესი საკითხი, რა დიდსულოვნად „მოაგვარა“ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობის მარად აქტუალური პრობლემა?!

* * *

ბაჩანა ბრეგვაძეს გამორჩეულად უვარდა თავის მიერვე მოძებნილი და გაცოცხლებული სიტყვა – „ძალისხმევა“.

ეს ცნება, ალბათ, ყველაზე უკეთ შეეფერება იმ ტიტანურ შრომას, რის ფასადაც მისი თარგმანები და ორიგინალური თხზულებანი იქმნებოდა.

სწორედ ტიტანური შრომის განსაცვიფრებელი ნაყოფი აისახა ორიოდე წლის წინათ გამოცემულ ბიობიბლიოგრაფიაში.

ერთ – ერთ მონუმენტურ ნაშრომს (ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი“) ბაჩანა ბრეგვაძე ასე იწყებს: „თავის დიდებულ ფრესკაზე „ათენის სკოლა“ რაფაელი გვიხატავს პლატონს, რომელსაც

ხელში უჭირავს „ტიმეოსი“... უკვე პლატონის უშუალო მოწაფეები „ტიმეოსს“ მიიჩნევდნენ თავიანთი მოძღვრის მთავარ ქმნილებად“.

თვითონ ბაჩანას მთავარ ორიგინალურ ქმნილებად კი, ალბათ, ეს ნაშრომი უნდა მივიჩნიოთ.

თუმცა, ადვილი შესაძლებელია, სხვამ ასეთად „პლატონური დიალექტიკის შედევრი“ აღიაროს.

რა დიდებულია ასეთი არჩევანი.

* * *

არათუ თარგმანებსა თუ კომენტარებში, არათუ მონუმენტურ ორიგინალურ თხზულებებში, სქოლიოებშიც კი იმდენი ცოდნა და ინფორმაციაა, რომ გაოცდები.

ერთი მაგალითი:

„დონ კიხოტის“ პირველი წიგნის „შენიშვნებში“ ლამანჩა უნდა განმარტოს.

აი, განმარტებაც:

„ლამანჩა (ლა მანჩა) – „ხალსა“ თუ „ლაქას“ ნიშნავს ესპანურად. ესპანეთის ერთ – ერთი ისტორიული ოლქი;ადმინისტრაციულად შედიოდა ახალი კასტილიის შემადგენლობაში (სამხრეთ ესპანეთი)“.

ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი მთარგმნელი ამით დაკმაყოფილდებოდა. ბაჩანა კი აგრძელებს: „სახელგანთქმული თავისი ზვრებით და ღვინოებით (ვალდეპენიასი, მანსანარესი, ალბასეტე, სიუდად რეალი, კალატრავა)...„ლამანჩის ერთ – ერთ სოფელში“... – ამ სიტყვებით იწყება ერთი პოპულარული ხალხური რომანსი...„რომლის სახელის გახსენებაც არა მსურს“... – სერვანტესი შეგნებულად არ ასახელებს ლამანჩის ერთ რომელიმე კონკრეტულ სოფელს“....

აქ შევწყვეტ, არადა, ნახევარიც არ გადმომიწერია. რატომ არ ასახელებს? – ამ კითხვის პასუხი დაინტერესებულმა მკითხველმა, დაე, თვითონ მოძებნოს.

* * *

პირველად რომ ვნახე, „შუა ასაკში“ მყოფი, გავიფიქრე, რომ სულ სხვაგვარი წარმომედგინა. რომ გეკითხათ, როგორიო, ალბათ, ვერც გიპასუხებდით. ახლა კი ვიცი: ისეთი, როგორიც ხანშიშესული გახდა. ბოლო წლებში მისი გარეგნობა ზუსტად შეესატყვისებოდა აკაკი გაწერელიას სიტყვებს, სხვა დიდ ქართველზე თქმულს:

„აბრეშუმისებრი სითეთრე ეწვია მის თმასა და წვერ – ულვაშს, ხოლო პერგამენტის გამჭვირვალობა – მის პირისკანს. ასე მომხიბვლელად ბერდებიან სულმნათნი“.

რა შანსი გაუშვეს ხელიდან გამოჩენილმა ქართველმა მხატვრებმა?!

გონებისა და ინტელექტის რა სიღრმეებს, კეთილშობილი და მომქანცველი შრომით და დიადი ფიქრით დაღლილი სულის რაგვარ მშვენიერებას დაიტევდა ბაჩანას პორტრეტი?!

რატომ არ დახატეს?

ვინ იცის?!

ისე, ძნელზე ძნელი კი იქნებოდა იმ კაცის პორტრეტის შექმნა, ვინც ჯორჯო ვაზარის მიქელანჯელოს გარეგნობის აღწერას უწუნებდა და ვისაც შემოქმედის შინაგანი სამყაროს სიღრმისეული წვდომა ხიბლავდა.

* * *

ის არ ყოფილა პოპულარული, ანუ ცნობადი.

მისი სახელისა და გვარისათვის ამგვარი ეპითეტები შეურაცხმყოფელიც კი იქნებოდა.

ძალიან მოსწონდა ლათინური გამოთქმა, რენე დეკარტის სამუშაო ოთახში რომ ჰქონია გაკრული:

„ყველაზე უკეთ იცხოვრა მან, ვინც ყველაზე უკეთ დაიმალა“.

ერთგულად მისდევდა ეპიკურეს რჩევასაც: იცხოვრე „უჩინრად“.

მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი როგორ დაიმალებოდა?

ის ვერ იქნებოდა უბედური სამშობლოს ბედნიერი შვილი, მაგრამ ბაჩანა ბრეგვაძე მაინც ბედნიერ კაცად უნდა ჩაითვალოს, რადგან „შეუძლებელია, ბედნიერი არ იყოს მოქალაქე, რომელიც მთელი სიცოცხლე თანამოქალაქეთა სასიკეთოდ იღვწის“. – მარკუს ავრელიუსი.

* * *

„ათონელები და მთაწმინდელები რომ იყვნენ, იმათი დონის მოღვაწე და მოაზროვნეა:, – მითხრა ზემოხსენებული ბიობიბლიოგრაფიის წარდგინებაზე ბატონმა ემზარ კვიტაიშვილმა.

ავიდა კიდეც მთაწმინდაზე.

დამსახურებულად და დაუყვედრებლად.

* * *

– ბატონო ბაჩანა, თქვენ ჩვენი ზნეობრივი ორიენტირი ხართ.

– გადაჭარბებულია, ძალიან გადაჭარბებული.

– ერთადერთი, რაშიც ვერ დაგეთანხმებით...

რატომ შეეხე?!

ანა კალანდაძის ნება და იძულება

ყოველთვის, როცა ანა კალანდაძეზე ვფიქრობ, ყველაზე წინ, ეს სტრიქონი დამიდგება:

რატომ შეეხე ჩემს კრეტსაბმელს,

რატომ შეეხე?

კი, ვიცი, რა არის კრეტსაბმელი.

ანას კრეტსაბმელს ვინ შეეხება?!

თუმცა, ვიცნობდი იმ ერთადერთს, ვინც ეს გაბედა.

თავისი ცხოვრების მიმწუხრზე, ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, მცირე ხნით შეყოვნება მთხოვა და ერთადერთი ფრაზა მითხრა: „განა არ ვიცოდი, რომ ანას ღირსი არ ვიყავი?!“

ეს იყო ნამდვილი აღსარება, გულწრფელობაში ეჭვს რომ ვერ შეიტანდი.

მე კი ისიც მუდამ მახსოვს, აქ მხოლოდ კრეტსაბმელი და ამ სიტყვის ლექსიკონური განმარტება რომ არ იგულისხმება.

ეს სტრიქონი იმას გვახსენებს, რომ ანას პიროვნებასთან და შემოქმედებასთან ნებისმიერი შეხება უკიდურესად საფრთხილოა.

და თუ ახლა ამ ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო თემას ვეხები, ისევ ანას ეს ჩანაწერი მამხნევებს:„მკითხველის ჩარევა, დამერწმუნეთ, ამ სტროფის აღდგენაზე უფრო მესიამოვნა“.

თუ რომელ სტროფს გულისხმობს და რაში „ჩარევას“ ვაპირებ, ამას მოგვიანებით, თანდათან და ადვილად მიხვდებით.

* * *

წლების წინათ, სარისკოდ მეჩვენებოდა გაზეთ „თბილისში“ სტატიის ასეთი სათაურით გამოქვეყნება: „ანა – დისიდენტი“.

გამიკვირდა კიდეც, მკითხველმა ერთობ ჩვეულებრივ ამბად რომ აღიქვა.

არადა, რატომ უნდა გამკვირვებოდა?! მაღალი რანგის პოეზია (საერთოდ, ლიტერატურა და ხელოვნება) ხომ თავისი არსით არის დისიდენტური, მით უფრო ტოტალიტარულ სახელმწიფოში?!

ჩემდა სამარცხვინოდ, მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა წაკითხული აკაკი ბაქრაძისეული ახსნა:

„ანა კალანდაძის პოეტური სამყარო იმდენად მნიშვნელოვანია, როცა კითხულობ, შენც სხვა სამყაროში ცხოვრობ და სრულიად სხვა სინამდვილეს ეზიარები... ამ ლექსებმა, ამ ახალგაზრდა ქალის მოსვლამ ყველაფერი სულ სხვანაირი კუთხით წარმოაჩინა... ეს იყო სერიოზული ამბოხება, სულიერი ამბოხება რუტინის წინააღმდეგ, იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ რომელიც იმ დროს არსებობდა“.

დისიდენტობაც სხვა რაღაა?!

ამიტომაც ადვილად ასახსნელია ეს საბჭოთა კურიოზი: პოეტს, რომლის გამოჩენაც 1946 წელს ნამდვილ სენსაციად აღიქვეს და ვისი წიგნის დაუყოვნებლივ გამოცემაც იქვე გადაწყვიტეს, პირველი პოეტური კრებული შვიდი წლის შემდეგ (1953) ძლივს აღირსეს, თანაც, ისე, რომ მასში, „უიდეობისა და აპოლიტიკურობის გამო“, ბევრი ლირიკული ქმნილება არ შეიტანეს...

სამაგიეროდ, შეიტანეს „ახალი ყოფის ამსახველი“ და „აქტიური შინაარსის“ ლექსები, რომელთა უმეტესობა 1950 – 51 წლებშია დაწერილი.

ამის შესახებ ანა თავადვე მოგვითხრობს თხზულებათა მეორე ტომში (თბ., 1996წ.) შესულ პროზაულ ჩანაწერებში.

* * *

პირველ კრებულში არ შესულა ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით“.

ის კი არა, მეორე წიგნშიც (1957) მნიშვნელოვანი ცვლილებით, „დაკოჭლებული“ (ანას გამოთქმაა) შევიდა.

ადვილი გამოსაცნობია, რომელ სტროფსაც ამოაკლებდნენ:

„მიეძინა, ერთ წალკოტში მიეძინა და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს. ო, ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა? – ნუ გეშინინ! – მიუგებდა იესო“...

ეს ლექსი ასე დაიბეჭდა 1967 წელს გამოცემულ კრებულშიც.

მხოლოდ 1973 წელს ეღირსა სრული სახით გამოქვეყნება.

მოვუსმინოთ ანას:

„მახსოვს, უცნობმა მკითხველებმა, ფსიქოლოგებმა, შემომითვალეს, ამ სტროფის აღდგენა ახლა უმტკივნეულოდ შეიძლებაო. მკითხველის ჩარევა, დამერწმუნეთ, ამ სტროფის აღდგენაზე უფრო მესიამოვნა“.

აი, ჩემი მანუგეშებელი ფრაზაც აქაა.

სტროფი კი აღდგა, მაგრამ „დაკოჭლებასთან“ დაკავშირებული რეციდივები და კურიოზები კვლავაც გრძელდებოდა:

1978 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა კრებული „ვით მარგალიტი ობოლი“.

გასაგებია, რომ ყოველი პოეტი ერთი ლექსით იყო წარმოდგენილი.

ანას ლექსი – „მოდიოდა ნინო მთებით“ – ისევე „დაკოჭლებული“ შეიტანეს.

სამაგალითოა ანას დიდსულოვნება, როცა ამაზე წერს:

„შემდგენლებს არ ვსაყვედურობ: მათ შეუძლიათ, პოეტის ნებისმიერი კრებული გადაფურცლონ და თავიანთი ნება – სურვილის მიხედვით შეარჩიონ ესა თუ ის ლექსი, – „საფრთხეს“ არსაიდან უნდა მოელოდნენ! ესაა ჩვეულებრივი, ნორმალური მდგომარეობა (სხვათა შორის, მათთან ამაზე ლაპარაკი არ მქონია. შემდგენლებს შეგნებულად არ ვასახელებ)!“

ანას დიდსულოვნება საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც მივაქციოთ ყურადღება აქ დასმულ ძახილის ნიშნებს.

მომდევნო კურიოზი:

ანა წერს, რომ აღნიშნული ლექსი ასევეა „დაკოჭლებული“ ერთერთ გერმანულ თარგმანში.

* * *

ზოგიერთ ლექსში სტრიქონები შეაცვლევინეს.

მაგალითად, ლექსში „თქვი, ჭიამარია“ არის ასეთი სტრიქონები:

„მე ვთბები მზეზე, ვით უდაბნოს მწირი“ და „დავდივარ ბაღში, ვით უდაბნოს მწირი“...

პოეტი აიძულეს, რომ ასე შეეცვალა:

„მზე თავს ვერ დააღწევს ვარდების ღიმილს“ და „ბაღში გაზაფხული ათასფრად ღვივის“...

ცა და დედამიწა!

ისევ ანას მოვუსმინოთ:

„ასე გაჩნდნენ იძულებითი, თავსმოხვეული ვარიანტები (რომლებიც, როგორც უნივერსიტეტში ამ წიგნის განხილვაზე აღნიშნეს, „ბევრად ჩამორჩებოდნენ დედნებს“!). გაჩნდნენ მკითხველთა

დაუსრულებელი შეკითხვებიც: „რატომ შეცვალეთ?“, „ხელნაწერებიდან სხვაგვარად გვახსოვდაო“... ჩემთვის ყველაზე მტკივნეული ეს შეკითხვები იყო. ბევრს კიდევ ბოლომდე რომ არ სჯეროდა, ავტორის ნების გარეშე შესაძლებელი თუ იყო ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა!“

* * *

მკითხველის ჩარევა უფრო მესიამოვნაო.

მე კი მაინც ვერასოდეს შევკადრე პოეზიის დედოფალს ასეთი კითხვა: „ზოგიერთი ძალიან ცნობილი ლექსის ძალიან ცნობილი სტრიქონები თქვენი ნებით რატომ შეცვალეთ?!“

ეს ვერც მსახიობმა თინათინ ელბაქიძემ შეჰკადრა.

ქალბატონი თინათინი ბრწყინვალედ კითხულობდა ანას ერთერთ შედევრს: „ჩამოვფრინდები, იასამანო“.

და კითხულობდა ამ ლექსის პირვანდელ ვარიანტს.

მასაც ჩემსავით აკვირვებდა, როგორ შეელია ანა ამ მართლაც განსაცვიფრებელ სტრიქონებს:

და თუ მე ხშირად გავყვები ღრუბლებს,
ვარდისფერ ღრუბლებს – ქარივით მალებს,
ნუ შეშინდები: ვით მოვშორდები,
სად გავექცევი შენს ლამაზ თვალებს?

ამ ლექსში ანა პირველ ექვს და ბოლო ექვს (არსებითად, ერთნაირ) სტრიქონს არ შეეხო, თორემ ყველა დანარჩენი თითქმის სრულიად შეცვალა. ცხადია, ახალ ვარიანტშიც ანაა, იქაც გვხვდება ჟრუანტელის მომგვრელი სტრიქონები, მაგალითად, ასეთი:

ნუ შეშფოთდები, ღრუბლებს თუ გავყვე,
მინდა, ველურმა ქარებმა მდიონ...

განსაკუთრებით მეორე სტრიქონისთვის კი ღირდა ახალი რედაქციის შექმნა, მაგრამ მაინც გასაკვირია უეჭველ შედევრად აღიარებული ლექსის გადაკეთება.

* * *

ანას ბევრი ლექსი ხომ ზეპირად ვიცით.

თავისთავად, ადვილად და ბუნებრივად, ერთხელ და სამუდამოდ დავიმახსოვრეთ.

მაგალითად, ასეთია 1965 წელს დაწერილი ლექსი, რომელსაც ნარო მამიდას ხსოვნას უძღვნის:

ამ ლექსის პირვანდელ ვარიანტს ახლა სწორედ მეხსიერებით აღვადგენ:

შენ ღვთის მოშიში არ ხარ,
ხალხის ნათქვამს კი იცავ:
სკვინჩა რაღაცას ამბობს...
– კაი ამბავი, სკვინჩავ!
გაგლეკს და – ძმათა დარდი:
ბიჭი სადაა? ციცა?
სკვინჩა არ ტოვებს ეზოს...
– კაი ამბავი, სკვინჩავ!

1987 წელს გამოცემულ ერთტომეულში კი ეს ლექსი ამ სახითაა წარმოდგენილი:

გულმა... ავი თუ გიგრძნო
და... ყურადღებად იქცა:
სკვინჩა რაღაცას ამბობს...
– კაი ამბავი, სკვინჩავ!
ოფოფი ფრთას თუ გაშლის,
გულში ჩაგყვება ხინჯად...
სკვინჩა არ ტოვებს ეზოს...
– ოქროს ნისკარტი, სკვინჩავ!

ახალ ვარიანტს ვერაფერს დაუწუნებ და მაინც გიკვირს: რატომ შეეხო? რატომ შეცვალა?

პირველ სტრიქონზე კიდევ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავის დროზე, ცენზურაზე იყო გათვლილი, მაგრამ დანარჩენები?

კიდევ უფრო გასაკვირია, დედაზე დაწერილ ცნობილ ლექსს რომ შეეხო. მართალია, იქ ერთადერთი სიტყვა შეცვალა, მაგრამ მაინც.

თავდაპირველი ვარიანტი:

შენ გაგითეთრდა თმები მას უკან,
ძვირფას კაბას კი...
ერთი ღერო შერჩა სუსამბრის...
შეცვლილი ვარიანტი:
შენ გაგითეთრდა თმები მას უკან,
ძვირფას კაბას კი...
ერთი მორჩი შერჩა სუსამბრის...

კი, ხვდები, რომ ერთნაირი თანხმოვნები სხვა ხმას, სხვა მელოდიას გამოსცემენ („ერთი მორჩი შერჩა“...), მაგრამ მაინც გიკვირს.

* * *

კიდევ ერთი გადაკეთებული ლექსი: „ცისფერ მეჩეთში“.

არცთუ ძალიან ცნობილი.

არადა, ნამდვილი შედევრი, მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიასაც რომ დაამშვენებდა – ზოგადსაკაცობრიო სათქმელითა და გასაოცარი სიღრმით:

მისი საბოლოო რედაქცია ასეთია:

ყურანის სიბრძნე
სვეტის თავს ამკობს,
ყურანის სიბრძნე
გვირჩევს და ამბობს,
უჭკვიანესი
ყურანის სურა:
„ვისაც აქ ეძებ,
რასაც აქ ეძებ,
დახუჭე თვალი, –
შენშია სულაც!“

ასედაც შედევრია. რაღა სჭირდება?! ვერც კი წარმოიდგენ, რომ 1968 წელს დაწერილ ამ ლექსში სხვა სტრიქონებიც იყო.

არადა, იყო.

თანაც, რა სტრიქონები?! ერთი – განსაკუთრებით:

„ვდგა ფეხშიშველი ჭრელ – ჭრელ ხალებზე
და ჭრელ – ჭრელ სვეტებს მივაპყრობ თვალებს...
მუხლდადრეკილნი, თავდადრეკილნი,
მლოცველნი... თითქოს შეზრდიან ხალებს...
აისე ხანუმ მიკითხავს, მიხსნის,
თუ რას გვაუწყებს ყურანის სურა:
„რასაც აქ ეძებ, ვისაც აქ ეძებ...
დახუჭე თვალი, შენშია სულაც!“

კი, ძნელი არ არის მიხვედრა, რატომ შეეხო, როგორ სრულყო, რარიგ დახვეწა, მაგრამ მაინც გიკვირს, როგორ შეელია ამ გასაოცარ სახე – მეტაფორას: „მლოცველნი... თითქოს შეზრდიან ხალებს“...

ადვილად ვერც აისე ხანუმს გაიმეტებ, მით უფრო, რომ მის დაუხმარებლად, ყურანის სიბრძნეს, ცისფერ მეჩეთში, ვერ წაიკითხავ.

* * *

პოეტს ვინ დაუშლის საკუთარი ლექსის შეცვლა – დახვეწას, მაგრამ დღესაც იმას ვფიქრობ, რაც წლების წინათ, მურმან ლებანიძეს

საჯაროდ ვუთხარი: „თქვენი ლექსები ჩვენია!“ იმას ვგულისხმობდი, რომ ლექსი გამოქვეყნებამდე ეკუთვნის პოეტს, შემდეგ კი უკვე მკითხველისაა.

გამოქვეყნებულ ლექსში უკვე მკითხველი ვეღარ შეელევა ასეთს სტრიქონებს:

ხეებიც ეძებენ ერთმანეთს
და ღამეს მარტო არ ხვდებიან...

არადა, სწორედ ეს სტრიქონები ვეღარ ვიხილე ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ლექსში. და რა საოცარია: სწორედ იმ დროს, ფეისბუქში გამოჩნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, აწ განსვენებული პროფესორის თენგიზ კიკაჩეიშვილის ჩანაწერი:

„მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, პირველად მივედი ფანჯარასთან და მივხვდი, რომ მარტო ვარ. პირველად შევამჩნიე: ჩემი სახლიდან ორი ხე ჩანს. ერთმანეთის გვერდით დგანან, თითქოს, ჩახუტებულები არიან. ალბათ, რამდენი წელია, დგანან. მე მხოლოდ იმ დღეს დავინახე და მგონია, რომ ის ხეები ჩვენ უნდა ვიყოთ – მე და ჩემი ცოლი“.

თითქოს, იმ ქვეყნიდან შემომეშველა ბატონი თენგიზი...

* * *

ვერ გავუბედე – მეთქი.

საინტერესოა, რომ მეკითხა, რას მიპასუხებდა?

ალბათ, მხოლოდ გაიღიმებდა – „უბრალოდ და მკაცრად, თავისი განსაკუთრებული ღიმილით“.

რაგინდ გასაკვირიც იყოს, ბრჭყალებში ჩასმული ფრაზა რუს კრიტიკოსს ვლ. ერიომენკოს ეკუთვნის დამართლაც სანატრელი კონტექსტიდან არის ამოღებული:

„ხანდახან, კულუარებში კამათისას, ანა კალანდაძეზე ამბობენ, ქართველი ახმატოვაარ. თვითონ ანას ამგვარ შედარებაზე, ალბათ, გაეღიმება. გაეღიმება უბრალოდ და მკაცრად, თავისი განსაკუთრებული ღიმილით“.

დამეთანხმებით, ეს ღიმილი, ამ კონტექსტში, გაცილებით უფრო მრავლისმთქმელია.

რეზო ინანიშვილი კი ანას გამოხედვაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი მოგონებაც ღრმაზროვანია: ერთხელ, ღვინით შეთამამებული, ბიბლიიდან წამოსულ ქალბატონს უწოდებს და: „შემომხედა თავისი გრძელი შემოხედვით“...

უცნაურია, მაგრამ... ინანიშვილია.

გურამ დოჩანაშვილსაც, უთუოდ ღვინო გააბედინებს, შუაღამისას რომ დაურეკავს და ეტყვის: „რა ახმატოვა, ცვეტაევა, დიკინსონი?! როცა თქვენ გაგაკრიტიკეს, მაშინ არიცოდნენ, როგორ მოქმედებთ ადამიანებზე, თორემ მოგსპობდნენ... თქვენი სქოლიო თავისუფალია. სხვებისა რა მოგახსენოთ. იქ ჩანან ვიღაცეები, თქვენთან კი – არა, თუ ბიბლიას არ ჩავთვლით“.

ეს მოგონება ანას „აპოკრიფული დღიურებიდანაა“ და მით უფრო ძვირფასია.

ერთი რამით კი მართლაც ჰგავს ახმატოვას ჩვენი ანა – იმით, რასაც მისი ეს გამოთქმა გულისხმობს: „პოეტი უნდა აზროვნებდეს მხოლოდ აუცილებელი სიტყვებით“.

ამიტომაც იყო მუდამ თავჩარგული თავის პოეზიაში – იუველირივით ხვეწდა და სრულყოფდა ლექსებს, რომლებიც უკვე ზეპირად ვიცოდით.

ვხვდებოდით ამას და მაინც გვიკვირდა: რატომ შეეხო?! რატომ შეცვალა?!

საღ იმაღეგა ფერწერის ღმერთი?

ნათელა იანქოშვილის ახალი სიცოცხლე

აღარც კი მახსოვს, ასე რომელი სტატია დავიწყე, ან დავიწყე თუ არა.

თუმცა, ასეც რომ იყოს, უკვე განსხვავებული შესავალია.

* * *

კინოსცენარს რომ ვწერდე, ასე დავიწყებდი:

სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი სახელოსნო.

სტუდენტი სადიპლომო ნახატზე მუშაობს. შემოვა ხელმძღვანელი, მოლბერტს შეათვალიერებს და ჩაილაპარაკებს: „სა – ინ – ტე – რე – სო – ა – ა – ა!“ შემდეგ მოწაფეს ფუნჯს გამოართმევს და ეტყვის: „შეიძლება, გავაგრძელო?“პასუხს არ დაელოდება და ხატვას შეუდგება. რამდენიმე მონასმის შემდეგ, მოწაფეს მიმართავს: „მიდი, დაამთავრე!“ ოსტატი გადის. შეგირდი ნახატს სწრაფად წაშლის და ხატვას თავიდან დაიწყებს...

* * *

ეს ნამდვილად მოხდა.

სტუდენტი ნათელა იანქოშვილი იყო, ხელმძღვანელი – მოსე თოიძე.

სახელგანთქმულ მხატვარს არ სწყენია და სადიპლომო ნამუშევარი უმაღლესი ქულით შეუფასა.

აკადემიაში თვით დავით კაკაბაძემაც გამოარჩია და სტიპენდია ერთადერთს დაუნიშნა. მანვე პირველმა შენიშნა ნიჭიერი შეგირდის ერთი „უარყოფითი“ თვისება: სიჯიუტე.

* * *

მხატვრის სიცოცხლეში, კინოსცენარს ასე დავამთავრებდი:

მოსკოვი. ლიტერატორთა სახლი. ნათელა იანქოშვილის ნახატების პერსონალური გამოფენა. უამრავი დამთვალიერებელი. გამოჩენილ ქართველ და რუს მწერალთა, ხელოვანთა და ხელოვნებისმოდნეთა აღფრთოვანება. აღტაცების გამომხატველი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში:

„არავის მსგავსი მხატვარი“;

„დიდი კოლორისტული გაბედულება“;

„ფერთა მუსიკა“;

„მეტყველი მოქნევა ფუნჯისა“...

სწორედ იქ იტყვის ნოდარ დუმბაძე:

„არ მინდა, ვთქვა, რომ ნათელა იანქოშვილისა დღეს არ ესმით, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ის მომავლის მხატვარია“.

ერთი ცობილი მხატვარი კი არცთუ მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკებს: „იმ სიჯიუტემ ამ გამარჯვებამდე მოიყვანა“.

ესეც აუცილებლად უნდა ვთქვათ: „მდუღარებაი სულისა“ – ასე შეაფასა ნათელა იანქოშვილის პირველი პერსონალური გამოფენა აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა.

* * *

ნოდარ დუმბაძის სიტყვებს, ცხადია, ვერ შეველეოდი, მაგრამ კინოსცენარს დღეს ასე აღარ დავამთავრებდი.

ოღონდ, არა იმის შიშით, რომ „რუსულ ფინალად“ ჩამითვლიდნენ, უბრალოდ, იმის საჩვენებლად, რომ ნათელა იანქოშვილის ხელოვნების აღიარება შორს გასცდა ყოფილ საბჭოთა სივრცეს და მის ნახატებს უდიდესი მოწონება აქვთ სტამბულში, კიოლნში, ბერლინში, ბრიუსელში, ნიუ იორკში...

* * *

ნათელა იანქოშვილი და მისი მეუღლე, ცნობილი მწერალი ლადო ავალიანი ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებითს საღამოს დაესწრებიან. კონცერტის შემდეგ შინ დაბრუნებული მხატვარი დღიურში ჩაწერს: „თუ ამ საუკუნეში შემფასებელი არ გამოუჩნდება, მაშინ დაიბადება მომავალ საუკუნეში“.

თითქოს, საკუთარ თავზე წერსო.

თუმცა დაფასება და აღიარება არც იმ კომპოზიტორს აკლდა და არც ნათელა იანქოშვილს.

საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ყველაზე მაღალი და საპატიო ტიტულები.

ბოლოს და ბოლოს, სხვას ვის ღირსებია „ერთი მხატვრის მუზეუმი“, თანაც სად?! – რუსთაველის გამზირზე!

მაგრამ მისი ნამდვილი საერთაშორისო აღიარება მაინც ოცდამეერთე საუკუნეში დაიწყება.

* * *

ესეც კარგი კადრი იქნებოდა კინოსცენარისათვის:

კომუნისტების ეპოქა.

მხატვარი, რომელსაც სახელოსნო არა და არ აღირსეს, ცეკას პირველ მდივანთან შესახვედრად მისულა. შევარდნაძის კაბინეტიდან ვერიკო ანჯაფარიძე გამოვა. ცხადია, ერთმანეთს მოიკითხავენ. „ნათელა, მოსკოვში გამოფენა გქონდა?“ – ჰკითხავს მსახიობი. უარყოფით პასუხს რომ მიიღებს, ეტყვის: „აუცილებლად უნდა იზრუნო ამაზე“.

სხვათა შორის, დღიურში ამ ეპიზოდს მთლად სიმპათიით არ ჩაინიშნავს. არცთუ ძნელად შესამჩნევი ირონიით აღნიშნავს, რომ ვერიკო ჭკვიანია და იცის, როგორ უნდა მიაღწიოს აღიარებას.

ვერიკოს კი ვერ გავამტყუნებთ: იმ დროს ხომ ყველა გზა მოსკოვში მიდიოდა და იქაური გამოფენის დიდი წარმატება რომ არა, შესაძლოა, შევარდნაძესაც არ გამოედო თავი „ერთი მხატვრის მუზეუმის“ გასახსნელად, მით უფრო, რომ ამ საქმის ჩაშლას მხატვრის არაერთი კოლეგა ცდილობდა.

და როგორ ამაყობდა იმით, რომ ერთსა და იმავე ქალაქში არსებობდა ხელოვნების ორი უნიკალური კერა, ორი დიდი ქალბატონის (ამას მე ვამბობ) სახელთან დაკავშირებული:

ერთი მსახიობის თეატრი – ფიქრის გორაზე;

ერთი მხატვრის მუზეუმი – რუსთაველის გამზირზე.

და თვით მამაზეციერი მიწაზე მხოლოდ ამის სათქმელად რომ ჩამოვიდეს, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ თუნდაც ღრმად მოხუცებულმა მხატვარმა, საღ გონებაზე, მუზეუმისთვის ამ სტატუსის გაუქმებას მოაწერა ხელი.

მაგრამ ეს სხვა სტატიის თემაა და, რაც მთავარია, სახელმწიფოს, ერის, საზოგადოების ღირსების საკითხია.

ჯაყო, ჯერჯერობით და საუბედუროდ, კვლავაც ცოცხალია!

* * *

ნათელა იანქოშვილი ბევრი რამით მაგონებდა ვერიკოს, უპირველესად კი იმით, რაც ბერძენმა ტრაგიკოსმა მსახიობმა ასპასია პაპატანასიუმ დიდი ხელოვანის ალღოთი შეიცნო და თავის ქართველ კოლეგას ასე მიმართა: „შენ ხარ ძალა საქართველოს მიწისა!“

ვერიკოს ძალა კოლხური მიწიდან მოდიოდა, იანქოშვილისა – კახეთიდან.

ერთხელ ხელი და თვალი მიმოავლო დიდ დარბაზში გამოფენილ თავის ნახატებს და მითხრა: „ყველა ტილო ჩემი ხელითაა გადაჭიმული. იცით, ეს რა ძნელი და დამქანცველია?!“

არ გამკვირვებია.

* * *

გურჯაანში დაიბადა.

სწორედ იმ წელს, როცა ფიროსმანი გარდაიცვალა.

ერთადერთი, ვისაც შეადარებენ, ყოველთვის ფიროსმანი იქნება.

ფიროსმანი იყო ერთადერთი, ვისაც ქართველ მხატვართაგან გულით აღიარებდა.

დაპირებული ნახატი ჩემთვის რომ ვერა და ვერ გაიმეტა, ერთი ძალიან კარგი მხატვარი ვუხსენე და მთელი სერიოზულობით ვუთხარი:

„– მან სამი ნახატი მაჩუქა, თქვენ კი – ერთიც არა“.

კახური პირდაპირობით მომიგო:

„– იმან გინდ გაჩუქოს და გინდ – არა“.

ერთხელ კიდევ უფრო ცნობილ და აღიარებულ მხატვარზე მეუბნება: „ეგ ფერებს საერთოდ ვერ ხედავს. დგას და პირდაპირ იხატავს თბილისურ ეზოებს. მხატვრობა იმის დახატვა კი არ არის, რასაც ყველა ხედავს, შთაბეჭდილების გადმოცემა უნდა შეგეძლოს. ხელოვნება განწყობილებაა. მე დღეს წარმოსახვით ვხატავ იმას, რაც ოცდაათი წლის წინათ მლეთაში მინახავს და განმიცდია. ეგენი კიდევ პირდაპირ იხატავენ. მხატვარს, ნიჭის გარდა, სამი აუცილებელი რამ სჭირდება: ფერწერის ტექნიკა, უტყუარი ინტუიცია და დიდი ნებისყოფა. ზოგჯერ ცოდნაც ინტუიციით მოგეწოდება. ხელოვანი თავის გზაზე სწორად მიდის ინტუიციის საშუალებით და ზუსტად გრძნობს ეპოქას. უამისოდ ნამდვილი ხელოვნება ვერ შეიქმნება“.

* * *

ხშირად ამბობდნენ, მძიმე, ხისტი ხასიათი აქვსო და მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ.

მტრობდნენ კიდეც.

დაუნდობლადაც.

მარტო ხარო. გვერდით არავინ გიდგასო – უსისინებდნენ.

პასუხი გამზადებული ჰქონდა:

„მარტო ის არის, ვინც ძლიერია. აბა, ვინ იდგა ფიროსმანის გვერდით?!“

ეს – შემოქმედებაში, ცხოვრებაში კი სულაც არ იყო მარტო, გვერდით ედგა კეთილშობილი ინტელიგენტი ლადო ავალიანი, ვინც თითქმის მთელი ცხოვრება, ფაქტობრივად, მის შემოქმედებითს წარმატებებს მიუძღვნა.

თუმცა, ამ სრულიად გამორჩეული წყვილის ერთად ყოფნას მაინც „ორის მარტოობა“ დავარქვი. როცა ბატონი ლადო გარდაიცვალა, გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნე გამოსათხოვარი, რომელიც ასე დავასათაურე: „ერთის წასვლა ორის მარტოობიდან“. იმავე საღამოს, „მოამბეში“ ჟურნალისტმა დოდო იორდანიშვილმა ჩემი ტექსტი თითქმის მთლიანად წაიკითხა.

დრო რომ გავიდა, მითხრა, იქნებ როგორმე შევეგუო ულადოობას, ცოტა მოვხასიათდე და აუცილებლად დაგხატავო.

არ მინდა – მეთქი.

გაოცება ვერ დამალა. ვინ არ ოცნებობდა ამაზე, მათ შორის, ერთი მაღალჩინოსნის მეუღლე, ვისგანაც დავალებულიც კი იყო.

არ დახატა.

აბა, ეგ რა დასახატავიაო?!

მე კი უარს ვეუბნებოდი?!

– არ გინდა რომ დაგხატო?!

– მე თქვენი ნახატი მინდა და არა ის, რომ დამხატოთ.

– კარგი, მაშინ ახალს დავხატავ და გაჩუქებ.

ველარ დახატა.

მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა მისთვის ლადო, რომ ეს მართლაც განუყოფელი ორი იყო.

* * *

დიახ, ეს ნამდვილად გამორჩეული წყვილი იყო.

აკაკი გაწერელია წერდა, გამოჩენილი პიროვნებების წასვლა პეიზაჟსაც აღარიბებსო და მაგალითად ის მოჰყავდა, რომ რუსთავე-

ლის გამზირს გერონტი ქიქოძის დინჯი სიარული აღარ ამშვენებდა.

ვისაც უნახავს, როგორ გამოდიოდნენ ნათელა და ლადო რუსთაველის პროსპექტზე, განსხვავებულად ჩაცმულნი, როგორ უხდებოდნენ ქუჩას პრემიერაზე, კონცერტზე თუ გამოფენაზე მიმავალნი, აუცილებლად იგრძნობდა „პეიზაჟის გაღარიბებას“.

ამირან გომართელმა შენიშნა, მხატვარს ლადო უფრო ჰგავდაო.

ვეთანხმები, თუმცა, ნათელას გარეგნობაშიც ასევე იყო რაღაც ძალიან საინტერესო, ხელოვანისთვის სანატრელი.

გრიგოლაბაშიძის ულამაზეს მეუღლეს ხატავს. ერთ-ერთი სეანსის დროს, ქალბატონი ლამარა ეუბნება:„გიცქერით და ვფიქრობ, რა კარგი დასახატი ხართ. თვითონ თქვენ უნდა დაიხატოთ თქვენი თავი, როგორც ფრესკა: შავი თმები, მოყვითალო სახე, მწვანე ფონი“.

მხატვარი გაბრაზდება და ეტყვის, რომ არ უყვარს, როცა ხატვის პროცესში ხელს უშლიან.

* * *

პორტრეტი ნათელა იანქოშვილის სტიქიაა.

არაერთი უეჭველ შედევრადაა აღიარებული: მამის პორტრეტი, სულხან – საბა, ექვთიმე თაყაიშვილი, ნინო ჭავჭავაძე, ზინა კვერენჩხილაძე, მარინე თბილელი...

ის პიროვნების სულს, ხასიათს, შინაგან სამყაროს ხატავს.

მისი ნაამბობი:

„ძალიან გამიჭირდა მედეა ჯაფარიძის პორტრეტის შექმნა. თითქოს, რა უნდა ლამაზი ქალის დახატვას, არადა, გავწვალდი. ვგრძნობდი, რომ ის მხოლოდ ფერია არ იყო, სილამაზისა და გარეგნული სათნოების მიღმა, ძლიერი ხასიათიც იმალებოდა. ვთხოვე, კლეოპატრას წითელი კაბა ჩაეცვა და პორტრეტიც შედგა.

ერთმა მომღერალმა სეანსზე, ფიზიკური ნაკლის დასაფარავად, დიდი შავი მოსახამი მოიტანა. მხატვარს კი სწორედ იმის ჩვენება უნდოდა, თუ რა „ლამაზი სულის ჭურჭელი“ იყო მომღერლის არცთუ ლამაზი სხეული. პორტრეტიც ზუსტად ამას გვიჩვენებს.

* * *

იანქოშვილის პორტრეტები საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ზემოთ ნახსენები დიდი საერთაშორისო აღიარება მაინც პეიზაჟებს უკავშირდება.

და მივადექით კიდეც იმას, რაც სიახლეა და განსაკუთრებით უნდა გვახარებდეს.

ეს არის ინფორმაცია, რომელიც ლონდონში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ გიორგი ლალიაშვილმა ინტერნეტსივრცეში გაავრცელა:

„ცნობილმა გერმანულმა გამომცემლობამ „Himer“ – მა გერმანულ და ინგლისურ ენებზე ცალ-ცალკე გამოსცა წიგნი: „ნათელა ინქოშვილი – მხატვრის ცხოვრება იძულებასა და თავისუფლებას შორის“.

ამავე ინფორმაციით ვიგებთ, რომ წიგნის ავტორია ბერლინის „Galerie Komfeld“ – ის სამხატვრო ხელმძღვანელი მამუკა ბლიაძე, ვინც ორი წელი მოანდომა ნათელა იანქოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მასალების შეგროვებას.

წიგნი ჯერ ხელთ არ მჭერია, მაგრამ ვერ დავმალავ სიამაყეს იმის გამო, რომ იქ, ცნობილ გერმანელ, ინგლისელ, იტალიელ, ამერიკელ, რუს და ქართველ არტკრიტიკოსთა მოსაზრებებს შორის, ჩემი მოგონებანიც არის შესული.

* * *

მე ვიცნობ მამუკა ბლიაძეს.

სწორედ ორი წლის წინათ, თბილისში მისივე თხოვნით შევხვდი.

ბატონმა მამუკამ მიამბო, თუ რა დღითიდღე ძლიერდება დასავლეთში ინტერესი ნათელა იანქოშვილის ნახატების მიმართ.

გაოცებულნი კითხულობენ: „ვინ არის?“ „ჰოლანდიელია?“ შეიტყობენ, რომ ქართველია. მერე ამას კითხულობენ: „აქამდე სად იყო?!“ „რატომ არ ვიცოდით?!“

მაინც რა ხიბლავთ ასე ძალიან იანქოშვილის პეიზაჟებში?

ბატონი მამუკას ნაამბობით დავასკვენი, რომ სწორედ ის ხიბლავთ, რაც თავის დროზე მოსკოვშიც შენიშნეს და შთაბეჭდილებათა წიგნშიც ჩაწერეს, თუნდაც შავისა და მწვანის კონფლიქტის თაობაზე:

„გაოგნებული ვარ ამ შავი ფერით, ფერით გლოვისა და კაეშანისა, რომელიც აქ, ბრწყინვალე მხატვართან, უეცრად ათამაშდა, გაცოცხლდა, სიხარულის მომნიჭებლად იქცა“.

„ნათელა იანქოშვილის ფერწერა გაოცებთ თავისი თვითმყოფადობით, იმით, რომ იგი არ ჰგავს არცერთ სხვა მხატვარს. ფართო, მოულოდნელი მონასმები – ესაა თავისებური ვირტუოზული იმპროვიზაცია, რომელიც ადამიანის სულში დიდი ემოციური ძალით იჭრება“.

* * *

მონასმებზე უნდა შევჩერდეთ.

ეს ნათელა იანქოშვილის ერთ-ერთი მთავარი „კოზირია“.

რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთ, ეს თვითონ იცის.

ამიტომაც ამბობს ასეთი დაბეჯითებით:

„დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ დაიჭერ ფუნჯს, როგორ მოუსვამ. სწორედ ფუნჯის მოსმაში იგრძნობთ და დაინახავთ ფერწერის ღმერთს“.

უნდა ვაღიარო: მე ნამდვილად ვგრძნობ და ვხედავ ფერწერის ღმერთს, როცა ნათელა იანქოშვილის ნახატებზე მლეთის, იყალთოსა თუ ალავერდის თავზე მოარულ ღრუბლებს ვუყურებ.

არადა, თითქოს, ერთი ჩვეულებრივი მონასმია, ფერთა უბრალომოძრაობა.

მაგრამ რა ძლიერიმონასმია?!

აი, ძალა საქართველოს მიწისა!

* * *

ნათელა იანქოშვილის ნახატებზე, ძირითადად, ოთხი ფერია – უკვე ნახსენებ შავსა და მწვანეს ყვითელი და წითელი ემატება.

ყველგან გაოცებით საუბრობენ მის სურათებში აღბეჭდილ ფერთა მუსიკაზე.

მოსკოველ დამთვალიერებელს ამ მუსიკამ სკრიაბინი მოაგონა, მე კი განსაკუთრებით იმან გამახარა, რაც მამუკა ბლიაძისგან გავიგე:

„ნათელა იანქოშვილის ნახატებს დასავლეთში ქართულ პოლიფონიას ადარებენ. ეს აელვებული წითელი და ყვითელი ფერები, თითქოს, ფერწერაში ჩვენებური კრინისა და კრიმანჭულის გადატანაა. მათში გაოცებასა და სიხარულს კიდევ ერთი რამ იწვევს: 50 წლის წინათ შექმნილ სურათებს ისეთი ჩაუმქრალი სიცოცხლის ბეჭედი აზით, თითქოს, მხატვარმა ეს-ესაა დაამთავრაო“.

აი, რატომ ვიტყოდი უარს „რუსულ ფინალზე“.

* * *

„ჩაუმქრალი სიცოცხლე“ – ამით, მართლაც ბევრს აოცებს ნათელა იანქოშვილის ნახატები.

„მაინც, რა საიდუმლო იცოდა ისეთი, რომ ეს შავი და წითელი არასოდეს ხუნდება?! – საქართველოშიც ხშირად მომისმენია მსგავსი გაოცება.

მეც ვიცი ეს საიდუმლო, – მითხრა ერთმა საკმაოდ კარგმა მხატვარმა.

დავუჯერებდი, მისი ფერებიც ასევე ჩაუმქრალი სიცოცხლით რომ ელავდნენ.

რამდენიმე თვის წინათ, ამირან გომართელთან ერთად, ჩვენი ყველაზე თვალსაჩინო მხატვრების გამოფენას ვათვალიერებდი.

გულდაწყვეტილნი ვუცქერდით, როგორ გახუნებულიყო არაერთი შედევრი, ფოტოებიდან (ინტერნეტსივრციდან) რომ უფრო ცოცხალნი გვეჩვენებიან. გულდამძიმებულებს უცებ შორიდან რაღაცამ შემოგვანათა. დავაკვირდით და ფიროსმანის მებადურის წითელი ხალათი იყო...

* * *

„ფიროსმანის შემდეგ, ყველაზე საერთაშორისო ქართველი მხატვარი“ – ესეც მამუკა ბლიაძის შეფასებაა, რისი განვრცობაც კიდევ უფრო საინტერესოა: როგორც ლე დანტიუმ და ძმებმა ზდანევიჩებმა სამყაროს აღმოუჩინეს ფიროსმანი, ერთი საუკუნის შემდეგ ბერლინის „Galerie Komfeld“ – ის მფლობელებმა ალფრედ კორნფელდმა და ანნე ლანგმანმა მსოფლიოს ნათელა იანქოშვილის ხელოვნება გააცნეს. ისინი15 წლის წინათ ეწვივნენ საქართველოს, აღფრთოვანდნენ იანქოშვილის შემოქმედებით და 2012 წელს თავიანთ გალერეაში მისი პერსონალური გამოფენა გამართეს.

და დაიწყო კიდეც ნათელა იანქოშვილის ახალი სიცოცხლე ოცდამეერთე საუკუნეში!

* * *

ისევ ფიროსმანთან პარალელი.

კი, გულით უყვარდა, მაგრამ შედარება მაინც არ სიამოვნებდა.

ერთხელ მითხრა: „აბა რა მაქვს მე ფიროსმანისა, იმის გარდა, რომ ორივენი ქართველები ვართ, თანაც, კახელები?!“

მიხარია, რომ ამას მართლა ვერ ვხვდები.

უფრო მეტად კი ის მიხარია, რომ ფიროსმანიც გვყავს და იანქოშვილიც...

ნანი

საუკუნის მომღერლის თავმდაბლობა და სიამაყე

ცოტა შორიდან, თემასთან ახლოს მისასვლელად:

ახალგაზრდა კორესპონდენტმა სესილია თაყაიშვილს დავურეკე და, ვერიკო ანჯაფარიძის საიუბილეოდ, მილოცვის დაწერა ვთხოვე.

მესამე დღისთვის დამიბარა.

მივედი.

დამახვედრა მილოცვის ტექსტი, ასეთი სათაურით: „ვერიკო!“

დიახ, ძახილის ნიშნით!

მკაცრად გამაფრთხილა, აქ არაფერი შეცვალოთო.

არც სათაურშიო.

სესილიას ხასიათზე ბევრი მსმენოდა და არ გამკვირვებია.

ორთოგრაფიულ ნიუანსებში წვდომამ კი ნამდვილად გამაოცა.

ტალანტები ბევრ რამეს ინტუიციით გრძნობენ და ხვდებიან.

ტალანტები, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს გვასწავლიან.

ამ სტატიის სათაურიც „სესილიასგან მოდის“.

ოღონდ, მისეული ორთოგრაფიის დაუცველად:

ნანის არ უხდება ძახილის ნიშანი.

იმის მიუხედავად, რომ ვერიკო მისი ერთ-ერთი კუმირი ყოფილა, ნინო რამიშვილთან ერთად.

მათგან ბევრი რამ ვისწავლეო.

დაახლოებით მაინც ვხვდები, რა შეიძლებოდა გადაეღო მათგან – ალბათ, დედოფლური თავდაჭერა, არისტოკრატიული მანერები...

„სოფიკოსთან ვმეგობრობდი და მათთან ხშირად დავდიოდი.

გამოვიდოდა ხოლმე ვერიკო, ზოგჯერ ხალათითაც კი და ყველას მოგვნუსხავდა“.

ადვილი გასაგებია ეს მონუსხველობა, ეს გადამდები სიზვიადე, ლადო ასათიანსაც რომ აჯადოებდა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ნანის ყოველივე შეძენილი კი არა, სისხლში აქვს, მიქელაძეებისგან გამოყოლილი.

მიქელაძე დედა ჰყავდა.

* * *

მარჯანიშვილის ქუჩა. გალაკტიონის სახლ – მუზეუმი. ქალბატონი ნატო გაბისონიას დირექტორობისას, აქ ხშირად ჰქონდათ ჩართული გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი მელოდიები.

ერთ-ერთი საღამო უნდა დაიწყოს.

იღება კარი და შემოდის მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე.

მაგნიტოფონიდან მოისმის ნანი ბრეგვაძის მართლაც გულში-ჩამწვდომი ხმა:

„რა არის ტკბილი დედის ნანაზე, მე მიმატოვა ადრე იმ ნანამ“...

რუსუდანი მონუსხული დგას და ხმას არ იღებს.

სიმღერა რომ ჩამთავრდება, გაოცებული იტყვის: „ეს რა იყო?! ნანის ეს სიმღერა აქამდე არ მქონდა მოსმენილი?!“

პირველად მეც ზუსტად ასე დამემართა.

გალაკტიონისას ვინ რას გაიგებს – დედის ნანას ადრე ნამდვილად არ მიუტოვებია.

საბედნიეროდ, ნანის ცხოვრებასაც საკმაოდ დიდხანს გამოჰყვა დედის მფარველობა.

დედას უმადლის თითქმის ყველაფერს.

მაგალითად, ვეკითხები:

„ასეთი საყოველთაო აღიარება და სიყვარული, თუნდაც ის, რომ ყველაზე ცნობილი კომპოზიტორები მხოლოდ თქვენთვის წერდნენ, მტრებს არ გიჩენდათ?“

პასუხი:

„რა გითხრათ? ალბათ, მიჩენდა, მაგრამ ვერ ვგრძნობდი, რადგან ყველა უსიამოვნებას დედა მარიდებდა. თანაც მე ყოველთვის „ჩემთვის“ ვიყავი. გასტროლებიდან რომ ვბრუნდებოდი, ფილარმონიაში კი არ გავრბოდი, არამედ ჩემს წრეში, ახლობლებთან, მეგობრებთან. რა თქმა უნდა, მიგრძვნია მტრობა და შური. გამიგია კიდეც, მაგრამ შემდეგ ბოდიშიც მოუხდიათ.“

* * *

იმ სიმღერას ვახსენებ, რუსუდანი და მე ერთნაირად რომ მოგვნუსხა.

„ეს ძალიან ადრინდელი სიმღერაა. მერე და მერე ეს მელიზმი, სიტკბო უარვყავი“.

ჩვენ კი შეგვძრა და...

– ანა კალანდაძე წერს, ახალგაზრდობაში ლექსი თითქოს სუნთქვას მოჰყვებოდაო.

– ძალიან კარგი ნათქვამია.

– შეიძლება, სიმღერაზეც ასე ითქვას?

– რასაკვირველია.

– სხვათა შორის, მოგვიანებით ანამაც უარყო „მელიზმი და სიტკბო“. მისმა გვიანდელმა ლექსებმა მეტი სიღრმე, ფილოსოფიური და რელიგიური პლასტები შეიძინეს. ალბათ, ნანის სიმღერასაც იგივე დაემართა.

– რასაკვირველია. ახალგაზრდობაში მართლა სუნთქვას, მელოდიას მივყავდი და მივყვებოდი. მერე და მერე კი – სიტყვებს. უნდა იცოდე, რას და რატომ მღერი, რა გაქვს სათქმელი. ამას უფრო მაშინ ხვდები, როცა სცენაზე გადიხარ და დარბაზს შეხედავ. რამდენჯერ მითქვამს ჩემი კონცერტმაისტერისთვის, მედეა, არა უშავს. გავალ და იქ ჩაირთვება ტვინი, გაჩნდება დამოკიდებულება. ამიტომაც არის, რომ ერთი და იგივე სიმღერა ერთნაირად არასოდეს შემისრულებია.

* * *

კონცერტმაისტერი მართლაც დიდებული ჰყავდა – მედეა გონგლიაშვილი.

გასაოცრად ესმოდათ ერთმანეთის.

კომპოზიტორებში ხომ განსაკუთრებით გაუმართლა.

თუმცა, ესეც უნდა ვიკითხოთ: იქნებ კომპოზიტორებს უფრო გაუმართლათ, ნანი ბრეგვაძის თანამედროვენი რომ აღმოჩნდნენ.

ხომ ცნობილია:

„სიმღერას ვაზზე“ დიდხანს ვერ უძებნიდნენ გასაღებს, რადგან რეზო ლაღიძეს მამაკაცი მომღერლისთვის ჰქონდა დაწერილი. ბევრი იწვალეს. ბოლოს ბიძინა კვერნაძემ უთხრა, რას ჯახირობ, ნანი აქ არ გყავს?!

ასე დაიბადა რეზო ლაღიძისა და ნანი ბრეგვაძის ერთობლივი შედევრი.

– თქვენი კომპოზიტორი, ალბათ, მაინც რეზო ლაღიძეა.

– რასაკვირველია.

– რა გამოარჩევს ლაღიძეს?

– ის, რომ ბევრს წერდა, ყველა სიმღერა იყო საუკეთესო და, ამავე დროს, ერთმანეთისგან განსხვავებული.

– თანაც, ლაღი. ალბათ, თვითონ მის გვარშიც იდო ეს კოდი – სილაღე. კვერნაძეზე რას იტყვით?

– ო, ბიძინა იყო უნიჭიერესი, მაგრამ ცოტას წერდა.

– ცაბაძე, ყანჩელი... ყველანი თქვენთვის წერდნენ. ყველას ადვილად უგებდით? არ ეკამათებოდით?

– ისინი არ მეკამათებოდნენ. თუ რაიმეში არ დავეთანხმებოდი, მეტყოდნენ, როგორც შენ ჩათვლი საჭიროდ, ისე იმღერეო...

– ერთხელ თქვით, რომ ვაზზე სიმღერის შესრულება თავიდან გაგიჭირდათ.

– დიახ, რადგან მთავარ ძარღვს უცებ ვერ ჩავწვდი. მერე მივხვდი, რომ მთავარი აზრი იდო ორ სიტყვაში: „ფესვო ნაკურთხო“. იცით, კიდევ რამ გამიადვილა? გაგიჟებით მიყვარს ვაზი, ვენახი.

– კიდევ რა გიყვართ?

– ნაძვები.

– ბარემ აქვე გკითხავთ: თქვენთან რომ მოვდიოდი, ხომ არ მოელოდით, რომ ასეთ შეკითხვებს დაგისვამდით: რომელი კერძი გიყვართ? კვერცხის შეწვა ან ბორშჩის მომზადება თუ იცით? მეუღლე გღალატობდათ?

– როგორ გეკადრებათ. ხომ გიცნობთ...

* * *

სეფე-სიმღერა მაინც „განთიადია“.

ისევ ლაღიძე.

აკაკის ლექსზე, რომელიც ნოდარ დუმბაძეს კაცის დაწერილად არც მიაჩნდა – პირდაპირ ღმერთის ბაგეებიდან არის გადმოსულიო.

– ეს სიმღერა დაიწერა ფილმისთვის „ჯვარცმული კუნძული“. ფინალურ ეპიზოდში დედას დაღუპული ჯარისკაცები ამ სიმღერის ფონზე უნდა გამოეტირა. ამიტომ შენელებული ტემპით უნდა შესრულებულიყო. სიმღერა ფილმში აღარ შევიდა.

– ძალიანაც კარგი, სამაგიეროდ, უკვდავებაში შევიდა.

– თქვენ რა გასაოცრად დაწერეთ ამ სიმღერაზე?! მართლა ამაღელვა: თან მომეწონა, თან გამეხარდა, თან შემრცხვა...

– სულ ტყუილად შეგრცხვათ. ასგზის გავიმეორებ:

ყველაფერი ხომ უფლის ნებით ხდება. უფლის ბაგეებიდან გადმოიღვარა აკაკის „განთიადი“; უფლის ნებითვე გაჩნდა რეზო ლაღიძე, ვინც ღვთაებრივ ლექსზე ღვთაებრივი მელოდია შექმნა; უფლის ნებითვე იქვე იყო ამ სიმღერის უბადლო შემსრულებელი.

* * *

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა“...

ბევრი ყოყმანის შემდეგ, ესეც უნდა დავწერო:

ვდგავართ დიდუბის პანთეონში, რევაზ ინანიშვილის საფლავთან. მის ღირსეულ მეუღლეს ვეთხოვებით. წამოსვლისას, სიტყვა პანთეონების პრობლემაზე ჩამოვარდება. აკაკი მინდიაშვილი იტყვის: „მთაწმინდაზე ერთი ადგილია დარჩენილი. ალბათ, ნანი ბრეგვაძეს შეუნახავენ“.

მე ჯერ შევცბები. მერე გამეხარდება.

ჯვარი სწერია და ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ნანი, რომელმაც ასაკი ნამდვილად დაამარცხა, მაგრამ ბატონი აკაკის ნათქვამი მეტად საგულისხმოა.

დღეს მთაწმინდა ისევე დაულაგებელია, როგორც მთელი ჩვენი სამშობლო. დალაგებულ ქვეყანაში რეზო ლაღიძეც იქ უნდა იყოს. ხოლო თუ ვინ არ უნდა იყოს, ამაზე – სხვა დროს...

* * *

რაც ასაკს შეეხება:

ზურაბ ნიჟარაძის სახელოსნოში ვართ: ბატონები ვახტანგ ანანიაშვილი, ნოდარ ცერცვაძე (ოჩო) და მე.

ვსვამთ ბატონი ზურაბის სადღეგრძელოს. ყველა ზოგადად უსურვებს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. მე, რატომღაც, ვაკონკრეტებ – გრიგოლ ხანძთელის ასაკზე მითითებით.

რამდენ ხანს იცოცხლა? – მეკითხება ბატონი ზურაბი.

– ასორ წელიწადს.

– ცოტაა. ბიძაჩემმა 115 შეასრულა. იმას უნდა მივბაძო.

უსმინოს ღმერთმა.

ნანისაც იგივე ვუსურვოთ.

* * *

ამას რომ ვუამბობ, ქალბატონი ნანი გულიანად გაიცინებს, ერთი წუთის შემდეგ კი სახე შეეცვლება და იტყვის: ავადაა და ძა-

ლიან განვიცდი. ზურა ხომ უნიკალური პიროვნებაა. მხატვარზე აღარაფერს ვამბობ. რა პორტრეტები შექმნა?!

– თქვენი პორტრეტი დაამთავრა ბოლოსდაბოლოს?

– არა, არ დაუმთავრებია. ხან იმან ვერ მოიცალა, ხანაც – მე.

– როგორ ფიქრობთ, ადრე რატომ არ დაგხატათ?

– რა გითხრათ. ალბათ, არ მივაჩნდი საინტერესოდ...

– სხვათა შორის, ერთხელ მითხრა თქვენზე, ასაკში უფრო და უფრო საინტერესო გახდაო. ის ხომ გარეგნობას კი არა, სულს ხატავს, შინაგან სამყაროს.

– ჰოდა, გვიან დაიწყო ჩემი დახატვა. ერთხელ, ხატვის პროცესში მითხრა, მარჯვენა ხელი ამტკივდაო. მაშინ ვეხუმრე, სანამ არ გაგიხმა ეგ ხელი, მანამდე არ დამხატე – მეთქი... ვერ წარმოიდ--გენთ, როგორ მიყვარს. ბედნიერებაა, რომ ციცინო ციციშვილი ჰყავს გვერდით. არაჩვეულებრივი მეუღლე. ციცინოს მზრუნველობამ დიდწილად განაპირობა მისი შემოქმედებითი მიღწევები.

* * *

ბოლო დროს ხშირად კითხულობს გალაკტიონს.

ახლა უფრო ვგრძნობ და განვიცდიო.

ძალიან მოსწონებია ოთარ ჭილაძის „ათი მცნება“, განსაკუთრებით ის, რომ პირველ ადგილზე სინდისს აყენებს. პიროვნება ამით ფასდებაო.

ამასთან დაკავშირებით, კანტის ცნობილ გამოთქმას ვიხსენებ: „ორი რამ მაოცებს ამქვეყნად: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემ შიგნით“.

აღტაცებას გამოხატავს და დასძენს:

„ხშირად მახსენდება ბაბუა, რომელსაც ხელში უჭირავს წითელი ფანქარი და წიგნი, რომლის გარეკანზეც აწერია: „Иммануил Кант“. ამ წიგნს ყველაზე ხშირად კითხულობდა.

– ეს რომელი ბაბუაა?

– დედაჩემის მამა, ალექსანდრე მიქელაძე, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ორი ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული – მათემატიკისა და იურიდიული.

* * *

ქებაში ზოგჯერ ვის არ გაქცევია კალამი.

ამას წინათ „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა ერთი თანამედროვე პოეტის მიმართ გამოყენებული არცთუ ძალიან მოუზომავი

ეპითეტი დამიწუნა. თან დასძინა, ხომ იცი რედაქტორის ამბავი. ჩემი წერილი რომ შენს ხელში მოხვდეს, ასევე მოექცევიო.

ჰოდა, იმავე ბატონმა, ანუ ამირან გომართელმა, ნანიზე სტატიის დაწერა რომ მთხოვა, ესეც დააყოლა: ხომ იცი, ნანი ბრეგვაძე მარადისობაა!

ამ ეპითეტს ნამდვილად არ წავუშლიდი.

მართლაც, რა ეპითეტი უნდა გამოვიყენო ნანის მისამართით, ვინმეს გადაჭარბებულად რომ მოეჩვენოს?

საუკუნის მომღერლად დაასახელეს;

რეზო ლაღიძემ ბუნების ყველაზე დიდ მგოსანს შეადარა. როცა ნანის ფენომენის ახსნა სთხოვეს, ასე უპასუხა: „განა შესაძლებელია იმის ახსნა, როგორ მღერის ბულბული?!“

ცნობილმა მუსიკისმცოდნემ, ქალბატონმა ნანა ქავთარაძემ ჯერ კიდევ როდის თქვა: „საქართველოსთვის ნანი ბრეგვაძე იგივეა, რაც ედიტ პიაფი საქართველოსთვის“.

ლეგენდარულიც უკვე უწოდეს.

პირდაპირი მნიშვნელობითაც შექმნა ლეგენდა – შარშან, 82 წლის ასაკში, „ბლეკ სი არენას“ ვეება დარბაზის ვეება სცენაზე რომ დადგა და მსმენელი ძველებურად მონუსხა.

მართალია, ზოგი სიმღერის შესრულებით თვითონ არ არის კმაყოფილი, მაგრამ კმაყოფილი ანკი როდის ყოფილა?!

* * *

რა ადვილად დავწერე მისი ასაკი?!

თვითონაც ადვილად ამხელს, რადგან ასაკი მართლა დაამარცხა.

რა თქმა უნდა, ნანი მარადისობაა.

მახსოვს, როგორ ნერვიულობდა, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე მისი სახელი, მხოლოდ სახელი რომ ენთო. როგორ მიიღებდა ამას ხალხი აკაკის სამშობლოში?

ანაც ასევე ღელავდა, მის წიგნს მხოლოდ სახელი რომ დააწერეს.

მერე და მერე ვინ აღარ გაბედა (თუ იკადრა?!) საკუთარი პერსონის მარტო სახელით წარდგენა, მაგრამ საზოგადოებას ეს სასაცილოდაც არ ეყო.

ანა და ნანი კი სრულიად ბუნებრივად მიიღეს.

ანა გურამ ასათიანმა შეადარა ბულბულს (ვაჟასეული „ანნა – ბულბულის“ მოშველიებით), ნანი – რევაზ ლაღიძემ.

ანას კლასიკოსობას ეჭვქვეშ ვინ დააყენებს?! ასევე არავინ შეედავება ანზორ ერქომაიშვილს, რომელიც ამბობს: „ნანი ერთადერთია, ვინც შეძლო, ესტრადა კლასიკის დონეზე აეყვანა“.

* * *

როცა აქებენ, თავს უხერხულად გრძნობს. განსაკუთრებით, თუ მისი კოლეგებიც იქ არიან.

ზოგჯერ არ ვიცი, სად დავიმალოო.

– იცით, ანზორ ერქომაიშვილს, ამისგან დასაცავად, რა კარგი სენტენცია აქვს მოფიქრებული?

– რაო?

– „თუ გენიოსს გიწოდებენ, ბედნიერებაა, თუ დაიჯერებ, უბედურება“.

– შესანიშნავია. დავიმახსოვრებ.

* * *

მისი თავმდაბლობა, შესაძლოა, ადვილად შესამჩნევი და თვალშისაცემი არც იყოს, რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა თავმდაბლობა სიამაყეს არ გამორიცხავს. ანდა რატომ უნდა გამორიცხავდეს?! დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე ამბობს, ანა კალანდაძეზე უფრო თავმდაბალი ადამიანი არ შემხვედრიაო, მაგრამ არნოლდ ჩიქობავა დიდ პოეტში ამაყ სულსაც ადვილად ხედავდა. იქნებ სწორედ ამას გულისხმობდა პოლ ვალერი, როცა წერდა, დიდი ადამიანები მათივე სიამაყის შუქზე უნდა განვიხილოთო.

საკუთარი ღირსების გრძნობაც უთუოდ აქედან მოდის.

* * *

„გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი ნამღერი ძალიან იშვიათად მომწონებია. ვერც ვუსმენ. დედას უფლებას არ ვაძლევდი, ჩემი სიმღერები ჩემივე თანდასწრებით რომ მოესმინა. სულ ოთხი – ხუთი სიმღერა მექნება კარგად შესრულებული“.

აქ მიხეილ თუმანიშვილი გამახსენდა. ისიც ასე ამბობდა, სულ ოთხი – ხუთი სპექტაკლი გამომივიდაო.

დიდი ადამიანები მათივე თავმდაბლობის შუქზე უნდა განვიხილოთ.

უკაცრავად დიდ ფრანგ პოეტთან და მოაზროვნესთან, მაგრამ თავმდაბლობა უკეთ ანათებს.

ნანი კი განაგრძობს:

„აი, „განთიადი“, თქვენ რომ ასე მოგწონთ, მხოლოდ ერთხელ შევასრულე კარგად. და იცით, სად? – რაჭაში, ღია ცის ქვეშ, ხელოვნების ფესტივალზე. ამით დაიხურა ის ფესტივალი. მაშინ კათოლიკოს – პატრიარქმა მითხრა, ამ ყველაფერს გვირგვინი დაადგიო“.

– როგორ ფიქრობთ, ეს რით აიხსნება?

– არ ვიცი. აუხსნელია.

– იქნებ იმით, რომ წარმოშობით რაჭველი ხართ და ფესვებს შეეხეთ?

– შესაძლოა, მაგრამ მაინც აუხსნელია.

აქ – ისევ ანა:

თუ ჰკითხავდით, ლექსი როგორ იბადებაო, თითით ზემოთ მიგანიშნებდათ – ეს აუხსნელია, „იმას“ უნდა ჰკითხოთო...

უკვე რამდენჯერ ვახსენე ანა.

ვითომ შემთხვევით?

ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად განსხვავებულნი არიან, სინამდვილეში კი რამდენი აქვთ საერთო?!

არა მხოლოდ ტალანტი.

„თავისთვის იდგა ჩრდილში, არას იტყოდა ანა, ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, გალაკტიონმა ბრძანა“...

ეს კია: მომღერალი ჩრდილში ვერ დადგება.

* * *

თავის ულამაზეს ბინაში მარტო დამხვდა.

„სხვათა შორის, მარტოობას ადვილად ვეგუები. უფრო ზუსტად, ვერც კი ვგრძნობ მარტოობას, არც ვიცი, რას ნიშნავს“.

აქ ნათელა იანქოშვილის ნათქვამი მახსენდება: „მარტო ის არის, ვინც ძლიერია“.

რა თქმა უნდა, შემოქმედებითს მარტოობას გულისხმობდა.

ცალკე, „თავისთვის“ დგომას.

ნანიც ამას გულისხმობდა, თორემ მარტო ვინ დატოვებს – ეკა, მისი სამი შვილი თუ ამდენივე შვილიშვილი?!

* * *

„თბილისო“ არ გვიხსენებია.

ვიცი, რას ნიშნავს მისთვის ეს სიმღერა, ურომლისოდაც კონცერტს არსად ამთავრებინებენ.

ისიც ვიცი, უთბილისოდ გაძლება რომ უჭირს.

და ზედმეტი კითხვები რაღა საჭიროა?!

არც ვეკითხები, მაგრამ ბოლოს ხელს ჩამკიდებს და აივანზე გამიყვანს.

აივანი, წესით, მთაწმინდას უნდა გასცქეროდეს, მაგრამ...

„აქ პატარა სამოთხე გვქონდა. ჯერ ერთი დიდი კორპუსი ააშენეს, შემდეგ – მეორე. თავს იმით ვინუგეშებდით, რომ მათ შორის ცოტა სივრცე მაინც რჩებოდა. ზუსტად იქ ჩადგეს მესამე სახლი“.

ამას რომ მეუბნება, ოდნავადაც არ ეტყობა გაღიზიანება. უბრალოდ, მაჩვენებს და თავადვე ვხვდები, რა დაემართა თბილისს.

მაშინ საბოლოოდ ვასკვნი, რომ ნანის არ უხდება ძახილის ნიშანი.

და მისი აივნიდან მაინც ვხედავ მთაწმინდას.

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა“...

დაუმთავრებლად მთლიანი

ზურაბ ნიჟარაძის პორტრეტი,
მისივე მასტერკლასების ფონზე

ზურაბ ნიჟარაძეზე წერა არც ძნელია და არც ადვილი.

უფრო სარისკოა.

არ უნდა შეგვაცდინოს მისმა არისტოკრატიულმა ბუნებამ და სამაგალითო მიმტევებლობამ.

იშვიათად შემხვედრია უფრო კაცთმოყვარე პიროვნება, მაგრამ:

თუ რაიმე არ მოეწონება, პრიმიტიულად, ხელოვნურად, გაუგებრად ან ბუნდოვნად მოეჩვენება, შეიძლება, არაფერი თქვას, მაგრამ თავზე ისე შემოიდოს ხელი რომ...

ეს კი ყოველგვარ კომენტარზე უფრო საშიშია.

* * *

კიდევ ერთი დამახასიათებელი ჟესტი:

ისევ თავზე შემოდებული ხელი, ოღონდ, სულ სხვა განზრახვით: როცა საინტერესო ადამიანს უსმენს.

არაჩვეულებრივი მოსმენა იცის.

ასე დღეს თითქმის აღარავინ აღარავის უსმენს.

ნოდარ ტაბიძემაც იცოდა ზუსტად ასეთი მოსმენა.

* * *

თუმცა, ზურაბ ნიჟარაძესთან იმისთვის უნდა მიხვიდე, რომ იქით მოუსმინო.

რამდენჯერ მინანია, რომ მასთან ჩამწერით არ მივსულვარ.

რამდენჯერ ვერ გამოვიყენე სანატრელი შესაძლებლობა – ჩამეწერა მისი უაღრესად საინტერესო მოსაზრებები.

ზედმეტად ვენდე მეხსიერებას, ჩემს მეგობრებს, ერთ დროს, ფენომენურად რომ ეჩვენებოდათ.

აქ მარკესის სიყვარულმაც იმოქმედა. ნობელიანტი მწერალი, ჟურნალისტიკას სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი რომ დაუთმო, ვერ იტანდა ჩამწერს, რომელსაც „ესმის, მაგრამ ვერ აზროვნებს, ერთგულია, მაგრამ გული არა აქვს“.

ზურაბ ნიჟარაძის აზრები კი გულით უნდა მოისმინო და გონებით აღიქვა.

* * *

გული და გონება მით უფრო სჭირდება ზურაბ ნიჟარაძის ნახატების აღქმას.

არაერთი ხელოვანი თუ ხელოვნებათმცოდნე აუცილებლად იტყვის, რომ მათ აღქმა – გაანალიზებას სათანადო ცოდნაც სჭირდება, მაგრამ მთავარი მაინც ის მგონია, რაზეც აკაკი გაწერელია მიგვითითებს: „მხატვრული ნაწარმოები „ჩონჩხი“ არაა... ქმნილებათა „მიკროანალიზი“ ვერაფერს გვეტყვის, თუ ჩვენი სული ვერ აივსება მათგან მომდინარე ემოციური შთაბეჭდილებებით“.

რა ზუსტად ეხმიანება ეს სიტყვები თვითონ ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედებითს კრედოს, რომელიც ერთ-ერთ საუბარში ასე ჩამოაყალიბა:

„უძველესი ადამიანების კლდეზე ამოკვეთილი ნახატები, იმ ადამიანებისა, რომელთაც არც ანატომია შეუსწავლიათ და არც არანაირ მეცნიერებას არ დაუფლებიან, მშვენიერია. გამომსახველობითი. შთამბეჭდავი. დღემდე ვერავინ შეძლო მათზე უკეთესის შექმნა. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ქმნიდნენ გაუცნობიერებლად, შთაბეჭდილების, დაკვირვების შედეგად და არა საგნის ნაწილ – ნაწილ შესწავლით, თითქოს, ამ საგანს აანალიზებდე“.

ბარემ პაბლო პიკასოც აქვე დავიმოწმოთ.

როცა ალტამირას გამოქვაბულის მხატვრობა უნახავს, აღტაცებულს უთქვამს, ფერისა და კომპოზიციის თვალსაზრისით, თანამედროვე მხატვრებმა იმაზე მეტი არაფერი ვიცით, რაც მათ იცოდნენო...

და სხვა რა არის მხატვრობა, თუ არა ფერი და კომპოზიცია?!

* * *

და, მაინც, სული უნდა აივსოსო?!

„მოხუცი მამლით“.

წარმომიდგენია, როგორ აღწერენ ხელოვნებათმცოდნენი ამ მრავალპლანიან ფერწერულ ტილოს, რაგვარ „მიკროანალიზს“ ჩაუტარებენ, მაგრამ ღრმად მჯერა: „უცოდნელის“ სული უამისოდაც აივსება ამ ნახატიდან გადმოღვრილი სიხარულით. ეს ის „მოგიზგიზე სიხარულია“, თემურ ქორიძემ ანა კალანდაძის შემოქმედების ერთ-ერთ გამსაზღვრელ თვისებად რომ აღიარა. კოტე მარჯანიშვილსაც ხომ ხელოვნების დანიშნულება, საბოლოო ჯამში, ამ „უბრალო“ მიზნამდე დაჰყავდა: „მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“.

ზურაბ ნიჟარაძე კი ხელოვნების დანიშნულებას ასე განმარტავს:

„ხელოვნებას იგივე მიზანი აქვს, რაც მორალს. ოღონდ, იქ ეთიკურ ნორმებს გამოიმუშავებენ, აქ კი – ესთეტიკურს. იქ გვაქვს პასუხი კითხვაზე: რა არის ზნეობრივი? აქ კი კითხვა ასე დაისმის: რა არის მშვენიერი?“

* * *

და, მაინც, ზურაბ ნიჟარაძის დიდი და მრავალმხრივი შემოქმედება, რა თქმა უნდა, სერიოზულ პროფესიულ განსჯას საჭიროებს.

რამდენიმე წარმატებული მცდელობის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მაინც მომავლის საქმეა.

ზურაბ ნიჟარაძეზე ვერავინ იტყვის, რომ ეს საკითხი დიდად აღელვებს.

ის არაფრით ეხმარება საკუთარ შემოქმედებას.

ის ხატავს, რადგან ეს მისი საქმეა, ამისთვის არის გაჩენილი.

* * *

თურმე, ტიციანს ხშირად გამოჰქონდა მზეზე ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტილოები. ვაზარი შენიშნავს, ერთხელ ვნახე, თუ როგორ გამოეფინა ტიციანს თავისი ქალიშვილის პორტრეტი, ყველას რომ ენახა მისი სილამაზეო.

აქ თვით ვაზარიც კი ცდება, – მითხრა მხატვარმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა, – გენიალურ ფერმწერს უნდოდა, მზეს დაეჩქარებინა პროცესი, რაც ტილოზე მისთვის სასურველი ფერის მისაღებად იყო საჭირო.

ზურაბ ნიჟარაძეს თავისი „ანას პორტრეტი“, უდავო შედევრად აღიარებული, ამ მიზნ (ებ)ით მზეზე არასოდეს გამოუტანია. და უკვე რამდენი ათეული წელია, რამდენ თაობას აჯადოებს იგი – ფერებითა და „მონა ლიზასეული“ იდუმალებით.

მხატვარს არც სხვა ნახატების „დასამთავრებლად“ მიუმართავს ციური მნათობისთვის. ამის მიუხედავად, მზე ყველა მათგანზეა აღბეჭდილი – ადამიანში, ფრინველში, ყვავილში, ყოველ მონასმში...

* * *

მაინც რა არის ფერწერა?

ზურაბ ნიჟარაძის აზრით, ფერწერა და საერთოდ, ხელოვნება – ეს არის მასალის გაცოხლება. ხელოვანმა ისევე უნდა გამოკვეთოს მასალის არსი, როგორც ნახშირიდან გამოჰყავთ ბრილიანტი.

რუსმა ხელოვნებათმცოდნემ დიმიტრი ბერკუტოვმა, რომელმაც მოახერხა ზურაბ ნიჟარაძის მასტერკლასის ჩაწერა (ეჭვი მაქვს, მარკესისთვის საძულველი ჩამწერის საშუალებით), ერთგან, თითქოს გამოიჭირა მხატვარი.

მაგრამ ზურაბ ნიჟარაძის „გამოჭერა“ თითქმის შეუძლებელია.

მხატვარი ეუბნება, რომ ფერწერა ნაწილ – ნაწილ აღწერის დაძლევა და მთლიანის ჩვენებაა.

ხელოვნებათმცოდნე ჰკითხავს: მაშინ თვალებს რა ვუყოთ?

წყალგაუვალი პასუხი:

„თვალები ყველაზე უფრო მეტყველია და ამიტომაც ჩვენი ინტერესის მთავარი საგანია. და რაც ჩვენი ინტერესის მთავარი საგანია, არის მთელი, მნიშვნელოვანი. ამ დროს ყოველივე დანარჩენი მეორეხარისხოვნად იქცევა. თუ სახლი მაინტერესებს, მაშინ მთლიანი – ეს არის სახლი, თუ ფანჯარა მაინტერესებს, ფანჯარა იქცევა უმთავრესად. თუ ყველაფერს ერთმანეთის მიყოლებით აღწერენ, ეს უკვე აღარ არის ხელოვნების ენა. სახე იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა დეტალები მთავარს ექვემდებარება, როცა მთელი უფრო გამომსახველობითია, ვიდრე მისივე დეტალი“.

როცა ამას ვკითხულობ, თვალწინ დამიდგება სოფიკო ჭიაურელის პორტრეტი.

როგორ არ ჰგავს და როგორ ჰგავს?!

რა მეტყველია მისი თვალები?!

რა მთლიანია თვითონ ნახატი?!

* * *

საკუთარ მეხსიერებასაც სულ ამაოდაც არ ვენდობოდი.

არასოდეს დამავიწყდება ერთი ნიჟარაძისეული მასტერკლასი, რომელიც ასევე მთელისა და დეტალის ურთიერთმიმართებას შეეხებოდა:

„თუ ადამიანის ცხვირს ცალკე წარმოვიდგენთ და არა როგორც მთლიანის შემადგენელს, სიმახინჯეს მივიღებთ. სამხატვრო აკადემიის სტუდენტს დაუდებენ ფიგურას და ეტყვიან, გადახატეო. ისიც ყველა დეტალს ცალ-ცალკე იხატავს. რექტორი რომ ვიყავი, სწორედ ამას დავუპირისპირდი. ამიტომაც ამიჯანყდა აკადემია“.

და მე ის კი არ მიკვირს, აკადემია რომ აუჯანყდა, არამედ ის, თუ როგორ გახდა იმ აკადემიის რექტორი, საიდანაც ურჩი სტუდენტის სტატუსით გარიცხეს?!

* * *

ზურაბ ნიჟარაძე არაერთხელ მინახავს მუშაობისას.

მინახავს, როგორ ფიქრობს, როგორ არჩევს ფერებს, როგორ ეწევა და როგორ სვამს.

სხვათა შორის, მგონია, რომ სმა კი არ უყვარს, არამედ ღვინო.

მიხარია, რომ ამით მაინც ვგავარ ჩემს უსაყვარლეს ხელოვანს.

ერთხელ „აფროდიტეს“ ხატვას შევესწარი.

ეს სულ სხვა აფროდიტეა.

კი, სიყვარულისა და მშვენიერების ქალღმერთი, ზღვის ქაფიდან შობილი და ბოტიჩელის ყალმით უკვდავყოფილი, მაგრამ ნიჟარაძისთვის მაინც სულ სხვა.

ის ხომ სულ კითხულობს (თუ არ ხატავს) და ერთ-ერთ წიგნში („მიფი ნაროდოვ მირა“) ამოუკითხავს: „აფროდიტე იშვა იმ ქაფისგან, რომელიც წარმოიქმნა მაშინ, როცა ქრონოსის მიერ დასაჭურისებული ურანის სისხლი ზღვას შეერია“.

სწორედ ამ დრამატიზმმა დააინტერესა.

კი, სიყვარულისა და მშვენიერების ქალღმერთია, მაგრამ სისხლი გარეულა მის დაბადებაში!

ნახატზე ზღვა ისე ბობოქრობს, თითქოს, მართლა მშობიარობსო. ცაც შესაბამისად ამღვრეულია.

რაკი შევები, ქვეშიდან ველარ გამოვალ. მთავარია, იყოს დამაჯერებელი, – მეუბნება 90 წლის მხატვარი.

ცოტა შევკრთი და დავეჭვდი, მაგრამ მოულოდნელად, ისეთი მძლავრი მონასმი დავინახე, რომ ეჭვი და კრთომა უმალვე გამიქრა...

* * *

ზურაბ ნიჟარაძის კიდევ ერთი მასტერკლასი, მეხსიერებიდან (ჩამწერიდანაც) რომ არ უნდა წაიშალოს:

„პლასტიკაა ყველაფერი, რაშიც სიცოცხლე არსებობს. პლასტიკურია, ყოველივე, რაშიც სიცოცხლის წვენი გაედინება. სიცოცხ-

ლის წვენი მიჩქეფს ყველაფერში – მილაკებში, არტერიებში, ღეროებში... ყველა ეს ღერო, მასში სიცოცხლემ რომ გაიაროს, გარკვეული მოცულობის მქონეა. ბრტყელ საგნებში არაფერი მიედინება“.

აი, რატომ არიას ნიჟარაძის ტილოებზე ამდენი წვენი, ამდენი სიცოცხლე!

შეხედეთ „რომის ქუჩას“ – რა პლასტიკაა, რა მოძრაობა, ყველა არტერიასა და ყველა ღეროში!

* * *

ამას წინათ ახალი მეზობელი გვესტუმრა.

კარი შემოაღო თუ არა, ინსტინქტურად წამოიძახა: „ნიჟარაძე გაქვთ?!“

როცა ეს ნახატი მაჩუქა, ვკითხე, დამთავრებულია?

პასუხი: არა.

ვიდრე რაიმეს ვიტყოდი, ამის შემსწრე ხელოვნებათმცოდნემ ღიმილით მითხრა:

„წაიღე, თორემ არასოდეს დაამთავრებს!“

თვითონვე ამბობს, რომ მისი ნამუშევრების უმეტესობა დაუმთავრებელია.

ყველაზე ხშირად სახარების ამ ფრაზას იმეორებს: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება“.

ამიტომაც არის დაუსრულებლად მთლიანი მისი პიროვნებაც და შემოქმედებაც.

მინდა, მივბაძო და ჩემი ესეც დაუმთავრებლად დავამთავრო.

მხოლოდ იმ ერთხელ...

ანზორ ერქომაიშვილის წიგნი სახელოვან ბაბუაზე: განხილვა ლიტერატურის ინსტიტუტში

ვაჟა – ფშაველა ერის მიერ თავისი ღირსეული შვილის ღირსეულად დაფასებას განთიადს ადარებდა.

ასეთი განთიადი დგას ახლა ამ დარბაზში, სადაც განვიხილავთ წიგნს, რომელიც სწორედ ღირსეულ ერისკაცს ეძღვნება.

ეს ერისკაცი გამოჩენილი მგალობელ – მომღერალი არტემ ერქომაიშვილია.

ფაქტი თავისთავად გამორჩეულია, მაგრამ მის მნიშვნელობას აორკეცებს კი არა, ასამმაგებს ის გარემოება, რომ წიგნის ავტორი თავადაც სანიმუშო ერისკაცია, თანაც იმისი უშუალო შთამომავალი, ვის ცხოვრებასა და ღვაწლზეც მოგვითხრობს.

ეს „თავადაც ერისკაცი“ ანზორ ერქომაიშვილია – ის, ვინც სახელდება „რუსთავი“ იმდენად კეთილხმოვნად და საამაყოდ, ისეთ ეროვნულ ფენომენად აქცია, რომ სულ სხვა სფეროში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენებიც ვერ აფერმკრთალებს.

გავიხსენოთ, რა მალამოდ ედებოდა „საბჭოთა ბოთლში“გამომწყვდეულ ქართულ სულს ჩვენი ანსამბლის საზღვარგარეთული აღიარებანი; რა სიამაყესა და სიხარულს განვიცდიდით, როცა გავლენიან ფრანგულ „ფიგაროში“ გამოქვეყნებულ ასეთ შეფასებას ვეცნობოდით: „ძალზე ორიგინალური და შთამბეჭდავია ქართული ხალხური მუსიკის ჰარმონია და მელოდია. მსგავსი რამ არასოდეს მოგვისმენია“...

და, პარალელურად, „მართვე“, როგორც ანზორ ერქომაიშვილის მრწამსის განსახიერება: „თუ გვინდა, ქართული ხალხური სიმღერა გადავარჩინოთ, ის მომავალ თაობას უნდა ვასწავლოთ“.

მახსენდება: სწორედ იმ დროს დაიწერა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი, რომელიც გაზეთ „თბილისში“ ჩემი ინიციატივით(თუმცა ჯერ რედაქტორი არ ვიყავი) გამოვაქვეყნეთ, შესაბამისი ფოტოც ჩემი თხოვნით გადაიღეს და მართლაც შესანიშნავი პუბლიკაცია გამოვიდა.

აი, ეს ლექსიც:

პატარა ბიჭი „მართვედან“
ყელს იღერებს და თვალს მიკრავს,
მღერის სიმღერას ქართველთა:
„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“...

* * *

ნუ შეშინდებით, მახსოვს, რომ წიგნზე უნდა ვილაპარაკო.

წიგნს ასე ჰქვია: „ჩემი ბაბუა არტემ ერქომაიშვილი“.

„ბაბუაჩემი“ კი არა, „ჩემი ბაბუა“ – უფრო ტევადი, გაცილებით მეტი სითბოსა და სიყვარულის გამომხატველი...

დღეს ბევრს გაუჩნდა დოკუმენტური პროზის შექმნის პრეტენზია.

წერენ ჩანაწერებს, წერენ მემუარებს, ოღონდ, ეგ არის: ხშირად ერთს მეორისგან ვერ ანსხვავებენ.

შეიძლება, იყოს შესანიშნავი ხელოვანი, მაგრამ წერა არ ეხერხებოდეს.

„პრეტენზია“ – ალბათ, არ არსებობს უფრო შეუსაბამო და უადგილო სიტყვა, ანზორ ერქომაიშვილზე საუბრისას.

ის არც ფიქრობს დოკუმენტური პროზის შექმნაზე, უბრალოდ, ვალს იხდის სახელოვანი წინაპრის წინაშე, ვინც სამი წლიდან ახსოვს, ვის გვერდითაც ოცდაშვიდი წელი გაატარა და ვისი ხმაც გამუდმებით ჩაესმის.

ეს ხმა კი ყველაზე მთავარს ეუბნება: „უკვდავია ქართული სიმღერა, ბაბუ!“

ანზორ ერქომაიშვილი წერს უბრალოდ და ბუნებრივად.

მისი ნაწერი ადასტურებს ფრანგი მოაზროვნის ცნობილ გამონათქვამს : „სტილი ეს თვითონ ადამიანია“.

და ასე უბრალოდ, კლასიკური სისადავით იხატება იმ მომღერალ-მგალობლის პორტრეტი, ვინც სამშობლოს უძვირფასესი საგანძური დაუტოვა – „ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის შედევრებით აღვსილი ფონოჩანაწერები“.

რამდენიმე შტრიხი საგანგებოდ ამოვიწერე:

„ბაბუა ძალიან მორიდებული კაცი იყო, ზედმეტად არავის შეაწუხებდა“...

„მთვრალი კი არა, ნასვამი, შეზარხოშებულიც არავის უნახავს. ღვინო სიამოვნებისთვის უნდა დალიო და არა დასათრობადო“...

„ვერ იტანდა სიმღერის დამახინჯებას“...

„დაფიცება არ უყვარდა... ფიცი სისუსტის ნიშანია. მართალ კაცს სიმართლის დასამტკიცებლად, ფიცი არ სჭირდებაო“...

„მისი პირიდან ბილწი სიტყვა არ ამოსულა“...

„ყველაზე მეტად ტყუილი და უმადურობა ეჯავრებოდა“...

და ყოველივე ამის ლოგიკური დაგვირგვინება: „მის გვერდით ყოფნა ჩემთვის მთელი აკადემია იყო. ამიტომ ერთხელ კიდევ ვიმეორებ: რაც კარგია ჩემში, ყველაფერი ბაბუის წყალობითაა, ხოლო რაც ცუდია, მხოლოდ ჩემ მიერაა შეძენილი“.

ამის შემდეგ მხოლოდ ერთი კითხვა თუ დაგებადება: ნეტავ რა არის ეს შეძენილი?

პრეტენზია ბუნებრივად გამოვრიცხეთ, თუმცა ამ წიგნში ისეთ პასაჟებსაც შეხვდებით, სახელგანთქმული ბელეტრისტებიც რომ არ დაიწუნებდნენ. ასეთია, მაგალითად, ის ეპიზოდი, ავტორი ბაბუის საფლავზე რომ მიდის და გზად ეს მელოდია აეკვიატება: „შავი შაშვი ჩი – ოოო – და“... სასაფლაოზე მისულს, აკვიატებულ მელოდიას ნამდვილი შაშვის გალობა შეაწყვეტინებს. გაგრძელება იმდენად ბრწყინვალეა, რომ ციტატად უნდა მოვიხმო: „„საოცარია. საფლავთან შორიახლო შევჩერდი, რომ შაშვი არ დამეფრთხო. ასე ვიდექი რამდენიმე ხანს. შაშვი თვალდახუჭული უსტვენდა თავის გასაოცარ მელოდიებს და ჩემს სიახლოვეს არაფრად აგდებდა. ფრთხილად მივუახლოვდი საფლავს და ჩამოვჯექი. შაშვმა გალობა შეწყვიტა. ალბათ დაიღალა და გაფრინდება-მეთქი, გავიფიქრე გულდაწყვეტილმა, მაგრამ მან ადგილი მოინაცვლა ტოტის წვერისაკენ, რამაც შაშვის სიმძიმეს ვერ გაუძლო და თითქმის მიწამდე დახარა მგალობელი. შაშვი გალობდა, ტოტი ნელ-ნელა თანაბრად ირხეოდა მიწისკენ და მომეჩვენა, რომ ფრინველი ხმამაღლა ჩაჰგალობდა იმ კაცს, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეძლო, გაეგო მისი გალობის ფასი“.

კიდევ უფრო განსაცვიფრებელია „გლოვის წესი“, რომელსაც არტემ ერქომაიშვილი ორი მაგნიტოფონის გამოყენებით ჩაწერს: „ბაბუს ამირან თოიძისაგან მაგნიტოფონი უთხოვია, თავისიც ჰქონდა და როცა სახლში არავინ იყო, მიცვალებულის დასასაფ-

ლავებელი საწესო საგალობლები მარტოს ჩაუწერია. ჯერ ერთი ხმა ჩაიწერა ერთ მაგნიტოფონზე, მერე თავისივე ნამღერს მეორე ხმა უთხრა და მეორე მაგნიტოფონზე ჩაიწერა, მერე ორივე ხმას ბანიც შეუწყო და ასე ჩაწერა რამდენიმე საგალობელი... „გლოვის წესი“ იწყებოდა „მიცვალებულის ანდერძით“, რომელსაც თვითონვე კითხულობდა“...

წიგნის კიდევ ერთი მარგალიტია „სიმღერის მოსაპარავად“ ქობულეთის რაიონში ქორწილში წასვლა.

* * *

სიკვდილის წინ ბაბუა შვილიშვილს ეტყვის: „ჩემი დასაფლავების დღეს ბევრი ხალხი მოვა და მხოლოდ ჩემი ჩამღერებული „გლოვის წესი“ ააჟღერეთ. თუ „გორდელა“ დამამშვენებს და მიგალობებს, მაგას რაღა აჯობებს... მე კი არ ვკვდები, მივდივარ. მივდივარ და ცოცხალი ვიქნები შენით. შენ შეგიძლია, საუკუნეები მაცოცხლო. ეს დამოკიდებულია იმაზე, გურულ სიმღერებს როგორ მოუვლი და შეინახავ“...

თუ როგორ უვლის და ინახავს ანზორ ერქომაიშვილი ქართულ სიმღერას, ეს მთელმა ქვეყანამ იცის.მას ხომ ლომის წილი მიუძღვის იმის მიღწევაში, რაზეც ბაბუის პორტრეტს, როგორც ცოცხალს ისე ესაუბრება:

„ქართულ ხალხურ სიმღერას უკვე მთელს მსოფლიოში იცნობენ, ბაბუ, ის გამოჩენილ მუსიკოსებს ანცვიფრებს... იუნესკომ ქართული სიმღერა მსოფლიო პოლიფონიის შედევრად აღიარა... ყველაზე სასიხარულოა, რომ ახდა ის, რაზეც შენ ოცნებობდი – ახალგაზრდები ქართული ხალხური სიმღერით დაინტერესდნენ, შეიქმნა მრავალი ანსამბლი. ისინი თქვენი თაობის მიერ ჩაწერილ სიმღერებს სწავლობენ და მერე მთელს მსოფლიოში პოპულარიზაციას უწევენ...ერთი სასიამოვნო ამბავიც მინდა გითხრა – სხვადასხვა ქვეყნის არქივებში მოვიკვლიე პირველი ქართული ფონოჩანაწერები, რომელიც გამოიცა კრებულის სახით – „ქართული ხალხური სიმღერები , 1901 – 1914 წლების უნიკალური ფონოჩანაწერები“. ამ კრებულში, სხვებთან ერთად, შეტანილია გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის მიერ 1907 წელს ჩაწერილი გურული სიმღერები, სადაც იშვიათი სოლისტების – გიორგი ბაბილოძის, გიორგი იობიშვილისა და სხვების ხმებთან ერთად, შენი ბანიც დიდებულად ჟღეს. მაშინ 20 წლის ვიყავი, ბაბუ... შენს მიერ კონ-

სერვატორიაში ჩაწერილი 107 საგალობელი დღეს მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოსების კვლევის საგანია, მასზე დისერტაციებს იცავენ“...

* * *

წლების წინათ, როცა ანზორ ერქომაიშვილმა სახელოვან წინაპარს პატარა წიგნუკა უძღვნა, უბრალოდ, ასე დაარქვა: „ბაბუა“

მაშინ ხსენებული წიგნის გამოსვლას გამოვეხმაურე რეცენზიით, რომელსაც „სამშობლოს სულის ნაწილი“ ვუწოდე. სათაური მომდინარეობდა ანსამბლ „რუსთავის“ შესახებ ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიიდან, სადაც ჩვენზე, ანუ ქართველებზე, ასეთი რამ ეწერა: „ისინი ბედნიერები არიან იმიტომ, რომ მაყურებელი ტაშს უკრავს მათი სამშობლოს სულის ნაწილს“...

სამშობლო – მეშინია სიტყვის გაქცევის, მაგრამ სად უნდა ვისაუბროთ ამ თემაზე, თუ არა, მსგავს თავყრილობაზე, ასეთ პიროვნებებთან შეხვედრისას?

სამშობლო – ეს ცნება დღეს მიმოქცევიდან თითქმის გასულია. დააკვირდით ტელეეკრანს, დააკვირდით პარლამენტს. ამ უტკბილეს სიტყვას ვერ გაიგონებთ. კრიტიკოსმა თემურ ქორიძემ ერთხელ პრესიდან საჯაროდ მიმართა პოლიტიკოსებს, ნუ ამბობთ, „ამ ქვეყანაში“, „ჩვენს სამშობლოში“ – თუ ამას არ იტყვით, „ჩვენს ქვეყანაში“ მაინც თქვითო. მაგრამ ისინი ხომ არაფერს კითხულობენ და არაფერს ისმენენ?! აქაც როგორ არ გავიხსენო უმბერტო ეკო, რომელიც ამბობს, ყველა უბედურება იქიდან მოდის, რომ პოლიტიკოსები არაფერს კითხულობენო.

მაგრამ რა შუაშია აქ პოლიტიკა?!

სხვათა შორის, არის შუაში.

ერთხელ ხომ სცადეს პოლიტიკაში ანზორ ერქომაიშვილის ჩაბმა?!

რა თქმა უნდა, მისი სახელი და ავტორიტეტი დასჭირდათ.

არ ვიცი, რამდენად უშველიდა პოლიტიკას მისი პატიოსნება, ეს კი ფაქტია: ისე მოხდენილად გაერიდა პოლიტიკურ ტალახს, რომ ერთი შხეფიც არ მოსცხებია...

* * *

პოლიტიკას კვლავაც უნდა შევეხოთ, უფრო ზუსტად, იმ სასტიკ ეპოქას, რომელშიც ამ წიგნის პერსონაჟები ცხოვრობენ და

მოღ-ვაწეობენ. ამ თვალსაზრისით, წიგნს ერთგვარი შიშითაც კი ვკითხულობდი. შევცბუნდი კიდეც, იმ ადგილას, სადაც სტალინზე სიმღერაა ნახსენები. იქ ავტორი აღნიშნავს: „მახსოვს, ბაბუამ ტექსტი შეასწორა და „მეჩექმის შვილი“ „მშრომელთა შვილით“ შეცვალა“.

საბედნიეროდ, შესაცბუნებელი ამის მეტი ვეღარაფერი ვნახე. პირიქით, საბოლოოდ დამამშვიდა იმან, რასაც ავტორის დიდ ბაბუას, განთქმულ მგალობელ – მომღერალს გიგო ერქომაიშვილს ამ საქმის ასევე დიდი მოამაგენი ვარლამ სიმონიშვილი და დიმიტრი პატარავა ეუბნებიან:

შესანიშნავია მათ შორის გამართული დიალოგი:

„– რავაა, ვარლამ ბატონო, თქვენი გუნდის საქმე?

– ეჰ, გიგო ბატონო,ერთხანს არ ვაპირებდი ამ „ზაკაზნოი“ სიმღერების შესრულებას პარტიაზე, ბელადებზე, კოლექტივზე, მარა მერე ამის გულისთვის დამიჭირეს და კინაღამ გამაციმბირეს“...

„– საგალობელს თუ ასრულებს ვინმე?“ – ამ შეკითხვას დიმიტრი პატარავა უპასუხებს:

„– გალობა საერთოდ ეიკრძალა... ღმერთი თუკი იყო სადმე ნახსენები, ყველაფერი აკრძალეს, ეკლესიებში წირვა აღარ ტარდება, ქრისტიანული დღესასწაულები აღარ აღინიშნება და მიივიწყა ხალხმა ის, რაც აქამდე საუკეთესო ტრადიციად ითვლებოდა. მგალობლებიდან ბოლო ჩვენ დავრჩით – არტემი, ვარლამი და მე. 2000 –ზე მეტი საგალობელი ვიცით, მარა რად გინდა მერე, იგალობებ და ციმბირი უკან დაგრჩება“.

* * *

და მაინც, ანზორ ერქომაიშვილის ნაწერიდან განსაკუთრებით ეს მოგონება მიყვარს: „სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში ჩემი პირველი საკონცერტო ნათლობა. მამაჩემისა და ბაბუაჩემის ჩახვეულ ხმებს ვეღარ გავუძელი , ტონალობას ავცდი, გავჩერდი და სემესალა, ბაბუ – მეთქი, – ვუთხარი სკამზე შემდგარმა ოთხიოდე წლის ბავშვმა ბაბუას, რითაც მაყურებლის გულიანი ხარხარი და ოვაცია გამოვიწვიე“.

და ახლა, ათეული წლების შემდეგ, თავადაც ღვაწლით მოსილ ანზორ ერქომაიშვილს, ბაბუამისივით, თვითონაც სამშობლოს სულის ნაწილად ქცეულს, თამამად შეუძლია, მივიდეს სახელოვანი წინაპრის საფლავთან და გამართული ქართულით, წელგამართულმა უთხრას: „მხოლოდ იმ ერთხელ შემეშალა, ბაბუ!“

შეუძლია, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ამას არ იზამს.

ამიტომაც არის ანზორ ერქომაიშვილი.

ამიტომაც გვიყვარს ანზორ ერქომაიშვილი.

და ბოლოს – წიგნის კიდევ ერთი მშვენება, ცოცხალი და რეალური მეტაფორა: ატმის ხე გიგო ერქომაიშვილის საფლავზე. ერთი რომ გაიზრდება, გემრიელი ნაყოფით ბევრს გაუმასპინძლდება და დაბერდება, მის ძირზე ახალი ნერგი ამოდის. „ასე გრძელდება დღემდე. ატმის ხე გიგოს შთამომავლებივით ხარობს“(სხვათა შორის, ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა შთამომავალს გიგო ჰქვია).

ეს ატმის ხეც ჩვენი სამშობლოს სულის ნაწილია.

ღმერთმა დალოცოს მისი მარადი ყვავილობა...

შემოქმედის დაბადება სამშობლოს სულიდან

უსაშველოდ ქართული სინტაგმა: ანზორ ერქომაიშვილი

კინოსცენარს რომ ვწერდე, ასე დავიწყებდი:

მაყურებლით გადაჭედილი საკონცერტო დარბაზი.

სცენაზე ხალხურ მომღერალთა ოჯახია – სამი თაობის თითო წარმომადგენელი:

ბაბუა, შვილი და შვილიშვილი.

სიმღერას, მოულოდნელად, მაყურებლის სიცილი და ტაში შეწყვეტს...

* * *

წლების შემდეგ, შვილიშვილი, უკვე სახელგანთქმული ლოტბარი და მომღერალი, თავის წიგნში ამ ფაქტს ასე მოიგონებს:

„მამაჩემისა და ბაბუაჩემის ჩახვეულ ხმებს ვეღარ გავუძელი, ტონალობას ავცდი, გავჩერდი და „სემესალა, ბაბუ“ – მეთქი, ვუთხარი სკამზე შემდგარმა, ოთხიოდე წლის ბავშვმა ბაბუას, რითაც მაყურებლის გულიანი ხარხარი და ოვაცია გამოვიწვიე.

– შენ კი არა, ჩვენ შეგვეშალა, – დამამშვიდა ბაბუამ, – აბა, ერთხელ კიდევ დავიწყოთ და აღარ შეგვეშლება, – მითხრა მან ტკბილად და თავიდან დამაწყებინა სიმღერა, რომელიც მართლაც აღარ შეგვშლია“.

ადვილი გამოსაცნობია, რომ ეს ერქომაიშვილთა დინასტიაა:

ბაბუა – არტემი;

შვილი – დავითი;

შვილიშვილი – ანზორი.

მაგრამ დინასტიას ერთი დიდი წინაპარი აკლია...

* * *

დაახლოებით 40 წლის წინათ, მოსკოვის არქივებში მუშაობისას, ანზორ ერქომაიშვილმა მიაკვლია 1934 წლით დათარიღებულ ფირფიტას, რომელზეც ერთ-ერთი უძველესი ქართული ხალხური სიმღერაა ჩაწერილი. პირველ ხმას ასრულებს ანზორის პაპა, 94 წლის გიგო ერქომაიშვილი, „გამყივანს“ – 12 წლის დავითი (მამა), ხოლო ბანს – 48 წლის არტემ ერქომაიშვილი (ბაბუა).

აი, საიდან მოდის ანზორ ერქომაიშვილი!

* * *

პაპა.

მომღერალ – მგალობელი.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში გიგო ერქომაიშვილმა სოფელ მაკვანეთში ჩამოაყალიბა ანსამბლი, რომელმაც არა მხოლოდ სიმღერა-გალობით გაითქვა სახელი: გრამოფონის ფირფიტებზე ერთ-ერთმა პირველმა ჩაწერა და დავიწყებას გადაარჩინა ქართული ხალხური სიმღერების უძველესი ვარიანტები;

სიმბოლური ფაქტი: 1970-იან წლებში ანზორ ერქომაიშვილმა მოსკოვისა და ლონდონის ფონოარქივებში მიაკვლია მაკვანეთის ანსამბლის უნიკალურ ჩანაწერს – ოთხხმიან გურულ ნადურს „საჯავახურას“.

ბაბუა.

„ეროვნული განძი – ასე შეიძლება ეწოდოს ღვაწლსა და დანატოვარს, რომელიც დიდი მგალობელ-მომღერლის, ლოტბარის არტემ ერქომაიშვილის შემოქმედების სახით მოეპოვება საქართველოს. მისი შესრულებით შემონახული ტრადიციული ქართული მუსიკალური ხელოვნების, ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის შედევრებით აღვსილი ფონოჩანაწერები ქართული კულტურის ფასდაუდებელი საგანძურია“ (დავით შუღლიაშვილი).

მამა.

მომღერალი.

დავით ერქომაიშვილი, სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა, 32 წლისა, ტრაგიკულად დაიღუპა.

შვილი.

მომღერალი და ლოტბარი.

ანზორ ერქომაიშვილი – დღევანდელ საქართველოში, ალბათ, ძალიან ცოტაა ასეთი სიყვარულით წარმოსათქმელი სახელ – გვარი.

არ ვიცი, ანზორი სადაური სახელია, ეს კი ზუსტად ვიცი: სინტაგმა „ანზორ ერქომაიშვილი“ უსაშველოდ ქართულია.

აქ გალაკტიონის ორი სხვადასხვა სტრიქონი ერთდროულად გაგვახსენდება:

„მზერა ქართულია სივრცის დაუნჯებით“...

„სავსე ქართული პატიოსნებით“...

მართლაც იშვიათია სულისა და ფიზიკის ასეთი ჰარმონია.

* * *

წიგნები ვახსენეთ.

ანზორ ერქომაიშვილი მრავალი წიგნის ავტორია.

ყველა მათგანი ბესტსელერივით იკითხება.

შიგადაშიგ ისეთ პასაჟებს შეხვდებით, აღიარებულ მწერლებს რომ შეშურდებათ.

ბაბუის საფლავის მოსანახულებლად მიმავალს, ძველი გურული სიმღერის მელოდია აეკვიატება: „შავი შაშვი ჩი – ოოო – და“...

საფლავთან მისულს აკვიატებულ მელოდიას ნამდვილი შაშვის გალობა შეაწყვეტინებს.

შაშვი იმ ჭადრის ტოტზე ზის, არტემ ერქომაიშვილის სამარეს რომ დაჰყურებს.

„ფრთხილად მივუახლოვდი საფლავს და ჩამოვჯექი. შაშვმა გალობა შეწყვიტა. ალბათ, დაიღალა და გაფრინდება – მეთქი, – გავიფიქრე გულდაწყვეტილმა. მაგრამ ჩიტმა ადგილი მოინაცვლა ტოტის წვერისაკენ, რამაც შაშვის სიმძიმეს ვერ გაუძლო და თითქმის მიწამდე დახარა მგალობელი. შაშვი გალობდა, ტოტი ნელ-ნელა თანაბრად ირხეოდა მიწისკენ და მომეჩვენა: ფრინველი ხმამაღლა ჩაჰგალობდა იმ კაცს, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეძლო, გაეგო მისი გალობის ფასი“.

ასეთი მწერლური მონასმების ავტორი გამუდმებით იმეორებს, მე ხომ მწერალი არა ვარო.

კეთილი, აქ არ შევედავები.

ნამდვილად შესადავებელი მაინც სულ სხვაა:

ამასაც ხშირად იმეორებს – მოღვაწე არა ვარო.

მოღვაწეები ილია და ექვთიმე იყვნენო.

ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობიდან ეს სიტყვა დიდი ხვეწნით ამომაშლევინა.

ცხადია, ხათრი ვერ გავუტეხე.

მაგრამ აი, რას ვკითხულობთ წიგნში, რომელიც მისი დაბადებიდან 70 წლითავს მიეძღვნა:

„საყოველთაოდაა აღიარებული ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართული მუსიკალური ენის, ჩვენი მრავალხმიანობის გადარჩენისა და პოპულარიზაციისათვის გაწეული მსახურების გამო, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის სახელი მომავალში ღირსეულად მოიხსენიება ისეთი დიდი მოღვაწეების გვერდით, როგორებიც არიან ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიმონ ქორიძე, ექვთიმე კერესელიძე, ძმები კარბელაშვილები, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი“...

ღვაწლიო... დიდი მოღვაწეების გვერდითო... ექვთიმე თაყაიშვილის გვერდითო...

რა გასახარია, რომ ამას პროფესიონალი მუსიკოსები წერენ – გიორგი დონაძე და სვიმონ ჯანგულაშვილი.

სხვათა შორის, ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხსენებულ წიგნ – ალბომს კონსპირაციულად ამზადებდნენ, რისი მიზეზიც „ამ ადამიანის საოცარი თავმდაბლობა და მოკრძალებულობაა. ბატონ ანზორს გულწრფელად სჯერა, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განსაკუთრებულ ყურადღებასა და აღნიშვნას არ იმსახურებს, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე ადამიანმა უხმაუროდ უნდა აკეთოს“.

რა ფასდაუდებელია ასეთი თავმდაბლობა მაშინ, როცა „ათასი ჯურის უნიჭობა იბრძვის, ფაფხურობს“ (მ. ლებანიძე)...

* * *

ანზორ ერქომაიშვილის სახელი ქართველთა ცნობიერებაში, ძირითადად, მაინც ორ სახელგანთქმულ ანსამბლს უკავშირდება – „რუსთავს“ და „მართვეს“.

ორივემ ტრიუმფით მოიარა მთელი მსოფლიო.

„მართვეში“ განსხეულდა მისი შემომედებითი კრედო და მრწამსი: „თუ გვინდა, ქართული ხალხური სიმღერა შევინახოთ, ის ბავშვებს უნდა ვასწავლოთ და შევაყვაროთ“.

რაც შეეხება „რუსთავს“, პირდაპირ უნდა ითქვას:

ქართული კულტურის ჭეშმარიტი სახე, დონე და ხარისხი მსოფლიოს, უპირველესად, სამმა შემოქმედებითმა კოლექტივმა გააცნო – „სუხიშვილებმა“, „რუსთავმა“ და რუსთაველის თეატრმა.

როცა „რუსთავს“ საფრანგეთში მოუსმინეს და აცრემლებული ქართველი ემიგრანტები იხილეს, იქაურ პრესაში დაიწერა: „ისინი ბედნიერები არიან, რათა მაყურებელი ტაშს უკრავს მათი სამშობლოს სულის ნაწილს“.

უკეთესი რა უნდა ეთქვათ?!

სამშობლოს სულის ნაწილია მრავალხმიანი ქართული სიმღერა, ანსამბლი „რუსთავი“ და თვითონ მისი დამაარსებელიც.

ანზორ ერქომაიშვილის მაგალითი იმას ადასტურებს, რომ დიდი შემოქმედი და მოღვაწე სწორედ სამშობლოს სულიდან იბადება.

* * *

ერთმა გერმანელმა მუსიკისმცოდნემ ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი ამ სიტყვებით გახსნა: „ქართველები ის ხალხია, ღმერთს სიმღერით რომ ელაპარაკებიან“.

ასე მგონია, ნიცშეს რომ ქართული მრავალხმიანი სიმღერა მოესმინა, მასაც ესქილესეული დადებითი მზერით შეხედავდა და აღტაცებას ასე გამოხატავდა: „მაგრამ ისიც მითხარი, უცხოელო, რამდენი უნდა ეტანჯა ამ ხალხს, ესოდენ მშვენიერი რომ გამხდარიყო?!“

ქართველმა ერმა, სამიათასხუთასწლოვანი ისტორიის განმავლობაში, მართლაც ბევრი იტანჯა და არაერთი მშვენიერება შექმნა. ერთ-ერთი მრავალხმიანი სიმღერაა.

* * *

სკოლა რომ დაამთავრა და პროფესია უნდა აერჩია, გული უნივერსიტეტისაკენ მიუწევდა.

არტემ ბაბუამ კი ეს უთხრა: „ძველი თაობა წავიდა... ახლა მხოლოდ მე გამაჩნია ის სიმდიდრე, რომელიც არც ფულზე იყიდება და არც ოქროზე აიწონება. ამ სიმდიდრის ფასს შენ ჯერ ვერ გაიგებ. ეს არის სიმდიდრე, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება. მე რომ რაიმე შემემთხვეს, ისეთი განძი წამყვება თან, რომლის დაკარგვას ერი არ გვაპატიებს, რომელსაც ვერავინ აღადგენს და ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვაწვება კისერზე... შენ სისხლში გაქვს გურული სიმღერა გამჯდარი და ამიტომ, თუ მუსიკალურ განათლებას მიიღებ, ყველაზე მეტად შენ შეძლებ ამ საქმის გაკეთებას“.

მიიღო. შეძლო. აღადგინა.

და დაუწერელი თუ დასაწერი კინოსცენარის ერთი ეპიზოდი:

შვილიშვილი ჩამუხლულა არტემ ერქომაიშვილის საფლავთან და უხმოდ ელაპარაკება:

„ქართულ ხალხურ სიმღერას უკვე მთელს მსოფლიოში იცნობენ, ბაბუ. იუნესკომ ის მსოფლიო პოლიფონიის შედევრად აღიარა“.

* * *

მხოლოდ ციფრები:

არსებობის 50 წლის განმავლობაში, ანსამბლმა „რუსთავმა“ მსოფლიოს 80 ქვეყანაში 6 ათასი კონცერტი გამართა, კომპაქტდისკზე ჩაწერა და ალბომებად გამოსცა 900 – ზე მეტი სიმღერა.

ანსამბლის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა სანიმუშოდ გამოცემული ალბომი, რომელსაც ახლავს 16 კომპაქტდისკი, 400 სიმღერით.

* * *

აქამდე, მისი მთავარი წიგნი სწორედ ის იყო, ბაბუას რომ უძღვნა და არა მხოლოდ თბილისში და ქართულად, არამედ ამერიკაშიც გამოიცა – ინგლისურ ენაზე.

ბაბუას მისთვის რა და ვინ შეცვლის, მაგრამ...

სულ მალე, ასევე, ორ ენაზე, თბილისშიც და ვაშინგტონშიც, გამოვა 400 გვერდიანი წიგნი – „მოგვითხრობს ანზორ ერქომაიშვილი“.

ეს არის მისი რჩეული ნაწერების კრებული, რომელიც ქართველ ხალხს კიდევ უფრო თვალნათლივ დაანახებს, „თუ რა შვილი აჩუქა განგებამ“ (აკ. გაწერელია)...

* * *

გიგოსგან ჩვენ ვიწყებთ, თორემ ანზორ ერქომაიშვილს ბაბუა ეუბნებოდა, ამ გვარის ჩვენეული შტო 250 წელს ითვლის და შენ მეექვსე თაობას მიეკუთვნებიო.

გიგო წუთისოფელს ამ სიტყვებით გამოეთხოვა:

„მე დიდხანს ვეღარ გავატან. მივდივარ და აბა თქვენ იცით, სიმღერები შეინახეთ და გვარი არ წაშალოთ“.

არტემ ერქომაიშვილმა კი შვილიშვილს ეს დაუბარა:

„მე კი არ ვკვდები, მივდივარ. მივდივარ და ცოცხალი ვიქნები შენით. შენ შეგიძლია, მომკლა და შეგიძლია, საუკუნეები მაცოცხლო. ეს დამოკიდებულია იმაზე, გურულ სიმღერებს როგორ მოუვლი და შეინახავ“.

ქვეყანაა მოწმე, როგორ აცოცხლა და კვლავაც აცოცხლებს ანზორ ერქომაიშვილი თავის სათაყვანებელ ბაბუას.

* * *

და დაუწერელი თუ დასაწერი კინოსცენარის ფინალი, რომელსაც მთლიანად ანზორ ერქომაიშვილს დავესესხები:

„ჩვენი ბაღჩის ბოლოში იდგა ატმის ხე, რომელიც უგემრიელეს ნაყოფს ისხამდა. „თეთრ ბაბუს“ძალიან უყვარდა ის ატამი, ამბობდა, ასეთი გემრიელი გორშიც კი არ მოდისო...

იმ ატმის ფესვზე რამდენიმე ახალი ამონაყარი იყო. ბაბუამ ფესვი ფრთხილად გადაჭრა, ნერგი მომაწოდა და მთხოვა, გიგოს საფლავზე წავყოლოდი...

საფლავთან მივედით. ბაბუამ, ბარით, მიწა ორი მტკაველის სიღრმეზე ამოთხარა, ნერგი მომაწოდა და მთხოვა, ჩამერგო. ფესვები ორმოში კარგად ჩავალაგე და ფხვიერი მიწა ხელით მივაყარე. მერე ბაბუამ ერთი დოქი წყალი დაუსხა და მიწა კარგად მიუტკეპნა.

ატამმა იხარა. ტანი კარგად აიყარა და მეორე წელს უკვე ნაყოფი გამოისხა.

ატამი თანდათან გაიზარდა და ყოველ წელს ბლომად ნაყოფს ისხამდა.

გავიდა დრო. ატამი ნელ-ნელა გახმა, მაგრამ მის ფესვზე ახალი ნერგი ამოვიდა. ახლა იმან იხარა. მერე ისიც გახმა და ისევ ახალი ამოვიდა. ასე გრძელდება დღემდე“...

უკეთესი ფინალი რა გინდა მხატვრულ – დოკუმენტური ფილმისათვის?!

ან დაწერას რაღა უნდა?!

ნეტა გადაღებაც შემეძლოს...

* * *

შარშან ანზორ ერქომაიშვილმა ერთი პაწია წიგნიც გამოსცა – „ნაფიქრალები“.

პაწია კია, მაგრამ ბევრ ჭკვიანურ მოსაზრებას იტევს, ისეთი ოსტატობით გამოთქმულს, სენტენციისგან ბორხესი რომ მოითხოვდა.

გამონათქვამები „თემატურადაა“ დაყოფილი.

პირველი ქვეთავი ღირსებას ეძღვნება.

აი, ზოგიერთი ნიმუში:

„ჩემი ღირსება ჩემს სიცოცხლეზე წინ დგას“.

„ღირსეულად ატარო შენი გვარის ტრადიცია – დიდი ტვირთია“.

„ღირსება ოცნებაშიც უნდა შეინარჩუნო“.

„ღირსეულად განვლო მთელი ცხოვრება – ეს დიდ სიფრთხილესა და მორალურ სიმტკიცეს მოითხოვს“.

ვის დაეჯერება ეს ყოველივე დღევანდელ საქართველოში, თუ არა ანზორ ერქომაიშვილს?!

არადა, თვითონ, ყველაზე ნაკლებად დამჯერეა.

აი, რას წერს:

„თუ გენიოსი გიწოდეს, ბედნიერებაა, თუ დაიჯერე, – უბედურება“.

თვითონ რა – თავი ქუდში აქვს, ეპითეტს არ საჭიროებს, ყველაფერს სახელ-გვარი ამბობს – უსაშველოდ ქართული და საყვარელი სინტაგმა: ანზორ ერქომაიშვილი...

არქიტექტორის მომნუსხველობა მინის საერთაშორისო მოწყენილობის ფონზე

ვახტანგ დავითაიას „რონშანი“

„იქნებოდა კი ვან გოგი ვან გოგი თავისი წერილების გარეშე?“ – ეს კითხვა 33 წლის ვახტანგ დავითაიას გასჩენია.

და დღეს, 50 წლის შემდეგ, სრული საფუძველი გვაქვს, ვიკითხოთ: იქნებოდა კი ვახტანგ დავითაია ვახტანგ დავითაია მისი წიგნების გარეშე?

ნახევარი საუკუნის წინათ დასმული შეკითხვა თვითონ უპასუხოდ დატოვა.

ჩვენც ასე მოვიქცეთ: დაე, პასუხი თავად წიგნებმა გაგვცენ...

* * *

ჩვენ წინაშე სახელგანთქმული არქიტექტორის ორი ახალი წიგნია: „ცხოვრების ფურცლები“ (ორ ტომად) და „ჩანაწერები“.

პირველი (ორტომეული) „ივერიონმა“ გამოსცა, მეორე – „ინტელექტმა“.

ორტომეული 964 გვერდს (512 +452) მოიცავს, „ჩანაწერები“ – 252-ს.

ფაქტობრივად, სამივე წიგნში ჩანაწერებია, უმეტესად, მცირე მოცულობის დღიურები.

და მაინც რამდენი დაგროვებულა?!

ეს იმიტომ, რომ გულგრილი არასოდეს ყოფილა.

„დადგება დრო, როდესაც ადამიანებს პასუხს მოსთხოვენ დუმილისათვის“ – ესეც ქრისტეს ასაკში ჩაუწერია.

ვახტანგ დავითაიას ასეთი დროის დადგომისა ნამდვილად არ უნდა ეშინოდეს, რადგან დუმილის უფლება საკუთარი თავისთვის არასოდეს მიუცია – არც მისაღები და არც მიუღებელი ხელისუფლების პირობებში.

მისთვის მთავარი ხელისუფლების მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების სისწორეა და არა პირადი სიმპათია-ანტიპათია.

* * *

ჩანაწერები, როსტომ ჩხეიძე დოკუმენტურ პროზას რომ მიაკუთვნებს, დღეს ძალიან პოპულარული ჟანრია.

ესეც უნდა ითქვას, ზოგიერთი ამ ჟანრს მემუარებისგან ვერ ანსხვავებს, არადა, „შუა უზის დიდი ზღვარი“.

ჩანაწერები იშვიათ მწერლურ და პუბლიცისტურ ნიჭს მოითხოვს, ფორმის ლაკონიზმსა და დახვეწილობას, ნათელ სტილს, მოკლედ თქმის ხელოვნებას.

ვახტანგ დავითაიას ეს კარგადა აქვს გააზრებული.

თვითონვე ამბობს: „ო, რა ძნელია მარტივად თქმა!“

ეს ჯერ კიდევ 34 წლისას გაუცნობიერებია.

და დღეს, 50 წლის შემდეგ, მისი დღიურები მოკლედ თქმის ხელოვნებითაც გვაოცებენ.

„დაბადებასა და სიკვდილს შორის მანძილს ცხოვრება ჰქვია“.

„რამხელა სიმღერაა „ოდოია“, არადა, სულ ერთი სიტყვაა“.

„გარეგანი ფორმა, ხშირ შემთხვევაში, ვერ გამოხატავს შინაარსს. შენობა ასუჯრედიანი ფასადით, არქიტექტურული თვალსაზრისით, შეიძლება ერთუჯრედიანი იყოს“;

„ერთი მსახიობის თეატრი კარგია, ერთი „ბელადის“ ქვეყანა კი – კატასტროფა“.

ნიმუშების ამოწერას კიდევ გავაგრძელებდი, მაგრამ წინ მისივე მოკლედ ნათქვამი გადამეღობა:

„აღტაცებასაც აქვს საზღვარი“.

* * *

მოკლედ თქმა ოსტატობაა, მაგრამ მთავარი მაინც პოზიციაა, ანუ: რას ამბობ, რაზე ამახვილებ ყურადღებას, მხარს რას უჭერ ან რას უპირისპირდები.

ორივე წიგნი (ორტომეული და“ჩანაწერები“) 1967 წლიდან იწყება.

პირველი ჩანაწერიც ორივეგან იდენტურია:

„9. IV. 1967. დღეს გაიხსნა საქართველოს მხატვართა მე – 7 ყრილობა. სიტყვით გამოვიდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია. ბრძანა: თუ მთავრობა დავით აღმაშენებელს ძეგლს არ დაუდგამს, ჩემი სახლის წინ ჩემი სახსრებით ავუგებ მას ძეგლსო... დასძინა, სააკაძე გამყიდველი იყო და უცხოეთში გარყვნილებას ეწეოდაო, მენშევიკი პლეხანოვის და ქაქიჭამია კამოს ქუჩები უნდა იყოს თბილისში და თამარისა არაო?“

ეს ჩანაწერი, თანაც, ამით დაწყება – უკვე პოზიციაა!

მოქალაქეობრივი პოზიცია!

გნებავთ, ეროვნულიც.

ახლა ვნახოთ, რას უპირისპირდებოდა ვახტანგ დავითაია ე. წ. ნაციონალური ხელისუფლების დროს:

2011 წლის ჩანაწერები:

„დღეს კულტურას მასის გემოვნება, მასის ინსტინქტი მართავს“;

„სასაცილოა სააკაშვილის ყოველდღიური „შეხვედრა“ ხალხთან. ეს „ხალხი“ გუბერნატორების მიერ სახლებიდან გამორეკილი ადამიანები არიან“;

„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი სააკაშვილი, როდესაც აღარ იქნება პრეზიდენტი, შესაძლოა, არც საქართველოს მოქალაქე, იტყვის, ხომ ჩავატარე ექსპერიმენტი ქართველების გამძლეობაზე, ამტანობაზე, მოთმინებაზე, მონობაზე“...

სხვათა შორის, მაშინ ვახტანგ დავითაია ამასაც ფიქრობდა:

„ყველა აქცია, რომელიც მიმართულია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ – მოქალაქეობის ჩამორთმევა (მეუღლესაც), ქართუ ბანკის რევიზია, ფულის დატყვევების ინციდენტი, წვრილ – წვრილი ბრალდებები, ყველაფერი ბატონი ბიძინას წისქვილზე ასხამს წყალს“.

სააკაშვილი აღარც პრეზიდენტია და აღარც საქართველოს მოქალაქე.

დღეს (მას შემდეგ) რას ფიქრობს და წერს ვახტანგ დავითაია?

2014 წლის ჩანაწერი:

„ვერ გავიგე, ხელისუფლება ხელისუფლობს თუ სოკოებივით მომრავლებული „არასამთავრობოები“... დავნიშნოთ ბარემ პრეზიდენტად, პრემიერ-მინისტრად, პარლამენტის თავმჯდომარედ... “

„მოუსმინეს“.

დანიშნეს კიდეც.

ზოგი – აქეთ (მთავრობისაკენ);

ზოგიც – იქით (პრეზიდენტისაკენ).

მთლად თავიანთ სავარძლებს ხომ არ დაუთმობდნენ?

თუ ასე გააგრძელეს, შეიძლება, ისინიც დაათმობინონ.

2017 წლის ჩანაწერი:

„კაპიტალი, ფული მძლეთამძლე და ულმობელია. მან არაერთი ქალაქი და ურბანული ძეგლი შეურაცხყო. უნდა ამოვიცნოთ კაპიტალის ინტერესიდა შევთავაზოთ ალტერნატივები, უნდა მოვაქციოთ ის არქიტექტურულ-ურბანული ინტერესების ჩარჩოში – ესაა ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა. სხვანაირად, ქაოსი და ურბანული კოლაფსი გარდაუვალია“.

მაინცდამაინც ასეთ შეგონებებს არ უსმენენ.

ხელს არ აძლევთ.

* * *

„თქმისთვის ბევრი დასჯილა, დუმილისათვის – არავინ, თუმცა, ზოგჯერ დუმილი თქმაზე უფრო დიდი დანაშაულია“.

დღეს სხვა დროა.

დასჯის ფორმები შეცვლილია.

ხელოვანს, თქმისთვის, სიკვდილით აღარ სჯიან.

აღარც იჭერენ.

დიდი – დიდი „ჩარეცხონ“.

ან უგულებელყონ.

არ მოუსმინონ.

ნამდვილი ხელოვანისთვის, ესეც მძიმე სასჯელია.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დუმილი არ შეგვეძლოს.

ვახტანგ დავითაიას კი მართლაც „არასოდეს სწყალობდა დუმილის ღმერთი“ – არცერთ ეპოქაში, არც ერთი ხელისუფლების ჟამს.

* * *

ზემოთ ორი ეპოქა გამოვტოვე.

არის ორიოდე საკითხი, რაშიც ბატონ ვახტანგთან ვერასოდეს შევთანხმდები.

ეს სრულიადაც არ მიშლის ხელს, მისი გულმხურვალე პატივისმცემელი ვიყო.

მეტიც, ის გულწრფელად მიყვარს.

მიყვარს მაღალი პროფესიონალიზმის, იშვიათი პიროვნული ღირსებებისა და იმ უმთავრესის გამო, რაც ამ ჩანაწერშია გაცხადებული:

„რას ნიშნავს ეროვნულობა არქიტექტურაში? არქიტექტურული ატმოსფერო ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ გრძნობდე უწყვეტ კავშირს ერის სულიერ და მატერიალურ კულტურასთან“.

აქ აზრი არა აქვს დემაგოგთა გამოხტომას, რადგან ვახტანგ დავითაიას ზურგს თვით მაჰათმა განდი უმაგრებს. დიდი ინდოელის მსგავსად, მასაც სურს, ღია იყოს სამშობლოს კარ-ფანჯრები, რათა სხვა ქვეყნების კულტურა თავისუფლად შემოდიოდეს, მაგრამ არ უნდა, მათგან წალეკილი იყოს.

* * *

„ვწერ ისევე, როგორც ვფიქრობ, ვლაპარაკობ ისე, როგორც ვფიქრობ. მე არ მიზრუნია იმაზე, როგორ ვთქვა, ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა სიტყვებთან ჭიდილი“.

ამ ჩანაწერის პირველ ნაწილს უყოყმანოდ დავეთანხმებით, მეორე კი საკამათოდ უნდა ვაქციოთ, რადგან „ჩანაწერებსა“ და „ცხოვრების ფურცლებში“ სიტყვასთან ჭიდილის მაგალითებიც უხვადაა.

ამის საუკეთესო ნიმუშია, „ივერიის“ განახლებული შენობის მისეული აღწერა, დიდი პროფესიონალისა და მოქალაქის გულისფეთქვას რომ გამოსცემს:

„მას ადგილის სულის, ერის კულტურის, მენტალობის განცდა არა აქვს. უსამშობლოა, უმისამართო, უკონტაქტო. არ სუნთქავს. სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ავლენს. მინის საერთაშორისო მოწყენილობას კიდევ ერთი შენობა შეემატა, ამჯერად, თბილისში“.

რომელი მწერალი დაიწუნებდა არქიტექტორის ამ სტრიქონებს?!

მხოლოდ არქიტექტორის თვალი ვერც იმ პაწია ბოშა გოგონას შენიშნავდა, ვაჟა – ფშაველას გამზირისა და პეკინის ქუჩის კუთხეში, შუქნიშანთან შეჩერებული მანქანებისკენ ხელგაწვდილი რომ გარბის, ხოლო როცა მწვანე აინთება, ტროტუარს მიაშურებს და ხატვას აგრძელებს.

მხოლოდ არქიტექტორი, ალბათ, ვერც ამას იტყოდა:

„რა მომნუსხველად საუბრობს სიჩუმე!“

არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას კალამიც მომნუსხველად საუბრობს.

* * *

პოეტი ყველა ნამდვილ ხელოვანში ცოცხლობს.

ბუნებრივია, ყველა ნამდვილ არქიტექტორშიც.

ვახტანგ დავითაიამ ეს უბრალოდ კი არ იცის, თავისი ხელოვნებით ადასტურებს.

მსოფლიოს გამოჩენილ ხუროთმოძღვართა მსგავსად, ისიც ყოველთვის ოცნებობდა „რონშანზე“, და დღეს სრული უფლება აქვს, დაწეროს:

„მეც მაქვს ჩემი „რონშანი“ – ალგეთის ბაზილიკა...“

ლე კორბუზიემ ღვთისმშობლის ეკლესია ამ სახელწოდების ფრანგულ სოფელში ააგო, ვახტანგ დავითაიამ კი თავისი ბაზილიკით ქართული სოფლის – ტბისის მთა „დაამთავრა“.

„ვახტანგ დავითაიას ალგეთის ბაზილიკა არქიტექტურაზე მეტია“, – დაწერა, თავის დროზე, დავით ანდრიაძემ.

დღეს კი ასე ვიტყოდი: ვახტანგ დავითაიას ჩანაწერები ჩანაწერებზე მეტია, ხოლო მისივე „ცხოვრების ფურცლები“ – ცხოვრებასავით საინტერესო...

სიცრუე დედაენას სჯობს?!

ფანტაზია რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლის მიხედვით

მშრალად დავიწყოთ:

სათაური: „ასულნი“;

ქვესათაური: „ფანტაზია პოლიკარპე კაკაბაძის პიესების მიხედვით“;

სცენური ვერსია – რობერტ სტურუა, ნინო კანტიძე;

რეჟისორი – რობერტ სტურუა;

ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე;

მხატვარი – ანა ნინუა;

მუსიკალური გაფორმება – ია საკანდელიძე;

ლოტბარი – ზურაბ წკრიალაშვილი;

მხატვარ – გამნათებელი – გოჩა გიორგაძე;

რეჟისორის თანაშემწე – მარინა ამაღლობელი.

გამოყენებულია ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის, არვო პიარტის, გია ყანჩელისა და ნილ ჰეფთის მუსიკა;

გია ყანჩელის მელოდიებს ასრულებს ლიზა ბაგრატიონი.

* * *

აქ პიესებიც „გამოყენებულია“:

პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიულ ქმნილებათაგან („სამი ასული“, „ყვარყვარე“, „კახაბერის ხმალი“) ამოკრებილია საუკეთესო, გაუხუნარი ფრაზები და, მათი მეშვეობით, გადმოცემულია ჩვენი სამშობლოს ტრაგიკული ბედი.

გადმოცემული და ნაჩვენებია თეატრის ენით.

სტურუას თეატრის ენით.

სიტყვის, მუსიკისა და პლასტიკის შთამბეჭდავი სინთეზით.

პლასტიკას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: აფიშაზე შემთხვევით არ წერია ქორეოგრაფის გვარი რეჟისორის შემდეგ.

* * *

„სტურუა დაბერდა“.

„კრიზისშია“.

„წინ ვეღარ მიდის“...

რა საოცარია: ამ თეატრმცოდნეთა პედაგოგებიც ასე ექცეოდნენ მის პედაგოგს.

„რამდენჯერ, უსამართლო კრიტიკით გულგასენილი გამოვსულვარ თეატრიდან და მძაგდა იგი“. – ამას წერს რეჟისორი, ვისაც უწყლოდ და უჰაეროდ არსებობა უფრო შეეძლო, ვიდრე უთეატროდ.

მიხეილ თუმანიშვილს ყველაფერი გულთან მიჰქონდა.

ამიტომაც ადრე დაბერდა.

ცხადია, ფიზიკურად და არა შემოქმედებითად.

75 წლისა ნამდვილ ბაბუს ჰგავდა.

საბედნიეროდ, სტურუა „უგულოა“.

ამიტომაც არასოდეს დაბერდება.

მას შეუძლია, გაიმეოროს მურმან ლებანიძის სიტყვები: „ვწუხვარ, გულს ვეღარ მტკენენ ჩემი პატარა მტრები“...

მაგრამ სტურუას არ უყვარს გამეორება.

მხოლოდ საკუთარ თავს თუ გაიმეორებს.

ისიც ხანდახან.

ძალიან იშვიათად.

ახალ სპექტაკლის ნახვისას, ერთგან „ყვარყვარე“ გაგახსენდება, სხვაგან – „კავკასიური ცარცის წრე“ ან „რიჩარდ მესამე“.

ეს ბუნებრივია.

ეს ხელწერაა.

ის, რასაც კარგა ხანია, რობერტ სტურუას თეატრი ჰქვია.

არსობრივად კი, ეს სპექტაკლი სტურუასთვისაც ახალია.

უფრო ადრინდელ დადგმებს რომ თავი დავანებოთ, ბოლოდროინდელთაც არ ჰგავს.

„მარია კალასს“ ხომ არ ჰგავს და არ ჰგავს, „ნადირობის სეზონისგანაც“ ბევრად განსხვავდება.

„მარია კალასმა“ იმათ წაართვა სალაპარაკო, მთავარ „არგუმენტად“ ეს ყბადაღებული მოსაზრება რომ ჰქონდათ: „სტურუას მსახიობი არ უყვარს!“

„ნადირობის სეზონმა“ იმათ გადაასხა ცივი წყალი, სტურუას ამოწურვა რომ ესიზმრ-ელანდებოდათ.

თუმცა, ზოგიერთი ცივწყალგადასხმული ნირს მაინც არ იცვლიდა და ქედმაღლურად იმეორებდა: „დავიღალეთ ამ რებუსებით“.

ეს პრეტენზია, იქნებ, მთლად უსაფუძვლო არც იყო, მაგრამ საინტერესოა, ამჯერად რაღას მოიგონებენ: მართალია, ახალი სპექტაკლიც იგავურია, სამაგიეროდ, ყველაზე რთული მეტაფორაც კი გამჭვირვალეა...

* * *

„ასულნი“ – სახელწოდებამ ორმაგი დატვირთვა შეიძინა: ასულებსაც გულისხმობს და ზემოთ ასულებსაც. ამგვარი წაკითხვისკენ სპექტაკლის აფიშაც გვიბიძგებს: სხვას რას უნდა ნიშნავდეს მუქი სივრცის პატარა თეთრ ნაჭერზე მიდგმული კიბე?

ვაი, რომ ამ კიბეზე ვერავინ ადის.

თუმცა, სპექტაკლის სამოქმედო სივრცე უამისოდაც ორდონიანია: ზაზა ლებანიძის პერსონაჟი უფრო ხშირად „ზემოთ“ იმყოფება, „ქვემოთ“ კი ხალხია, დამონებული ერი.

* * *

სტურუას თეატრში დრო თითქმის არასოდეს კონკრეტდება.

მისთვის, როგორც ყველა დიდი შემოქმედისთვის, დრო უაღრესად პირობითია. მეტიც, შეიძლება, ითქვას, რომ „დრო არ არსებობს“.

ამიტომაც ერთი პერსონაჟი ამბობს: „რა ნელა გადის დრო“, მეორე კი ამას ჩივის: „რა ჩქარა გადის“...

პირველი ფრაზა, რომელსაც მოვისმენთ, ესაა: „ჩემო ერო, სანდომიან ლამაზ მამულში დიდხანს გრძელდებოდა უკუნი ღამე“...

ჩვენი ნებაა, ამ „დიდხანს“ – ში რამდენს ვიგულისმებთ: ცხრა საუკუნეს თუ ცხრა წელიწადს.

უფრო მნიშვნელოვანი კი მომდევნო ფრაზაა: „მაგრამ შენს წიაღში წმინდანებიც იბადებოდნენ“...

იბადებოდნენ.

ამან გადაგვარჩინა.

მაგრამ „დღეის შემდეგ? დღეის ამას იქით?“ (მუხრან მაჭავარიანი)...

ახლა და აწი რაღამ უნდა გადაგვარჩინოს? – აი, ყველაზე წყევლა – კრულვიანი საკითხავი.

* * *

დიდ რეჟისორებს ისე არაფერი აღიზიანებთ, როგორც ეს კითხვა: „რაზეა სპექტაკლი?“

თუმც კი სტურუაზე ნაწყენი ვარ, მისი გაღიზიანება მაინც არ მსურს, ამიტომ ამ კითხვას, შეძლებისდაგვარად, თვითონვე ვუპასუხებ.

როდემდე უნდა ვიყოთ სულ მუდამ მესიის მოლოდინში?!

როდემდე უნდა გვჯეროდეს და გვატყუებდნენ?!

როდემდე უნდა ვეთაყვანებოდეთ და მერე ვაფურთხებდეთ?!

აი, რაზეა ეს სპექტაკლი...

„ჩვენში თვით ბაღლინჯოც კი თავს არსად იჭყლეტს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე“...

„მე ეს გვირგვინი არ მინდოდა, თქვენ მაიძულეთ“...

აი, რაზეა ეს სპექტაკლი.

ვითომ ჩიტი ჩიორა გვეცოდება, ადამიანს კი ადვილად გავიმეტებთ. რომ მოვკლავთ, „არა კაც კლა“ მერეღა გაგვახსენდება.

ვითომ გაგვახსენდება!

აი, რაზეა ეს სპექტაკლი.

* * *

აქ არც ილიას „ბედნიერ ერს“ ახსენებენ და არც აკაკის მწარეზე მწარე ნათქვამს („ფურთხის ღირსი ხარ“...), მაგრამ ერთიც გაგახსენდებათ და მეორეც.

პირველს უკვე მოხმობილი ფრაზა გაგახსენებთ, სპექტაკლს რეფრენად რომ გასდევს: „ჩემო ერო, სანდომიან ლამაზ მამულში“...

აკაკის მწარე სიტყვები კი მაშინ მოგაგონდებათ, როცა ყველა „მესიას“, სინამდვილეში კი ყველა ყვარყვარეს, ამქვეყნიდან ფურთხით გაისტუმრებენ...

დგება ეტაპი, როცა ორი ყვარყვარე ერთდროულად გამოგვეცხადება.

ხალხს სიმართლისა და ჭეშმარიტების ქადაგებას დაჰპირდებიან.

დაუჯერებენ და ერთ გვირგვინს ორივეს დაადგამენ.

სამეფო გვირგვინის ორად გაყოფა – მართლაც დიდებული სცენა.

თუმცა, მომდევნო კიდევ უკეთესია: ლამპის შუქისა და გიტარის თანხლებით.

ჯერ იშხნელები მღერიან, შემდეგ – ზაზა ლებანიძე და ნინო არსენიშვილი.

რა საჭიროა სიმართლე და ჭეშმარიტება, სიცრუე დედაენას სჯობსო, – მღერიან ისინი.

კი არ მღერიან, სიმღერას თამაშობენ.

ლიზა ბაგრატიონი სცენაზე საერთოდ არ ჩანს, მაგრამ ისიც თამაშობს. მსახიობების მიერ წარმოთქმულ ფრაზებს სიმღერით იმეორებს და ლამაზი ფერებით მდიდარი ხმით, სათქმელის სიღრმესა და დრამატიზმს გამოკვეთს.

ეს არ არის სიმღერა სიმღერისათვის.

აქ გალაკტიონიც გაგახსენდება: „არსად ისე არ მღერიან“...

მაგრამ აქ ამასაც გვეუბნებიან: „როდემდე უნდა იღიღინოთ ასე, თქვე უბედურებო?!“

შეუძლებელია, აქაც ილია არ გაგახსენდეს: „როდემდის უნდა დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა – წყალო, მომეც ამის პასუხი!“. .

* * *

როცა „ზემოთ“ შეუფერებელი სიმღერით ჩვილს ვერ აძინებენ, „ქვემოთ“ ამას ნატრობენ: ნეტავ ჩვენ გვიმღეროდეს, რა ტკბილად დავიძინებდით“.

ილია კი ასე ოხრავდა: „ო, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

მუხრან მაჭავარიანიც ამას წუხდა: „როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე, / ქვეყანას ღვიძავს, დღეს ძინავს ვისღა?/ ჩვენი მზის სხივს და ჩვენი მზის ყურძენს/ როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?!

ეს საწუხარი დღესაც ძალაშია. მართალია, მზე ჩრდილოეთიდან აღარ ამოჰყავთ, მაგრამ ჩვენი სანდომიანი, ლამაზი მამულის ერთ მესამედს მწუხრის ზეწარი ისევ იქიდან აქვს გადაფარებული.

შემთხვევით არ უწოდებს ზვიად გამსახურდია, ერთ ლექსში (ისევ ლექსი!), ჩრდილეთს.

რა ზუსტი, რა ბრწყინვალე მეტაფორაა.

* * *

მსახიობები?

ვის თამაშობენ ისინი?

პერსონაჟებს სახელები არცა აქვთ.

სახელები თვითონ უნდა „დავარქვათ“.

მაგალითად, ზაზა ლებანიძის ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელმაც ჩვილად მოვლენილი მხსნელი უნდა გაზარდოს (ისევ ილია: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს... “), ალბათ, ქართვლის დედად უნდა აღვიქვათ.

მანანა გამცემლიძის პერსონაჟი – ავ ბედისწერად თუ ბოროტ მპყრობელად...

დედა (ქართვლისა) ჩვილის დაძინებას ცდილობს.

„ვერ აძინებს“.

„ვერც დააძინებს, ისე უმღერის“.

„იავნანას“ არ უმღერის და იმიტომ.

* * *

ფრაგმენტული გამოდის ჩემი შთაბეჭდილებები. .

რეცენზიისთვის ეს დიდი ნაკლი იქნებოდა.

მაგრამ ეს რეცენზია არ არის.

ფანტაზიას ვწერ სტურუას ახალი სპექტაკლის მიხედვით.

მისგან ვისწავლე.

ფანტაზიის დადგმა თუ შეიძლება, დაწერა რატომ არ უნდა შეიძლებოდეს?!

თანაც ეს სტურუას ყველაზე „ფრაგმენტული“ სპექტაკლია, რომელიც კი ოდესმე დაუდგამს.

მაგრამ რა დიდოსტატურად აქვს ასხმული ეს ფრაგმენტები?!

დიდოსტატია და იმიტომ.

* * *

ისევ მსახიობები.

უსამართლობა იქნებოდა, არ აღგვენიშნა მარი ჯანაშიას, თათული დოლიძის, მანანა გამცემლიძის ახალი საინტერესო როლები, არ უნდა დავუკარგოთ რეჟისორული ჩანაფიქრის ზუსტად და ოსტატურად გადმოცემა დარეჯან ხარშილაძეს, მარინა კახიანს, ნანა ლორთქიფანიძეს, ნინო არსენიშვილს, მარიკა ჭიჭინაძეს, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეკა მინდიაშვილი ჩვენთვის აქამდე უცნობ შესაძლებლობებს ავლენს...

კი, ეს არ არის „მარია კალასი“, სადაც „მსახიობი ყველაფერია“, ეს წმინდა წყლის რეჟისორული წარმოდგენაა, მაგრამ აბა გამოაკელით ამ სპექტაკლს ზაზა ლებანიძის ნიჭიერება და ოსტატობა – რა

მნიშვნელოვანი ფერი დააკლდებოდა რეჟისორის უაღრესად საინ-ტერესო ქმნილებას!

* * *

ტელეჟურნალისტმა სტურუას მაინც ჰკითხა, სპექტაკლი რაზეაო.

რეჟისორმა შემწყნარებლურად გაიღიმა და ასე უპასუხა: „რაკი უკვე დაბერებული კაცი ვარ, გადავწყვიტე, სცენიდან სიმართლე ვილაპარაკო“.

სტურუა რის სტურუაა, რაიმე უცნაური რომ არ თქვას.

განა ყოველთვის სიმართლეს არ ლაპარაკობდა?!

ეს კია: ილიასეული სიმართლე პირველად გვითხრა.

რობერტ სტურუა დიდხანს მიდიოდა ილიასაკენ.

გვიან მიხვდა ერთ ჭეშმარიტებას: რაგინდ დიდი ხელოვანიც იყო, თუ ქართველი ხარ, მთავარი ისაა, რომ ერის წყლული გაჩნდეს წყლულად.

მხოლოდ მაშინ გაქვს ასე მიმართვის უფლება: „ჩემო ერო“...

მაგრამ აქ ჩასაფრებული იყო ერთი საშიშროება: „პატარა მტრებს“ ახლა ის არ ეთქვათ, ილიობა მოინდომაო.

სტურუა ძალიან ჭკვიანია საიმისოდ, რომ ამის საბაბი არავის მისცეს. „პატარა მტრებსაც“ გზა ასეთი მიმართვით მოუჭრა: „ჩემო დასო“...

ამ მიმართვაში კი ერთი ძალიან პრინციპული რამ ითქვა: „ცუდი ხელოვანი რყვნის ერს!“

ჭეშმარიტად!

მაგრამ რას აკეთებს დიდი ხელოვანი?

ერს მართალ სარკეში ახედებს.

ილიას მსგავსად.

მაგრამ სად არის გზა ხსნისა?

ევალება კი ხელოვანს მისი ჩვენება?

ეს ურთულესი კითხვაა.

ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია: ხელოვანმა, ყველაზე მწარე სიმართლის მთქმელმაც, ერს იმედი უნდა ჩაუსახოს.

ბოლო ფრაზა, რომელსაც ამ სპექტაკლში ვისმენთ, ესაა: „რო-დემდე უნდა იღიღინოთ ასე, როდემდე?!“

ზაზა ლებანიძე ამ ფრაზაში ისეთ თანაგრძნობასა და სიყვარულს აქსოვს, ტანში ჟრუანტელი დაგივლის. .

იქნებ სწორედ ამ ღიღინმა გადაგვარჩინა?

გალაკტიონმა ივერიის რიცხობრივად პატარა ერის გადარჩენა ლირიკას დააბრალა („აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება“).

ღიღინიც ლირიკაა...

თანაც, როცა ღიღინებენ, რა საჭიროა სიმართლეო, ამასაც ხომ ამბობენ, სიცრუე დედაენას სჯობსო...

მაშასადამე, დედაენის ფასი იციან.

ესეც იმედია...

* * *

სტურუა არავის ჰგავს.

არც თავის პედაგოგს.

თუმანიშვილი – ყოველმხრივ მოწესრიგებული.

სტურუა – სრული ანტიპოდი.

თუმანიშვილი ინტერვიუზე შეგითანხმდებოდა და არ მოვიდოდა?! – ეს გამორიცხული იყო.

სტურუასთან გამორიცხული არაფერია.

რა ეპითეტს არ მოისმენთ მისი მისამართით, განსაკუთრებით, სოციალურ ქსელში აქტიურობის გამო. ვერც კი დაიჯერებ, რომ ზოგიერთი სტატუსი მართლა მისი დაწერილია. ან როდის იცლის საამისოდ?!

მინდოდა, მისთვის ესეც მეკითხა: დიდ ხელოვანს, თუნდაც გენიოსობასთან მიახლოებულს (ასეთადაც ხშირად მოიხსენიებენ) ყველაფერი ეპატიება?

როგორ ფიქრობთ, რას მიპასუხებდა?..

მთავარი მაინც ისაა, რომ სტურუა გვყავს.

თანაც უკვე ილიას გზაზე შემდგარი...

როგორ გადის დრო?!

„ხავერდოვანი დიქტატორის“ პორტრეტი
საიუბილეო ინტერიერში

„რა ნელა გადის დრო?!“ – ამბობს ერთი პერსონაჟი.

„რა ჩქარა გადის?!“ – ჩივის მეორე.

„ასულნი“ – ოთხიოდე წლის წინათ დადგმული ეს სპექტაკლი, არსებითად, შეუფასებელი დარჩა.

არადა, სწორედ მისით დაიწყო ახალი ეტაპი რობერტ სტურუას შემოქმედებაში, კიდევ ერთი სტურუასეული შედევრით რომ დაგვირგვინდა – ბერთოლდ ბრეხტის „დაკანონებული უკანონობით“.

ისევ ბრეხტი!

სტურუას უყვარს საკუთარი თავის ციტირება.

მეც მივბაძავ და კიდევ ერთხელ დავწერ:

ასოცი წლის წინათ, გერმანეთში ბერთოლდ ბრეხტი იმიტომ დაიბადა, რომ ზუსტად ორმოცი წლის შემდეგ, საქართველოში რობერტ სტურუა დაბადებულიყო.

* * *

„ერთადერთი სპექტაკლი, რომელიც არ დაბერდა, „კავკასიურია“. ეს ჩემთვის აუხსნელია“. – იტყვის ვახტანგ დავითაიასთან დიალოგში.

უიშვიათესი რეჟისორი, რომელიც არ დაბერდა, თვითონაა.

ეს ჩემთვის ადვილად ასახსნელია.

გენიოსები არ ბერდებიან.

დავწერე ეს სიტყვა და შემეშინდა იმის, რომ არ შემეშინდა.

„ასულნი“ კი ქართულ მასალაზეა – პოლიკარპე კაკაბაძის სამი პიესის საფუძველზე შექმნილი. ის, ჭეშმარიტად, საეტაპოა – არა

მხოლოდ ახალი სასცენო ფორმებით, არა მხოლოდ მრავალპლანიანობით (ჯერ მარტო სათაურის სიმბოლიკა რად ღირს?!), არა მხოლოდ ფრაზებზე აგებულმიზანსცენათა დიდოსტატური ასხმით...

* * *

რა ნელა გადის დრო?!

რადიდხანს ველოდი იმ წუთს, როცა სტურუას სპექტაკლში ასეთ სანუკვარ ფრაზას მოვისმენდი: „ჩემო ერო!“. .

თვითონ სტურუაც დიდხანს მიდიოდა ამ ფრაზამდე: „სანდომიან ლამაზ მამულში“...

დავივიწყებ თავმდაბლობას და ვიტყვი: მცირედი წვლილი თავადაც მიმიძღვის ამ წუთის დადგომაში.

შეჩერდი, წუთო, შენ საოცრად მშვენიერი ხარ!

* * *

არ დავმალავ: მეც მქონია „ეგოისტური ზრახვები“რობერტ სტურუასთან დაკავშირებით.

ძალიან მინდოდა, დაედგა როსტომ ჩხეიძის პიესა ალექსანდრე ბატონიშვილზე – „ლეგენდა ისკანდერისა“. პიესა, რომლის მსგავსზეც მისი კერპი – სანდრო ახმეტელი ოცნებობდა და დაწერას გიორგი შატბერაშვილს სთხოვდა.

უფრო მეტიც: მინდოდა, დაედგა ჩემი პიესა გალაკტიონზე („ცხადის ნაპირთან. ცხოვრება და სიკვდილი მეფე – პოეტისა“). მინდოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასავით ვერავინ გამოსახავდა სამი ანგელოზის „ქიშპობასა“ და ბედისწერის თემას, ანდა იმას, თუ როგორ ნელ-ნელა კლავდნენ პოეტს, არამედ იმიტომაც, რომ სიღრმისეულად ეგრძნო და გამოეხატა სამშობლოს გალაკტიონისეული განცდა, ილიასეულთან ესოდენ გადაჭდობილი: „გემი ვით არ იცნობს ზღვას ვრცელს და განიერს, იგი ხომ მეზღვაურს სამშობლოდ ეკუთვნის. გახედე, მოხევევ, ჩვენს იმერ – ამიერს, ეკუთვნის თავის თავს?“...

არ დადგა.

სტურუას კომუნისტები ვერ აძალებდნენ იმის დადგმას, რაც არ უნდოდა და მე და როსტომი როგორ დავაძალებთ?!

არა უშავს. მთავარია, ეს იგრძნო და გამოხატა: „ჩემო ერო, სანდომიან ლამაზ მამულში დიდხანს გრძელდებოდა უკუნი ღამე, მაგრამ შენს წიაღში წმინდანებიც იბადებოდნენ“...

უფრო მთავარი კი რობერტ სტურუას უდიდესი ღვაწლია, ამ უკუნი ღამის გასათენებლად გაღებული.

* * *

რა ჩქარა გადის დრო?!

რობერტ სტურუა 80 წლისაა?!

ისევ მივბაძავ და საკუთარს გავიმეორებ:

მიხეილ თუმანიშვილს დაუნდობლად ებრძოდნენ და ხშირად ტკენდნენ გულს.

მასაც ყველაფერი გულთან მიჰქონდა.

ამიტომაც ადრე დაბერდა (ცხადია, არა შემოქმედებითად) – 75 წლისა ნამდვილ ბაბუს ჰგავდა.

რობერტ სტურუას „გული არა აქვს“ და ამიტომ არასოდეს დაბერდება.

80 წლისაც ბიჭივითაა!

გენიოსები არ ბერდებიან!

დავწერე და ისევ არ შემეშინდა.

აღარც იმის შემეშინდა, რომ არ შემეშინდა!

* * *

ის არავის ჰგავს.

არც თავის დიდ პედაგოგს.

ერთხელ დაწერა, მე და თემურ ჩხეიძემ მიხეილ თუმანიშვილი შუაზე გავიყავითო.

იგულისხმება: თვითონ – უფრო სანახაობრივი მხარე „წამოიღო“, ჩხეიძემ – უფრო ფსიქოლოგიური.

მაგრამ ეს ყოველივე ხომ უაღრესად პირობითია:

„ყვარყვარეს“, „კავკასიურს“, „რიჩარდ მესამეს“, ისევე არ აკლია ფსიქოლოგიური სიღრმე, როგორც „ჯაყოს ხიზნებსა“ და „ჰაკი აძბას“ – სანახაობრიობა.

ხშირად მომისმენია ასეთი დიალოგი:

– სტურუა უფრო მასშტაბურია.

– სამაგიეროდ, ჩხეიძე უფრო ქართულია.

ეს ადრე იყო.

როცა სტურუასაც მოერია „მსოფლიო მოქალაქეობაზე“ ფიქრი და ცდუნება.

ვიდრე „ასულნი“ დაიდგმებოდა.

იქ ერთი ასეთი სცენაა: ჩვილს აძინებენ და ვერ აძინებენ, რადგან „იავნანას“ არ უმღერიან.

რა ნელა გადის დრო?!

რამდენ ხანს ველოდი იმ წუთს, როცა რობერტ სტურუას სპექტაკლში ასეთ სცენას ვნახავდი?!

ისიც წავიდა რუსეთში (ოღონდ, „სულ არ წავიდა“.

რაც მთავარია, იქ დადგა სპექტაკლი, რომლითაც აჩვენა, რომ რუსეთი ერთი დიდი საპყრობილეა!

ამისთვის ნამდვილად ღირდა რუსეთში წასვლა!

* * *

სტურუას მსახიობი არ უყვარსო, ჩხეიძე მსახიობში კვდებაო?!

„მარია კალასში“, ანუ ლელა ალიბეგაშვილში როგორ მოკვდა?!

ანდა რამაზ ჩხიკვაძის გენიალური ნიღბები სიძულვილმა შვა?!

* * *

ვინ არის ეს ჭუმბურიძე?! სტურუაზე რომ წერს, მაშინაც ჩხეიძეს ახსენებს?! – წამოიძახა წლების წინათ ერთმა ცნობილმა რეჟისორმა.

მაშინ თემურ ჩხეიძე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში, პირველ წარმატებულ სპექტაკლებს დგამდა და იმ ცნობილი რეჟისორის გაღიზიანება ადვილად ასახსნელი იყო.

არადა, მართლა შეუძლებელია, ისაუბრო რობერტ სტურუაზე და თემურ ჩხეიძე არ ახსენო.

ანდა – პირიქით.

ჯერ კიდევ როდის მოიგონა პლუტარქემ „პარალელური ბიოგრაფიები!’

ფაქტია, რომ თანამედროვე ქართული თეატრის დონესა და პრესტიჟს, უპირატესად, ეს ორი რეჟისორი განსაზღვრავს.

ბედნიერებაა, რომ ერთ დროში გვყავს ორი ასეთი რეჟისორი, რომლებმაც მიხეილ თუმანიშვილი ჯერ „შუაზე გაიყვეს“, მერე კი, საკუთარი ტალანტით, ეს „ნახევრები“სრულიად ორიგინალურად შეავსეს და გაამთლიანეს.

სხვათა შორის, ეს წელიწადი მეორისთვისაც საიუბილეოა: ნოემბერში თემურ ჩხეიძეს 75 წელი უსრულდება.

და ნოემბერში ვთქვათ, როგორ არ დაბერდა „ჯაყოს ხიზნები“ და როგორ რჩება თემურ ჩხეიძეც მარად ახალგაზრდა რეჟისორად.

* * *

„ჩემო მიშა, მე და შენ სხვადასხვა დროს ერთი და იგივე შეცდომა დავუშვით“ – ასე მიმართა დოდო ალექსიძემ მიხეილ თუმანიშვილს.

არსებობს აზრი, რომ სტურუამ და ჩხეიძემ ერთი და იგივე შეცდომა ერთდროულად დაუშვეს, მაგრამ დრომ უცილობლად დაამტკიცა: ისინიმართლაც „აღარ იყვნენ სტუდენტები“ და ორივეს საკუთარი ასპარეზი სჭირდებოდა.

სხვანაირად არ დაიბადებოდა – აქეთ „კავკასიური ცარცის წრე“ და იქით „ჯაყოს ხიზნები“...

* * *

„მიხეილ თუმანიშვილმა, თავის დროზე, დიამეტრალურად შეცვალა რუსთაველის თეატრის გეზი“ – წერდა ვერიკო ანჯაფარიძე.

და რა ძნელი იყო, ამის შემდეგ, ვინმეს კიდევ ახალი, საკუთარი სიტყვა ეთქვა.

ეს მხოლოდ დიდ ტალანტს შეეძლო.

ის რობერტ სტურუა უნდა ყოფილიყო.

რუსთაველის თეატრის დასს აღმოაჩნდა სიბრძნე, გაეთვალისწინებინა წინა ეპოქათა მწარე შეცდომები და სტურუას ვერასოდეს შელეოდა.

მაშინაც კი, როცა ხელისუფლებისგან შერისხული და თეატრიდან გაშვებული იყო.

სტურუა ამ მხრივაც უნიკალურია – ასე ხანგრძლივად არავინ დარჩენილა დასის სათავეში.

არადა, ზემოხსენებულ ინტერვიუში ამბობს, დიქტატორს მეძახიანო, რასაც არ ეთანხმება, თუმცა, არც ბოლომდე უარყოფს – „ხავერდოვანი დიქტატორი“ ვარო.

რეჟისორი აუცილებლად უნდა იყოს ასეთი „დიქტატორი“

ღმერთო მაღალო, დიდხანს ნუ მოუშლი რუსთაველის თეატრს რობერტ სტურუას „ხავერდოვან დიქტატორობას“...

სხვაგან ყოფნა

„ბედი ქართლისა“ და ბედი რეჟისორისა
ცრუისტორიკოსთა „აღშფოთების“ ფონზე

დიალოგი ცნობილ დრამატურგთან, 30 მარტს, მარჯანიშვილის თეატრის წინ:

– სტურუას სპექტაკლი ნახე?

– ვნახე.

– მართლა ცუდია?

– ცუდი კი არა, ბრწყინვალეა.

– რა საოცარია, უკვე მესამე კაცი მეუბნება, რომ ძალიან კარგია, არადა, რა ამბავია ატეხილი?!

– ალბათ, „ისტორიკოსთა“ აღშფოთებას გულისხმობთ. რომელიმე მაინც იყოს ისტორიკოსი?! თანაც, ეტყობა, ეგენი სხვაგან იყვნენ.

– ეგენი ისედაც სხვაგან არიან.

– ეგ ვიცი, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობ. იქნებ სხვა თეატრში იყვნენ და სულ სხვა სპექტაკლი ნახეს...

* * *

იგულისხმებიან ლაშა ბაქრაძე, გიორგი გვახარია და კიდევ მესამე, არა მათსავით „ცნობადი“, მაგრამ ისიც მათნაირი და ისიც არაისტორიკოსი – ირაკლი ხვადაგიანი.

რადიო „თავისუფლებაში“ შეიკრიბნენ და სამ ხმაში ლანძღეს თეატრი, სპექტაკლი და რეჟისორი.

ისტორიკოსობა რაში დასჭირდათ?!

აი, რისთვის: რაკი სპექტაკლი, ზოგადად, საქართველოს ისტორიას ეხებოდა, კერძოდ კი ქართული პარლამენტარიზმის ას წლისთავს ეძღვნებოდა, მათეულ კრიტიკულ განქიქებას მეტი დამაჯერებლობა რომ მისცემოდა.

მაგრამ ღვარძლს ხომ პროფესია არა აქვს?!

* * *

სპექტაკლში არც საქართველოს ისტორიაა და არც პარლამენტარიზმისო?!

არადა, მთელი წარმოდგენა საქართველოს ისტორიის საკვანძო ეპიზოდებზეა აგებული – არგონავტების მითიდან დღემდე.

პარლამენტარიზმის ისტორიასაც გვიჩვენებს – თამარისდროინდელი სამეფო დარბაზიდან დღემდე.

არა, ნამდვილად სხვაგან იყვნენ!

კი, ბატონო – სხვაგან არიან!

* * *

რა აღარ დააბრალეს თეატრს და რეჟისორს?!

თეატრზე – მანდ დიდი ხანია, აღარაფერი ხდებაო, არც აღარავინ დადისო.

ეს გვახარიამ ბრძანა.

იმ გვახარიამ, ერთხელ, თავის „ფსიქოში“ თუ „ზონაში“ გულმოდგინედ რომ საუბრობდა დოდო ალექსიძის „სამგროშიან ოპერაზე“, როგორც... რობერტ სტურუას სპექტაკლზე (?!).

შემთხვევით, ამჯერად, მართლა ალექსიძის სპექტაკლზე ხომ არ ბრძანდებოდა?!

არადა, რუსთაველის სახელგანთქმულ თეატრში უამრავი ახალი სპექტაკლი აქვს სანახავი: „ასულნი“, „იულიუს კეისარი“, „დაკანონებული უკანონობა“, „ვანო და ნიკო“, „სადღაც ცისარტყელას მიღმა“...

სპექტაკლზე – აქ შეურაცხყოფილნი არიან ქართველი მეფეებიო.

ეს უკვე ბაქრაძემ ბრძანა.

რა საოცარია, როდის აქეთ ქომაგობენ ჩვენს მეფეებს?!

ეგენი არ იყვნენ, ტაშს რომ უკრავდნენ ლაშა ბუღაძეს, ვინც წმინდა თამარ მეფეს ასეთი რამ აკადრა:

„ოხერი სენით ის ადგილი შეუბილწა სატანამ, საიდანაც მემკვიდრე უნდა გამოეგდო“.

რობერტ სტურუას სპექტაკლში კი თამარ მეფე ღირსებითაა წარმოდგენილი.

ასევეა მეფე ერეკლეც.

არა, ესენი ნამდვილად სხვაგან იყვნენ.

კი, ბატონო – სხვაგან არიან!

* * *

კლიშეებით აზროვნებსო?!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!

ამას რობერტ სტურუაზე ამბობენ?!

ყველაფერი რომ დააბრალო, ამას მაინც ვერ დასწამებ.

და კლიშე რა ყოფილა?!

თურმე, კლიშე ყოფილა ის, ქართველები დახმარებას ევროპას რომ სთხოვენ.

რატომ არის ვალდებული, რომ დაგვეხმაროსო, – თქვა ბაქრაძემ და გვახარიამაც კვერი დაუკრა.

გასაოცარი ამბავია: აბა რატომ ვიკლავთ თავს და რატომ მივისწრაფით ევროპისაკენ?!

და იქვე, ასეთი პრეტენზია რეჟისორის მიმართ: უხერხული არ იყო ელჩების წინაშე ევროპის ასე დამუნათება?!

უხერხული კი არა, ეს ამ სპექტაკლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარეა.

ჯერ კიდევ როდის დაწერა მუხრან მაჭავარიანმა:

„შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია“.

ამ სპექტაკლმაც იგივე უთხრა ევროპასაც და მსოფლიოსაც, უთხრა არაჩვეულებრივი სცენური გადაწყვეტით და სწორედ იმას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რომ ეს ყოველივე ევროპელი ელჩების თვალწინ ითქვა და გათამაშდა.

გათამაშდა ყველასათვის გასაგები თეატრალური ენით.

მთელი სპექტაკლი ამ ენით მეტყველებს.

მაგრამ იქ სხვა ქვეყნების ელჩებიც ხომ ისხდნენო?!

ესეც არ გამორჩათ დემაგოგებს.

ესეც იკადრეს, უხერხული არ იყო მუსულმანური ქვეყნების ელჩების წინაშე ჩვენი ისტორიის ასე წარმოდგენაო?!

ანუ რა გამოდის? – რობერტ სტურუას საქართველოს ისტორია უნდა გადაეკეთებინა?!

უნდა შეელამაზებინა?!

მაშინ ხომ სტურუა არ იქნებოდა?!

* * *

და მაინც, მთავარი კიდევ სხვაა.

ის ქართული ნერვი და ძარღვი, რომლითაც ეს სპექტაკლი ფეთქავს.

ვიდრე სტურუას სპექტაკლებში ეს არ ჩანდა, არც ერჩოდნენ, როგორც კი გამოჩნდა, მაშინვე ჭილყვავებივით დაესივნენ.

აბა ადვილად როგორ აპატიებდნენ, სცენაზე რომ ილია გამოიყვანა და ეს ათქმევინა:

ტყემ მოისხა ფოთოლი,

აგერ მერცხალიც ჭყივის,

ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

* * *

რაც შეეხება ქართულ პარლამენტარიზმს, სპექტაკლში მისი ისტორიაც საკადრისად გამოიყურება, თუმცა, არც ის არის შემთხვევითი, რომ წარმოდგენა ამ ორი კონტრასტული სიტვით (მიმართვით) მთავრდება:

„გილოცავთ!.. რას?!“

ანუ ილიასეული ნატვრა კვლავაც ძალაშია.

ამიტომაც შეაჯანჯღარა დიდმა რეჟისორმა შინაურიც და გარეულიც, უცხოელი ელჩებიც და აქაური ხელისუფალნიც.

თეატრის უპირველესი ვალიც ხომ ესაა.

* * *

როცა რობერტ სტურუამ საახალწლო წარმოდგენაში მეცხრამეტე საუკუნის თბილისისა და იმდროინდელი ჰანგების გაცოცხლება სცადა, არ მომეწონა და ეს გულახდილად დავწერე.

ამჯერადაც ასე მოვიქცეოდი. კონკრეტული თარიღისადმი მიძღვნილი სპექტაკლი რომ არ მომწონებოდა, გულისწყვეტითა და სინანულით დავწერდი, რომ თვით სტურუასაც შეიძლება, ყველაფერი არ გამოუვიდეს.

მაგრამ სიხარულს ურვით ვერ შევიცვლი.

ეს რომ გავაკეთო, მაშინ ბაქრაძესა და გვახარიას დავემსგავსები.

ის კი შემიძლია, მათაც რომ ვუთანაგრძნო – იმის გამო, რომ სხვაგან არიან.

იქნებ არც კი უნდათ, რომ ასეა.

ვინ იცის...

* * *

ჩემთვის მთავარი კი ისაა, რომ რობერტ სტურუას სპექტაკლში არა მხოლოდ ილიას ვხედავ, ვისაც კლავენ და ვერ კლავენ (მხოლოდ ჯოხი გადავარდება!), არამედ მთელი წარმოდგენის

განმავლობაში სცენაზეა ქალამნებიანი თედო, ვინც წმინდა ნინოს ჯვარს არავის უთმობს, მამულს, ენასა და სარწმუნოებას დარაჯობს.

ვიდრე ილია და თედო ცოცხალია, საქართველოც იცოცხლებს.

უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა გვითხრას რეჟისორმა, რომელსაც დიდ წინაპართა ბედი ერგო – სხვა ვითარება რომ იყოს, მასაც უდრტვინველად გაიმეტებდნენ...

დაწერა კიდეც ილიასეული სიმწარით:

„ყვარყვარეს“გამო დაჭერით მემუქრებოდნენ;

„კავკასიურის“გამო – მხსნიდნენ;

„რიჩარდმა“ანონიმური წერილები გაგზავნა მოსკოვში, ЦК-სა და КГБ-ში;

„ლურჯი ცხენები“ – ამიკრძალეს;

ინტერვიუ გამოვაქვეყნე და „თავისუფლების“ ბელადმა, ვინმე სოვდაგარ-სააკამ გამაგდო;

„არა ისტორიულმა ამბავმა“ – ვითომ აღშფოთებული თანამემამულეები დაამშვიდა, ბედნიერებმა იარაღს სტაცეს ხელი და ნაცებისა და „თავისუფლების“ ბრძანებით, მე, უნიჭო და გახრწნილი რეჟისორი, კედელთან მიმაბჯინეს და გემრიელად დამხვრიტეს!

ჩემო ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო, ტკბილად გააგრძელე უბადრუკი ძილი!“

* * *

ვერ გააგრძელებს, თუნდაც იმიტომ, რომ რობერტ სტურუა ჰყავს...

უნდა შეგვაშინოს

თემურ ჩხეიძის ქართული ტკივილი

მარჯანიშვილის თეატრში, სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში, თავის პირველ სპექტაკლს დგამს – ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას. “

ბედის წყალობით, რეპეტიციას ვესწრები.

პრემიერა მოახლოებულია.

„ამ დილით აფიშას რომ შევხედე, გულმა რეჩხი მიყო, “ – ამბობს რეჟისორი...

მე კი იგივე სულ ახლახან დამემართა, იმავე თეატრის ასეთ აფიშას რომ შევხედე:

„თემურ ჩხეიძე – 75”...

* * *

წარმომიდგენია, რამდენს გაუჭირდება ამის დაჯერება;

რამდენი იგრძნობს გულის რეჩხს;

რამდენს ჩაეღვრება სულში სითბო, მის სპექტაკლებს რომ გაიხსენებს...

აქ, მარჯანიშვილში, მანამდე მხოლოდ ერთი დაუდგამს – იბსენის „მოჩვენებანი”, მაგრამ იქ, რუსთაველში?!

„გუშინდელნი”, „ბერნარდა ალბას სახლი”, „სამანიშვილის დედინაცვალი” (რობერტ სტურუასთან ერთად)...

სატელევიზიო თეატრი?!

„ჯაყოს ხიზნები”, რომლის გამოც კინაღამ მიხეილ ჯავახიშვილის ბედი გაიზიარა?!

საბედნიეროდ, „გუშინდელნის“ სრული ჩანაწერია შემორჩენილი.

ახლახან ინტერნეტის საშუალებით ვუყურე და ისე მოვინუსხე, თითქოს, დღეს დადგმულ სპექტაკლს ვუყურებდი.

თან მიხაროდა, თან მტკიოდა.

მიხაროდა, რადგან ამ მძივივით აწყობილ სპექტაკლში არაფერია მოძველებული – არც რეჟისორული ხერხები და სასცენო მეტაფორები, არც სამსახიობო მანერა, არც სცენოგრაფია...

მტკიოდა, რადგან შალვა დადიანის პიესის ეროვნული სატკივარი დღემდე მოურჩენელია, ანუ „ისევ იქა ვართ“...

* * *

ასეთი ბეგრაუნდი და მაინც განსაკუთრებული მღელვარება:

როგორი გამოვა სამხატვრო ხელმძღვანელის პირველი დადგმა?

მოლოდინი უსაზღვროდ დიდია, მაგრამ შედეგი მაინც აჭარბებს:

სპექტაკლი, რომელსაც მის ერთ – ერთ უდავო შედევრად აღიარებენ.

მეორე შედევრიც ამ სცენაზე დაიდგმება.

კიდევ უფრო უდავო შედევრი – „ჯაყოს ხიზნები. “

კი, სატელევიზიო თეატრში უკვე დადგმული, მაგრამ სცენაზე მაინც სულ სხვა წარმოდგენა, თვით ნოდარ მგალობლიშვილის თეიმურაზ ხევისთავიც კი იქ შექმნილისგან აშკარად განსხვავებული.

გივი ჩუგუაშვილის ჯაყო – ველური მოძალადის ცოცხალი სიმბოლო, არადა, ვერც კი წარმოგვედგინა, ავთანდილ მახარაძის შემდეგ, ამ როლში სხვაც თუ მოგვეწონებოდა.

ნანა ჩიქვინიძის ასევე სრულიად განსხვავებული მარგო...

გიორგი ალექსი – მესხიშვილის სცენოგრაფიაც ისევე მებრძოლი, როგორც ჯავახიშვილის ტექსტი და ჩხეიძის რეჟისურა.

საქართველოც მარგოსავით იჯდა ბედის საქანელაში.

თანაც, რა დროს დაიდგა ეს სპექტაკლი?!

ხელისუფლება (და არა ხალხი) გეორგიევსკის ტრაქტატის ორას წლისთავს ზეიმობს, მარჯანიშვილის თეატრის სცენიდან კი ეს სიტყვები ისმის:

„მტერი მოყვრულად მოსული მტერზედაც უარესია!”

„მე ბავშვებს იმას ვერ ვასწავლი, რაც თვითონ არ მწამს“...

და „გუშინდელნის” დამდგმელი უკვე საბოლოოდ დაიმკვიდრებს თანამედროვე ქართული თეატრის ყველაზე ეროვნული რეჟისორის სახელს.

* * *

გაივლის რამდენიმე წელი.

აირევა ივერია და ეს ყველაზე ქართველი ქართველი რეჟისორი, ბედის ირონიით, რუსეთში აღმოჩნდება.

არადა, თავისთავად, რაოდენ საამაყო უნდა იყოს ქართველი რეჟისორის ოსტატობისა და პროფესიონალიზმის ასეთი აღიარება: მიწვევა სანკტ – პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში – სამხატვრო ხელმძღვანელად, გიორგი ტოვსტონოგოვის შემცვლელად.

* * *

მე არსად წავსულვარ. ქართული თეატრის დღევანდელ რეპერტუარში ჩემი ხუთი სპექტაკლია! – გვეუბნებოდა მაშინ, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ამით ვერ დაგვამშვიდებდა.

რა გვექნა?!

ჩვენი ბრალი ხომ არ იყო, რუსეთში მის ყოფნას რომ ვერაფრით ვეგუებოდით?!

კი, მართლა დგამდა თითქმის ყოველ წელს, მაგრამ ეს აღარც „გუშინდელნი" იყო, აღარც „ჰაკი" და აღარც „ჯაყო"...

* * *

როგორც იქნა, დამთავრდა რუსეთული პერიოდი და ყველაზე ქართველი რეჟისორი ქართულ თეატრს დაუბრუნდა.

დაუბრუნდა, უფრო მეტად, მომავალ მსახიობთა და რეჟისორთა აღმზრდელად – თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში და თავის შემოქმედებით სახელოსნოში, რომელიც სამეფო უბნის თეატრშია დაბინავებული.

ესეც მისი ნამდვილი საქმე და მოწოდებაა.

ამითაც ჰგავს თავის დიდ მასწავლებელს – რა თქმა უნდა, მიხეილ თუმანიშვილს.

ის კი არა, ამას წინათ წამოსცდა – ეს უფრო მაინტერესებსო,

აქ უკეთ ვახერხებ სიღრმეებში ჩაყურყუმალავებასო.

კარგად იყოს და იყურყუმალავოს, აღგვიზარდოს კარგი რეჟისორები და მსახიობები, ოღონდ, ხანდახან მაინც ამოყვინთოს და სპექტაკლიც დაგვიდგას.

კი, დღესაც არის მარჯანიშვილისა და სამეფო უბნის თეატრების რეპერტუარში მისი შესანიშნავი სპექტაკლები, მაგრამ ჩვენ უფრო ქართული გვინდა!..

* * *

რამდენიმე თვის წინათ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში თეატრმცოდნე ნათელა არველაძის ერთდროულად სამი წიგნის პრემიერა გაიმართა – ორწიგნეულისა და კიდევ ერთი გამოცემის.

ორწიგნეული ოთხ დიდ ქართველ რეჟისორს ეძღვნებოდა: მარჯანიშვილს, ახმეტელს, თუმანიშვილსა და სტურუას.

სცენაზე კი იდგა ორი დაფა, ხუთი რეჟისორის პორტრეტით:

პირველზე – მარჯანიშვილი და ახმეტელი;

მეორეზე – თუმანიშვილი, სტურუა, ჩხეიძე!

რამდენადაც ვიცი, არც არსებობს ფოტო, რომელზეც მიხეილ თუმანიშვილის გვერდით ან მხოლოდ სტურუა იდგეს, ან მხოლოდ ჩხეიძე.

მაშინ გავიფიქრე: არსებობს ღვთიური სამართალი და კანონზომიერება: რაგინდ მკაცრი საზომებით მიუდგე, რუსთაველის თეატრის გენერალური ხაზიდან თემურ ჩხეიძის საუკეთესო სპექტაკლებს ვერ ამოიღებ. მით უფრო „გუშინდელნს“, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის აზვირთებას რომ მისცა ბიძგი.

* * *

ახლახან მოზარდ მაყურებელთა თეატრში შეხვედრა მოუწყვეს.

იქ ასეთი რამ თქვა: „ძალიან მწყინს, როცა ვუყურებ სპექტაკლს, რომელსაც ფუნქცია არ გააჩნია. სპექტაკლმა ან უნდა გაგართოს, ან უნდა დაგაფიქროს, ხოლო თუ ეროვნულ სატკივარს ეხება, ისე უნდა გატკინოს, რომ შეგეშინდეს. შეგეშინდეს იმის დაკარგვის, რაც ჯერ კიდევ შეგრჩენია. “

და რამდენჯერ შევუშინებივართ „გუშინდელნისა“ და „ჯაყოს ხიზნების“ დამდგმელს?!

გასართობ სპექტაკლებს რომ არც მომავალში დაგვიდგამს, ისედაც ვიცით,

ამიტომაც ეს ვთხოვოთ:

შეგვაშინეთ, ბატონო თემურ!

გვატკინეთ და შეგვაშინეთ!

უნდა შეგვაშინოს.

ეს ახლაც ძალიან გვჭირდება...

2018

პატაშურის ნიშა

„დედის პორტრეტი“ და სხვა ნახატები

სახლი ფერდობზე დგას.

ეზო – გარემო ისეთია, ადვილი შესაძლებელია, თავი მთაში წარმოიდგინო.

შინ შესვლა კი მთასაც დაგავიწყებს და ბარსაც

აქ მხატვარი ცხოვრობს და ეს, უბრალოდ, სახლი კი არა, სახლი – სახელოსნოა, ფერწერული ტილოებით სავსე ორი სართულით.

პირველსავე სართულზე, დიდი ოთახის აღმოსავლეთ კედელზე, თითქოს, საგანგებოდ გამოკვეთილი ნიშაა.

ასეთ კედელს, ჩვეულებრივ, ხატებს უთმობენ ხოლმე.

აქ კი ექვსი ფოტო და ორი ნახატია.

ფოტოებზე: დავით აღმაშენებელი, ილია, ვაჟა, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო გუდიაშვილი, აპოლონ ქუთათელაძე.

ნახატებზე: მხატვრის მშობლები.

დედა და მამა – გასაგებია, ფოტოებიდან მომზირალი პირველი სამეულიც, მაგრამ ბოლო სამს გარკვეული „ახსნა“ სჭირდება.

ამ „ახსნაში“ კი მხატვრის მთელი ცხოვრებაა, ბავშვობიდან მოყოლებული...

* * *

3 – 4 წლის ბიჭი ღუმელიდან გამოღებული ნახშირით ხატავს.

ხატავს, ძირითადად, ქვებზე.

ხატავს ყვავილებსა და ცხენებს.

ანუ იმას, რასაც ყველაზე ხშირად ხედავს.

ბიჭი მთიულია, დუშეთის რაიონის სოფელ ხევშაში ცხოვრობს.

იქ კი ცხენიც ბევრია და ყვავილიც...

ცხენზე ჯდომას პატარაობიდანვე ასწავლიან, მაგრამ ხატვაც რომ ძალიან უნდა?

* * *

„ყველა ბავშვი მხატვარია, მთავარია, დიდობაშიც მხატვრად დარჩეს“. – პაბლო პიკასო.

* * *

უკვე სკოლაშია.

ერთ დღეს მასწავლებელი სახატავ რვეულებს დაურიგებთ.

ბიჭი მის ფურცლებსაც ნახშირით მოხატავს.

ზამთარია. სკოლიდან შინ მიმავალი ბავშვები თოვლში კოტრიალობენ. ფერმას რომ უნდა ჩაუარონ, ბიჭი შენიშნავს: უცხო კაცს მოლბერტი გაუშლია და ხატავს. თანატოლებს ჩამორჩება და იმ კაცს ცნობისწადილით დაუწყებს ცქერას. მხატვარი, რა თქმა უნდა, შენიშნავს და თავისთან მიიხმობს.

– გიყვარს ხატვა?

– კი.

– ნახატები გაქვს?

– დიახ.

– აბა, მაჩვენე...

ბიჭი დედის შეკერილი ნაჭრის ჩანთიდან ჯერ თოვლს ამობერტყავს და ნახატებს შემდეგ ამოიღებს.

მხატვარი დაათვალიერებს, ყოჩაღო, – ეტყვის, სამ ფანქარსა და ფორმატის ქაღალდებს აჩუქებს და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ბიჭი წლების შემდეგ გაიგებს, რომ ის მხატვარი ლადო გუდიაშვილი იყო.

ამასაც ახსნა სჭირდება:

კომუნისტურ ხელისუფლებას ცნობილი მხატვრებისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასვლა და მოწინავე მწველავთა პორტრეტების შექმნა დაუვალებია.

ლადო გუდიაშვილს მშობლიური კუთხე აურჩევია.

* * *

ბიჭს ილია ჰქვია.

გვარი – პატაშური.

თავის სოფელში ოთხწლედს რომ დაამთავრებს, სწავლას ფასანა-

ურის საშუალო სკოლაში გააგრძელებს. სწორედ იმ სკოლას ესაზღვრებოდა ლადო გუდიაშვილის მამაპაპური სახლ – კარი, დიდი ეზოთი, რომლის გარშემო ალვისხეები იდგნენ, შუაში კი ხეხილი ხარობდა.

ბიჭი იქაც შეხვდება ლადო გუდიაშვილს და თავს „იმ“ სამი ფანქრით გაახსენებს.

„ა, ის ბიჭი ხარ, ჩანთიდან თოვლს რომ ბეტყავდი?!“ – ეტყვის მხატვარი...

მათი ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება, როცა ბიჭი სამხატვრო აკადემიაში ისწავლის და პროფესიონალი ფერმწერი გახდება.

თუმცა, ჯერ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი უნდა დაამთავროს...

* * *

აკადემიაში უჩა ჯაფარიძის შეგირდობა მოუწევს.

კი, ნამდვილი ოსტატი, მაგრამ ასევე ნამდვილი „ქართველი საბჭოთა მხატვარი“.

სამაგიეროდ, რექტორში გაუმართლებს.

ახალი გამოცემულია კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“.

ბიჭი აღფრთოვანებულია და დიპლომის დაცვას ამ თემაზე დააპირებს: „დავითი დიდგორის ბრძოლის წინ“.

პედაგოგი არ დაეთანხმება. დაიბარებს და ურჩევს: რად გინდა ეგ თემა?! წადი მთაში, იქ სოციალისტური შრომის გმირია და ის დახატე; თუ არადა, აქვე, თბილისშია სულ ახალი გმირი – აბრეშუმის ფაბრიკის პარტკომის მდივანს დაუსახელებს. „ხუთიანის“ გარანტიასაც მისცემს.

ახალგაზრდა მხატვარს კი დიდგორის ბრძოლა აინტერესებს და დავით აღმაშენებლის დახატვა უნდა.

კათედრა სადიპლომო თემის დამტკიცებაზე უარს ამბობს.

მხსნელად რექტორი მოევლინება – ნიჭიერ სტუდენტთა მფარველი და თანამდგომი.

აპოლონ ქუთათელაძე კონსტანტინე გამსახურდიასთან გააგზავნის, ბარათსაც გაატანს, ესკიზების წაღებასაც ურჩევს.

დღემდე დეტალებში ახსოვს: როგორ შეეგება უმშვენიერესი ქალბატონი მირანდა ფალავანდიშვილი, როგორ შეუძღვა სასტუმრო ოთახში, როგორ გამობრძანდა ბატონი კონსტანტინე, რამდენი ნაბიჯი გადმოდგა, რა ჰკითხა, რა უპასუხა...

ბატონ კონსტანტინეს ესკიზები მოეწონება, ახალგაზრდა მხატვარს რამდენსამე რჩევასაც მისცემს და დახმარებას აღუთქვამს.

დიდ მწერალს ხუთჯერ ესტუმრება.

ერთხელ, სადილზე მიიწვევენ.

ახალგაზრდა მხატვარი მორცხვად იუარებს.

ქალბატონი მირანდა არ მოეშვება – გვითხრეს, თურმე, თბილისში სახლი არ გაქვთ, ქირით ცხოვრობთ, აუცილებლად უნდა დაგვეწვიოთო.

მაშინ, იმ სუფრასთან იხილავს თავის თანატოლ ჭაბუკს და მიხვდება, რომ ეს ზვიად გამსახურდიაა.

დავიმახსოვროთ...

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას ჩარევა, რა თქმა უნდა, გაჭრის.

დიდი წარმატებით დაიცავს სადიპლომო ნამუშევარს, რომელიც ამჟამად კულტურის სამინისტროს ფონდებში ინახება.

ამ თემას მხატვარი მომავალში კიდევ უფრო გააღრმავებს და განავითარებს.

და დღეს მის სახელოსნოში ყველაზე ვრცელი ტილო სწორედ „დიდგორია“.

არა „ბრძოლის წინ“, არამედ „ბრძოლა“.

უაღრესად შთამბეჭდავი არა მხოლოდ გრანდიოზულობით, არამედ და უფრო მეტად, გასაოცარი ექსპრესიით, მოძრაობით, სულისკვეთებით, ფერთა იშვიათი ჰარმონიით, კომპოზიციური სრულყოფილებით...

* * *

მხატვრის ცხოვრებაში კონსტანტინე გამსახურდიასა და აპოლონ ქუთათელაძის „როლებიც“ ავხსენით, მაგრამ ზემოხსენებულ კედელს, იმ ნიშას, ასე ადვილად მაინც ვერ მოვეშვებით.

ჯერ ერთი, აუცილებლად გაიოცებთ: გამოჩენილ ფერმწერს კედელზე დავით აღმაშენებლის, ილიასა და ვაჟას ფოტოები უკიდია და არა ფერწერული პორტრეტები.

რატომ?

იმიტომ, რომ პორტრეტის ხატვა არ უყვარს, არ იზიდავს.

მაშინ ეს დედის პოტრეტი რაა?!

თანაც, როგორი პორტრეტი?!

* * *

ერთხელ ცნობილმა მხატვარმა (სცენოგრაფმა) ფარნაოზ ლაპიაშვილმა მითხრა: „წადით ხელოვნების მუზეუმში და ნახეთ ნათელა იანქოშვილის „მამის პორტრეტი“, მსგავსი მამის პორტრეტი არავის დაუხატავს!“

წავედი. ვნახე. დავიჯერე.

ამიერიდან, ვინმემ რომ მკითხოს, ყველაზე უკეთეს დედის პორტრეტს სად ვნახავო, უყოყმანოდ, ილია პატაშურის სახელოსნოს მივასწავლი.

ბუნებრივია, მახსოვს დავით კაკაბაძის შედევრი, მაგრამ არც ის მავიწყდება, რომ „დედაჩემი – იმერეთი“ შემთხვევით არ ჰქვია. სხვათა შორის, ახლახან ვნახე „ცისფერ გალერეაში“ და საკმაოდ გახუნებული მომეჩვენა. შევშფოთდი და გამახსენდა, როგორ ზაფრავდა აკაკი გაწერელიას იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე შეიძლება „ჯოკონდა“ მთლიანად გაშავდეს...

* * *

ილია პატაშურის ნახატზე ზოგადად დედაა.

ის საკუთარ დედასაც გაგახსენებს, რეზო ინანიშვილის დედასაც, გოდერძი ჩოხელის დედასაც, ნოდარ დუმბაძის ბებიასაც...

მახსენდება გიგა ლორთქიფანიძის მონათხრობი.

მარჯანიშვილელთა სპექტაკლს ფრანგი რეჟისორი დაესწრო.

წარმოდგენის შემდეგ, სესილია თაყაიშვილთან შეხვედრა მოისურვა.

განცვიფრებული დარჩა, როცა საკმაოდ ახალგაზრდა ქალბატონი წარუდგინეს – მე ბებიასთან შეხვედრა გთხოვეთო.

როცა დაიჯერა, რომ ბებიად გარდასახული სწორედ ის იყო, მთავარი მაშინ თქვა: ვინც სცენაზე ვნახე, თქვენი ბებია კი არა, ბებიაჩემია, ცოცხალია, პროვანსში ცხოვრობს, ჩამობრძანდით და გაჩვენებთო.

ასეთივეა ილია პატაშურის „დედის პორტრეტი“ – ყველას დედაა.

ნაჯაფი. ნატანჯი. მრავაჭირვარამგადანახადი (მუხრანის სიტყვაა), მუხლებზე ჩამოწყობილი მეტყველი ხელებით, კიდევ უფრო მეტყველი თვალებით – სევდასაც რომ იტევენ, შეფარულ ირონიასაც (ამაოებისმიმართ)...

დედის სახეზე ისიც იკითხება, მხატვარი შვილისთვის რაც უთქვამს: „მე რაღა დასახატი ვარ?!“

ანუ ოდესღაც ვიყავი დასახატიო.

ამასაც ადვილად დაიჯერებთ, მაგრამ მაინც იფიქრებთ, რომ იმ დროს უფრო დასახატი ყოფილა, როცა შვილს დაუხატავს – ოთხ-მოცი წლისა, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე...

საერთოდ კი, დედის ფიქრები სრულად ვინ ამოიკითხოს?!

გვერდით მამის პორტრეტია.

ოსტატობა აქაც ჩანს, მაგრამ დედის პორტრეტს მაინც ვერ შე-ედრება.

და, აი, მიზეზიც: მამა გარდაცვალების შემდეგ, ფოტოების მი-ხედვით დაუხატავს.

ჰოდა...

* * *

დედის პორტრეტი მართლაც განსაკუთრებულია.

უკვირს კიდეც, – ყველა ამას მეუბნებაო, თუმცა, თვითონვე ხვდება, რომ ასეა.

წამოსცდა, ამას ერთი კედელი სჭირდება, ცალკე, მარტო რომ ეკიდოს, კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამოჩნდებაო.

ხომ სცოდნია მისი ფასი?!

სხვათა შორის, როცა წამოვედი, მერეღა მივხვდი, რომ მხატ-ვრისთვის დედის არც სახელი მიკითხავს და არც გვარი. დარეკვა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე: განა სჭირდება დედას სახელი და გვარი?! დედა დედაა!.

* * *

უკვე ვთქვით, რომ პორტრეტის ხატვა არ უყვარს.

თუმცა, ორი პორტრეტი კიდევ დაუხატავს – ზვიად გამსახურ-დიას თხოვნით.

და მაშინ ქართველობას თბილისის ქუჩებში პირველად უნახავს ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სახეები.

* * *

– ზვიადი კოლხურ კოშკში სუფრასთან ნახეთ, მაგრამ ამას გაც-ნობა, ალბათ, არ ერქვა. პირადად როდის და როგორ გაიცანით?

– გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული, პირველად, სიონში ვნახე. კუთხეში მარტო იდგა. თავდახრილი. შემდეგ – ისევ ეკლე-სიაში, ისევ წირვაზე, ჯერ საგარეჯოში, მერე – წავკისში. თანდათან გაჩნდა ნდობა... ეროვნული მოძრაობა აზვირთებას იწყებდა და იმ პორტრეტების დახატვა მთხოვა. პრეზიდენტი რომ გახდა, მისთვის

დავხატე „მფარველი ანგელოზი“ და, თემურ ქორიძის დახმარებით, კაბინეტში მივართვი.

ასე მივულოცე.

ესიამოვნა.

გაიღიმა და მადლობა მითხრა...

– ახლა სად არის ის ნახატი?

– არავინ იცის, რა ბედი ეწია. ქალბატონმა მანანა არჩვაძე – გამსახურდიამ მითხრა, ყველაფერს ვიღონებ, რომ მივაგნოო, მაგრამ, ჯერჯერობით, კვალი არ ჩანს.

* * *

სამხატვრო აკადემიაში ასპირანტურაც გაიარა და იქვე დატოვეს პედაგოგად.

40 წელი ემსახურა ამ საქმეს.

მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფერწერის კათედრაზე არსებულ პეიზაჟის სახელოსნოს.

რექტორების „ნაირფერი სპექტრი“ იხილა – აპოლონ ქუთათელაძის აკადემიური დახვეწილობიდან ბუღაძის ფურთხიან პერფორმანსამდე, ზურაბ ნიჟარაძის არისტოკრატიული დემოკრატიზმის გავლით...

ზურაბ ნიჟარაძესთან როგორი ურთიერთობა გქონდათ? – მხოლოდ ეს ვკითხე.

ეს ჩემთვის ტესტია.

დაუფიქრებლად მიპასუხა: „შესანიშნავი! შესანიშნავი!“

* * *

აკადემიაში შურიც უნახავს და აშკარა მტრობაც.

გამოფენაზე წარსადგენ ნახატს ამთავრებდა.

ესმა ონიანმა რომ ნახა, უთხრა, ეს უკვე დასრულებულია, ხელი აღარ ახლოო. შემდეგ მთელს კათედრას მოსდო ამბავი – ილო პატაშურს არაჩვეულებრივი ნახატი აქვს გამზადებულიო. უჩა ჯაფარიძემ კათედრის წევრებს მიმართა, წავიდეთ, ვნახოთო.

ნახეს. უჩამ – კარგია, ხომ იცი, ყოჩაღ, შენო...

რა თქმა უნდა, იგრძნო, რომ ეს ის „ყოჩაღო“ არ იყო, ბავშვობაში ლადო გუდიაშვილმა რომ უთხრა.

– დანარჩენებმა?

– დანარჩენებს არაფერი უთქვამთ, მაგრამ ხომ იცით, თვალები ყველაფერს ამბობენ...

მეორე დილით, აკადემიაში მისულს, სახელოსნოში ასეთი სურათი დახვდა: პალიტრა გადმოგდებული, ნახატი პირქვე დამხობილი, გადმოგდებამდეც, წინასწარ დაზიანებული. ოცდაათი პროცენტიც აღარ ჩანდაო. .

არადა, გამოფენაზე ექსპონატების მიღების ვადა იწურებოდა. ორი ღამე გაათენა და მოასწრო. აღადგინა. წლის საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს.

აღიარება არაერთხელ ჰქონია. მაგალითად, მოსკოვში, როცა მისმა „მზექალამ“ გამოფენაზე მეორე ადგილი აიღო და ტრეტიაკოვის გალერეაში დაიდო ბინა.

* * *

მაინც, რა ხიბლავთ, ყველაზე მეტად, ილია პატაშურის ნახატებში?

ამას, ალბათ, ეს მცირე დიალოგი მიგვახვედრებს:

– რა არის მხატვრობა?

– მხატვრობა ის არის, რაც არ ჩანს, მაგრამ განიცდი და ნახატში შემოგაქვს.

– რას ნიშნავს ფერი მხატვრისთვის?

– მხატვარი ფერით მეტყველებს.

– თქვენი ფერი რომელია? –

– ამბობენ, რომ წითელი. ოღონდ, წითელს უამრავი ტონალობა აქვს.

და მისი ტილოები ამიტომაც „გვაქვს უთვალავი ფერითა“...

* * *

ერთხელ ნათელა იანქოშვილს ერთ ცნობილ მხატვარზე აზრი ვკითხე.

აბა, რა უნდა ვთქვა, ამოდენებსა ხატავსო, – მითხრა და ორივე ხელით ჰაერში მცირე ფართობი მონიშნა.

ახლა ვფიქრობ: საინტერესოა, რას მეტყოდა, ილია პატაშურზე რომ მეკითხა...

მის დიდ, ვრცელ ტილოებს რას დაუწუნებდა?

ქალბატონი ნათელა მკაცრი შემფასებელი იყო, ზოგჯერ, ალბათ, სუბიექტურიც, მაგრამ მაინც მგონია, რომ ილია პატაშურის ფერწერაზე მხოლოდ კარგს იტყოდა.

ისეთი ფერები და მონასმებია, ისეა ნაგრძნობი, განცდილი და ნახატში შემოტანილი ის, „რაც არ ჩანს“, რომ შეუძლებელია, გულგრილი დარჩე.

შეუდარებელ „დედის პორტრეტზე“ რაღას მეტყოდა შეუდარებელი „მამის პორტრეტის“ შემქმნელი?!

მსახიობის პორტრეტი რეჟისორულ ინტერიერში

ნანი ჩიქვინიძის ბედის ვარსკვლავი

აი, ვინ მოდის ბავშვობიდან!

რამდენი გული შეურხევიათ მისგან განსახიერებულ ბავშვებს?!

მახსოვს, რა დამემართა, პირველად რომ „მაგდანას ლურჯა“ ვნახე.

„დედი, აი, აქ იწვა ჩვენი ლურჯა“...

გამაოცა თამაშის ბუნებრიობამ.

როცა წლების შემდეგ ისევ ვნახე, ახლა უკვე სულ სხვა რამემ მომნუსხა: როგორ შეეძლო ამ პატარა არსებას, ესოდენ ღრმა განცდით გამოეხატა დიდი იმედი, გაუბედავი ჩურჩულით წარმოთქმული ერთი ფრაზა რომ იტევდა: „დედი, გიგო პაპა მოვიდა“...

ადვილად მიხვდებოდით, რომ ეს სასამართლოს ეპიზოდია.

* * *

ახლა – „სხვისი შვილები?!“

ბოთლებს რომ აბარებენ, დეიდა ნატოსთვის საჩუქრის საყიდლად?!

პირდაპირი მნიშვნელობით, ყელგამოწვდილი რომ ეხვეწება:„მიიღე რა, ძია, მიიღე რა, ძია“

* * *

რომელ ბავშვს არ უოცნებია მსახიობობაზე?!

ნანი ჩიქვინიძეს ოცნებაც აღარ დასჭირდებოდა.

მხოლოდ იმას თუ ინატრებდა, მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში რომ მოხვედრილიყო...

არსებობს ერთი მართლაც უნიკალური ფოტო:

შუაში ზის თუმანიშვილი, აქეთ – იქით კი – ნანა ჩიქვინიძე და მარინა ჯანაშია.

დიდრონი, მეტყველი თვალებით.

თითქოს, სარკეა დიდი მაესტრო.

ესენი კი(ერთიც და მეორეც), ამ „სარკეში“, თითქოს, საკუთარ ორეულებს შესცქერიან.

ალბათ, ასეთი ჩანაფიქრიც ჰქონდა დიდ მაესტროს.

მაესტროებს რას გაუგებ?!

იმ ფოტოზე უკვე ილანდებოდა ორი ბედნიერი და წარმატებული შეგირდი.

* * *

წლების შემდეგ, თემურ ჩხეიძე მეტყვის: ვერაფრით ვაკავშირებ ნანას, უკვე ჩემს მეუღლეს, „მაგდანას ლურჯასა“ და „სხვისი შვილების“ პერსონაჟებთან. ისინი იქ დარჩნენ, ხელშეუხებელნი“...

ამ ადვილად გასაგებ ნათქვამში იშვიათი სისუფთავე და სიწმინდეა.

სისუფთავე და სიწმინდე კი ის თვისებებია, ნანა ჩიქვინიძეს ბავშვობიდან დღემდე რომ მოჰყვება – ამ პატარა პერსონაჟებთან ერთად, „ბავშვობის დავიწყების უფლებას რომ არ აძლევენ“.

თემურ ჩხეიძის მეუღლეობა, რა თქმა უნდა, დიდი იღბალია, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად მომგებიანია ეს მსახიობისთვის.

ერთხელ ჰკითხეს: „როგორი მეუღლეა თემურ ჩხეიძე?“

პასუხი: „როგორც ყველა ქართველი მამაკაცი, რთულია, მაგრამ ბევრი კარგი თვისება აქვს და ეს ამ სირთულეს ანეიტრალებს“.

კიდევ კარგი, იმას ხვდებიან, რომ ასეთი შეკითხვა არ უნდა დაუსვან: „როგორი რეჟისორია თემურ ჩხეიძე?“

„ნანასთვის როლს მხოლოდ მაშინ ვიმეტებ, თუ ამ როლში ახლო – მახლო სხვა მსახიობს ვერ დავინახავ“. – ა, ბატონო თქვენი თემურ ჩხეიძე!.

თვითონ მსახიობი დიდსულოვანი დანდობით ამბობს: „რამდენი როლი ხომ მათამაშა“...

დავით კლდიაშვილი გაგახსენდება: „ამაზედაც გმადლობ, უფალო!“

სამაგიეროდ, ცხოვრება თემურ ჩხეიძის გვერდით ცოტაა?!

ასეთ რეჟისორთან რამდენიმე შეხვედრაც კი გამდიდრებს და

რაღაცას გასწავლის, მუდამ მის გვერდით ყოფნა, რა თქმა უნდა, მთელი სკოლა და აკადემია იქნება...

* * *

მაინც გამოუჩნდნენ ოპონენტები „ჯაყოს ხიზნების“ დამდგმელს:

კი, მაგრამ სად ნანი და სად მარგოო?!

ნანას უსაზღვრო პატიოსნებასა და ერთგულებას გულისხმობდნენ.

თემურ ჩხეიძემ, ფსიქოლოგიური თეატრის რეჟისორმა, ისინი ადვილად მოიგერია: სწორედ ეგ მაინტერესებდა – ნანას ბუნების არტისტი როგორ მოახერხებდა მარგოდ გადაქცევასო...

შესანიშნავად მოახერხა და ეს სახე მის უდავო მიღწევად აღიარეს.

რა ბუნებრივი იყო ურმის სცენა, მაგრამ უფრო დიდ ეფექტს ამის შემდეგ მარგოს სახეცვლილების დამაჯერებელი ჩვენება იწვევდა.

რა მრავლისმთქმელი იყო საქანელაში მოკალათებული მარგოს ირონიული ღიმილი?!

რა იშვიათი გულწრფელობით გამოხატავდა მსახიობი თეიმურაზის მიმართ გაორებულ დამოკიდებულებას – გაღიზიანებასა და თანაგრძნობას.

ერთხელ ნანა ფაჩუაშვილმა, ვიდეოვერსიაში იმავე როლის ასევე ბრწყინვალედ შემსრულებელმა, ხუმრობით უსაყვედურა რეჟისორს, საკუთარი მეუღლე უფრო დაინდე და უხერხული სცენები აარიდეო. ქალბატონმა ნანამ, ცხადია, კარგად იცის სცენური ნაწარმოებისა და სატელევიზიო სპექტაკლის თავისებურებანი, მაგრამ აქ მაინც იყო სიმართლის მარცვალი. ოღონდ, ვფიქრობ, მარგო რეჟისორმა კი არა, თვითონ ნანი ჩიქვინიძემ „დაინდო“.

მსახიობს კარგად ესმოდა, რომ მარგო არა უბრალოდ პერსონაჟი იყო, არამედ მეტად მნიშვნელოვანი სიმბოლური სახე. თეატრის სცენა კი ამის ხაზგასმის მეტ შესაძლებლობას ქმნიდა.

აქ ესეც არის აღსანიშნავი:

მსახიობს ხშირად აიგივებენ წარმატებულ როლთან, გამორჩეული ოსტატობით შექმნილ სახესთან – დადებითთან თუ უარყოფითთან.

თემურ ჩხეიძის „ექსპერიმენტი“ და თვითონ ნანა ჩიქვინიძის პიროვნება ამგვარ გაიგივებას ძირშივე გამორიცხავდა.

* * *

საბედნიეროდ, ნანა ჩიქვინიძე სხვა დიდებულმა რეჟისორმაც დაინახა და უფრო მეტი საინტერესო სახე შეაქმნევინა.

ერთმანეთის მიყოლებით ითამაშა მედეა კუჭუხიძის სპექტაკლებში: „პრემიერა“, „პროვინციული ამბავი“, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“...

ეს ნამდვილი „ოქროს ხანაა“ ნანა ჩიქვინიძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში.

შეიძლება, ითქვას: ლალი როსებას პიესები იმიტომ დაიწერა, რომ მედეა კუჭუხიძეს დაედგა, პერსონაჟები კი ნანი ჩიქვინიძეს განესახიერებინა.

ესეც აუცილებლად უნდა ითქვას: ამ სპექტაკლებში, გამოჩენილი მსახიობები თამაშობდნენ: ელენე ყიფშიძე, გურანდა გაბუნია, ზანდა იოსელიანი, ნინო ჩხეიძე, იაკობ ტრიპოლსკი, ირაკლი უჩანეიშვილი, გიზო სიხარულიძე, კოტე მახარაძე... „პროვინციულ ამბავში“ შექმნა ოთარ მეღვინეთუხუცესმა სრულიად განსხვავებული, მკვეთრად სახასიათო სახე. ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერებას განიცდიდა მაყურებელი, რომელიც დიდ ტრაგიკოსს ერთ საღამოს ოტელოდ გარდასახულს ხედავდა, მეორე დღეს კი – პროვინციელი მსახიობის ლეო ვანელის თითქმის კომედიურ როლში.

* * *

„პრემიერაში“ ნანი ჩიქვინიძე მსახიობობაზე მეოცნებე გოგონას თამაშობდა. ის სოფლიდან ჩამოდიოდა ქალაქში, ბიძასთან და დეიდასთან. დეიდა ყოფილი მსახიობი იყო, ბიძა – მოქმედი რეჟისორი. თავიდან ისე გამოიყურებოდა, რომ მის მსახიობობაზე ფიქრიც კი საკუთარ დეიდასაც წარმოუდგენლად ეჩვენებოდა(„რას ამბობ, ქალო, რასაი ჰგამს?!“)...

მაგრამ როცა ლამაზად ჩააცმევდნენ და მორცხვობასაც დაძლევდა, რეჟისორი ბიძის წინაშე ისეთ ცეცხლს დაანთებდა, რომ ელენე ყიფშიძის პერსონაჟი აღტაცებით წამოიძახებდა: „ჯიში! ჯიში მაინც ჯიშია!“ამ ყველაფერს დაახლოებით „პიგმალიონის“ ეფექტი ჰქონდა – იების გამყიდველი გოგონა ნამდვილ არისტოკრატად რომ გადაიქცევა...

„პროვინციულ ამბავში“ უკვე მსახიობს თამაშობდა. ნანა ჩიქვინიძის პერსონაჟი(ზიზი) ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა უფროს დას-

თან(გურანდა გაბუნია), ვისი მეუღლეც(ოთარ მეღვინეთუხუცესი) დაუფარავად აცხადებდა: „ამ საქათმეში ორი მამალი ბევრია“.

წვიმის დროს ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა. წვეთ – წვეთობით ივსებოდა მისთვის შედგმული სათლი და ზიზის სულში ზნეობრივი ჯანყიც თანდათან მწიფდებოდა.

* * *

როცა საყვარელ როლებზე ეკითხებიან(ასეთ ტრაფარეტულ შეკითხვებს მსახიობებს ყველა დროში უსვამდნენ), სწორედ ამ ორს ასახელებს – მარგოს და ზიზის.

ეს ბუნებრივია, რადგან სხვად ქცევა ამ ორ როლში ყველაზე სრულყოფილად შეძლო.

მარგო კიდევ ჰო, დასაწყისში მაინც ენათესავებოდა, მაგრამ ზიზი?! ის ხომ სრული ანტიპოდი იყო და მაინც როგორ თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა?!

* * *

თუ მარჯანიშვილის თეატრის სხვენს ესტუმრებით და „სასიყვარულო ბარათებს“ ნახავთ, ნანი ჩიქვინიძე დღესაც მოგხიბლავთ სხვად ქცევის ხელოვნებით.

სხვათა შორის, ეს სპექტაკლიც თემურ ჩხეიძის დადგმულია.

ამ როლშიც დაინახა და, საბედნიეროდ, იმ დროს ირგვლივ სხვა ვერავინ შენიშნა.

სხვათა შორის, ამ სპექტაკლს უკვე 25 წელია, წარმოადგენენ ნანი ჩიქვინიძე და გია ბურჯანაძე და მათ თამაშს ოსტატობის ზრდა უფრო ეტყობა, ვიდრე წლების მატება.

* * *

ბავშვობაში თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე იყვნენ მისი რეჟისორები.

თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილის შეგირდი იყო.

ბედი თემურ ჩხეიძეს დაუკავშირა.

საუკეთესო სპექტაკლებში მანაც ათამაშა და მედეა კუჭუხიძემაც...

ჯვარი სწერია და შემთხვევით არ ეძახიან ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს.

* * *

ამას წინათ დიმიტრი ხვთისიაშვილმა მითხრა, რამდენსამე თვეში ნანა ჩიქვინიძეს საიუბილეო თარიღი აქვსო.

თვითონ, თურმე, არ მალავს, მაგრამ აქ მაინც არ გავამხელ.

კიდეც რომ დავწერო, ისეთ ფორმაშია, შეცდომა გეგონებათ და სულ მცირე ათ წელს მაინც გამოაკლებთ.

უბრალოდ, ახალი როლები და წარმატებები ვუსურვოთ.

გაფცქვნილი სამშობლოს სევდა

მაკა ჯოხაძის „სამოთხე უსიყვარულოდ“

„P.S. აღნიშნულ მოსაზრებას, ისევე, როგორც წერილის პათოსსა და, ხშირ შემთხვევაში, ავტორის პოზიციას, „ქომაგის“ რედაქცია არ ეთანხმება. მაგრამ მწერალ მაკა ჯოხაძის შემოქმედების მნიშვნელობისა და პიროვნული ღირსების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ ამ წერილის გამოქვეყნება“.

ალბათ, იშვიათად დაწერილა უფრო მრავლისმთქმელი პოსტსკრიპტუმი. ეს, უბრალოდ, მინაწერი კი არა, საუკეთესო რეცენზიაა, ხუთიოდ სტრიქონში ჩატეული.

აქ ხაზგასმულია ორი უაღრესად პრინციპული რამ – შემოქმედების მნიშვნელობა და პიროვნული ღირსება.

მათი თანაარსებობა დიდი იშვიათობაა.

მაკა ჯოხაძე ორივეთი ერთნაირად გვხიბლავს და გვნუსხავს.

უამრავ ადამიანს ვიცნობ – ქალსაც და მამაკაცსაც, მასზე გულწრფელად და სუფთად შეყვარებულს, მასთან მეგობრულად დაახლოებულს და მაინც გარკვეული დისტანციით დაშორებულს, რადგან მისი პიროვნული ღირსება ფამილიარობას ძირშივე გამორიცხავს.

ბუნებრივია, მეც ამ მდგომარეობაში ვარ და მჯერა, თვითონ მის გარდა, არავის უკვირს, არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად, „ქალბატონოს“ გარეშე რომ ვერ მივმართავ.

ის ერთი იმ მცირედთაგანია, ვისზეც მიმართვის ეს ფორმა ზედგამოჭრილია.

არაერთხელ გამიოცებია: რამ მოუყარა თავი ამ ქალბატონში ერთი მხრივ, ასეთ სინაზეს და სათნოებას, მეორე მხრივ კი ასეთ შეუპოვრობას, როცა საქმე სამშობლოს ინტერესების დაცვას ეხება.

ერთგან ის წერს, თუ რა ასმაგი მნიშვნელობა აქვს იმას, როცა ქვეყნისთვის საბედისწერო ჟამს, სწორედ ქალი ამოიღებს ხმას, რათა „დააცხროს შურისა და მძულვარების ხანძრები და მძლავრი გონებით გაანათოს საბედისწერო პროცესები და მოვლენები“.

ახალი წიგნი იმის თვალსაჩინო დასტურია, თუ რამდენჯერ მოქცეულა ასე თავად მაკა ჯოხაძე.

ის ზემოთ მოხმობილი „პოსტსკრიპტუმიც“ ამას მოწმობს.

მაინც რას ამბობდა იმ წერილში, ისეთი რა პათოსი ჰქონდა, რედაქციას მსგავსი მინაწერი რომ დასჭირდა?

დიახ, ამბობდა! ისეთ რამეს ამბობდა, რაც არავის უთქვამს.

აი, რას:

„იქნებ ყველაფერმა დაკარგა აზრი?! ყველა ფერმა, რადგან სადღაც თავგანწირვით მიჰქრის საბედისწერო სიტყვა სამშობლო, როგორც გზააბნეული მგზავრის ექო. ჰორიზონტზე მდგარი, დაისის მეწამულ შუქში ვეღარ გასტყორცნი სიტყვას ქართული – მიცურავს, მიდის სივრცეში გაშვებული სამი სფერო, სამი ხმოვანი – ა უ ი, ქარიშხლიან დღეებში რომ დაეკარგათ თავთავიანთი თანხმოვნები – მეორე ნახევართა რწმენა, იმედი და სიყვარული. დარჩა მხოლოდ უთანხმოვნებო ა უ ი – როგორც გაფცქვნილი სამშობლოს გამოუთქმელი ტკივილი, ყრუდ, ჩუმად გასრესილი ქრთლ“.

შეგხვედრიათ სადმე გაფცქვნილი სამშობლოს ასეთი მეტაფორა?

საერთოდ, ეს წიგნი სავსეა მეტაფორებით. სიტყვაკაზმულ მწერლობაში კი, ბატონო, მაგრამ მეტაფორები პუბლიცისტიკაში?! თანაც როგორი მეტაფორები – პუბლიცისტური ნაღმები!

ხომ არსებობს გამოთქმა: „პროზის პოეტი“ – ასე უწოდა ანამ რევაზ ინანიშვილს. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მაკა ჯოხაძე პუბლიცისტიკის პოეტია. ოღონდ, აქ პოეტურობა მებრძოლ სულისკვეთებასთან არის შენივთებული.

ამ წერილს „ხსოვნის ფირფიტა“ ჰქვია.

უცნაურია მისი ფაბულა და არქიტექტონიკა.

... სამშობლოს მორიგი მარცხი და განსაცდელი მწერლის მეხსიერებაში ამოატივტივებს ყველაზე მოულოდნელს – ფეხბურთში ერთ-ერთი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით მატჩს და იწყება რეპორტაჟი ხსოვნიდან.

„გერმანელები თავიანთი კოლეგიალობითა თუ ძალით აშკარად ჯაბნიან არგენტინელებს. არადა, ამ უკანასკნელთა ნაკრებში მარადონა თამაშობს.

აქ ვერ ვძლევ ცდუნებას და კვლავ მოვუხმობ მოზრდილ ციტატას, როგორც მწერლურ-პუბლიცისტური ოსტატობის იშვიათ ნიმუშს:

„მარადონა – არგენტინის მზით მოხალული ყავის მარცვალი, რომელსაც დაებნა თავისი თავი, თავგზააბნეული გადაიხალა და ისე განიავდა, ვეღარ შესძლო, გალეწვისას შეენარჩუნებინა საკუთარი სიმაგრე; დაეფქვა, გამოეხადა მუქი ზეთის არომატი, მაგიური შავი სითხე მოდუღებული მიერთმია საკუთარი გულშემატკივრისათვის, დაეთრო, დაეტკბო მაყურებელი. ეს უნდა მომხდარიყო, თუ არა ზურგშექცევა გარდაუვალი იყო. და აი, მიატოვეს კიდეც... შავ თვალებში ცრემლი კიაფობს. მა-რა-დო-ნა! მა-რა-დო-ნა! განაჩენივით ღრიალებს, გრგვინავს სტადიონი...

მარადონას თამაშმა კიდევ ერთხელ (ეს უკვე მერამდენედ) ფარდა ახადა გარდუვალ კანონს: სახიფათოა, იქცე ეროვნულ სიამაყედ, რადგან ეროვნული სინდისი მარცხს ვერ ეგუება, რადგან მისი მარცხი ყველაზე დიდ ტრაგედიასაც კი სანახაობად აქცევს, ყველაფერს გემოს უკარგავს“.

რამ გაახსენა ქართველ მწერალ ქალს (ქალს!) მარადონას და არგენტინის ეს მარცხი?

აი, რამ:

„ისეთი დიდი და გაუსაძლისია ჩვენი საკუთარი მარცხით მოგვრილი ჭრილობა, რომ ბორხესივით, მეც ყველაფერში ჩემი სამშობლოს ნამცვრევს დავეძებ, ჩემი სამშობლოს ხატი მელანდება; ეგების სხვის მარცხთან ზიარებამ ჭრილობას პირი მოუკრას...

და ვხედავ, რწმენის პაწია თვალი როგორ მინათებს დასეტყვილი ხსოვნის სანახებს... თითქოს მარცხიც, შუქ-ჩრდილისა არ იყოს, დროებითია... დაჭრილი ხარივით ჯერ ისევ შეიძლება სივრცეში ა უ ი-ს, სიტყვა ქართულს, ესე იგი შენს სამშობლოს გამოეკიდო და მიუსწრო...

მარადონა დიდი ფეხბურთიდან წავიდა.

შენ საით მიდიხარ, გრძელი დერეფნით საით მიექანები, ჩემო ქვეყანავ, დასამარხავად გამეტებულო სურნელოვანო ჯუჯა ხეხილო, დიდ აუქციონზე გატანილო ქრისტეს სისხლო, დასამეხად განწირულო წითელო ვენახო...

ა უ ი

ა უ ი ი ი

ა უ ი ი ი ი“.

ვფიქრობ, ნათელია, რისთვის დასჭირდა რედაქციას ის „პოსტსკრიპტუმი“.

საგანგებოდ არ დამითვლია, მაგრამ ამ წიგნში ყველაზე ხშირად ორი ცნება შემხვდა – სამშობლო და ხსოვნა.

ვინც მაკა ჯოხაძეს იცნობს, მის ნაწერებში პირველის სიჭარბე არ გაუკვირდება.

ხოლო ხსოვნას რაც შეეხება, ამ ცნებას მისთვის ასევე დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. ხსოვნა მისთვის არის „მარადიული გზა, გაქვავებული მარილი, რომელიც მაშინ იწყებს დნობას, როცა ცხოვრებას გემო ეკარგება. გემო, ესე იგი აზრი. ცხოვრება საერთოდ გემოა. რაც უფრო უმარილოა იგი, მით უფრო იკლებს ნებელობა – იცოცხლო“.

თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ქალის ხსოვნაა. „ქალის ხსოვნა კი შეგრძნებების ხსოვნაა... ამიტომ უფრო ძნელად ამარცხებენ, ან საერთოდ ვერ ამარცხებენ ქალებს. თუკი სამშობლოს თუნდაც ხსოვნაში უწერია გადარჩენა, მას ქალი გადაარჩენს. თავის თბილ უბეში, როგორც სათბურში გადამალულ სისხლისფერი ყვავილის ზარს.

მაშ ასე, რეკავს ზარი“.

ამ ზარის რეკვა წიგნის 460-სავე გვერდზე გაისმის, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ავტორი სამშობლოს ერთ-ერთი გადამრჩენელია და არა მხოლოდ ხსოვნაში. ხსოვნა უფალმა კი უწყალობა, მაგრამ იცის, რომ „ხსოვნა მაშინაა მხოლოდ წყალობა, როცა გახსოვს და მაინც წინ მიიწევ“. ოღონდ, „წინ – ფესვებისაკენ!“

ის კი: „იმ დროს, როცა ღამის წყვდიადში ოხრავს მზისა და ვარდების სამეფო“, ერთდროულად, საზიზღარი და საყვარელი ქალაქი, მისგან თავდაღწევასაც ცდილობს, გრძნობს, როგორ ებორკება ფეხები, ლოტის ცოლივით უკან იხედება და, ამასთანავე, იგავიც ახსოვს და საკუთარ თავს ეუბნება და ეკითხება: რატომ იხედები, ნუ იხედები! შენ რა არა გწამს, არ გეშინია გაქვავების?! თვითონვე, კითხვას კითხვით უპასუხებს: „მეშინია, მაგრამ ხსოვნას რა ვუყო?“

ჯვარი სწერია და წარმომიდგენია, რამდენი ისურვებდა და ინატრებდა მაშინ (1997 წელს) მის გაქვავებას.

საუბედუროდ, ასეთები დღესაც აღმოჩნდებიან, რადგან მაკა ჯოხაძის ხსოვნა ფრიად საშიშია. მას ისეთი ამბები ახსოვს!!!

ახსოვს „ინტელექტუალთა ზათქი და გნიასი, როცა განხეთქილების ვაშლივით შემოაგდებენ ფორმულა-შეკითხვას, ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას თუ სამშობლოო, როცა მოდაში შემოდის საკუთარი ხალხის ბრბოდ მოხსენიების ტენდენცია“.

ახსოვს „ტყვიების ზუზუნით დამფრთხალი ლამაზი ქალების მოულოდნელი გახევებაც დღისით, მზისით, ზედ ჭავჭავაძის გამზირზე და შორით მომზირალი, მერე კი მათ გვერდით ჩავლილი მოხუცი კაცის ალერსიანი ჩაქირქილება: „სამაგიეროდ, დემოკრატიული ტყვიებია“.

მე არ ვხუმრობ, მაკა ჯოხაძე, მართლა საშიში ქალბატონია, ვისაც ისიც კი ძალუძს, ხანდახან ხელისუფალთა ტყავში შეძვრეს და მათი ფიქრები გაახმოვანოს.

მაგალითად, ასეთი ფიქრი:

„ყველა პოეტი უმადურია, სულერთია, სიბნელეში ჩაახრჩობ, თუ სინათლეში გაგუდავ“.

ხსოვნაზე საკმარისად ვთქვით. დროა, ისევ სამშობლოს დავუბრუნდეთ.

მთავარი ხომ სამშობლოა. მაკა ჯოხაძე ხომ ყველაფერში თავისი სამშობლოს ნამცვრევს დაეძებს.

სულ ერთია, რაზე წერს ან ვისზე წერს. თვალწინ სამშობლო უდგას. მისთვის ნამდვილი პოეზიაა ლიბანელი მეი ზიადას დარდი:

„რად მერგო წილად ისეთი სამშობლოს შვილობა, რომელსაც პატრიოტიზმის ნიშან-წყალი არ გააჩნია. რად ვიქეც იმად, ვისაც არ გააჩნია სამშობლო“.

ეს სიტყვები მაკა ჯოხაძეს იმ დროს ახსენებს, როცა მოსკოვში, მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ მიწვეულმა, ხმამაღლა განუცხადა „უფროს ძმებს“:

„არაბუნებრივია, როცა სამშობლოში დარჩენილს სამშობლო გენატრება და ამ ავადმყოფობას ნოსტალგიის სახით მთელი ჩვენი თაობა დაატარებს“.

სხვათა შორის, მისი ეს მოსაზრება უცვლელად დაბეჭდა „ისეთმა კონსერვატულმა გაზეთმა, როგორიც „ლიტერატურნაია გაზეტა“ იყო, ოღონდ, ასეთი სათაურით: „ჩტო ზა სტრანნაია ნოსტალგია!“

ეს სათაური, თავისი მრავლისმთქმელობით, თითქმის არ ჩამოუვარდება ზემოხსენებულ პოსტსკრიპტუმს.

როცა მაკა ჯოხაძის სამშობლოზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ცნება მისთვის არ არის აბსტრაქტული და განყენებული. სამშობლო მისთვის, უპირველესად, ადამიანებია, ქართველებია, მოყვასია.

იმავე მეი ზიადაზე ფიქრი ამას აწერინებს:

„ლიბანელ მეი ზიადას დილით მიმავალი ჯარების ნაღარა აფხიზლებს... მე კი ეზოებში ახლახან ჩამორიგებულ ნაგვის ვერცხლის-

ფერ ურნებში სისხამ დილით მოფხაკუნე მოხუცები მიფრთხობენ ძილს, მათ შემხედვარეს თბილი ლოგინის მრცხვენია“.

და მე არც კი ვიცი, რა უფრო სევდიანად ამაღლებულია, სამშობლოში სამშობლოს მონატრება, თუ ეს უკიდურესად ყოფითი ფხაკუნი.

და დროა, უკვე ვთქვა ის, რისი თქმაც დიდი ხანია მინდა: მაკა ჯოხაძე თანამედროვე ქართული მწერლობის სინდისია.

რაც ამ წიგნში მომწონს, ყველაფერი რომ გადმოვწერო, იგივე იქნება, 460 გვერდი თავიდან ბოლომდე რომ წაგიკითხოთ.

ერთბაშად ამის წაკითხვას ვერც გავუძლებთ.

აქ იმდენი ტკივილი და სისხლიანი მეტაფორაა, რომ უეჭველად გაგვიჭირდება.

კი, აქ არა მხოლოდ მარილს გვაყრიან ჭრილობაზე, დროდადრო მალამოსაც გვცხებენ, მაგრამ გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომელი გადასწონის.

ამ წიგნში აღმოჩენები და მიგნებებიც გვხვდება.

მაკა ჯოხაძე უაღრესად ორიგინალური მწერალი-პუბლიცისტია, ოღონდ ორიგინალობა მისთვის არასოდეს არის თვითმიზანი. მას არც ტოლსტოის ცნობილი შეგონების („იყავი გულწრფელი და იქნები ორიგინალური“) გათვალისწინება სჭირდება.

ის, უბრალოდ, გულწრფელია და ამიტომაც არის ორიგინალური.

აღმოჩენები და მიგნებები ვახსენე.

ჩემთვის, მაგალითად, აღმოჩენაა ის, რომ „ჭეშმარიტება და სამშობლო იმ სხივთა განუყოფლობაა, რომელთა გადაკვეთაც ჯვარს ქმნის“ და რომ ილიას ლექსის („პოეტი“) სემანტიკური მნიშვნელობა „გრაფიკულად, სწორედ ჯვრის ფორმით შეიძლება გამოისახოს“.

ჩემთვის ასევე აღმოჩენაა ნიკო ლორთქიფანიძის და ოთარ ჩხეიძის – ამ ორი სრულიად განსხვავებული შემოქმედის – მწერლურ სტილთა მოულოდნელი შეპირისპირება და ასეთი დასკვნა:

„ნიკო ლორთქიფანიძესთან ზმნის, როგორც ერთი კაცის, ენერგია მოკლე დისტანციისთვისაა გათვლილი. ამიტომაც მისი, როგორც ოსტატის ბრწყინვალება სწორედ მინიატურებში გამოვლინდა. ოთარ ჩხეიძესთან კი ზმნის შეუჩერებელი ქმედება მხატვრული ქსოვილის კილომეტრებს გასდევს“.

ეს მკვლევარი მაკა ჯოხაძეა.

ჩემთვის მიგნებაა, მაგალითად, ნოდარ ტაბიძის პორტრეტის ასეთი შტრიხი:

„სხვათა შორის, ნოდარ ტაბიძის ხმის ტემბრიც კი ტაძრის აკუსტიკას ითვალისწინებდა თითქოს, რაღაც გარდამავალი, შუალედური ტონალობით საუბრობდა – არც ხმამაღლა, არც ხმადაბლა“.

ეს მხატვარი – პუბლიცისტი მაკა ჯოხაძეა.

* * *

ამ წიგნში კიდევ ერთი ცნება შეგვხვდება ხშირად – შიში.

მაკა ჯოხაძეს ამ ცნების თავისებური და ორიგინალური განმარტება აქვს:

„შიში – თავისუფლების მარად ძველი და მარად ახალი ჯალათი.

შიში – როგორც ლაჩრობა და ბოროტებისათვის ქედის მოხრა“.

საინტერესოა, რომ შიშის წამალს მაკა ჯოხაძისთვის ამავე სიტყვისგან შემდგარი კომპოზიტის სახელი აქვს.

მისი აზრით, „მხოლოდ ღვთისმოშიში ადამიანია თავისუფალი“.

და ამჯერადაც ვერ ვძლევ ცდუნებას, გადმოვწერო კიდევ ერთი ციტატა – სიღრმისა და ხატოვანების, ულამაზესი და უმდიდრესი ქართულით აზროვნების კიდევ ერთი ნიმუში:

„ო, ეს მარადიული ათი მცნება, რომელმაც ათასწლეულების კლდეებზე ალესა თავისი სიბრძნე და ჭეშმარიტება. ეს ჭეშმარიტება დღეს, XXI საუკუნის გარიჟრაჟზეც ისეთივე ბასრი და ძლიერია, ისეთივე მოქმედი და ნათელი, რომ ძველებურად ფატრავს წყვდიადებს, ძველებურად ალბობს გაქვავებულ გულებს და გამომშრალ სულებს.

ამიტომაც ისევე გააფთრებით დევნიან და ებრძვიან, როგორც უხსოვარ დროს კატაკომბებში შეხიზნულ პირველ ქრისტიანებს. დღესაც ისევე ატყუებენ, ისევე აბრუებენ, ისევე ჩაგრავენ და დასცინიან კეთილი მწყემსის გარეშე დარჩენილ ცხვარს, როგორც ბიბლიურ ფარას, არადა, სიბრძნე, თავისუფლება და გადარჩენა აქვეა, ჩვენს გვერდით, ჩვენს სარწმუნოებაში, მისი კანონების დაცვაში, იმ კანონების დაცვაში, რომელთა თარგზეცაა აჭრილი ყველა ჭკვიანურად აწყობილი ქვეყნის უფლებები, კანონები და კონსტიტუციები“.

* * *

აქამდე არაფერი გვითქვამს სიყვარულზე, რომელიც ისევე გამსჭვალავს ამ წიგნს, როგორც „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“.

მაკა ჯოხაძე, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მსგავსად, ზედმიწევნით კარგად „იცნობს კაცის ბუნებას თავისი სისავსეებითა თუ უკეთურობებით და მაინც ასე უყვარს ადამიანი“.

ეს ბიბლიური სიყვარულია. ამიტომაც იმოწმებს ხშირად დიად წიგნს:

„წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნა რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“.

„უსიყვარულო“ სათაურის მიუხედავად, ეს წიგნი დიდი სიყვარულითაა გამთბარი. ამგვარად დასათაურებაც მხატვრულ-პუბლიცისტური ხერხია – „უსიყვარულოდ დარჩენილი სამოთხის“ მთელი აბსურდულობის წარმოსაჩენად.

აქ აუცილებლად გაჩნდება კითხვა: როგორ თანაარსებობს სიყვარული საშიშ ხსოვნასთან?

საქმე ის არის, რომ მაკა ჯოხაძეს კეთილი მეხსიერებაც მძლავრად აქვს განვითარებული და ადამიანთა ღირსეული საქმეები დიდი მადლიერებით აღავსებს.

ღმერთს იგი სხვისი ნიჭიერებით და წარმატებით, სხვისი სიხარულით გახარების იშვიათი უნარითაც დაუჯილდოებია.

ამ წიგნში ბევრია ასეთი გახარების მაგალითი.

მაკა ჯოხაძის სიხარული და სიყვარული ბევრ ღირსეულ ქართველს ერგო:

ისინი ამ წიგნის პერსონაჟები არიან.

ყველას ვერ ჩამოთვლი.

მთავარი პერსონაჟი კი თვითონ არის.

ძალიანაც რომ არ სურდეს, სხვაგვარად ვერ იქნება, რადგან მკაფიო ინდივიდუალურობა და აზროვნების მაღალი რანგი თავს ვერ დამალავს.

მაკა ჯოხაძეს ძალუძს, სიღრმით და საფუძვლიანობით წარმოადგინოს ის, ვისზეც ან რაზეც წერს და, იმავდროულად, ასევე მკაფიოდ გამოხატოს საკუთარი „მე“ – მეობა, მრწამსი, სათქმელი, პოზიცია.

ერთ ესეში ღრმად და ვრცლად განიხილავს ჰერმან ჰესეს მოთხრობა-ზღაპარს „დოქტორ კნიოლგეს აღსასრული“ (გიორგი ბრეგაძის თარგმანი), მაგრამ მოთხრობა მაინც გარკვეული საბაბია ზოგადსაკაცობრიო თუ წმინდა ეროვნული პრობლემების გამოკვეთისთვის.

აქაც უაღრესად საინტერესო მიგნებებია.

მაგალითად, ასეთი:

„ღმერთი მოკვდა!“ – ეს იყო დიაგნოზი.

„ყველაფერი ნებადართულია!“ – ეს უკვე პროცესი იყო, ღმერთის სიკვდილის მერე რომ განვითარდა.

მიგნებები თავისთავად ძვირფასი რამ არის, მაგრამ ესეს პუბლიცისტურ სიმძაფრეს მაინც ვერ შესძენენ, თუ არ ითქმება რაღაც უფრო სადღეისო, აქტუალური და მნიშვნელოვანი.

და მაკა ჯოხაძე რის მაკა ჯოხაძეა, რომ არ თქვას.

ოღონდ ჯერ თვითონ მოთხრობის ფინალზე უნდა ითქვას:

„გორილამ ერთი საშინლად დაიღრიალა, კომბალი მოისროლა, ეცა უძლურს და ერთ წამში თავისი სასტიკი ხელებით მოახრჩო. დოქტორი მეორე დილას იპოვეს. ზოგი ხვდებოდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ ვერავინ გაბედა გორილა იონასთან დაპირისპირება“.

„ვინ მოთვლის (ეს უკვე მაკა ჯოხაძეა – ავტ.) რამდენი ასეთი ფილოლოგი, ჰუმანიტარი, ზოგადად ჰუმანისტი შეუწირავთ (მოუკლავთ) სამყაროს გარდაქმნის სახელით „რეფორმატორებს“. სულერთია, რას დავარქმევთ მათ – კომუნისტებს, დემოკრატებს, ლიბერალებს, კოსმოპოლიტებსა თუ ვეგეტარიანელებს“. სულერთია, რისი სახელით მოხდება ეს გარდაქმნა – სამყაროს სამოთხედ გადაქცევისა თუ სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგომის სახელით“.

მაკა ჯოხაძეს შეუძლია, უფრო პირდაპირი და მკაცრიც იყოს: „სულ რომ თავი მოიკლან, განვითარებადი ქვეყნის სახელის აღიარებას მაინც ვერ ეღირსებიან ქართველებისგან. ეს სტატუსი ხელისუფლებამ გაიკრას შუბლზე, მისი განვითარების დონეს უფრო შეეფერება“.

* * *

მე ჩავატარე თავისებური ექსპერიმენტი, ერთგვარი მასტერკლასი: სტუდენტებს ამ წიგნიდან ერთ-ერთი ესე წავუკითხე, როგორც პუბლიცისტური ოსტატობის ნიმუში.

მაინტერესებდა, როგორ აღიქვამდნენ და შეაფასებდნენ.

ამ ესეში ავტორი ნოდარ ანდღულაძის საჯარო ლექციას აღწერს. თხრობას იმით იწყებს, თუ როგორ დახვდება რედაქციის სამუშაო მაგიდაზე მოსაწვევი ბარათი. როგორ გაიფიქრებს: „ცხელა, რა წავა“, მაგრამ მაინც ვერ დაძლევს ცდუნებას, რადგან მოსაწვევში წერია: „სამყაროს მოსმენა – ალფრედ ტომატისის ანთროპოლოგიური კონცეფცია“.

ჩემდა გასახარად, სტუდენტებს არ გასჭირვებიათ ესეს გამორჩეული ღირსებების შემჩნევა. მოიხიბლნენ ავტორის მრავალმხრი-

ვი ერუდიციით (ფილოსოფიის, კინოს, მუსიკის, ფერწერის ჩინებული ცოდნით) და ხატვის ნიჭით.

განსაკუთრებით მოეწონათ ასეთი პასაჟები: „ასაკოვანი ბატონები და ქალბატონები დარბაზში შემოდიან. იმდენი მოწიწება და იდუმალებაა მათ ნაბიჯებში, სკამის გამოწევის მანერაში, ჩამოსხდომაში, მარაოების რხევაში, თითქოს შეთქმულებაში მონაწილეობის მისაღებად შემოსულან საჯარო ბიბლიოთეკაში“.

ამ პასაჟს კიდევ უფრო საინტერესო თხრობა მოსდევს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, მთელს წიგნს ვერ გადმოვწერ.

მახარებდა ჩემი ექსპერიმენტის, ჩემი მასტერკლასის წარმატება და უცებ შემაშფოთებელი პროტესტი, თანაც საუკეთესო სტუდენტისგან. აი, ამ აზრის გამო:

„ჩვენს ძალად გაუბედურებულ მომავალ თაობაზე ვფიქრობ, ვინ იცის, რა ქარიშხლიანი ობერტონები დათარეშობენ მათი სმენის ლაბირინთებში... დღეს ისევე, როგორც სულებისა და ტვინების, მუსიკალური სმენის გამორეცხვაზეც აშკარა ნადირობაა გამოცხადებული!“ სამწუხაროდ, ეს ბოროტი ძალები, სტადიონებზე შეყრილი გრანდიოზული როკკონცერტებითა თუ აგრესიული გამოსვლებით, ელექტროშოკს რომ უფრო წააგავს, ვიდრე მუსიკას, მასობრივი დაყრუების პროგრამებს ასრულებენ“.

„რატომ ფიქრობთ, რომ ყველანი დაგვაყრუეს“ – აი, სტუდენტის (ნათია ქანთარია) პროტესტი, რამაც შემაშფოთა.

კიდევ კარგი, მალევე მივხვდი, რომ ამ ახალგაზრდულ ამბოხს, პირიქით, უნდა გავეხარებინე: ეს ხომ იმის ნიშანია, რომ მაკა ჯოხაძის „განწირულ სულისკვეთებას“ ამაოდ არ ჩაუვლია, რომ გადავრჩებით და ამ გადარჩენაში მაკა ჯოხაძის წვლილს ვერავინ უარყოფს.

ამ დროს გამახსენდა მაკა ჯოხაძის სხვა ესე – „დიადი ინტიმი“, რომელიც თავის უსაყვარლეს მოძღვარს უძღვნა.

იქ მაკა თვითონ არის სტუდენტი, ნოდარ ტაბიძის პირველ ლექციაზე ზის და მისი ფიქრის წაკითხვას ცდილობს. მისი აზრით, ლექტორი ამას ფიქრობს:

„ვინ ხარ შენ, ერთი ჩვეულებრივი გოგო... მერე რა, რომ ასე გულდასმით ვაკვირდები შენი სახელისა და გვარის ჟღერადობას. ჯერ არაფერს ნიშნავს ეს სახელი და გვარი. რომ გააცოცხლო და მნიშვნელოვანი გახადო, წინ დიდი გზაა გასავლელი. უნდა დაადასტურო, რომ შენ შენა ხარ, უნდა იშრომო, იღვაწო, იმოქმედო... ერთი სიტყვით, ვალდებული ხარ, ყოველივე ამის გამო, იფიქრო, იღვაწო და

ყველაზე სასტიკი გამოცდა, ცხოვრება რომ ჰქვია სახელად, სიტყვაში მოაქციო“...

მე არ ვიცი, მართლა ამას ფიქრობდა თუ არა მაშინ ბატონი ნოდარი. ის კი ზუსტად ვიცი, რომ დღეს ასე ფიქრობს: მაკა ჯოხაძემ იშრომა, იღვაწა და ყველაზე სასტიკი გამოცდა, ცხოვრება რომ ჰქვია სახელად, სიტყვაში მოაქცია.

და ეს დიდი ბედნიერებაა მოძღვრისთვისაც და შეგირდისთვისაც.

ბედნიერი ხართ? – ეკითხებიან მაკა ჯოხაძეს ერთ-ერთ ინტერვიუში.

პასუხი ასეთია: „მე, ალბათ, არცა მაქვს უფლება ვთქვა, რომ ბედნიერი არა ვარ, რადგან მაქვს ჩემი საქმე და მას ერთგულად ვემსახურები, მაგრამ... ჩვენი სამშობლოს შემხედვარე, ჩემი პირადი ბედნიერება ხშირად ისეთივე შეჭირხლულია და დათრთვილული, როგორც გალაკტიონის უცნაურად სევდიანი სტრიქონები:

„მოუნათლავი ბავშვები
სკოლისკენ მიიჩქარიან“.

გალაკტიონის პოეზიაში ადვილად მოიძებნებოდა უფრო გამჭვირვალე ხატი სამშობლოს ბედზე მისანიშნებლად, მაგრამ მაკა ჯოხაძემ ეს დანისლული სურათი არჩია.

არ მახსენდება, რომ ამ სტრიქონებზე ვინმეს ყურადღება გაემახვილებინოს.

არადა, რა ღრმა აზრია, რა დამაფიქრებელი.

შემთხვევითი არ არის, რომ წიგნი სწორედ ამ სტრიქონებით მთავრდება.

ანუ არ მთავრდება.

ის ჩვენ უნდა გავაგრძელოთ – ფიქრითაც და მოქმედებითაც, რათა სივრცეში ჩვენს სამშობლოს გამოვეკიდოთ და მივუსწროთ.

ხელახლა დასაბადებლად

გიორგი სოსიაშვილის „გოდების კედელი“

ჯერ წინათქმაა.

აქ მწერალს მისივე ორეული ესაუბრება. აქეზებს – ნუ გეშინია, დაწერე, სიმამაცე შემდგარი მცდელობაა.

რისი უნდა ეშინოდეს არაჩვეულებრივი მოთხრობების („ნატყვიარი”, „მავთულხლართი”, „გამორთული მთვარე”...) ავტორს?!

მაგრამ რომანი მაინც სხვაა, სხვა წონისა და ზომის საჯილდაო ქვა!

* * *

შემდეგ პროლოგია.

აქ უკვე საკუთარ გმირს ესაუბრება მწერალი.

მწერლობა, უპირველესად, ხატვის ხელოვნებაა.

მწერლობა, რა თქმა უნდა, თხრობის ხელოვნებაცაა.

ზოგს ერთი უფრო ეხერხება, ზოგს – მეორე.

იშვიათად – ორივე.

გიორგი სოსიაშვილი თხრობისა და ხატვის ოსტატია.

აი, როგორ და როგორი შემოჰყავს მწერალს მთავარი პერსონაჟი – წყაროსთან ჩამუხლული:

„ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ბეჭებიდანაც მიმზერდა და მისმენდა. თითქო ზურგი არც ჰქონდა, სულ „ერთმხრიანი” არსება იყო. კარგა ხნის შემდეგ, წყურვილი რო მოიკლა, ვეება ხელები, ხარს ერთი დაქნევით რქებს რო დაამტვრევდა, წყაროს მიუშვირა, მერე სველი მტევნები თმაზე გადაისვა, წვერი ჩამოისწორა და ფეხზე წამოდგა. “

ძალიან საინტერესოა მათი დიალოგი.

ბოლოს საკუთარ თავგადასავალსაც უამბობს და ნებასაც დართავს, რომ დაწეროს...

თხრობა კიდევ უფრო დიდ ოსტატობას მოითხოვს მაშინ, როცა პერსონაჟი გვიამბობს და არა ავტორი.

დამაჯერებლობისა და ნამდვილობის მიღწევა ამ დროს გაცილებთ რთულია.

გიორგი სოსიაშვილს ეს სირთულე წარმატებით აქვს დაძლეული.

* * *

ეს გიორგი სოსიაშვილის პირველი რომანია.

ორწიგნეული, ანუ რომანი – დილოგია: „გოდების კედელი. "

წიგნი პირველი.

ვფიქრობ, „ორი სიტყვით" როგორ გადმოვცე 433 გვერდზე გაშლილი თხრობის მოკლე შინაარსი.

ანკი უნდა გადმოვცე?

* * *

გულახდილად ვიტყვი: ძალიან მომწონს გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ მისი, როგორც პროზაიკოსის კალამი და სათქმელი ამოდენა რომანს გასწვდებოდა.

ეს კი მართლაც შთამბეჭდავი მონუმენტური ტილოა.

არსებობენ მხატვრები, რომლებიც ძალიან დახვეწილ და პოეტურ მცირე ზომის ნახატებს ქმნიან, მაგრამ დიდ ტილოებს არ/ვერ ეჭიდებიან.

ასეთი მწერლებიც არსებობენ.

არსებობენ კი არა, რა გაძლებდა უმათოდ?!

მაგრამ...

არიან მხატვრები და მწერლები, რომელთაც ორივე ერთნაირად ხელეწიფებათ.

გიორგი სოსიაშვილიც ასეთი აღმოჩნდა.

შემთხვევით არ უწოდა მის რომანს თამარ გელიტაშვილმა „ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა. "

რატომ კავკასიური?

იმიტომ, რომ რომანი – ტილო მთელს კავკასიას სწვდება. ამ დიდ სივრცეში იშლება მოქმედება, რომლის პერსონაჟებიც არიან: ქართველი ბაქარი, ოსი – ბათო, ქართველი ებრაელი ტატო, ქისტი ჯარაფი...

მთავარი გმირი ბაქარია – პაპის გაზრდილი ბიჭი.

არ ვიცი, უნდა გითხრათ თუ არა, რატომ მოიკლა თავი ბაქარის მამამ, რატომ წავიდა დედა მონასტერში, რატომ ვერ იტირა ბაქარმა პაპა, რომელმაც მკაცრად გაზარდა...

მსგავს ამბებს, ალბათ, სხვებიც შეთხზავდნენ, მაგრამ ამას და ასე მხოლოდ გიორგი სოსიაშვილი დაწერდა:

„ერთი ცრემლი მაინც ჩამომგორებოდა, მამობაც ამან გამიწია და დედობაც... უცრემლოდ მიდიოდა აბიათარი... წვეთი დამეცა სახეზე. ცას ავხედე, სათოვლე პირი უფრო უჩანდა, მაგრამ იტყოდი, ცრემლგამშრალს, ერთი წვეთი პაპასთან გასატანებელი ცრემლი გამჩენმა ჩამომიგდო. “

პაპა რომ მიწას მიაბარა და გამობრუნდა, ბაქარმა ქვას წამოჰკრა ფეხი. და აქ: „თითქო უკანასკნელად მომცა რჩევა აბიათარმა: –, ფრთხილად ბაქარ!”

* * *

ცალკე თემაა სიზმრის ფუნქცია ამ მრავალპლანიან რომანში. ზოგჯერ გგონია, რომ სიზმარ – ცხადი ერთმანეთშია არეული. იმის დაჯერებაც კი აღარ გიჭირს, რომ ცხოვრება სიზმარია.

და როგორ არ გაგვახსენდეს აკაკი გაწერელია: „შეუძლებელია, ეს მომხდარიყო, შეუძლებელია, ეს არ მომხდარიყო!”

დიახ, მაღალმხატვრულ ქმნილებას დაუჯერებელიც კი ეჭვშეუვალის რანგში აჰყავს.

ასეთია ამ რომანში, მაგალითად, დედის გამოცხადება და კიდევ არაერთი ეპიზოდი.

დედა პატიებას სთხოვს.

„რა ვთქვა, – თითქო სხვისი ხმა ამოვუშვი, მოფერება ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. უფრო ახლოს მივიხუტე, რომ ჩემი სიცივე არ ეგრძნო”...

და შემდეგ, როცა (ცხადში) დედის საფლავს მიაგნებს: „ყინავდა, სახეს მიწვავდა სუსხი, მაგრამ რაღაც უცნაურ სითბოს ვგრძნობდი... გულის ჯებირზე გადმოვიდა ცრემლი და თვალებში იპოვნა გზა. თბილი იყო იმ ადგილას მიწა. ფეხის გულები გამითბა. ხილვასა თუ სიზმარში ნანახი შავოსანი ქალის ხმა ჩამესმა: „მოხვედი?”

* * *

რაც მთავარია, ყველაფერი, რაც რომანში ხდება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან ორგანულად არის დაკავშირებული. აქ არეკ-

ლილია თითქმის ყველა განსაცდელი, რაც უკანასკნელ ათწლეულებში გამოგვივლია.

აქ გავიგებთ, რატომ არის კავკასია ჩვენი სხეული, ხოლო ლიახვის ხეობაც – წმინდა და აღთქმული მიწა; რას ნიშნავს კადიში; დავინახავთ, როგორ თანდათან ამზადებს და აძლიერებს მესამე ძალა „ქართულ – ოსურ" (?!) კონფლიქტს.

მანამდე კი ქართველი მხედრიონელები ჩაცხრილავენ ლიახვისხეობელ ბიჭებს, ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, თბილისიდან შინ რომ ბრუნდებიან. და ერთი მოთხრობის ტოლფასი ფრაზა, ანუ ეპოქის მეტაფორა: „წურწურით გასდიოდა ქართული სისხლი რუსულ ავტობუსს. "

* * *

ტატო ისრაელში წავა. ბაქარის კიდევ ერთ ძმაკაცს (გეგას) ოჯახის წევრებთან ერთად მოკლავენ.

ბაქარი შურისსაძიებლად მიდის.

* * *

მეორე წიგნი.

რა აღარ გადახდება ჩვენს მთავარ გმირს – ბაქარს?!

ჯერ პანკისის ხეობაში ჩავა და ქისტ ჯარაფს ძმად გაეფიცება; ძმადშეფიცულნი ერთად წავლენ რუსული ბლოკპოსტებით მოფენილ ჩეჩნეთში. იქ ჯარაფს მოკლავენ, ბაქარს კი ცოცხლად შეიპყრობენ და დიდხანს ახეხინებენ ტამბოვის ციხეს. ამასობაში, 2008 წელი დადგება. რუსეთ – საქართველოს ომი ლიახვის ხეობასა და ბაქარის სოფელს მავთულხლართს იქით მოაქცევს. დიდი ტანჯვა – ვაების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს, დევნილთა დასახლებაში თანასოფლელი შეიკედლებს...

მოკლედ და სქემატურად, ასე შეიძლება გადმოიცეს მეორე წიგნის (410 გვერდი) შინაარსი.

მაგრამ მთავარი ის სული და „ხორცია", ამ სქემას რომ სიცოცხლითა და მხატვრული ძალმოსილებით აღავსებს.

სქემა, ალბათ, არც უნდა მეხსენებინა, რადგან ამ რომანის მთავარი ღირსება სწორედ არასქემატურობაა.

ანკი რომელი სქემა დაიტევს ამდენ საინტერესო ამბავს?!

მაგალითად, ხასოს ნაამბობს შამილსა და ბაისანგურზე. შამილზე ბევრი რამ ვიცით, მაგრამ ბაისანგურზე – თითქმის არაფერი. ამიტომაც იკითხება გაუნელებელი ინტერესით მონათხრობი ცალ-

ხელა და ცალფეხა კაცზე, რომელიც „ცხენზე თოკებით ჰყავდათ დაბმული და ისე იქნევდა ხმალს” და ვისი დახმარებითაც გახდა შამილი იმამი.

* * *

რომელი სქემა აიტანს და შეეგუება ასეთს ეპიზოდებს:

კაცს ჰგონია, რომ ფიქრობს, სინამდვილეში კი, თურმე, ხმამაღლა ლაპარაკობს...

ორი კაცი ერთსა და იმავე სიზმარს ნახავს. ერთი ისმენს, როგორ უყვება მის სიზმარს მეორე კაცი მესამეს...

სამშობლოში დაბრუნებულ ბაქარს ჯარაფი გამოეცხადება და დუისში ხასოსთან ჩასვლას სთხოვს. თვალისჩინწართმეულ ხასოს ეჩვენება, რომ ჯარაფი ელაპარაკება. ბაქარსაც უკვირს, ჯარაფის ხმით რომ საუბრობს...

ბაქარი შეყვარებულის სიზმარში შედის და ამბობს: „ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა მოეცა უფალს ჩემთვის, რომ მის სიზმარში შემიშვა. ღმერთო, ჩემი თავიც დავინახე”...

აქ ზემოთქმული უნდა გავიმეოროთ: შეუძლებელია, ეს მომხდარიყო, შეუძლებელია, ეს არ მოხდარიყო.

* * *

რომანი დახუნძლულია დრამატული კოლიზიებით, ბრძნული და აფორისტული გამონათქვამებით, ღრმად სიმბოლური დეტალებით.

თავის გადამწვარ სახლში, სადაც ერთი ნივთიც არ გადარჩენილიყო, ბაქარი ჭურჭლის ნამტვრევებში თავამოყოფილ პაწია ჩიტისთვალა ყვავილს წააწყდება. ეს პაწია ყვავილი აქ ისეთივე იმედისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოა, როგორც ბირკა ტოლსტოის გენიალურ მოთხრობაში – დაღესტნის გადახნულ ველზე ჯიუტად წამომდგარი.

* * *

მთავარი, რაც რომანის გმირს ყველაზე მეტად ტანჯავს, ის არის, ომის დროს საქართველოში რომ არ იყო.

სამშობლოში დაბრუნებული, უპირველესად, თავის ოს ძმაკაცს – ბათოს მოძებნის. ამაღელვებელია მათი შეხვედრა. მავთულხლართსაც გაჭრიან, გერის წმინდა გიორგის და ძვირფას საფლავებსაც მოინახულებენ. მომხდარსაც ერთად გააანალიზებენ, გულსაც

მოიოხებენ, თავიანთი აზრით, მომავალი ბრძოლების კონტურებსაც მოხაზავენ...

ბაქარი კი ისევ დევნილთა დასახლებაში დარჩება, თანასოფლელ ელიზბართან. მრავალტანჯულ კაცს სულ იმას უმეორებს, ამდენს ნუ სვამო, ბოლოს კი ელიზბარს იქით გააოცებს. გალოთების პირას მისულს ებრაელი მეგობრის ზარი გამოაფხიზლებს – ტატო ისრაელში ეპატიჟება. წავა. გამომშვიდობებისას, ელიზბარი ცრემლიანი თვალებით ეტყვის: „ვიცი, რომ ჩამოხვალ, აბიათარი არ მოგასვენებს. “

ტატო მხატვარია. მის ნახატებზე ბაქარი ბედნიერ ბავშვობასაც იხილავს, ძელიცხოველსაც, დედათა მონასტერში წასულ ულამაზეს სატრფოსაც და გამზრდელ პაპასაც... .

აბიათარი კი რის აბიათარია, რომ მოასვენოს.

* * *

ტატო და ბაქარი იერუსალიმში ერთად გაივლიან გოლგოთისკენ მიმავალ გზას. ბაქარს ისეთი განცდა აქვს, თითქოს, ისიც ჯვარს ეზიდება, ბრბო კი ყიჟინითა და ფურთხებით მისდევს. იმდენად ნამდვილია ეს განცდა, რომ სახეზე ხელსაც მოისვამს ფურთხის მოსაწმენდად. „ცუდად ხომ არ ხარ?” – ეკითხება ტატო, წყალსაც მიაწვდის. ცხვირიდან სისხლი წასკდება და პერანგს დაულაქავებს. და ბოლოს – ფრაზა, რომლისთვისაც, ალბათ, დაიწერა ეს ვეებერთელა რომანი: „ვგრძნობდი, რომ ჩემი ხელახალი დაბადება იწყებოდა.“

საერთოდ, ყველა ნამდვილი რომანი ამისთვის იწერება.

ხოლო თუ რატომ ჰქვია „გოდების კედელი”, ამას, ყველაზე ნათლად, მაინც ეპილოგი მიგვახვედრებს.

სწორედ გოდების კედელთან გაიაზრებს ბაქარი საკუთარ თავგადასავალს და შემდეგ იტყვის: „ვიგრძენი, როგორ ახლოს იყო ჩვენი ორმოცწლიანი ხეტიალის დასასრული“.

და განა სჭირდება მტკიცება იმას, რომ რომანის ავტორის რწმენაც ეს არის?..

„ამას ბჭობა არ უნდ არ“

ეთერ თათარაიძის მთავარქართული

გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის სამუშაო ოთახი.

სტუმრად – თენგიზ მირზაშვილი.

ის: ეთერ თათარაიძე გენიოსია.

მე: ძალიან გადაჭარბებული ხომ არ არის?

– კარგი, ასე ვიტყვი: დიდი პოეტია.

– გენიოსი გალაკტიონია, დიდი პოეტი – ანა.

– დამიჯერე, არაფრით ჩამოუვარდება.

– ანას თუ გალაკტიონს?

– დამიჯერე, დიდი პოეტია...

ქრთამად, ორი ნახატი მომცა, მაგრამ მაინც არ დავუჯერე.

ვერ დავუჯერებდი, ეს თვითონ უნდა მეგრძნო და განმეცადა.

რა თქმა უნდა, ვხედავდი, რომ „სისხლი ლექსად გასწურწურებდა“ (მურმან ლებანიძე), მაგრამ გულსა და ფიქრში მეც ამას ვემუდარებოდი: „ეგ ყვავილი თუშური სიტყვის სთქვი უფრო ნათლად, ცოტა უფრო მთავარქართულად“...

გვირილას მისას კი, რა თქმა უნდა, მეც იმედით ვუჭვრეტდი.

* * *

არ ვიცი, რამდენ ხანს მიდიოდა ამირან არაბული ეთეროსაკენ, მე კი მისი პოეზიის შესაცნობად საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა და როცა ისინი ერთად აღმოვაჩინე, უზომოდ გავიხარე. თავის დროზე, ასევე მახარებდა მედეა ჯაფარიძისა და რეზო თაბუკაშვილის, ნათელა იანქოშვილისა და ლადო ავალიანის, ლილი ღლონტისა და ჯუმბერ ჭუმბურიძის მეუღლეობა.

განა შეიძლება, გულით არ გვახარებდეს შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლული ეთერო და ამირანი – ქართული სულიერების წყვილი სანთელი...

* * *

მაგრამ ახლა პოეზიაზე უნდა ვისაუბროთ...

მაინც რა არის პოეზია?

ამ კითხვაზე პასუხს რომ ეძებს, აკაკი გაწერელია ბოლომდე თავის განსაცვიფრებელ ერუდიციასა და იშვიათ ინტუიციასაც კი ვერ ენდობა და „საშველად“ისეთ მსოფლიო ტიტანებს მოუხმობს, შეგეშინდება.

ერთმნიშვნელოვანი პასუხი კი არც მათ მოეპოვებათ.

მე მით უმეტეს არ ვიცი, რა არის პოეზია, მაგრამ ამის თქმა დაბეჯითებით შემიძლია: პოეტია ის, ვინც ზამთრის სუსხში ამოწვერილ ყვავილს ასე დაელაპარაკება:

შენ რა გქვიან, ყვავილო,
თებერვალში მნათეო,
არ მოშიშო სიცივის...

ეს ციცქნა მარგალიტი ლექსების იმ რკალიდანაა, ახლახან „ლიტერატურულმა გაზეთმა“ რომ გამოაქვეყნა.

აქამდე მოურიდებლად მშურდა ყვავილების, თათარაიძის ენა ჩემზე უკეთ რომ ესმოდათ. შემთხვევით არ უთხრა მურმანმა: „ჩიტუნას ჰგავხარ პაწაწუნას, რომელიც სჭყივის და გაჩქარებით ათასნაირ ტკბილ ხმას გამოსცემს“... თავადაც ამბობს ერთ ახალ ლექსში:

ეტყობ, წინა ჩიტ ვიყავ...

აღარ მშურს, ჩიტების, რადგან „მათი“ ენა უკვე მეც მესმის.

ოღონდ, ზუსტად არ ვიცი, ეს მე ვისწავლე „კითხვა“, თუ თათარაიძემ დაიწყო „უფრო ნათლად და მთავარქართულად“ თქმა?

ალბათ, ერთიცაა და მეორეც.

ამას აღარც კი აქვს მნიშვნელობა – მთავარია, უკვე მესმის და მირზაშვილსაც ადვილად ვეთანხმები.

რა უნდა, მაგალითად, ამის გაგებას:
შენ წვიმის ცრემლთ სცრი, ცაო,
რაგვერც დარდს მე ლექსებად...

რა დარდი იგულისხმება?

ქართველ პოეტს დარდს რა დაუთვლის და რა გამოულევს?!

მაინც რას დარდობს ეთერ თათარაიძე?

ვცადო ჩამოთვლა?

მხოლოდ სამს ვიტყვი, რა თქმა უნდა, მისივე ლექსებით:

1.

ფერადქაღალდებიან კანფეტებს უგზავნიან
შორს დაკარგულ დედებ,

განაწირალ შვილებს რო უკვენ მუბრუნდებიან,
გვიან იქნებ ბნედებ...

გაუსაგის დრო დგას ახლ,
დრო კი არად ვერ ჩერდებ,
საქართველო დაღლილი,
საქართველო ბერდებ...

2.
ეი, დამშვრალ სოფელო,
ეი, დამშვრალ დიყო.

3.
ჩემ ქვეყნის ცა-მზე სულ დაწმენდილივ, –
იცოდის მამამ.
სანამ მტრის ტყვიამ ცა არ დამილეწ,
ვერ ვსწვდებოდ მანამდ...

მაგრამ პოეტმა არა მხოლოდ უნდა იწუხოს, იმედიც უნდა მისცეს სამშობლოს.

თათარაიძისაგან სამშობლო სწორედ ამას მოელის. ეთერომ ეს იცის და ბავშვივით ჭირვეულობს:

რა იმედ მოგც, რა გირჩივ
ბალღამრეულმმ თავადაც...

მაგრამ ისიც იცის, რომ სამშობლოსთან ჭირვეულობა დაუშვებელია და პოეტის ვალი ნუგეშისცემაა. ნუგეში კი იმ ფიქრშია, ილიას, გალაკტიონს და ზვიად გამსახურდიას რომ უტარებიათ: „და ეს ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება“...

თათარაიძის ეს ლექსი პრინციპულად მნიშვნელოვანია და ამიტომ მთლიანად უნდა დავიმოწმო:

კავკასიას მინაფენ დაუთვალავ ფერებ,
ათასჯურა ადათის მატარებელ ერებ,
ათასნაერ ენაზე „იავნანას“ მღერენ
დასაბამითა დღემდის მტრისად ცრემლის მცრელებ.
სალხინოზე ცას მფრენნიდ
სადარდოზდ გულ მგვრელებ.
ერთგულისად ნაერთგულნ, ცით მასკვლავის
მფხვრელებ,

ორგულისად დუნდობრად შავ საფლავის მთხრელებ,
ერთმანეთის საშველად გულის ამომჭრელებ.
უფიქრელად თავმნაცვლელნ,
ცეცხლში შემს – გამსვლელებ.

ამათ მომრევ ვინ არის, ამათ ამომგდებელ,
უფალო, თვალ არ მაშორვ ჩემ კავკასიას...

დააკვირდით, მარტო პირველი სტრიქონი რად ღირს: „კავკასიას მინაფენ დაუთვალავ ფერებ“...

აქვე არც ამის თქმა იქნება ზედმეტი: აი, ვინ უნდა იყოს პარლამენტარი, გნებავთ მრჩეველი თუ ექსპერტი კავკასიის საკითხებში, ვის უნდა ეკითხებოდეს ჭკუას, ვის უნდა უგდებდეს ყურს ხელისუფლება...

* * *

დღეს რომ აკაკი იყოს, ეთერ თათარაიძეს, ალბათ, ასე მიმართავდა: „ენას გიწუნებ, თუშ – ქალო“, მაგრამ იქვე ამასაც აუცილებლად დასძენდა: „თუმც კი გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც მასვე მკისაო“...

საუბედუროდ, დღეს აკაკი არ გვყავს, მაგრამ, საბედნიეროდ, გვყავს მარგალიტების მთესველი პოეტი – ქალბატონი. ოღონდ, ეს უნდა ვიკითხოთ: ვმკით კი მკითხველები მისგან დათესილ მარგალიტებს?

დღეს, როცა ჩვენივე დაუდევრობით, ასე დაკნინებული, გაღარიბებული, შევიწროებული და პატივაყრილია „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“ (ლადო ასათიანი), უგუნურებაა, არ ვეწაფებოდეთ თათარაიძის შეურყვნელ ქართულს. საკმარისია, ერთხელ, თავი ოდნავ შევიწუხოთ, რომ მისი სიმდიდრე და სიტკბო შევიგრძნოთ...

აი, მიუგდეთ ყური:

რაგვერც ხატ საბძანისში,
გულში მიზის სამშობლო.

* * *

ერთგან სამშობლოს ასე ეფერება:

გულზე თავს შემოგავლებ,
ედემს შესადრელაო...

მამულზე ფიქრში ზოგჯერ უიმედობაც მოეძალება და ამას ათქმევინებს:

გულ გამიგალ შენ ნალოდნ
იმედთ შემოჭკნობამ...

მაგრამ იქ, სადაც თებერვლის სუსხში ყვავილი ამოანათებს, არ-მოშიში სიცივის, შეუძლებელია, უიმედობამ დაისადგუროს. პოეტ-მა კი ყველაზე უკეთ იცის, ეს ვისი წყალობაცაა, ვის უნდა უმადლო-დეს:

გმადლობ, ჩემ ტკმილ უფალო...

* * *

ეთერო – ასე მიმართავენ ახლობლები. უკვე დროა, ყველამ ასე მოვიხსენიოთ.

მხოლოდ სახელით.

ვიცი, ამას რომ წაიკითხავს, შეიცხადებს, მე კი ისევ მურმანის ლექსი გამახსენდება: „გაოცებულხარ, გაოცება შენი მაოცებს“...

თავმდაბლობა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.

აი, რას ამბობს:

თავმდაბლობაზე უფრო
ღვთიურ არაი...
ამას ბჭობა არ უნდ არ,
ანა – ბანაი...

მაგრამ თავმდაბლობა იმას არ ნიშნავს, რომ შემოქმედი საკუთარ სიმაღლეს ვერ გრძნობდეს. ასე მგონია, ეს თვით ფიროსმანსაც კი არ „ეშლებოდა“...

ანა კალანდაძეს, ვისი თავმდაბლობაც ჭეშმარიტად საარაკოა, ერთ ლექსში მაინც წამოსცდა: „მე რა ვიცოდი, წინ ბულბულის ქნა-რი მელოდა“...

ამ რკალში ეთეროსაც დასცდა (და ძალიანაც კარგი):

ნუ სჩქაფუნობ, ეთერო,
კარ იღების ცისა...

მე თუ მკითხავთ, ეს წამოცდენა ფრიად დაგვიანებულია: ცის კა-რი მისთვის დიდი ხანია, ღიაა...

ზეცის სიფითრე პოეტის სახეზე

ზურაბ ნარმანიას „ჭიანჭველეთი“

გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ლიტერატურული ცხოვრების ეპიცენტრად ქცეულა.

კრიტიკის ქარ-ცეცხლს აყენებენ თემურ ნუცუბიძე და თემურ ქორიძე; მათ არც ნოდარ გრიგალაშვილი და მიხეილ ანთაძე ჩამორჩებიან; ეს უკანასკნელი თავს ორიგინალური პოეტური სტრიქონებითაც გვამახსოვრებს: „აფრიკის რუკა ჰგავს თეთრეშვება ვეებერთელა სპილოს“...

ლექსებს კი არ ვიზეპირებთ, თავისთავად, ძალდაუტანებლად გვამახსოვრდება.

სულს ესალბუნება ნაირა ცხვედიანის ლირიკა: „მზე გაქცევია მწვერვალებს და ცაზე გასულა საბალახოდ, უბელო ცხენებს მოვახტეთ და გიჟი ენგური გადავლახოთ“...

პატრიოტული მოტივი ჯერ კიდევ არ ქცეულა საქილიკოდ (?!) და გულის სიმებს გვირხევს თამაზ ბერუჩაშვილის სტრიქონები: „შენი ჯვარი და შენი ბოლნისი ხსნას უდრის ჩემთვის და გადარჩენას, ავაშენო და სვეტიცხოვლისთვის ნეტა მომჭრიდეს ვინმე მარჯვენას“...

თუ კარგად მახსოვს, ესეც მისია: „ღმერთო, მომეცი ფრთები იმხელა, ჩემი მთებიდან ვერ გავეტიო“...

ვაჟა მიროტაძე, „წრეზე გატანას“, რატომღაც, ეკრძალვის და ვიწრო წრეში გვიკითხავს პასტოლარული იდილიით განმსჭვალულ სტრიქონებს: „ღრუბლები ჰგავდნენ ჩოხიან მაყრებს და ბარბაცებდნენ როგორც მთვრალები... ამოდიოდა მთვარე კონცხიდან,

უთეთრდებოდა ღამეს თვალები, ქოჩორა ბიჭი გოგოს კოცნიდა და ტკარცალებდნენ სოფლის ქალები“...

ყველაზე პოპულარული კი მაინც მწყემსური ცხოვრების შემდეგ მთიდან სასწავლებლად ჩამოსული ტარიელ ხარხელაურია, ვაჟასეული შარმითა და საკუთარი ინტონაციით:„ვიტყვი, რასაც ვუყურებ და რაც მელანდება, როცა ია სლუკუნებს, მე რა მევარდება“...

და იქვე მისგან სრულიად განსხვავებული ზურაბ ნარმანია, განსხვავებული ბიოგრაფიითაც და მსოფლხედვითაც:

თვალებში შენი შორეული გალობე მენთო,
მქონდა წუხილი, მუდამ ძველი, მუდამ ახალი,
რა მეშველება, სადმე მართლა გიპოვნო, ღმერთო,
ძემ ადამისამ ვინ ვეძებო შენზე მაღალი...

* * *

დაიბადა ზუგდიდში. ცნობილი პროკურორის ოჯახში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიდა. რეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ სწორედ იმ დროს გადაიღო ფილმში „სიყვარული, ივერია და“...

პარტნიორი? – თვით ლიკა ქავჟარაძე, იმდროინდელი (და არა მხოლოდ) ახალგაზრდების კუმირი.

იმხანად ჯერ კიდევ ძალიან პოპულარული იყო ინდური ფილმები, განსაკუთრებით კი „პროკურორის ვაჟი“. თბილისელ გოგონებს კი თავიანთი პროკურორის ვაჟი ჰყავდათ – ძალიან სიმპათიური, ნიჭიერი, იდუმალი, გამოუცნობი...

ბევრს ეგონა, რომ მსახიობობას გაჰყვებოდა.

მოტყუვდნენ.

ფილმს თუ გაახსენებდი, გეტყოდა: „რას ვიზამთ, თითო ცოდვა ყველასა აქვს“.

არა მხოლოდ არტისტულ მონაცემებს, გარეგნობასაც კი ბრძოლა გამოუცხადა – სულაც არ ხიბლავდა „ლამაზი ბიჭის“ იმიჯი.

და თავისი ხანმოკლე ცხოვრების მიმწუხრზე ის თითქმის აღარაფრით ჰგავდა საკუთარ სიჭაბუკეს, სამაგიეროდ, სახეზე მკაფიოდ აღბეჭდილიყო ზეცის სიფითრე და ახლა უფრო მძაფრად განიცდებოდა მისი ადრინდელი ლექსები:

ცაზე კრუხივით ჩამოჯდა მზე და
თბებოდა კვერცხი ჩაძირულ ნავში;
და ჭიშკარივით გაიღო დედა
და შინ ტირილით დაბრუნდა ბავშვი;

ვისია კოვზი ვარსკვლავით სავსე,
ზეცის სიფითრე ვის სახეს შვენის?
ამ უდაბნოში ვის დავემსგავსე?
მითხარით ვინმემ სახელი ჩემი...

ბავშვი ხშირად გამოჩნდება მის შემოქმედებაში – სრულიად განსაკუთრებული დატვირთვით, ერთი შეხედვით, გალაკტიონს რომ მოგვაგონებს, მხოლოდ ერთი შეხედვით:

„დღეს ჩემს თვალწინ წაიქცა წუთისოფლის ღმერთი – ბავშვი. და როგორ მინდოდა, მომეტყუებინა იგი, რომ კარგია, წაიქცე, მაგრამ ხელს მიშლიდა მისი გაკაწრული მუხლი, რომელიც ორივეს გვტკიოდა“...

* * *

ის პოეტი იყო.

და თუ პროფესიის მითითება მაინც აუცილებელია, ასე უნდა ვთქვათ: „ღმერთის მაძიებელი“...

თვითონვე წერს, რომ კალამს დაეჭვებულმა მოჰკიდა ხელი:

„ხომ შეიძლება, სამყარო, რასაც შემოქმედება ჰქვია, ჩემთვის შეუვალი ტყე იყოს, იყოს გადაულახავი ზღუდე, მაშინ კი ჩემს უწვრთნელ სულში ადგილს იპოვნის ისეთი ცნებები, როგორიც არის მარტოობა, უიმედობა; გასაგები გახდება, თუ რას ნიშნავს „დამსხვრეული ოცნება“ და ოცნებამდე დარჩენილი ოცნება. მაშინ კი უსათუოდ დავიკარგები“...

* * *

გაივლის წლები და დაწერს:
არ შემოაღოთ ჩემი კარები,
აქ დაუდგრომელ ფიქრთა ომია,
ჩემი სიცოცხლის სველი წამები
დაუბრუნებელ გზას დადგომია...

ამ სტრიქონების ავტორმა უეჭველად განიცადა მარტოობა, თუმცა, საბედნიეროდ, უიმედობაში არ დაკარგულა და დაუცხრომლად განაგრძო ღმერთის ძიება, რადგან ღრმად სჯეროდა: „ვინც უფალს ეძებს, იპოვნის სიმართლის ცოდნას“.

ამ ძიებაში, პუბლიცისტური სიტყვის ძალაც მოიშველია და დაწერა მრავალმხრივ საყურადღებო ესე – „სულის მახვილი“. მარტო დავით აღმაშენებლის ფენომენისა და მისი წარმატებების საიდუმლოს ღრმად რელიგიური ახსნა რად ღირს: „არავის ძალუძს დაუ-

დოს სხვა საძირკველი, გარდა იმისა, რომელიც არის იესუ ქრისტე“ (1 კორ. 8. 11). ამ საძირკველზე აღიმართა ქართული ფენომენის ყველა წმინდა და მაღალი სვეტი და მათ შორის, ალბათ, ყველაზე მაღალი – დავით აღმაშენებელი, რომელმაც გვაჩვენა, თუ რა ბედნიერებაა, როცა ხალხი შეთანხმებულად ადგას ერთადერთ სწორსა და „ვიწრო გზას“, რომელიც მიწას ზეცასთან აკავშირებს“...

* * *

დაუსრულებელ ფიქრთა ომი.

ამ ომში იბადება პოემა, რომელსაც სათაურზე უფრო უცნაური ქვესათაური აქვს.

სათაური: „მფრინავი ჭიანჭველა“;

ქვესათაური: „ანუ სიკვდილთან შეგუებული რაინდი, არადა, ფრთების გარეშეც ვერ გაფრინდები“.

ეს ჯერ კიდევ წაუკითხავი პოემაა – ჩემგანაც (თუმცა, წავიკითხე) და სხვებისგანაც.

ალბათ, დადგება დრო, როცა კრიტიკოსები სერიოზულად დაფიქრდებიან იმაზე, თუ რატომ წარუმძღვარა ავტორმა ამ მართლაც უცნაურ პოემას („გველისმჭამელსაც“ ასე უწოდებდნენ) ეპიგრაფად დავით გურამიშვილის ცნობილი სტრიქონები: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო? ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?“ დაფიქრდებიან იმაზეც, თუ რას ნიშნავს პოემაში არაერთგზის მოხმობილი ეგვიპტე და ლევიათანი; კიდევ ბევრ რამეზე დაფიქრდებიან.

* * *

ტიტე მოსიამ „მფრინავ ჭიანჭველას“ მიუძღვნა ესე, სადაც, ფაქტობრივად, მოცემულია პოემის მხატვრული სამყაროსა და კონცეფციის გასაღები. რაგინდ უცნაურიც იყოს, ეს გასაღები ერთ თითქოსდა უბრალო მოგონებაში დევს: „მახსოვს ბავშვობის ერთი დღე. ბაბუას ვეხმარებოდი შეშის დამზადებაში. ხის ძირას აურაცხელი ჭიანჭველა ვიხილეთ. ბაბუამ მითხრა: დააკვირდი, რა თავგანწირულად მოძრაობენ ეს პაწაწკინტელა ცოცხალი არსებანი, რომლებიც მათზე მძიმე ტვირთს აიკიდებენ ზურგზე და ზამთრისათვის აგროვებენ სარჩო – საბადებელს. ისინი ბედნიერნი არიან, ვიდრე მიწას მიჯაჭვული ჩანან. რომელიმე მათგანი როგორც კი ფრთებს გამოისხამს და ფრენას დაიწყებს, იმწამსვე იღუპებაო. ეს სიტყვები

თვალწინ დამიდგა, როცა ბიბლიას პირველად ვკითხულობდი: „იქმენ, ვითარცა ჯინჭველი, მცონარო, და ჰბაძევდ გზათა მისთა და იქმენ უბრძნეს მისა“ (იგ. სოლ. 6, 6)“.

კარგი იქნება, თუ კრიტიკოსები ამ ესესაც ყურადღებით წაიკითხავენ და ღრმად გაიაზრებენ, თუ რატომ წარმოიდგენს ზურაბ ნარმანია მთელს ქვეყანას ჭიანჭველეთად...

* * *

„დაიღუპოს ჭიანჭველა, როცა ფრთებს გამოისხამს“.

მაგრამ უფრთებოდაც რომ ვერ გაფრინდები?

ანდა გალაკტიონს რა ვუყოთ – ფრთები, ფრთები გვინდაო, რომ მოგვძახის?

ნამდვილი ჩიხია და სწორედ მისგან თავდაღწევის ძიებაა ზურაბ ნარმანიას პოემა.

განსაკუთრებით ტრაგიკული კი ისაა, რომ ჩიხშია ადამიანიც და ქვეყანაც, რადგან „ყველამ თავის ნებით შექმნა საკუთარი გალია“...

ზურაბ ნარმანია თითქოს ყველას მაგივრად შესთხოვს:

მამა ღმერთო, ძეო ქრისტევ, სულიწმინდავ, შემინდე,
წუთისოფელს უშენობა რას უქადის, ვხედავ,
უმძიმესი ცოდვებისთვის ცეცხლით უნდა მდევნიდე,
შენ კი ითმენ, ღვთისმშობელო და დედათა დედავ...

„დედათა დედავ“ – როგორ არ მიმართავენ ღვთისმშობელს ქართულ პოეზიაში.

ეს ზურაბ ნარმანიას მიმართვაა.

* * *

ის რაინდი იყო, სიკვდილთან შეგუებული რაინდი.

ის ჯიუტად ეძებდა საკუთარ თავს და ამქვეყნად მოვლინების გამართლებას. ეძებდა უფრო მეტი ეჭვიანობით, ვიდრე ეს პოეტებსა და ფილოსოფოსებს „მოეთხოვებათ“...

სულ მალე ღამის ვარსკვლავები გაიღვიძებენ,
მე კი აქამდის ვერ ნათელვყავ, რამ მქნა, რამ მშობა?
ჩუმად! – მიწაზე იასავით ამოდის ღამე...
ჩუმად! – მთვარეში მეორდება ჩემი ბავშვობა...

რამდენი რამ არის სამყაროში აუხსნელი, რამდენი ფილოსოფიური კითხვა – პასუხგაუცემელი!

დარწმუნებული ვარ, ზურაბ ნარმანიამ ბევრ ასეთ კითხვაზე პასუხი იცოდა და სიზმრებსაც არაჩვენებურს ხედავდა, მაგრამ ბო-

ლომდე არ გვენდობოდა და ყველა საიდუმლო არ გაგვიმხილა, ეს რჩევა კი გაიმეტა:

ქოხი აიგე ზღვასთან, –
ხშირად მზის ჩასვლა ნახო,
მაშინ მიხვდები, ქვეყნად
რაა ყველაზე ახლო...

იქვე ამ აღმოჩენასაც გვაზიარა:

ბოლოც იქვე აქვს წერტილს,
სად გაჩენაა მისი...

აღმოჩენა აღმოჩენად, მაგრამ ამ კითხვა – პასუხს რა ვუყოთ:

მერე ვისია ზეცა? –
ვისი და არავისი!

არავისი?! – აი, აქ კი ვერ დავეთანხმები...

იები თოვლში და ჰაე, როგორც ამოსუნთქვა

რეცენზია სოსო ნემსაძის სპექტაკლზე, არალირიკული გადახვევებით

2016 წლის 17 ივლისი. გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერაა. პიესის ავტორი – როსტომ ჩხეიძე, დამდგმელი რეჟისორი – სოსო ნემსაძე.

* * *

ეს ვერ ჩაითვლება ჩვეულებრივ და მორიგ პრემიერად – არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ თეატრში კიდევ ერთი დრამატურგი დაიბადა, არამედ და უფრო მეტად იმიტომ, რომ სპექტაკლი იაკობ გოგებაშვილს ეძღვნება და დადგმულია მკაფიო მიზანდასახულობითა და რეჟისორული კონცეფციით, რაც ლიტერატურული პირველწყაროს პატივისცემასაც გულისხმობს და სცენაზე მსახიობის შეუცვლელობასაც.

როსტომ ჩხეიძემ პიესების წერა გვიან დაიწყო – მაშინ, როცა უკვე გამოცემული ჰქონდა თვრამეტამდე ბიოგრაფიული რომანი დიდ ქართველებზე, მათ შორის, იაკობ გოგებაშვილზე – „ბურჯი ეროვნებისა“.

დრამატურგიისკენ მის პროვოცირებაში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის. წლების წინათ მაკა ჯოხაძის, ლევან ბრეგაძის, როსტომ ჩხეიძისა და საკუთარი პუბლიცისტური სტატიების მიხედვით შევადგინე კომპოზიცია („სამშობლო როგორც უფალი“), რომელიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში მსახიობმა თინათინ ელბაქიძემ ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა.

იმ დღიდან როსტომ ჩხეიძემ სერიოზულად დაიწყო საუბარი ჩემს დრამატურგიულ შესაძლებლობებზე, რაც თავად ხუმრობადაც კი არ მიმიღია.

და აი, ორიოდე წლის წინათ გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სოსო ნემსაძე გვიმხელს, რომ ძალიან უნდა პიესა იაკობ გოგებაშვილზე, ბიოგრაფიული რომანის საფუძველზე შექმნილი. როსტომი (ამჯერადაც სრულიად სერიოზულად): „ჰოდა, აგერაა იოსებ ჭუმბურიძე!“

იმ დროისათვის, როგორც იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების გამგეობის წევრს, მამა კონსტანტინე გიორგაძესთან, გიორგი გოგოლაშვილთან და სხვებთან ერთად, უკვე ბევრი მაქვს ნაფიქრ – ნაკვლევი „დედაენის“ შემოქმედზე, საკმაოდ ბევრიც მიბრძოლია და გავლანძღულვარ კიდეც მის გამო (ბედის ირონია: დიდ ერისკაცებს დღესაც ებრძვიან?!), მაგრამ სასტიკ უარს ვამბობ, რადგან მჯერა, რომ ეს როსტომის გასაკეთებელია და ყველაზე უკეთ სწორედ მას გამოუვა...

* * *

და დაიწერა პიესა – „იის სურნელი თოვლში“.

ახლა მთავარია, რას იტყვის რეჟისორი.

ხომ შეიძლება, მანაც ზოგიერთი თავისი კოლეგის მსგავსად განაცხადოს (როსტომის სხვა პიესები რომ დაიწუნეს): კი, დიდებული ლიტერატურული ტექსტია, მაგრამ ქმედება აკლია...

უცნაურია: ეს ხდება იქ (დედაქალაქში), სადაც ზოგიერთ დრამატულ თეატრში მხოლოდ მოძრაობენ და არ ლაპარაკობენ, ზოგან – პირიქით, ზოგან შექსპირის პიესას გასული საუკუნის შუა წლების „რეჟისორული აზროვნებით“ გვთავაზობენ... კიდევ კარგი, ბრეხტი და სტურუა არსებობენ, თორემ ან უკვე მიწურული სეზონი დედაქალაქის დრამატული თეატრებისთვის მართლაც დრამატული (იქნებ სულაც ტრაგიკული) აღმოჩნდებოდა...

* * *

დიდებული ლიტერატურული ტექსტი, თუმცა ნაკლებად დრამატურგიული – რაღაც ამდაგვარი სოსო ნემსაძესაც წამოსცდა, მაგრამ პიესის დადგმა მაინც უყოყმანოდ გადაწყვიტა.

ვერ ვიტყვი, ეს როსტომზე მეტად მახარებდა – მეთქი, მაგრამ წესით, ვერც როსტომმა უნდა თქვას, პიესის დადგმა მე უფრო მეტად მინდოდაო.

აქ კი კატეგორიული ვიქნები: მე უფრო მეტად მჯეროდა, რომ სპექტაკლი გამოვიდოდა!

* * *

პიესის ძირითადი ხაზი აგებულია იმაზე, თუ როგორ უჭირს იაკობს „დედაენის“ გასაღების პოვნა და რარიგ გაიხარებს, როცა უფალი ყმაწვილის პირით უკარნახებს: „აი ია“...

არ ვიცი, სოსო ნემსაძეს ვისი პირით უკარნახა უფალმა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მანაც უდიდესი სიხარული განიცადა, როცა ასევე დიდი წვალების შემდეგ სპექტაკლის ორიგინალურ ქარგას მიაგნო და ის ქართული ანბანის ღვთაებრივ ძალაზე დააფუძნა.

* * *

ერთხელ მიხეილ თუმანიშვილს ვკითხე, „ალუბლის ბაღის“ დადგმას რატომ აჭიანურებთ – მეთქი და ასეთი პასუხი მივიღე: „გასაღებს ვერ ვპოულობ“...

სოსო ნემსაძემ ჩეხოვის პიესის ისეთი გასაღები იპოვნა, რომ განგვაცვიფრა: თურმე, შეიძლება, ალუბლის ბაღი სულაც მინისა და კერამიკისა იყოს, ხოლო მდიდრული სერვიზის მსხვრევით ბაღის აჩეხვაც ადვილად წარმოვიდგინოთ და არისტოკრატიის განადგურებაც.

აი, ასეთი რეჟისორია სოსო ნემსაძე!

და რაღა მაინცდამაინც როსტომ ჩხეიძის პიესის დადგმისას უღალატებდა ფანტაზია თუ მხატვრული წარმოსახვა?!

როსტომს მაინც სკეფსისი სძალავდა: „ჩემი ბედი რომ ვიცი“...

მე კი ჯიუტად მჯეროდა.

* * *

მსახიობთა გუნდი ერთად წარმოთქვამს ქართული ანბანის ყველა ასო – ბგერას და სცენის სიღრმიდან თანდათან ჩვენკენ მოემართება. ამ დროს აუცილებლად გაგახსენდება ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ენა ღვთაებრივი რამ არის“...

ისტორიული პერსონაჟებით დასახლებულ სპექტაკლში პიესიდან მხოლოდ ილია არ გადმოსულა, მაგრამ ის ყველგან იგულისხმება. ილია არ ჩანს და მაინც მოქმედებს: თანამებრძოლები მთავარ იმედად მოიხსენიებენ, მეფისნაცვალი და მისი ხელქვეითნი – მთავარ ამრევად. და ორივე მხარე მართალია.

ანბანს კრიტიკულ მომენტშიც წარმოთქვამენ, რაც კიდევ უფრო გახაზავს დედაენის ღვთაებრივ შესაძლებლობებს. გალაკტიონიც ხომ გრძნეული ინტუიციით მიხვდა რიცხობრივად პატარა ერის გადარჩენის საიდუმლოს: „აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება“...

სოსო ნემსაძეც უთუოდ ეზიარა ამ ღვთაებრივ საიდუმლოს და ამიერიდან, როსტომ ჩხეიძის მსგავსად, ისიც იაკობ გოგებაშვილთან განდობილია.

მის სპექტაკლში ქართული ანბანია „ერის შემჭიდროება“.

ახლა ადვილია თქმა, რა უნდოდა ამის მიგნებასო, მაგრამ ასე „აი იას“ წარმოთქმა კიდევ უფრო იოლი მოგვეჩვენება: ყველა ჭეშმარიტი აღმოჩენა ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს.

* * *

თავიდანვე, აიწევა თუ არა სპექტაკლის (და არა თეატრის) შთამბეჭდავი ფარდა (მხატვარი აივენგო ჭელიძე), აჰყვება თუ არა მას შესაბამისი განწყობილების მუსიკა (კომპოზიტორი კობა მეგრელიშვილი) და მსახიობთა გუნდი ანბანის წარმოთქმას დაიწყებს, უმალვე გაიფიქრებ, რომ სპექტაკლის ბედი „ცაშია გარდაწყვეტილი“ და ჩვენ წინაშეა შეთხზული და არა დადგმული (ესეც თუმანიშვილის გამოთქმაა) სანახაობა, სადაც ყველაფერი თავის ადგილზეა, ერთიან რეჟისორულ კონცეფციას დამორჩილებული.

და მაინც, სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა, თუ ყოველივეს მსახიობები არ გაამართლებენ. თუ, უწინარესად, მთავარი გმირის განმასახიერებლები – სოსო მგალობლიშვილი და კობაკოპაძე (მოხუცი იაკობი) „დედა ენის“ შემოქმედის ლამის მოწამეობრივ ცხოვრებასა და ღვაწლს დამაჯერებლად არ წარმოგვიდგენენ.

ორივე შემსრულებელი ამ მიზანს წარმატებით აღწევს, ოღონდ, სხვადასხვა გზით.

მოხუცი იაკობის სახე უფრო ტრადიციული ხერხებით იკვეთება, თუმცა დაზღვეულია იმ სიყალბისა და პათეტიკისგან, ისტორიული პიროვნებებისადმი მიძღვნილ ფილმებში რომ გვინახავს და დღემდე ირონიით ვიხსენებთ. ახალგაზრდა იაკობი კი სრულიად განსხვავებული ფერებით იხატება. შეიძლება, იფიქრო კიდეც, იქნებოდა კი იაკობ გოგებაშვილი ასეთი? ასე გაცხარდებოდა მსგავს სიტუაციებში? მაგრამ ბოლოს ასკვნი: კარგია, რომ მსახიობი ამსხვრევს ჩვენში შემორჩენილ სტერეოტიპებს და დიდ ერისკაცს წარმოგვიდგენს როგორც ცოცხალ ადამიანს და არა გაქვავებულ იდეალს. განსაკუთრებით დამაჯერებელია მსახიობი მაშინ, როცა „აი იას“ მიაგ-

ნებს. აღმოჩენის სიხარულის („ფრთები გამოესხა თუ რა?!“) ესოდენ ბუნებრივი და გადამდები გამოხატვა, ალბათ, ძალიან იშვიათია. ეს ფინალში ხდება, როცა სპექტაკლი კულმინაციას აღწევს და ამ მართლაც წარმტაცი სანახაობით, იისფერ თოვლში, კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება მხატვრისა და კომპოზიტორის წვლილი. აქ (და საერთოდაც) აუცილებლად უნდა აღინიშნოს გემოვნებით შერჩეული, ფერადოვანი კოსტიუმები (მხატვარი – ბარბარე ასლამაზაშვილი), დახვეწილი პლასტიკა და სასცენო მოძრაობა (ქორეოგრაფი – გიორგი მარღანია). ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ეგრეთ წოდებულ მასობრივ სცენებში, როცა ცეკვავენ, მღერიან, ან ლექსებს კითხულობენ. როცა სცენაზე გამოდის ბარბარე მამაცაშვილი (მაკა შალიკაშვილი) და ხალისი შემოაქვს, ყველაფერი გხიბლავს – ჩაცმულობაც, პლასტიკაც, თავდაჭერის მანერაც, ეპოქის სურნელის ტარებაც. რაც მთავარია, მსახიობი ამოვარდნილი კი არ არის, ორგანულად ზის საერთო ანსამბლში.

ეს ჭეშმარიტად ანსამბლური სპექტაკლია, ნამდვილი პროფესიონალის, ოსტატის ხელით მოქსოვილი. კარგ ნაქსოვში კი ხშირად გამოერევა ხოლმე განსაკუთრებით ძვირფასი თვლები.

აქაც ასეა.

სამი მარგალიტი კი გამორჩევით ბრწყინავს.

პირველი: მეფისნაცვალთან (ბაჩო ქაჯაია) საჩივლელად მიდის სასწავლებლის დირექტორი (მერაბ ჭანკოტაძე) – აგვიკლო იაკობ გოგებაშვილმა, ილიას წაქეზებაღა აკლდა და ახლა სულ თავს გავიდაო, ახალგაზრდებს ტვინს ურევსო...

ეს სცენა გამჭვირვალე ფარდის მიღმა მიმდინარეობს. მეფისნაცვალი სავარძელში განცხრომით კი ჩამჯდარა, მაგრამ სტერეოტიპი აქაც არიდებულია. გროტესკული საშუალებები ზომიერებითა და გემოვნებით არის მოძებნილი. გადაჭარბება სახეს (და სპექტაკლს) უთუოდ დააზარალებდა. მეფისნაცვალი დაახლოებით იმასვე ამბობს, რასაც გენერალი ილიას „მგზავრის წერილებში“, მაგრამ ბაჩო ქაჯაიას შესრულება არავის გვახსენებს, ვინც კი სცენასა თუ ეკრანზე გვინახავს. ეს მხოლოდ მისი შესრულებაა. მისი და, ბუნებრივად უნდა ვივარაუდოთ, რეჟისორისაც. ამიტომაც იმსახურებს გულწრფელ აპლოდისმენტებს.

იგივე ითქმის სასწავლებლის დირექტორის განსახიერებაზეც, რასაც მაყურებლის ასევე მყისიერი მოწონება ახლავს.

ამ ეპიზოდის სრულყოფილებას განსაზღვრავს კანცელარიის უფროსისა (ზაზა ცარელაშვილი) და მეფისნაცვლის მდივნის (გი-

ორგი ჩოჩნიძე) კოლორიტული სახეებიც, ყველაფერთან ერთად, იმის მიმანიშნებელი, რომ ყველა უბედურება ჩრდილეთიდან (ზვიად გამსახურდიას ტერმინი – მიგნება!) მოდის...

მეორე: გაბრიელ ეპისკოპოსისა და იაკობ გოგებაშვილის დიალოგი.

ერთია, როცა ყველა გეხმარება – რეჟისორიც, მხატვარიც, ქორეოგრაფიც, გამნათებელიც...

აქ კი ორი მსახიობი მაყურებლის პირისპირ „შიშვლად“ არის დარჩენილი.

თანაც, ეს უაღრესად პრინციპული საუბარია – ეპისკოპოსმა იაკობიც უნდა დააჯეროს და მაყურებელიც. კახა ბერიძე ისე წარმართავს ამ დიალოგს, ორჯერ თუ სამჯერ, ისეთი თვალებითა და წრფელი ინტონაციით ეტყვის „გასაღების“ ძებნით გაწამებულ იაკობს, უფლის კარნახს უნდა დაელოდოო, რომ შეუძლებელია, მის რწმენაში ეჭვი შეგეპაროს. ამ ეპიზოდში სოსო მგალობლიშვილიც ყველაზე მეტად ჰგავს იმ კაცს, ვისაც გაბრიელ ეპისკოპოსი ეუბნება: „ველარავის გაგვირჩევია, სასულიერო პირი ხარ თუ საერო, ისეთი უცოდველობით მიჰყვები შენს გზას“...

მესამე: სანდრო ცხვედაძე გვიამბობს, თუ როგორ გამოსტაცა მტკვარს იაკობ გოგებაშვილი. ამ დროს მსახიობი რამპის კიდეს გაყვება და შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს მტკვრის ნაპირია, თითქოს გეშინია კიდეც, რომ ფეხი არ დაუცდეს. კონსტანტინე კახიშვილი ამ „ციცაბო გზას“ ისე ოსტატურად გაივლის, რომ თავის ნაამბობსაც ადვილად დაგვაჯერებს და რეჟისორული ჩანაფიქრითაც მოგვხიბლავს. ეს სწორედ ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა რეჟისორი და მსახიობი როლის თანაავტორები არიან. ეს ეპიზოდი იმის ნიმუშიცაა, თუ როგორ შეიძლება ამოქმედდეს სიტყვა, მთავარია, რეჟისორი რეჟისორობდეს.

* * *

აღვწერე სამი „მარგალიტი“ და, ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი: ვარ კი ბოლომდე სამართლიანი? რით ჩამოუვარდება ხსენებულ ეპიზოდებს, მაგალითად, გაუჩინარებული იაკობის ძებნის უაღრესად ეფექტური, იმავდროულად, ჭეშმარიტი დრამატიზმით გამსჭვალული სცენა, ანდა ის შეკრება, სადაც იაკობი და მისი თანამებრძოლები წესდების პროექტს განიხილავენ. რა მართალია ამ სცენაში ყველა მსახიობი, რა დამაჯერებლად წარმოგვიდგენენ გულანთებულ მამულიშვილებს – ნიკო ცხვედაძეს (ლე-

ვან როსტომაული), ანტონ ფურცელაძეს (ზვიად მაღალაშვილი), ნიკო ლომოურს (ლევან ჯამბრიშვილი), იოსებ მამაცაშვილს (ზურაბ ხინჩიკაშვილი), ვახტანგ თულაშვილს (გიორგი მაყაშვილი)...

რამდენი დააკლდებოდა სპექტაკლს, ასე დამაჯერებლად რომ არ განასახიერებდნენ სემინარიის მასწავლებლებს ლევან ოზგებაშვილი, ქიშვარდ მანველიშვილი და მერაბ მეზურნიშვილი, ასეთი გამორჩეული პლასტიკით რომ არ გვამახსოვრებდნენ თავს ჯაშუშები (ზურაბ პავლიაშვილი, ჯემალ ჭულუხაძე).

ანდა შეიძლება, უყურადღებოდ დაგვრჩეს იაკობის ცხოვრების ორი მშვენიერი ქალბატონი, ერთი ირეალური, თითქოს შიო არაგვისპირელის მოთხრობიდან გადმოსული, მეორე კი სრულიად რეალური – დარო მამაცაშვილი, ვისაც უზომოდ უყვარდა და არაფერს ითხოვდა, სხვა არავინ გაიკარა და დარჩა იაკობის სიყვარულის მსხვერპლად. ალბათ, ძალიან ძნელია სცენიდან ამგვარი ტრფობის ჩვენება, რასაც სოფია მაიერი იშვიათი გულწრფელობით აღწევს. არც მარინა არღუთიშვილის შესრულებაში შეინიშნება ყალბი ნოტები. მომხიბლავია ელენე მამაცაშვილის (ანი ჩოგოვაძე) სილაღეც...

იმდენი კარგი სცენაა, რომ თითქოს გინდა, რაღაც მაინც დაიწუნო და ძალიან თუ მოინდომებ, რეჟისორს მხოლოდ იმ ეპიზოდის გამო თუ აუხირდები, როცა მოხუცებული, სნეული იაკობი ლოგინში წევს და ვასილ ბარნოვი ეწვევა. ყველაფერი ჩინებულია – მდიდრული მიზანსცენა, ნისლი, მხატვრული განათება, ძალიან ადამიანური, გულწრფელი საუბარი, მაგრამ ეს ყოველივე სცენის სიღრმეში, მეორე პლანზე ხდება და მსახიობის (შოთა ხანჯალიაშვილი) ხმა, ზოგჯერ, მკაფიოდ არ ისმის. სამაგიეროდ, იგივე მსახიობი შეუდარებელია ფინალურ სცენაში, როცა იაკობი შინ არ დახვდება, მაგრამ მის პალტოსა და ქუდს იხილავს და გაოცებას ვერ დამალავს...

* * *

ისტორიული პერსონაჟებით დასახლებულ სპექტაკლს ყოველთვის ახლავს ყალბი პათეტიკის საშიშროება. სოსო ნემსაძის ოსტატობა და გემოვნება ამ ხიფათს გამორიცხავს.

კიდევ რამდენია სათქმელი რეჟისორის ამ მეტად საინტერესო ნამუშევარზე, თუნდაც იმაზე, თუ როგორ აცოცხლებს წარმოდგენის რიტმს ეპიზოდების კინემატოგრაფიული მონაცვლეობა და სინათლის „თამაში“. სხვათა შორის, ამგვარი ეფექტები პიესაშიც არის მინიშნებული: „სინათლე გადაინაცვლებს მეორე კუთხეში“; „ბნელდება... განათდება მეორე კუთხე“...

რაოდენ სახიერი და სიღრმისეულია სპექტაკლის „უკანა პლანი“, საიდანაც ზუსტად საჭირო დროს მგალობელთა გუნდის (მარიამ პაპანაძე, ელენე კაპანაძე, თამარ კაიშაური, ქეთი ლაზარაშვილი) გალობა მოისმის...

მთავარი რეჟისორული მიგნება კი უკვე აღვნიშნეთ, ოღონდ, ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც უნდა მივუმატოთ: მსახიობთა გუნდი ანბანს რომ წარმოთქვამს, ბოლოში ოდნავ შეყოვნდება და ჰაეს განსაკუთრებით გამოკვეთს.

ჰაე, როგორც ამოსუნთქვა, როგორც შვების სიმბოლო! – მარტო ამ მიგნებისთვისაც ეღირებოდა ერთი სპექტაკლი.

აქ კი რამდენ რამეზე შეგვიძლია იგივეს თქმა, რამდენი საინტერესო სცენაა მოფიქრებული, რამდენი შთამბეჭდავი სახეა შექმნილი! და რა მთლიანი, მონოლითური და ანსამბლურია წარმოდგენა.

თურმე, შესაძლებელი ყოფილა დიდებული ლიტერატურული („ნაკლებ დრამატურგიული) ტექსტის ამოქმედება!

მთავარია, რეჟისორი რეჟისორობდეს!

მთავარია, რეჟისორს გული ქართულად უცემდეს, მაშინ სცენაზე დადგებიან იაკობ გოგებაშვილი და მისი თანამებრძოლები და ქართულ თეატრს დაუბრუნდება ის დიდი მისია, ილია ჭავჭავაძე რომ აკისრებდა...

სარჩევი

ილია, ანუ დიდი ანალოგოსი 3
დაბმული უკვდავება 29
ბედის ნატეხი 33
შედევრი მანეთად 37
უკვდავი ლალი და სადაფები 41
ცხადის ნაპირთან 44
გამარჯვება ლანგარზე და
სამოცდათხუთმეტწლიანი უსულგულობა 71
ორი აზრი ერთ ქანდაკებაზე 76
ქვის გათლიდან ტაძრის აშენებამდე 80
მუხა კვლავაც შეიმოსება 84
დამდურებიდან შერიგებამდე 91
მარილი მალამოდ 96
ვერდამალული 102
რატომ შეეხე?! 107
სად იმალება ფერწერის ღმერთი? 115
ნანი 124
დაუმთავრებლად მთლიანი 134
მხოლოდ იმ ერთხელ... 140
შემოქმედის დაბადება სამშობლოს სულიდან 147
არქიტექტორის მომნუსხველობა
მინის საერთაშორისო მოწყენილობის ფონზე 154
სიცრუე დედაენას სჯობს?! 160
როგორ გადის დრო?! 168
სხვაგან ყოფნა 173
უნდა შეგვაშინოს 178
პატაშურის ნიშა 182
მსახიობის პორტრეტი რეჟისორულ ინტერიერში 190
გაფცქვნილი სამშობლოს სევდა 196
ხელახლა დასაბადებლად 207
„ამას ბჭობა არ უნდ არ“ 213
ზეცის სიფითრე პოეტის სახეზე 218
იები თოვლში და ჰაე, როგორც ამოსუნთქვა 224

იოსებ
ჭუმბურიძე
დაბმული ო�დაება

- „იოსებ ჭუმბურიძე ერთ — ერთი გამორჩეულია იმათ შორის, ვინც დღეს ფიქრობს და წუხს საქართველოზე".

რევაზ კვესელავა

- „იოსებ ჭუმბურიძის ნაწერები ზნეობის ნიმუშებად მიმაჩნია. არ არის საკმარისი, იყო ნიჭიერი, იყო პროფესიონალი. თუ სულით პოეტი არ ხარ, ღირებულ ნაწარმოებს ვერ შექმნი. ბატონი სოსო სამივე ამ თვისებით ხასიათდება".

ვახტანგ დავითაია

- „ბატონი სოსო პატივს სცემს მკითხველს თავისი ლაკონიურობით — ამ იშვითი უნარით. მოგეხსენებათ, ეს როგორ ფასობს დღეს, როცა ენად გაიკრიფა ქვეყანა და დარბაისლობა, ენობრივი დარ-ბაისლობა, სანთლით საძებარია".

რევაზ სირაძე

- „ერთხელ ჩვენმა სახელოვანმა ანსაბლმა „რუსთავმა" დიდი კონ-ცერტი გამართა. მღეროდა ჩვენი შეუდარებელი მგალობელი ჰამ-ლეტ გონაშვილი... რა არ მთავრდება და ის კონცერტიც დამთავ-რდა. დაიშალა ხალხი. გაუყვნენ თავიანთი სახლებისაკენ მიმა-ვალ ქუჩებს. გავერიე ხალხში და გავუყევი მეც შინისაკენ მიმავალ გზას. უცებ ვხედავ, აგერ ჩემ წინ მიდის ბატონი ჰამლეტი და ღი-ღინებს თავისთვის რაღაცას. იმ გრძელი და დამღლელი საღამოს შემდეგ... მსგავსი დამიკიდებულება აქვს თავის პროფესიასთან იოსებ ჭუმბურიძეს".

მურმან ჯგუბურია

9 789941 965357